

კლატონი პოლიტიკოსი



ძველი ბერძნულიდან თარგმნა,
გამოკვლევა და კომენტარები დაურთო
მაია შუსოშვილმა

ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები
დაურთო მაია შუხოშვილმა

შესავალი

«დიალოგი «პოლიტიკოსი» ცნობილი გახდა მისი ბუნდოვანების გამო.»

ს. როზენი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს კვლევის შედეგებს, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის გრანტით დაფინანსებული პროექტის «პლატონის «პოლიტიკოსი» (თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები)» ფარგლებში განხორციელდა. პროექტი მიზნად ისახავდა პლატონის გვიანდელი პერიოდის დიალოგის «პოლიტიკოსის» ფილოსოფიური ასპექტებით გამოკვლევასა და ქართულ ენაზე თარგმნას.

პლატონის შემოქმედება მუდამ აქტუალური იყო და დღესაც აქტუალურად რჩება თანამედროვე მკითხველისა თუ მკვლევართათვის. დიდი მოაზროვნის ფილოსოფიის თითოეულ ნიუანსთან დაკავშირებით უამრავი გამოკვლევა არსებობს. მიუხედავად ამისა, დღემდე რჩება პლატონის ე. წ. «ნაკლებად შესწავლილი» საკითხები. იმ უამრავ გამოცანასა და თავსატეხს შორის, რომელიც ბერძენი ავტორის ფილოსოფიამ წარმოშვა, ერთ-ერთი ყველაზე დიდი უდავოდ პლატონის «პოლიტიკოსია». პლატონის დიალოგების ცნობილი მკვლევარი და მთარგმნელი ბ. სეტი აღნიშნავს, რომ «არც ერთი დიალოგი არაა იმაზე უფრო ცუდად ჩაფიქრებული, ვიდრე პლატონის «პოლიტიკოსი». ის მოკლედ განიხილავს იმას, რაც პოლიტიკასთან დაკავშირებით შეიძლება გვანტერესებდეს და ვრცლად მსჯელობს იმ ყველაფერზე, რასაც ფილოსოფიასთან კავშირი არ აქვს.»^[1] სხვა ცნობილი მკვლევარებიც დიდი ხნის განმავლობაში აკრიტიკებდნენ ამ დიალოგს (როვი, ტეილორი, რაილი დ. ა. შ.).^[2] თავი რომ დავანებოთ «პოლიტიკოსის» შინაარსს, უამრავ შეკითხვას ბადებს თავად მისი ფორმა.

მეცნიერებაში არაერთგზის აღნიშნულა ის ფაქტი, რომ ეს დიალოგი არაა კარგად ორგანიზებული, აგებულია უცნაური გზით და უფრო მეტად ჰგავს ტრაქტატს, ვიდრე ფილოსოფიურ დიალოგს.

კ. როვი თვლიდა, რომ ესაა დიალოგი, სადაც პლატონი უკვე

პირდაპირ ესაუბრება თავის მკითხველს.^[3] «პოლიტიკოსის» როგორც დიალოგის დახასიათებებს შორის ხშირად გვხვდება მცდელობა მისი როგორც «ეული / განცალკევებული დიალოგის» განსაზღვრისა. დიდი ხნის განმავლობაში «პოლიტიკოსი» იმდენად მოსაწყენად, უმნიშვნელოდ და არასაინტერესოდ ითვლებოდა, რომ მისი შესწავლა პოპულარული არ იყო და შესაბამისად, თუკი ის რამენაირად იპყრობდა მკვლევარისა თუ მკითხველის ყურადღებას, ეს მხოლოდ და მხოლოდ «სოფისტთან» მისი სიუჟეტური და თემატური კავშირის გამო.

«პოლიტიკოსის» კითხვა ნამდვილად არაა მარტივი საქმე. მრავალრიცხოვან მკითხველს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ეს ნაწარმოები ზედმეტად მოსაწყენია. ის შეიცავს მრავალ პასაჟს, რომელიც ძალზედ უინტერესო და უცნაურია. ხელოვნებების დაყოფები, რომელიც ამ დიალოგშია მოცემული წარუმატებელი, ერთმანეთის საწინააღმდეგო და უგემოვნოდ გაჭიმულია. ელეელი უცხოელი განუწყვეტლივ ცდება და აღიარებს საკუთარ შეცდომას. «პოლიტიკოსი» ჩვენგან ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვს, რომ არ დავიღალოთ.

ამ და სხვა მიზეზების გამო ამ ნაწარმოებს იშვიათად კითხულობდნენ და განიხილავდნენ. შესაბამისად, დიალოგ «პოლიტიკოსის» თავისებურებებზე ყურადღება არავის გაუმახვილებია და ის დაჩრდილულია პლატონის იმ ნაწარმოებებით, რომელიც უფრო მნიშვნელოვნად ითვლებოდა ფილოსოფოსი მკითხველისათვის. «დაჩრდილულში» ვგულისხმობ როგორც დიალოგის ფორმას, ისე მის შინაარსსა და მასში გადმოცემულ მთავარ იდეას.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მიზეზთა და მიზეზთა გამო «პოლიტიკოსის» კვლევა არ ითვლებოდა პოპულარულად და ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ დღესაც კი არ ვართ განებივრებული ამ დიალოგის ფუნდამენტური გამოკვლევებით.

რაც შეეხება «პოლიტიკოსის» კვლევის ისტორიას ქართულ მეცნიერებაში, უნდა აღინიშნოს, რომ ამ დიალოგის ანალიზი საერთოდ არ გვხვდება.

სამწუხაროდ, აქამდე არც «პოლიტიკოსის» ქართულენოვანი თარგმანი გაგვაჩნდა და, მით უმეტეს, არც მისი მონოგრაფიული გამოკვლევა.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი იქნება დიალოგის ფილოლოგიური ანალიზი, რაც გულისხმობს აღნიშნული ნაწარმოების ფილოლოგიური ასპექტების კვლევას, კერძოდ, ესენია: «პოლიტიკოსის», როგორც ფილოსოფიური დიალოგის, ჟანრობრივი მახასიათებლები, სიუჟეტის განვითარების თავისებურებები და «პოლიტიკოსის» დრამატული ბუნება, ნაწარმოების სტრუქტურა და კომპოზიცია, პლატონის სტილი და ტროპული მეტყველება, ბგერწერის თავისებურებები, პერსონაჟთა შერჩევისა და ინდივიდუალიზაციის პრინციპები, ტერმინოლოგიური ასპექტები და სხვ. დიალოგის ფილოლოგიური ანალიზისას, ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით ნაწარმოების ცალკეულ ფილოსოფიურ ასპექტებსაც.

ნაშრომს თან ერთვის დიალოგის შესაბამისი კომენტარებით აღჭურვილი თარგმანი. ძველი ბერძნულიდან ქართულად თარგმნის პროცესში დამატებით ვისარგებლე «პოლიტიკოსის» ახალბერძნული, ინგლისური და რუსული თარგმანებით, რამაც საშუალება მომცა დიალოგის შედარებით რთული პასაჟები ქართულად მეთარგმნა მათი სხვადასხვა ინტერპრეტაციის გათვალისწინებით. შევეცადე, რომ თარგმანი დედანთან მაქსიმალურად მიახლოებული ყოფილიყო, რაც საშუალებას იძლევა უფრო ზუსტად გავიაზროთ თითოეული ფრაზის, ცალკეული მონაკვეთისა და მთელი დიალოგის ტერმინოლოგიური და აზრობრივი ნიუანსები.

ვიდრე უშუალოდ დიალოგის თემატიკაზე გადავიდოდე, მოკლედ შევეხები დიალოგ «პოლიტიკოსის» ადგილს პლატონის კორპუსის ერთიან სისტემაში და მისი შესწავლის თანამედროვე მდგომარეობას.

თავი I. „პოლიტიკოსის“ ადგილი პლატონის კორპუსში და მისი შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა

პლატონის «პოლიტიკოსი» და «კანონები», როგორც წესი, მიჩნეულია პლატონის გვიან პოლიტიკურ თეორიად. ამ

დიალოგებში ფილოსოფოსი ცდილობს გამოავლინოს, თუ რომელია მმართველობის საუკეთესო ფორმა.

«პოლიტიკოსის» მეშვეობით შესაძლებელი ხდება განსხვავების დადგენა პოლიტიკის მეცნიერებას, პოლიტიკასა და ფილოსოფიურ გაგებას შორის. შეიძლება ითქვას, რომ პლატონის «პოლიტიკოსი» არის მოძღვრება პოლიტიკის მეცნიერების ან პოლიტიკის ტექნიკის შესახებ.

«პოლიტიკოსი» არის დიალოგი, მაგრამ ის არ განეკუთვნება სოკრატულ დიალოგებს, რადგან პირველივე გვერდის შემდეგ სოკრატე მდუმარე პერსონაჟად რჩება. დიალოგის მთავარი მოსაუბრე არის ელეელი უცხოელი, რომელიც პარმენიდესის დამკვიდრებული ელეური ფილოსოფიის ტრადიციას აგრძელებს.

ცნობილი მეცნიერი კლოსკო მიიჩნევს, რომ «პოლიტიკოსი» არის გარდამავალი ნაწარმოები პლატონის ორ დიდ დიალოგს «სახელმწიფოსა» და «კანონებს» შორის. შესაბამისად, ჩვენ ვერ ვითვალისწინებთ იმ კონტექსტს, რომელსაც ელეელი უცხოელი გვთავაზობს, ვინაიდან ის უპირისპირდება იმ საერთო და ძირითად იდეას, რასაც ათენელი მსმენელი იყო მიჩვეული.^[4] ის მეცნიერებიც, რომლებიც პლატონის დიალოგების განხილვისას უნიტარულ მიდგომას იყენებენ, თვლიან, რომ «პოლიტიკოსი», როგორც პოლიტიკური მოძღვრების ჯგუფის ერთ-ერთი დიალოგი, ბევრ შეცდომას უშვებს.

არც ერთი მიდგომა არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, თუ რატომ გამოხატა ამ დიალოგში პლატონმა იდეები ელეელი უცხოელის და არა რომელიმე სხვა პერსონაჟის პირით. იმისათვის, რომ სწორად გავიგოთ პოლიტიკური თეორია, რომელიც ამ დიალოგშია გადმოცემული, კარგად უნდა გავიაზროთ თავად ამ დიალოგის დრამატული კონტექსტი პლატონის კორპუსთან მიმართებაში. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის, რომ «სოფისტი» და «პოლიტიკოსი» არის ის ორი დიალოგი, რომლებშიც მთავარ თანამოსაუბრედ ელეელი უცხოელი გვევლინება. ამ დიალოგების მიზანია, სოფისტისა და პოლიტიკოსის დეფინიცია ელეელთა სწავლების თანახმად. მეორე, «პოლიტიკოსი» არის ტრილოგიის «თეეტეტოსი», «სოფისტი», «პოლიტიკოსი» მესამე დიალოგი. მესამე, «პოლიტიკოსი» იმ დიალოგების რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც დრამატულად დაკავშირებულია სოკრატეს სასამართლო პროცესთან («თეეტეტოსი», «ევთიფრონი», «კრატილოსი», «სოფისტი»,

«პოლიტიკოსი», «სოკრატეს აპოლოგია», «კრიტონი», «ფედონი»).

ზემოჩამოთვლილის გარდა, საგანგებოდ გამოვყოფდი, რომ «პოლიტიკოსი» განსაკუთრებულ სიახლოვეს სწორედ «სოფისტთან» ავლენს.

გარდა იმისა, რომ ის უშუალოდ სიუჟეტურ კავშირშია დიალოგ «სოფისტთან» (ერთში თანამოსაუბრეთა მიზანი სოფისტის განსაზღვრაა, ხოლო მეორეში – პოლიტიკოსის), ჩვენ შევნიშნავთ, რომ ამ ორ დიალოგში მსჯელობა ნაწილობრივ მეთოდის განხილვას ეთმობა და ანალოგიები აღებულია ადამიანების საყოფაცხოვრებო სფეროდან. ორსავე ამ დიალოგში შეინიშნება სტილისა და დრამატული ძალის შემცირება, არ იგრძნობა მხატვრული ერთიანობა. «პოლიტიკოსში» პოლიტიკოსის ხელოვნებაზე მსჯელობა და მეთოდის ილუსტრაცია არაა ერთმანეთთან ჰარმონიულად დაკავშირებული და შესრულებულია ნაკლებ მხატვრული ოსტატობით, რაც ვერ აღწევს სათანადო ეფექტს დიალოგის მკითხველზე. მთავარ თანამოსაუბრეს – ელეელ უცხოელს – როგორც «სოფისტში» ისე «პოლიტიკოსში» არ აქვს მკვეთრად გამოხატული, თავისებური ხასიათი და ის მხოლოდ გარკვეული დოქტრინების გადმოცემად გვევლინება. დიქტომიის მეთოდი, რომელიც ამ ორ დიალოგში სოფისტისა და პოლიტიკოსის საკვლევად გამოიყენება ბევრ იუმორისტულ და სატირულ შენიშვნას იმსახურებს.

კროფსი ანალიზის პროცესში ცდილობს ფილოსოფოსის როლი გვიჩვენოს როგორც ადამიანის, რომელიც ჭეშმარიტად ზრუნავს ადამიანებზე.

იგი მიიჩნევს, რომ «პოლიტიკოსის» პოლიტიკოსი არის სწორედ ფილოსოფოსი, რომელიც ზრუნავს ადამიანებზე როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად.^[5] კროფსის საპასუხოდ შეიძლება ითქვას, რომ ელეელი უცხოელი მიზნად ისახავს პოლიტიკური და ფილოსოფიური ზრუნვის ერთმანეთისაგან გარჩევას.

ს. როზენი თვლის, რომ პლატონის «პოლიტიკოსში» გადმოცემული მოძღვრება არ შეიძლება სერიოზულად მივიღოთ, რადგან ის ახასიათებს პოლიტიკოსს როგორც ტექნიკის მფლობელს.^[6] «პოლიტიკოსის» კითხვის ყველაზე ფრთხილი მეთოდი არის ის, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას ამ დიალოგიდანაც ვისწავლოთ რაღაც პოლიტიკოსის თეორიის შესახებ და ეს რაღაც ყოველთვის

ირონიული არ არის. ასევე, უნდა გავაცნობიეროთ ისიც, რომ პლატონისა და ელეელი უცხოელის შეხედულებებს შორის არის ისეთივე რთული მიმართება, როგორც პლატონისა და სოკრატეს მოსაზრებებს შორის. ამგვარი მეთოდი საშუალებას მოგვცემს ვიყოთ ღია იმისათვის, რომ პლატონის შეხედულებების გვერდით ადგილი დავუთმოთ ელეურ მოძღვრებას, რომელიც მოიცავს პოლიტიკის თეორიასაც. ჩვენ უნდა მოვახდინოთ იმის იდენტიფიცირება, რომ ელეელი უცხოელის შემოყვანა დიალოგში არაა შემთხვევითი და ესაა ცალკე პრობლემატიკა, რომელიც საგანგებოდაა წამოჭრილი და უნდა ვეცადოთ გავიაზროთ, თუ რატომ მიმართა პლატონმა ამ გზას.

მეცნიერებაში დღეისათვის არსებობს პლატონის გვიანდელი დიალოგების ე. წ. «სტანდარტული ხედვა». თუ რას ნიშნავს «სტანდარტული ხედვა», ყველაზე უკეთ თეზებად პ. ტეილორის მიერაა ჩამოყალიბებული.

ეს თეზები მოიცავს იმ თავისებურებებს, რომელიც დამახასიათებელია პლატონის გვიანდელი პერიოდის დიალოგებისათვის. კერძოდ, ესენია:

1. დრამატული ელემენტი მინიმუმამდეა დაყვანილი;
2. სოკრატე თამაშობს უმნიშვნელო როლს;
3. მთავარ მოსაუბრეს აქვს რაღაც პოზიტიური დოქტრინა, რომელსაც ის სხვა მოსაუბრეებს ასწავლის;
4. დიალოგის ფორმა უფრო მეტად ტრაქტატის სახეს იღებს.

პლატონის მკვლევარი მ. მილერი ეწინააღმდეგება თითოეულ ამ თეზას და თვლის, რომ:

1. დრამატული ელემენტი მხოლოდ მოქმედებას არ გულისხმობს.

დრამატიზმს შეიძლება ქმნიდეს თავად საუბარიც. თუკი ამ მოსაზრებას მივიღებთ, მარტივად შევნიშნავთ, რომ «პოლიტიკოსი» არის ცოცხალი დრამა, სადაც კონტექსტს და ძირითად სიუჟეტურ ქარგას სწორედ საუბარი ქმნის.

2. რთულია დაეთანხმო იმას, რომ გვიანდელ დიალოგებში და მათ შორის «პოლიტიკოსში» სოკრატეს როლი მინიმუმამდეა დაყვანილი და უმნიშვნელოა. «პოლიტიკოსში» სოკრატე ნამდვილად უტყვ პერსონაჟად გვევლინება. ის დუმს მთელი დიალოგის მანძილზე,

მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ დუმილი არ ნიშნავს მინიმალურ ფუნქციას. პლატონის დიალოგებში და განსაკუთრებით კი გვიანდელ დიალოგებში, დუმილს აქვს დრამატული მნიშვნელობა («ფედონი», «დიდი ჰიპიასი»).

3. ელეელი უცხოელის დოქტრინას რთულად თუ დაარქმევს ვინმე პოზიტიურს. პლატონი «პოლიტიკოსშიც» ანონიმურად რჩება და არანაირი მინიშნება არ გვაქვს იმაზე, რომ ელეელი უცხოელის საუბრის იდენტიფიცირება შეგვიძლია პლატონის ნააზრევთან. ის ფაქტი, რომ უცხოელი პოზიტიურად საუბრობს, არ გვადლევს იმის ვარაუდის საშუალებას, რომ პლატონი ამას პოზიტიურად თვლიდა.

4. რთულია იმ ლიტერატურულ ფორმას, რომელსაც გვიანდელი დიალოგები და მათ შორის «პოლიტიკოსი» გვთავაზობს, ტრაქტატი ვუწოდოთ. ნაცვლად ამისა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის დიალოგის სხვაგვარი ფორმა, რომელიც პლატონმა თავისი შემოქმედების ბოლო პერიოდში შეიმუშავა.^[71]

ამდენად, თავიდანვე უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ «პოლიტიკოსი» ნამდვილად არის დიალოგი. ამ დიალოგშიც, ისევე როგორც სხვებში, პლატონი ერთდროულად გვევლინება ფილოსოფოსად და მასწავლებლად.

დიალოგის მიზანია ფილოსოფია არაფილოსოფოს საზოგადოებას მიაწოდოს.

ამ მიზნის მისაღწევად კი პლატონი ახდენს ჭეშმარიტების ფილოსოფიური ძიების ინტეგრირებას პედაგოგიური დარწმუნების მეთოდთან.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ «პოლიტიკოსი» მიმეტეკურ დიალოგთა რიცხვს განეკუთვნება. ამაში ის არ იგულისხმება, რომ დიალოგი ასახავს სოკრატეს ცხოვრების დროს მომხდარ ისტორიულ ფაქტებს.

ისედაც ნათელია, რომ პლატონის დრამატული პერსონაჟი სოკრატე არის ისტორიული ფილოსოფოსის იდეალიზებული სახე. ამასთან, როგორც ჩანს, ელეელი უცხოელიც პლატონის კონსტრუქციის შედეგი უნდა იყოს. რაც შეეხება სხვა თანამოსაუბრეებს, ისინი ალბათ პლატონის ინტერპრეტაციას წარმოადგენენ და იმ დროის კულტურის სხვადასხვა ასპექტს ასახავენ. ამდენად, დიალოგი მიმეტეკურია იმის გამო, რომ ის ახდენს იმის იმიტაციას, თუ

როგორია მიმართება ფილოსოფიას, რეალურ ცხოვრებასა და ადამიანის შეხედულებებს შორის.

მეორე, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ «პოლიტიკოსი» ისევე, როგორც პლატონის დიალოგების უმეტესობა, დიდაქტიკური ხასიათის დიალოგია.

რას ნიშნავს ეს? «პოლიტიკოსი» (პლატონის სხვა დიალოგების მსგავსად) იწყება იმის აღიარებით, რომ თანამოსაუბრეს აკლია რაღაც ტიპის ცოდნა (ამ შემთხვევაში იმის ცოდნა, თუ ვინ არის ჭეშმარიტად პოლიტიკოსი) და ის მზადაა ამ ცოდნის მისაღებად მონაწილეობა მიიღოს საუბარში.

თანამოსაუბრე ხშირად დაბნეულია და არ იცის, რა პასუხი გასცეს ამა თუ იმ შეკითხვას. ძალიან ხშირად პლატონის მკითხველი თანამოსაუბრეში საკუთარ თავს ამოიცნობს. საკუთარი თავის ამოცნობა კი იმის აღიარებას ნიშნავს, რომ მკითხველი მზად არის ჭეშმარიტი ცოდნის მისაღებად.

მაგრამ ჭეშმარიტი დიდაქტიკა კიდევ უფრო შორს მიდის. კერძოდ, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ პლატონის თითოეული დიალოგი სათქმელად იმაზე უფრო ბევრად მეტს ტოვებს, ვიდრე ამბობს. შესაბამისად, მსმენელსა თუ მკითხველს რჩება იმის შეცნობის ინტერესი, თუ რა უნდა ეთქვა პლატონს. ანუ, ჭეშმარიტების ძიება და ამ ძიებისას განხორციელებული აზროვნების პროცესი არ მთავრდება იქ, სადაც მთავრდება დიალოგი. ეს არის პლატონის ძირითადი ფილოსოფია.

თუ ამ პრინციპს ავიღებთ ამოსავლად, ჩვენ კიდევ ერთხელ დავადასტურებთ, რომ «პოლიტიკოსი» ჭეშმარიტად დიალოგია და არა ტრაქტატი, ვინაიდან ის უფრო მეტ კითხვას ტოვებს, ვიდრე პასუხს გვაძლევს.

პლატონის გვიანდელი დიალოგების ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარი კ. საირე საგანგებოდ გამოყოფს პლატონის გვიანდელი პერიოდის ხუთ დიალოგს: «თეეტეტოსი», «სოფისტისი», «პოლიტიკოსი», «პარმენიდესი» და «ფილებოსი» და მათ განსაზღვრავს როგორც მეთოდოლოგიურ დიალოგებს.

განსხვავებული კონტექსტის მიუხედავად, მისი აზრით, ამ დიალოგებს ის საერთო მეთოდი აერთიანებს, რომელიც ჭეშმარიტების ძიებისათვის საუკეთესო პირობას ქმნის, ეს მეთოდი

კი იმაში მდგომარეობს, რომ ხუთსავე ამ დიალოგში საუბარი იმართება ფილოსოფიის ოსტატსა და ფილოსოფიაში დილექტანტს შორის. მეცნიერი ასკვნის, რომ მაიევტიკის მეთოდის ყველზე უფრო სრულყოფილი გამოვლენა სწორედ ამ დიალოგებში ხდება. [8] მეორე ცნობილი მეცნიერი მ. მილერი თვლის, რომ გვიანდელი დიალოგების სტრუქტურა განპირობებულია იმით, რომ პლატონს ამ პერიოდში უკვე შემუშავებული ჰქონდა იარაღი, რომლითაც აკადემიაში ფილოსოფოსთა წვრთნა უნდა მომხდარიყო. სწორედ ამიტომაც ერთ-ერთ თანამოსაუბრედ შერჩეული დილექტანტი, დამწყები ფილოსოფოსი, რომელთა იდენტიფიცირებასაც მ. მილერი აკადემიის სტუდენტებთან ახდენს. ამ დიალოგების პირველ ფაზად მ. მილერი «ელიციტაციას» ანუ «გამოვლენას» გამოყოფს და ამ ფაზის მნიშვნელობას იმით ხსნის, რომ სწორედ ესაა ის ადგილი, სადაც ფილოსოფოსი დამწყების პოზიციას საკვლევ საკითხთან მიმართებაში ძერწავს. [9] ამასთან დაკავშირებით ჩნდება ერთი კითხვა: თუკი ეს დიალოგები დიდაქტიკური და მეთოდოლოგიური ხასიათისაა და ისინი აკადემიაში საწვრთნელად გამოიყენებოდა, მაშინ რატომ არის ამ დიალოგების მონაწილეების მიერ გამოთქმული ამდენი სუსტი ან არასწორი არგუმენტი? რატომ რჩება ამდენი გადაუჭრელი საკითხი? რატომ უტოვებს პლატონი მკითხველს/მსმენელს ამოცანად არაზუსტი არგუმენტის რეკონსტრუქცია მოახდინოს? პასუხი ისევ და ისევ იგივეა, – სწორედ დიდაქტიკური და მეთოდოლოგიური პრინციპიდან გამომდინარე.

ესეც პლატონის მიერ შემუშავებული იარაღია, რათა აკადემიის «მსმენელმა» იფიქროს იმაზე, თუ რამდენად ზუსტია არგუმენტი და რამდენად სწორად პასუხობს დასკვნა ფილოსოფიურ პრობლემას.

[10] როგორც პლატონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მკვლევარი ს. როზენი აღნიშნავს, «პოლიტიკოსი» ცნობილია თავისი ბუნდოვანების გამო. [11] დიალოგის უდიდესი ნაწილი ეთმობა ქსოვის ხელოვნებას, რომელსაც ელეელი უცხოელი პარადიგმად ირჩევს პოლიტიკის ხელოვნების განსაზღვრისათვის. უცხოელი იყენებს დიარესისის ცნობილ მეთოდს, რომელსაც «სოფისტის» შემდეგ უკვე მიჩვეულნი ვართ, მაგრამ დაყოფების ხანგრძლივი სერიის შემდეგ აცნობიერებს, რომ შეცდომა დაუშვა, რომელიც უნდა გამოასწოროს მითით სამყაროს წარმოშობისა და ბრუნვის შესახებ.

ეს მითი, მეცნიერთა აზრით, ერთ-ერთ ყველაზე უფრო რთულ და ამოუცნობ ფენომენად გვევლინება პლატონის მთელ შემოქმედებაში. ბოლოს კი ამ ყველაფერს მოჰყვება ნაწილი, სადაც განსაზღვრულია პოლიტიკის ხელოვნება/ტექნიკა, რომელშიც ელემლი უცხოელი უკვე პირდაპირ იყენებს რიტორიკის ხერხებს და მკვეთრად ემიჯნება სხვა დიალოგების ძირითად მოსაუბრეებს იმით, რომ იგი ცდილობს მხოლოდ საკუთარი ცოდნის გამოვლენას და არა ერთობლივად ჭეშმარიტების მიგნებას.

ვიდრე «პოლიტიკოსზე» როგორც დიალოგზე საუბარს დავიწყებდეთ, უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ მსგავსად სოკრატესი და ელემლი უცხოელისა, თავად პლატონი არის ფილოსოფოსი და მასწავლებელი.

შესაბამისად, მისი თითოეული დიალოგი ნაწილდება ფილოსოფოს და არაფილოსოფოს ადამიანთა შორის, ისევე როგორც თვითონ დიალოგები წარმოადგენს ფილოსოფიას არაფილოსოფოსი პუბლიკისთვის. ჭეშმარიტების ფილოსოფიურ ძიებას პლატონი ფუთავს მსმენელთა/მკითხველთა დარწმუნების დიდაქტიკური მანერით, რათა მათაც გაიზიარონ ის სული, რომელიც ნაწარმოებშია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არაფილოსოფოსს სჭირდება ბიძგი იმისათვის, რომ ფილოსოფოსი გახდეს. სწორედ ამ პროცესში მედიაციურ საშუალებას წარმოადგენს პლატონის ფილოსოფია.

ამ პროცესისათვის კი ყველა არ არის ერთნაირად მზად, ამიტომ პლატონის ამოცანაა მისი ფილოსოფია პედაგოგიურად რაც შეიძლება უფრო ეფექტური იყოს ყველა დონეზე. სწორედ ასეთ ნაწარმოებად გვესახება ჩვენ «პოლიტიკოსი».

თავისი დაუმორჩილებელი ბუნების გამო, «პოლიტიკოსი» ძალიან ნაკლებად შესწავლილი აღმოჩნდა. მწირია მის შესახებ არსებული ბიბლიოგრაფიაც, განსაკუთრებით კი ეს ეხება დიალოგის სრულყოფილ ფუნდამენტურ გამოკვლევას. ამ მხრივ რამდენიმე სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენს: ს. როზენის მონოგრაფია «პოლიტიკოსის» შესახებ», მ. მილერის «ფილოსოფოსი პლატონის «პოლიტიკოსში», მ. ლენის «მეთოდი და პოლიტიკა პლატონის «პოლიტიკოსში» და კ. კასტორიადის «პლატონის «პოლიტიკოსის» შესახებ». სხვა გამოკვლევები თუ სტატიები «პოლიტიკოსის» შესახებ მის ცალკეულ პასაჟს ან ასპექტს ეხება.

წინამდებარე გამოკვლევის მიზანია გარკვეულწილად შეავსოს ეს

დანაკლისი. «პოლიტიკოსის» თარგმნისა და მასთან დაკავშირებული ბიბლიოგრაფიის შესწავლის შედეგად გამოვყავი ამ დიალოგის ძირითადი პრობლემატიკა, რომლის უმთავრესი ასპექტები ასე გამოიყურება:

1. დრამატული კონტექსტი და ძირითადი პერსონაჟები;
2. ნიმუში (paravdeigma) როგორც კვლევის მეთოდი;
3. საზომის, ჭარბისა და ნაკლულის პრობლემატიკა;
4. დიალექტიკა და დიაირესისის მეთოდი;
5. მითი სამყაროს ბრუნვის შესახებ;
6. დიალოგის პოლიტიკური ასპექტები, პოლიტიკოსის დეფინიცია.

წინამდებარე გამოკვლევაში საგანგებოდ შევხები თითოეულ მათგანს.

თავი II. პლატონის „პოლიტიკოსის“ სტრუქტურა და სიუჟეტის – ფილოსოფიური მსჯელობის – განვითარება

დრამატული კონტექსტი.

დიალოგის მთავარი მოქმედი პირები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, «პოლიტიკოსი» დრამატულ კავშირშია დიალოგებთან «თეეტეტოსი» და «სოფისტი». ეს ტრილოგია კი თავის მხრივ მჭიდროდ უკავშირდება სოკრატეს სასამართლო პროცესს. «თეეტეტოსში» სოკრატე, თეოდოროსი, თეეტეტოსი და უმცროსი სოკრატე ხვდებიან ერთმანეთს და ცდილობენ გაარკვიონ თუ რა არის ჭეშმარიტი «ეპისტემე»-ს არსი, მაგრამ დიალოგი შედის აპორიაში. ისინი თანხმდებიან, რომ შეხვდებიან მეორე დღეს, ხოლო სოკრატე მიდის მმართველ-არქონთან, რათა მოისმინოს ბრალდება ახალგაზრდებისათვის სოფისტურ სწავლებასთან დაკავშირებით.

შეთანხმებისამებრ, ისინი ხვდებიან მეორე დღეს, სადაც თეოდოროსი სოკრატეს წარუდგენს ელეელ უცხოელს, რომელიც პარმენიდესის მიმდევარია. პირველ დღეს იმართება დიალოგი სოფისტის რაობის შესახებ, ხოლო მეორე დღეს – პოლიტიკოსის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამ დიალოგს აერთიანებს და სიუჟეტურად კრავს სოკრატეს სასამართლო პროცესი. ტრილოგიაში აშკარად შეინიშნება მწყობრი დისკუსია და თანამოსაუბრეების მიერ ერთმანეთის პატივისცემა.

თუ კარგად დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ამ ტრილოგიის თემატიკაც მჭიდროდაა დაკავშირებული სოკრატეს სასამართლო პროცესთან.

ცნობილია, რომ სოკრატეს ერთ-ერთ ბრალდებას წარმოადგენდა ის, რომ იგი სოფისტი იყო და ახალგაზრდებს რყვნიდა. ამდენად, ტრილოგიის თემატიკა (რა არის ჭეშმარიტი ცოდნა («თეეტეტოსში»), ვინ არის ჭეშმარიტი სოფისტი («სოფისტში») და ვინ არის ჭეშმარიტი პოლიტიკოსი («პოლიტიკოსში») გარკვეულწილად ამ ბრალდებისაგან თავის მართლებას წარმოადგენს. ის შეკითხვები, რომლებსაც მოსამართლეები სასამართლო პროცესზე სვამდნენ პლატონის დიალოგებში ფილოსოფიურადაა დასმული. თუ სასამართლო პროცესზე სოკრატე «არაფილოსოფიური» აზროვნების მხრიდან თავდასხმის ქვეშ ექცევა, ტრილოგიაში იგი ფილოსოფიური მიდგომითაა განდიდებული. თუ საბოლოოდ სასამართლო პროცესმა სოკრატე დამნაშავედ მიიჩნია, ეს ტრილოგია მიზნად ისახავს მისი ფილოსოფიის ჭეშმარიტ ფილოსოფიურ გასამართლებას. **[12]** ვინ არიან დიალოგის მთავარი მოქმედი პირები? მოკლედ შევხვით თითოეულ მათგანს. თეოდოროსი ტრილოგიის მთავარი პერსონაჟია. მართალია ის ძალიან უმნიშვნელოდ მონაწილეობს მოქმედების განვითარებასა და მსჯელობაში, მაგრამ ის არის ე. წ. შუამავალი, რომელიც თავდაპირველად სოკრატეს წარუდგენს თეეტეტოსსა და უმცროს სოკრატეს («თეეტეტოსი», 144c-4), შემდეგ ელეელ უცხოელს – სოკრატეს («სოფისტი», 216a-d), ბოლოს კი ელეელ უცხოელსა და უმცროს სოკრატეს დააკავშირებს ერთმანეთთან («პოლიტიკოსი», 257a-d). როგორც თეეტეტოსისა და უმცროსი სოკრატეს მასწავლებელს, მას გავლენა აქვს თანამოსაუბრეებზე.

«თეეტეტოსში» სოკრატე ცდილობს თეოდოროსი დიალექტიკაში ჩართოს, მაგრამ ეს არ გამოსდის, რადგანაც გეომეტრიის ოსტატი პასუხობს მას, რომ ის ასაკით უკვე დიდია და ამგვარ საუბრებს არაა ჩვეული («თეეტეტოსი», 146b). ცხადია, რომ ასაკი აქ არაფერ შუაშია. აქ მითითება გვაქვს იმაზე, რომ თეოდოროსი არაა პლატონის/სოკრატეს ფილოსოფიის მიმდევარი. თეოდოროსი არის გეომეტრიის ოსტატი, რომლისთვისაც გეომეტრია სხვა არაფერია, თუ არა ფილოსოფიის პროპედევტიკა.

ფილოსოფიური საუბრები მისთვის მეტისმეტად აბსტრაქტულია და მას უპირისპირდება გეომეტრია თავისი კონკრეტიკით.

«თეეტეტოსში» თეოდოროსი პირდაპირ აცხადებს, რომ «ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდან ის აბსტრაქტული საუბრებიდან გეომეტრიისაკენ გადაიხარა» («თეეტეტოსი», 165a). მიუხედავად ამხელა განსხვავებისა, ტრილოგიაში არსად ჩანს, რომ თეოდოროსი სოკრატეს უპირისპირდება. ის ფილოსოფიას მხოლოდ საკუთარი თავისთვის ზღუდავს და არა სოკრატესთვის.

თეოდოროსის მსგავსად უმცროსი სოკრატეც ისტორიულ ფიგურასთან უნდა იყოს ასოცირებული. «მეთერთმეტე წერილის» (რომელიც თარიღდება ძვ. წ. 360-359 წწ.) ავტორი მიუთითებს აკადემიის წევრზე სახელად «სოკრატე». მიუხედავად იმისა, რომ ეს წერილი შეიძლება არაავთენტური იყოს, მისი დიდი ნაწილი მეცნიერთა მიერ მაინც სარწმუნოდ ითვლება.^[13] მკვლევარი მ. მილერი თვლის, რომ რეალური «უმცროსი სოკრატეს» არსებობა აკადემიაში «პოლიტიკოსის» ჰერმენევტიკული საკითხების გააზრებაში გვეხმარება. «პოლიტიკოსის» დაწერისას აკადემიაში მოღვაწე ისტორიული პერსონა – სოკრატე დაახლოებით 55 წლის უნდა ყოფილიყო. დიალოგში კი უმცროსი სოკრატე დაახლოებით 18 წლის ახალგაზრდაა. ამდენად, პლატონს ყურადღება სოკრატედან უმცროს სოკრატეზე გადააქვს და ამ გზით დიალოგი ასახავს არაპირდაპირ კომუნიკაციას პლატონსა და აკადემიის უმცროს თაობას შორის.^[14] მიმეტიკური თამაშით, რომელიც «პოლიტიკოსშია» წარმოდგენილი, ფაქტობრივად უმცროსი სოკრატეს სახით ფილოსოფიის მოყვარულის «ტესტირება» (გამოცდა) ხდება, გამოცდა იმისა, თუ რამდენად გაუძლებს და ჩაერთვება ის ფილოსოფიურ მსჯელობაში. იმავდროულად, უმცროსი სოკრატე თეოდოროსის, ანუ მათემატიკოსის მოსწავლეა. ამდენად, მას ყველა წინაპირობა აქვს იმისათვის, რომ დიალექტიკას მიჰყოს ხელი. მან იცის გეომეტრია, ის მზადაა ფილოსოფიის

დასაწყებად.

თითქმის არაფერი ვიცით უცხოელის შესახებ გარდა იმისა, რომ ის წარმოშობით ელქადან არის. უცხოელი თავის თავს მიჯნავს სოფისტებისაგან, ხოლო სოკრატე, როგორც ეს დიალოგ «სოფისტში» ჩანს, არ მიიჩნევს უცხოელს ფილოსოფოსად [15]. ერთ-ერთი მოსაზრებით, სწორედ ამიტომ არის უტყვად სოკრატე ამ დიალოგში. პლატონის მიზანი არის გვაჩვენოს უცხოელის საუბრისათვის დამახასიათებელი სტილი სოკრატეს საუბრის მანერასთან მიმართებაში და ამ გზით დაგვანახოს კონტრასტი ფილოსოფოსსა და სოფისტს შორის.

ჩვენ ვიცით, რომ უცხოელი წარმოშობით ელქადან არის და პარმენიდესისა და ზენონის წრესთან ასოცირდება, მაგრამ ეს სოციალური და გეოგრაფიული მინიშნება ავტომატურად არ გულისხმობს უცხოელის ფილოსოფოსობას.

პლატონი არც უცხოელის პორტრეტს გვიხატავს. ის არ გვიამბობს რაიმე ისტორიას, რაც უკავშირდება ამ პერსონაჟის წარსულს, მის წარმატებებს ან მარცხს. მთელი დიალოგის მანძილზე უცხოელი არ გამოხატავს რაიმე სახის პიროვნულ ემოციას, როგორც ამას ხშირად აკეთებენ პლატონის სხვა დიალოგების მოქმედი პირები.

უცხოელის იდენტიფიცირების საკითხს განსაკუთრებულად უდგება პლატონი დიალოგ «სოფისტის» დასაწყისში. აქ ის მიმართავს ჰომეროსს:

«იქნებ ღმერთი მოჰყავს თეოდოროსს და არა ადამიანი» (Hom. Od. XVII, 485-487). ამ პასაჟის ქვეტექსტი მრავალნაირი შეიძლება იყოს, კერძოდ:

1) შესაძლოა, აქ იმაზეა საუბარი, რომ ფილოსოფოსი მოკვდავ ადამიანთა შორის ისე ჩანს, როგორც ღმერთი; 2) უფრო ღრმა ინტერპრეტაცია იქნებოდა პასაჟის ისე გაგება, რომ აქ საუბარია უცხოელსა და ოდისევსზე.

თან ცნობილია, რომ ღმერთები უცხოელების მსგავსად ევლინებიან მოკვდავ ადამიანებს, რათა თვალი ადევნონ მათ და დასაჯონ ისინი ზვიადობისა და ამპარტავნების გამო. ამიტომაც ხშირად მათ ერთმანეთისგან ვერ არჩევენ; 3) სოფისტების მსგავსად ღმერთებშიც რთულია ჭეშმარიტის მსგავსისაგან გარჩევა.

აქ ასეთი პარალელი შეგვიძლია დავინახოთ: სოკრატე არის ჭაბუკი,

თეოდოროსი – ანტინოე, უცხოელი – ოდისევსი, თეეტეტოსი კი – პენელოპე, რომელიც «ნადირობს» ახალგაზრდა ჭაბუკებზე. ამის შემდეგ კი პლატონი აგრძელებს, რომ ფილოსოფოსები ღმერთების მსგავსად ძნელად გასარჩევი არიან. თუ ღმერთები ამხილებენ მოკვდავებს ზვიადობისა და ამპარტავნების გამო, ერთი ფილოსოფოსი აუცილებლად ამხილებს მეორეს მისი არასწორი არგუმენტებისათვის. ამდენად, სოკრატე მამხილებელ ღმერთს უწოდებს უცხოელს და ამით იცავს საკუთარ თავს ამ დანაშაულისაგან. მაგრამ აქ დგება შემდეგი პრობლემა: როგორც თეოდოროსი ამბობს, ის არ არის ღმერთი, არამედ ფილოსოფოსი, ოღონდ ღვთაებრივი.^[16]

ყველაზე უცნაური და ბუნდოვანებით მოცული პერსონაჟი ამ დიალოგში მაინც სოკრატეა. რითია გამორჩეული «პოლიტიკოსში» სოკრატე?

ერთადერთი ნიშნით. ეს ნიშანი კი მისი დუმილია. დიდი ხნის მანძილზე მეცნიერები არ ფიქრობდნენ იმაზე, თუ რატომაა ამ დიალოგში ჩრდილში მოქცეული პლატონის საყვარელი პერსონაჟი.

ერთ-ერთი გავრცელებული მოსაზრება ამასთან დაკავშირებით ის შეიძლება იყოს, რომ პლატონის გვიანდელი დიალოგები კარგავს დინამიზმს და დიალოგიზმს. შესაბამისად დუმს პერსონაჟი, რომელიც ამ ყველაფრის მთავარი ინიციატორი და წარმმართველია.

პლატონის დიალოგების უმეტესობაში სოკრატე იბრძვის სოფისტების წინააღმდეგ. რატომ ჩუმდება ის ამ დროს? ამას შეიძლება ორგვარი ახსნა ჰქონდეს. სოკრატე არც უცხოელს და არც თეოდოროსს ფილოსოფოსებად არ მიიჩნევს. ალბათ, სწორედ ამიტომ არის უტყვად იგი ამ დიალოგებში. პლატონის მიზანია გვიჩვენოს უცხოელის საუბრისათვის დამახასიათებელი სტილი სოკრატეს საუბრის მანერასთან მიმართებაში და ის, თუ რა კონტრასტია ფილოსოფოსსა და სოფისტს შორის. მეორე ახსნა უშუალოდ უკავშირდება დიალოგის დრამატულ კონტექსტს, ანუ ისევ და ისევ სოკრატეს სასამართლო პროცესს. თავისი დუმილით სოკრატე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მას კარგად ესმის, რომ თვით მისმა მეგობრებმაც კი ვერ მოუსმინეს. შესაბამისად, სოკრატე ამ ტრილოგიაში თითქმის უტყვია და ის მდუმარედ ელის თუ როგორი იქნება მისი «ფილოსოფიური გასამართლება». სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოკრატეს დუმილი ამ დიალოგში არის ერთგვარი არაპირდაპირი კომუნიკაცია. სოკრატეს დუმილი შეიძლება

ჩავთვალოთ მისი ფილოსოფიის «ვერ გაგების» დრამატულ სიმბოლიზებად. **[17]**

საუბრის დაწყება. კვლევის მეთოდის შერჩევა.

«პოლიტიკოსის» დასაწყისი, რომელიც ერთგვარი პროლოგის, ექსპოზიციის ფუნქციას ასრულებს, არის უფრო მეტი, ვიდრე მთავარი მოქმედი პირების წარმოდგენა. როგორც ეს პლატონის დიალოგებისთვის ზოგადად არის დამახასიათებელი, შესავალი არის წინასწარი მინიშნება იმ პრობლემებზე, რომლებიც განხილულ უნდა იქნას დიალოგში და იმ მეთოდზე, რომლის დახმარებითაც კვლევა წარიმართება. როგორც ხაზგასმით აღვნიშნეთ და ეს შემდეგ თავებშიც არაერთხელ გამოჩნდება, «პოლიტიკოსის» შესავალი სრულიად ბუნდოვანი იქნება მისი წინა დიალოგის «სოფისტის» შესავლის გარეშე. ამიტომ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ დიალოგ «სოფისტის» კონტექსტი, რომელიც, თავის მხრივ, დიალოგ «პოლიტიკოსის» პროლოგს წარმოადგენს.

დიალოგ «თეეტეტოსში» წარმართული საუბრის მეორე დღეს თეეტეტოსი და თეოდოროსი შეთანხმებისამებრ მიდიან სოკრატესთან. თან ახლავთ უცხოელი ელეადან. ისინი სოკრატეს უცხოელს წარუდგენენ როგორც ფილოსოფოსს (anhr filosofo~). ეს შეხვედრა სვამს დიალოგ «სოფისტის» (ისევე როგორც დიალოგ «პოლიტიკოსისა» და სავარაუდო დიალოგ «ფილოსოფოსის») მთავარ საკითხს, თუ როგორია ფილოსოფოსის ბუნება. მთავარი ასპექტი კი ისაა, ფილოსოფოსები ადამიანებს პირდაპირ ეჩვენებიან თუ შეფარულად. სწორედ ფილოსოფოსის განჭვრეტის საკითხი არის ის კონტექსტი, რომელშიც უნდა მივაგნოთ ჯერ სოფისტს, შემდეგ კი – პოლიტიკოსს.

იმის გამო, რომ არსებობს ბევრი *fantasma*, რთულია სოფისტის, ფილოსოფოსისა და პოლიტიკოსის ერთმანეთისაგან გარჩევა. და სწორედ აქ სოკრატეს მიერ იდგმება პირველი კრიტიკული ნაბიჯი ჭეშმარიტი დიალოგის დასაწყებად. მას სურს გაიგოს, რას ფიქრობენ (*hgou'nto*) ამ გვარებზე უცხოელის თანამემამულეები და რას უწოდებენ (*wnomazwn*) მათ.

ანუ ერთსა და იმავე გვარს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული შინაარსი და სახელდება. უფრო დეტალურად კი: ერთ გვარად მიიჩნევენ ამ სამს, თუ სამ განსხვავებულად, როგორც სახელია სამი? ამგვარად, საკვლევია სოფისტი, ფილოსოფოსი და პოლიტიკოსი. კერძოდ, გარკვეულ უნდა იქნას თითოეულის რაობა (*ti*), ბუნება

(geno~) და სახელი (onoma). ამ სამი მახასიათებლით საგნის კვლევა და ამის შესაბამისად განსაზღვრა კი სხვა არაფერია, თუ არა ჭეშმარიტი არსის ანუ logo~-ის გარკვევა. სწორედ ეს სამი მახასიათებელი ქმნის თითოეული სუბსტანციის logo~-ს.

დიალოგ «სოფისტში» გარკვეულია სოფისტის საკითხი, დიალოგში «პოლიტიკოსი», შესაბამისად, პოლიტიკოსის, ხოლო რაც შეეხება ფილოსოფოსს, დღემდე სადავოდ რჩება, ჰქონდა თუ არა პლატონს განზრახული მესამე დიალოგის – «ფილოსოფოსი» – დაწერა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფილოსოფიისა და ფილოსოფოსის შესახებ პლატონის დიალოგებში ხშირადაა საუბარი. მაგ. «სახელმწიფოში» პლატონი ფილოსოფოსს განმარტავს როგორც ადამიანს, რომელსაც შეუძლია არსებული თავისთავად განჭვრიტოს, მუდამ თავისი თავის იგივეობრივად, რომელიც არ იცვლება წარმოშობისა და განადგურების ძალით («სახელმწიფო», V-VI, 480a, 484b) **[18]**. იქვე ჭეშმარიტი ფილოსოფოსი შეპირისპირებულია სოფისტთან, რომლისთვისაც ამოსავალია შეხედულება და არა – ჭეშმარიტება.

დიალოგ «სოფისტშივე» საუბრის თემის გარკვევის შემდეგ, სოკრატე დგამს მეორე და მსჯელობისათვის არანაკლებ მნიშვნელოვან ნაბიჯს – ის სთავაზობს თანამოსაუბრეს საუბრის მეთოდზე შეთანხმებას. კვლევის დაწყებამდე სოკრატე სთხოვს უცხოელს აირჩიოს საუბრის მეთოდი, გრძელი სიტყვების (logo~ makro~) ან შეკითხვების მეშვეობით (di erwthsewn) კვლევა. აქვე ხაზგასმულია, რომ კითხვა-პასუხის მეთოდი მასთანაა გამართლებული, ვინც მშვიდი (alupw~) და მორჩილია (euhniw~).

სოკრატეს რჩევით უცხოელი გადაწყვეტს, რომ ერთი თანამოსაუბრე აირჩიოს, კერძოდ, თეეტეტოსი და მსჯელობა მოკლე სიტყვების მონაცვლეობით (kata; smikron epo» pro~ epo~) წარმართოს, თუმცა საკითხის სირთულე მსჯელობის ზოგიერთ მონაკვეთში მოითხოვს ვრცელ მსჯელობასაც (logo~ sucno~).

ს. როზენის აზრით, აქ ხაზგასმულია, რომ კვლევის საუკეთესო გზა არის დიალოგის მეთოდი და რომ ჭეშმარიტი კვლევა მხოლოდ ორთა საუბრით შეიძლება. ანუ აქ ერთიმეორის ოპოზიციამია დიალოგისა და მონოლოგის ფორმა. მოსალოდნელია, რომ საუბრის მეთოდი იგივე უნდა იყოს შემდგომ დიალოგებშიც, მაგრამ «პოლიტიკოსში» ხშირად ხდება ისე, რომ დიალოგი მონოლოგში გადადის. ეს განსაკუთრებით ნაწარმოების იმ ადგილს ეხება, სადაც

უცხოელი გვიყვება მითს სამყაროს ბრუნვის შესახებ.

ვფიქრობ, სწორედ აქ უნდა ვემიოთ იმის მიზეზი, რომ მეცნიერები ხშირად უსაყვედურებენ პლატონს, თითქოსდა მან ამ დიალოგში დაკარგა წერის ის ცოცხალი კითხვა-პასუხის მანერა, რომელიც დამახასიათებელი იყო მისი ადრეული და შუა პერიოდის დიალოგებისათვის.^[19] ვფიქრობ, ეს ასე არაა. და წერის ეს სტილიც მხოლოდ და მხოლოდ ამ კონკრეტული დიალოგის მიზნიდან გამომდინარეობს.

სოკრატე და უცხოელი გადაწყვეტენ, თავდაპირველად გამოიკვლიონ სოფისტი, თუ რა არის ის, რადგანაც გარკვეულია მხოლოდ მისი სახელი (onoma) და არ არის შეთანხმებული თავად საგანი (ergon), რასაც თითოეული ამ სახელს უწოდებს. ნებისმიერი საკითხის კვლევისას კი, როგორც ეს პლატონს სწამს, უპირველეს ყოვლისა, საგანზე უნდა შეთანხმდე და არა მხოლოდ სახელზე («სოფისტი», 218 c).^[20]

«სოფისტის» კონტექსტის მიმოხილვის შემდეგ შეგვიძლია გადავიდეთ დიალოგ «პოლიტიკოსის» შესავალზე, რომელიც, შეიძლება ითქვას, მეცნიერულად დაგეგმილი ნაწარმოების შესავალს წარმოადგენს სადაც განსაზღვრულია მთავარი თანამოსაუბრეები, მთავარი თემა და კვლევის მეთოდი.

დიალოგი იწყება იმით, რომ სოკრატე მადლობას უხდის თეოდოროსს თეეტეტოსისა და უცხოელის გაცნობისათვის. თეოდოროსი უცხოელს სთავაზობს აირჩიოს კვლევის საგანი – პოლიტიკოსი ან ფილოსოფოსი.

განსახილველად შეარჩევენ პოლიტიკოსს. აქვე თეოდოროსი სთავაზობს უცხოელს აირჩიოს თანამოსაუბრე. გადაწყვეტენ, რომ თეეტეტოსი შეასვენონ და მისი ადგილი უმცროს სოკრატეს დაუთმონ. თანამოსაუბრეები შესავალშივე განსაზღვრავენ, რომ დიალოგში მეცნიერებების დაყოფა «სოფისტისგან» ოდნავ განსახვავებული გზით მოხდება. კერძოდ, უცხოელი ამბობს: «სად უნდა მოვიძიოთ პოლიტიკოსის გზა? უნდა მოვიძიოთ, სხვათაგან გამოვყოთ და ერთ სახედ აღვბეჭდოთ, შემდეგ [გზის] სხვა განშტოებები სხვა ერთიან სახედ მოვნიშნოთ ისე, რომ ჩვენი სული მეცნიერებების მხოლოდ ორ სახეს აღიქვამდეს» («პოლიტიკოსი», 258c).^[21] როდესაც საუბარია იმაზე, რომ მეთოდი იქნება იგივე, რაც «სოფისტში», აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ დიალოგი წარმართება დიქოტომიის პრინციპით, მასში გამოყენებული იქნება

პარადიგმისა და დაყოფის (დიაირესისის) მეთოდები. შემდეგ ქვეთავებში ამას დეტალურად განვიხილავთ.

დიაირესისის (**diairesi~**) მეთოდი

«პოლიტიკოსში», ისევე როგორც «სოფისტში» პლატონი წარმოადგენს ფილოსოფიურ მეთოდს, რომელიც ცნობილია როგორც დაყოფისა (diairesi~) და შეკრების (sunagwgh) მეთოდი. მიუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდი მოიცავს დაყოფასაც და შეკრებასაც, ყურადღებას მაინც დაყოფის (diairesi~) ნაწილი იპყრობს. ამიტომ ეს მეთოდი ცნობილია დიაირესისის (diairesi~) სახელწოდებით.

დიაირესისი შეიძლება გამოყენებულ იქნას ორი განსხვავებული მიზნისათვის, ესენია: 1. სახეთა კლასიფიკაცია; 2. ერთი ცალკეული სახის დეფინიცია.^[22] დაყოფას (diairesi~) შემდგომში მოჰყვება ერთად შეკრება (sunagwgh), შესაბამისი დაყოფების გაერთიანება, რის შედეგადაც, ვიღებთ საკვლევი საგნის სრულ დეფინიციას. დიაირესისი ყველაზე უხვად გამოყენებულია დიალოგში «სოფისტი», რომელიც მთლიანად აგებულია დაყოფების სერიაზე.

პლატონის მკვლევართა უმრავლესობა თვლის, რომ ფილოსოფოსის დიალექტიკისადმი ინტერესი «პოლიტიკოსში» კონკურენციას უწევს პოლიტიკისადმი ინტერესს. უფრო მეტიც, მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ დიალოგი ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს, რომელთაც პირობითად შეიძლება ეწოდოს: «პოლიტიკოსი» და «მეთოდის შესახებ».

დიალექტიკა ამ დიალოგში, ისევე როგორც გვიანდელი პერიოდის ნაწარმოებების უმეტესობაში კითხვა-პასუხის ტექნიკის ნაცვლად კლასიფიკაციითაა დაკავებული, ანუ იგი მჭიდროდაა დაკავშირებული დიაირესისის მეთოდთან. ამას მოწმობს დაყოფის ის უამრავი მაგალითი, რომელსაც პლატონი «სოფისტსა» და «პოლიტიკოსში» გვთავაზობს. ამ დაყოფების ერთადერთი მიზანი საბოლოო შედეგის მიღწევა კი არაა, არამედ პლატონი ინტერესდება შუალედური კლასებით და კატეგორიებით.

დიაირესისის მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას ორი განსხვავებული მიზნისათვის, ესენია: 1. სახეთა კლასიფიკაცია; 2. ერთი ცალკეული სახის დეფინიცია. პლატონი ამ პრინციპს ორივე მიზნისთვის იყენებს.

როგორც ვხვდებით, ნიმუში სინამდვილეში არის არა ქსოვის ხელოვნება, არამედ თავად ეს დაყოფა ერთიანი ხელოვნებისა,

რომელიც გვიჩვენებს, თუ რა არის ქსოვის ხელოვნება. დაყოფას შემდგომში მოჰყვება ერთად შეკრება, გაერთიანება ქსოვის ხელოვნების შესაბამისი დაყოფებისა, რის შედეგადაც, ვიღებთ მის სრულ დეფინიციას.

დიაირესისის მეთოდს კარგად აღწერს პ. ტეილორი: როცა ჩვენ გვინდა განვმარტოთ რაიმე x , ვიღებთ უფრო ფართო კლასს – a -ს, რომლის ერთ-ერთი ქვედანაყოფიცაა x . a კლასს ვყოფთ ორ განსხვავებულ b და c კლასებად, რომლებიც ერთმანეთისაგან იმით განსხვავდება, რომ b ფლობს, c კი – არა რაღაც დამახასიათებელ b -ს, რომელიც გვჭირდება x -ის საპოვნელად. b არის მარჯვენა სვეტი, c კი – მარცხენა. მარცხენას ვტოვებთ და მივყვებით მარჯვენა მხარის ამავე პრინციპით დაყოფას.

როცა მივადგებით x -ს, წინა დაყოფების დახასიათების მიხედვით განვსაზღვრავთ მის ბუნებას. **[23]**

დაყოფების ის სერია, რომელშიც მრავალი ხელოვნებაა წარმოდგენილი, ხშირ შემთხვევაში პარადოქსული და არაფრისმომცემია, თუმცა ეს დიალოგი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ აქ ნაჩვენებია ჭეშმარიტი დიალექტიკის ერთი ნაწილის დიაირესისის მეთოდის ტექნიკა. «პოლიტიკოსში» მოცემულია დიაირესისის მეთოდის პრინციპების აღწერა.

დიაირესისის მეთოდის აღწერა გვხვდება სხვა დიალოგებშიც, როგორიცაა «ფილებოსი» და «ფედროსი». შეიძლება ითქვას, რომ დიაირესისის მეთოდი, რომელიც ამ დიალოგში გამოიყენება, სხვა არაფერია, თუ არა დიალექტიკის მეთოდის შემადგენელი ნაწილი, მას ამ დიალოგში ძალიან დიდი როლი და ფუნქცია აქვს. იმისათვის, რომ უკეთ ჩავწვდეთ დიაირესისის მეთოდის არსსა და ამ მეთოდის გამოყენების მნიშვნელობას დიალოგ «პოლიტიკოსში», განვიხილოთ დიაირესისი პლატონის რამდენიმე სხვა დიალოგში.

პლატონი ტერმინებს «შეკრება» (*sunagwgh*) და «დაყოფა» (*diairesi~*) მეთოდის განსაზღვრისათვის პირველად «ფედროსში» იყენებს. ამ დიალოგში წარმოდგენილია არა მხოლოდ ტერმინების ტექნიკური მნიშვნელობა, არამედ მეთოდის საკმაოდ ვრცელი დახასიათებაც. «ფედროსი» ეხება სიყვარულს, ორატორულ დარწმუნებასა და ფილოსოფიას. ფედროსი უკითხავს სოკრატეს ლისიასის შედგენილ სიტყვას. აქ დგება სიყვარულის (*erw~*) განსაზღვრის საკითხი. სიყვარული არის მისწრაფების ერთ-ერთი სახე (*epiqumia*), მაგრამ

არსებობს ორგვარი მისწრაფება: სიამოვნებისადმი თანდაყოლილი მისწრაფება (emfuto~ epiumia hdonh~) და შეძენილი სურვილი, რომ დაეუფლო საუკეთესოს (ejpikthto~ doxa efiemenh tou~ aristou~). შეყვარებულის სულში მთავარია სიამოვნებისადმი მისწრაფება. აქვე ფედროსი წარმოთქვამს მეორე სიტყვას იმის შესახებ, თუ რა არის შეყვარებული ადამიანის სული.

ამის შემდეგ სოკრატე იწყებს მსჯელობას შეკრებასა და დაყოფაზე, რითიც სურს ამ ორი სიტყვის ერთიმეორესთან დაკავშირება. ის ამბობს, რომ არსებობს ორი სახე, რომელსაც შემთხვევით შეეხო ეს ორი სიტყვა.

პირველი არის შეკრება, მრავალი გაფანტული რამის ერთი იდეის ქვეშ გაერთიანება (ei~ mian idean sunorw~nta agein ta pollach/~ diesparmena), ხოლო მეორე – ამის საპირისპირო, სახეებად დაყოფა (kat jeidh dunasqai temnein). და ბოლოს კი დააყოლებს: «მე მოყვარული ვარ დაყოფებისა და შეკრებებისა, რომლებიც გვეხმარება საუბარსა და აზროვნებაში. თუკი შევნიშნავ, რომ სხვასაც აქვს ბუნებრივი უნარი საგნები განჭვრიტოს ცალ-ცალკე დაყოფილნი და ერთად შეკრებილნი, ფეხდაფეხ მივყავები მას, როგორც ღმერთს. სწორია თუ არა ეს, ღმერთმა იცის, მაგრამ მე მათ დიალექტიკოსებს ვუწოდებ» («ფედროსი», 266 b) **[24]**. ამრიგად, ამ დიალოგში შეკრება და დაყოფა დაკავშირებულია დიალექტიკის მეთოდთან, ეს სხვა არაფერია, თუ არა დიალექტიკის შემადგენელი ნაწილი. აღსანიშნავია, რომ «პოლიტიკოსშიც» «ფედროსის» მსგავსად გვაქვს მსჯელობა თვითონ მეთოდსა და მის გამოყენებაზე. «პოლიტიკოსში» («პოლიტიკოსი», 285-287) ამ მეთოდის დამახასიათებელი ტექნიკური ტერმინებიც კი ერთმანეთის იდენტურია. კერძოდ, აქაც აღწერილია სახეებად დაყოფის მეთოდი (thn mevqodon... tou» kat eidh dunaton einai diairein).

აქაც დიაირესისი ივარაუდება დიალექტიკის შემადგენელ ნაწილად.

რაც შეეხება კიდევ ერთ დიალოგს «ფილებოსს», აქ დიაირესისის მეთოდთან დაკავშირებით გვაქვს წინა ორი ნაწარმოებისაგან განსხვავებული ლექსიკა. კერძოდ, არსად არ არის ნახსენები ტერმინები «შეკრება» (sunagwgh») და «დაყოფა» (diaivresi»). თუმცა მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დიაირესისის მეთოდი აქაც დახასიათებულია როგორც ყველა ხელოვნების მიმართ გამოსაყენებელი საშუალება. ამ დიალოგში ჩნდება ახალი

ტერმინოლოგია, კერძოდ ეს მეთოდი დაკავშირებულია ერთსა (to en) და მრავალს (ta polla) შორის არსებულ განსხვავებასთან. ერთისა და მრავალის დიალექტიკა კი ხორცშესხმულ სახეს უკვე «სოფისტში» იღებს.

დავუბრუნდეთ დიალოგ «პოლიტიკოსს». როგორც უკვე აღინიშნა, «პოლიტიკოსის» შესავალშივე მოცემულია დიაირესისის მეთოდის დემონსტრირება.


უცხოელი ამბობს: «სად უნდა ვიპოვოთ პოლიტიკოსის გზა? უნდა ვიპოვოთ, გამოვყოთ სხვებისგან და ერთ სახედ დავამტკიცოთ, შემდეგ სხვა განშტოებები სხვა ერთ სახედ ავღნიშნოთ ისე, რომ ჩვენი სული მიცნიერებების მხოლოდ ორ სახეს გულისხმობდეს» (Polit. 258c). [251] ცხადია, რომ აქ საუბარია დიაირესისის, კერძოდ კი, დიქოტომიის პრინციპის გამოყენებაზე. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი «პოლიტიკოსში» მეთოდის დემონსტრირებისას ისაა, რომ ამ დიალოგში პლატონი სრულიად განსხვავებულ დიაირესისს გვიჩვენებს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, აქ პოლიტიკოსის ძიება დიქოტომიური და არადიქოტომიური გზებით წარმართება. ეს ორივე გზა არის ერთი და იმავე მეთოდის შედეგი. მათ შორის განსხვავება კი პლატონის განსხვავებული მიზნების შედეგია. სანამ ამ განსხვავებებს განვიხილავდეთ, ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვეთ «პოლიტიკოსში» განვითარებულ დიაირესისს.

უცხოელი ამბობს, რომ სოფისტის შემდეგ განსახილველია პოლიტიკოსი.

აქვე ის დასძენს, რომ ხელოვნებები ისე არ უნდა დაიყოს როგორც ეს სოფისტის კვლევისას მოხდა («პოლიტიკოსი», 258b). აქ მინიშნებაა იმაზე, რომ მეცნიერებებისა და ხელოვნებების კვლევისთვის არ არსებობს რაიმე ერთგვარი და უცვლელი მეთოდი. ის იმაზე დამოკიდებული, თუ რა უნდა ვიკვლიოთ. თუ «სოფისტში» ხელოვნებების დიაირესისი იწყება მათი შემოქმედებით და მოპოვებით ჯგუფებად დაყოფით, «პოლიტიკოსში» ისინი პრაქტიკულ და შემეცნებით ხელოვნებად იყოფა.

შემდგომი დაყოფა სწორედ ამ ამოსავალ პუნქტს მიჰყვება. შემეცნებითი ხელოვნებები იყოფა განსჯად და ბრძანების გაცემად, ბრძანების გაცემის ნაწილში გამოიყოფა სხვათა ბრძანებების გაცემასთან დაკავშირებული და თავად ბრძანების გამცემი ხელოვნებები, თავად ბრძანების გამცემი ხელოვნება შეიძლება იყოს

უსულოებთან ან სულიერებთან დაკავშირებული, სულიერებთან დაკავშირებულ ბრძანების გამცემ ხელოვნებაში გამოვყოფთ გარეულ და შინაურ ცხოველთა გამოზრდის ნაწილებს, ხოლო თავად შინაურ ცხოველთა გამოზრდა იყოფა წყალქვეშ და ხმელეთზე გამოზრდად, ეს უკანასკნელი შეიძლება მფრინავ არსებათა ან მოსიარულეთა გამოზრდას უკავშირდებოდეს, ხოლო მოსიარულეთა ჯგუფში თავის მხრივ რქოსანთა და ურქოთა გამოზრდა გამოიყოფა, ურქო არსებებში შემავალი ერთი ნაწილი განსხვავებულს ეჯვარება, მეორე კი – მსგავსს, ამ უკანასკნელთა შორის კი ოთხფეხა და ორფეხა არსებები გამოირჩევიან, ორფეხა არსება შეიძლება ბუმბულიანი ან უბუმბულო იყოს. სწორედ ამ უკანასკნელს განეკუთვნება პოლიტიკოსის ხელოვნება. შედეგად ვიღებთ დიქოტომიურ ხეს, რომელიც შემდეგნაირად შეიძლება გამოისახოს:



ამ დიქტომიის შედეგად დასკვნად ვიღებთ იმას, რომ მწყემსვის მრავალი ხელოვნებიდან ერთ-ერთი არის პოლიტიკის ხელოვნება და ის ზრუნავს ადამიანთა ჯოგზე.

ერთი შეხედვით ლაღი და ჰარმონიული დიაირესისი სინამდვილეში მხოლოდ მოჩვენებითია. უცხოელი უმცროს სოკრატეს მიაწიშნებს შეცდომაზე, რომელიც დიქტომიის დროს იქნა დაშვებული.

შედეგად ვიღებთ იმას, რომ საჭირო ხდება დიაირესისის მეთოდის ჩანაცვლება გრძელი სიტყვით (მითით). შეცდომა კი იმაში მდგომარეობს, რომ არ შეიძლება საერთო ნაწილიდან მხოლოდ ერთი მცირე ჯგუფის (ადამიანების) გამოყოფა. ეს შეცდომა საკმაოდ პრინციპული ხასიათისაა, ვინაიდან დიაირესისის მეთოდი მართებული მხოლოდ მაშინ იქნება, თუ ის, ვინც მას იყენებს კარგად იქნება გარკვეული სახეებსა და გვარებში და სახეს არ არევს ნაწილში.

მოგვიანებით კიდევ ერთხელ ხდება დიაირესისთან დაბრუნება, ანუ მისი შესწორება. საკითხის ძირითადი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ გამოზრდასა და გამოკვებაზე მეტად მნიშვნელოვანი უნდა იყოს ზრუნვის გააზრება. გარდა ამისა ზრუნვაც თავისთავად ორად უნდა დაიყოს, ესენია:

თავსმოხვეული და ნებაყოფლობითი ზრუნვა, რაც არსებით განსხვავებას ქმნის ტირანსა და პოლიტიკოსს შორის. ეს დიაირესისი სქემატურად ასე შეიძლება გამოისახოს:



დაყოფების ამ სერიის შემდეგ უცხოელი თეორიულად მსჯელობს შეკრების მეთოდზე. კერძოდ ის ამბობს: «იმის გამო, რომ [ადამიანებს] არ სჩვევიათ ამგვართა სახეებად დაყოფილის განხილვა, ასე განსხვავებულ [სახეებს] პირდაპირ ერთად ათავსებენ და ფიქრობენ, რომ ისინი ერთმანეთის მსგავსია, ასევე ამის საპირისპიროდ იქცევიან, როდესაც არ ყოფენ სხვა რაღაცეებს ნაწილებად. არადა, როდესაც ვინმე მრავალთა შორის რაღაც

საზიაროს შენიშნავს, თავი არ უნდა დაანებოს სანამ მასში ყველა იმ განსხვავებას არ ნახავს, რომელიც სახეებში არსებობს და პირიქით, როდესაც მრავალგვარი არამსგავსება ჩანს სიმრავლეში, არ უნდა იყოს შესაძლებელი, შეძრწუნდეს და შეწყვიტოს, ვიდრე ყველაფერ მონათესავეს მსგავსთა ერთ [გვარში] არ მოაქცევს და მისი გვარის არსით არ შემოსაზღვრავს. ამათ შესახებ, ასევე ნაკლებობისა და მეტობის შესახებ საკმარისადაა ნათქვამი. მხოლოდ გაზომვის ხელოვნების ნაპოვნი ორი გვარი დავიცვათ და დავიხსომოთ, რას წარმოადგენენ ისინი» («პოლიტიკოსი», 285a-285c).

აღსანიშნავია, რომ შეკრების მეთოდს პლატონის დიალოგებში თითქმის არ ეთმობა ყურადღება. «პოლიტიკოსის» ამ პასაჟში ჩვენ ამ «უყურადღებობის» ერთგვარ ახსნას ვხედავთ. კერძოდ, პლატონი თვლის, რომ შეკრების მეთოდი იმდენად მარტივია, რომ ნებისმიერს შეუძლია დაკავდეს მისით, მაგრამ ის ამ საქმიანობისათვის არ ჩაითვლება ბრძნად.^[26] თუმცა, პლატონი ამ დიალოგში იმასაც გვიჩვენებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დიაირესისის მეთოდმაც შეიძლება არ გაამართლოს.

აღბათ პლატონის საგანგებო ჩანაფიქრია, რომ დიაირესისის პირველი წარუმატებელი ცდის შემდეგ ეს მეთოდი ნაცვლად დიქოტომიისა ქვეჯგუფებად დაყოფის სახეს იღებს. დიალოგში სწორედ პოლიტიკურ სისტემებსა და პოლიტიკოსთან დაკავშირებულ ხელოვნებებზე საუბრისას გვხვდება დიაირესისის სრულიად განსხვავებული მეთოდი.


უცხოელი იწყებს იმ ხელოვნებების ჩამოთვლას, რომლებიც სახელმწიფოს მიზეზები (aijtivai) ან დამხმარე მიზეზებია (sunaivtioi). ვინაიდან მათი ორად დაყოფა სრულიად შეუძლებელია, აუცილებელი ხდება მათი ჯგუფებად დაყოფა. ამრიგად, დამხმარე მიზეზებში ვიღებთ შემდეგ ჯგუფებს: 1. ხელოვნებები, რომლებიც ქმნის იარაღს სახელმწიფოსთვის; 2. ხელოვნებები, რომლებიც ქმნის სათავეს სახელმწიფოსთვის; 3. ხელოვნებები, რომლებიც გადასაადგილებლადაა; 4. დამცავი ხელოვნებები; 5. თამაშსა და გართობასთან დაკავშირებული ხელოვნებები; 6. პირველადი, მარტივი ნივთიერებების მოპოვების ხელოვნებები; 7. გამოზრდაგამოკვებასთან დაკავშირებული ხელოვნებები. ეს ყოველივე უკავშირდება სახელმწიფოში ფლობას.


გარდა ზემოჩამოთვლილისა, დიაირესისის გზითვე უცხოელი გამოყოფს სახელმწიფოს თავად მიზეზებს. ესენია: 1. მონები და

მსახურები, რომლებშიც გამოიყოფა ნაყიდი მონები, დაქირავებული მუშები, ვაჭრები, მაცნეები, ქურუმები და ჭეშმარიტი პოლიტიკოსის მიმზადებლები. თავის მხრივ კი ეს უკანასკნელი რთული ჯგუფი მცირე ქვეჯგუფებად იყოფა:

მეფე, ტირანი, არისტოკრატი, ოლიგარქი, დემოკრატი; 2. მოსამართლისა და ორატორის ხელოვნება და 3. პოლიტიკის ხელოვნება.

ეს რთული დიაირესისი, რომელიც, ფაქტობრივად, დიალოგის ნახევარზე მეტს ფარავს, სქემატურად ასე შეიძლება გამოისახოს:






დასასრულს, ყურადღებას შევაჩერებ კიდევ ერთ დიაირესისზე, რომელიც ამ დიალოგში იჩენს თავს. ესაა ქსოვის ხელოვნების დაყოფა.

უცხოელს პოლიტიკოსის ხელოვნების განხილვისას სჭირდება პარადიგმის მეთოდის გამოყენება და პარადიგმად ის ქსოვის ხელოვნებას იღებს. ქსოვის ხელოვნების დაყოფაც დიქტომიური პრინციპით ხდება. ის უმცროს სოკრატეს მიმართავს: «ყველაფერი, რასაც ვქმნით და მოვიპოვებთ, ან რაღაცის გასაკეთებლადაა ან თავდასაცავად, რომ რამე არ დაგვემართოს. ის, რაც თავდასაცავადაა ან ადამიანური და ღვთაებრივი შხამის საწინააღმდეგოა, ან – თავდაცვის სხვა იარაღი. მათგან ზოგი საომარი იარაღია, ზოგი კი – დაცვის საშუალება. ამ საშუალებათაგან ზოგი თავშესაფარია, ზოგი კი – სიცივისა და სიცხისგან დამცავი. ამ უკანასკნელთაგან ზოგი სახლის სახურავია, ზოგი კი – გადასაფარებელი. მათგან ზოგი ძირს დასაფენია, ზოგი კი – ტანზე მოსახვევი. ამ უკანასკნელთაგან ზოგი ერთიანია, ზოგი კი – ნაწილებისგან შედგება.

შედგენილთაგან ზოგიერთი შეკერილია, ზოგიერთი კი – ნაკერების გარეშე შეერთებული. მათგან ზოგი მიწის მცენარეების ძაფებითაა დამზადებული, ზოგი კი – თავად თმებით. მაშ ასე, რომლებიც თმისგანაა დამზადებული, ზოგი წყლითა და მიწითაა შეერთებული, ზოგი კი – ერთიმეორით. ამგვარად, ერთიმეორის შეერთებით დამზადებულ დაცვის საშუალებებსა და გადასაფარებლებს სახელად ტანსაცმელი ვუწოდეთ.

ხელოვნებას, რომელიც ტანსაცმელზე ზრუნავს, მისივე საქმიანობიდან გამომდინარე, განა ტანსაცმლის დამზადების ხელოვნება არ უნდა ვუწოდოთ, როგორც ადრე სახელმწიფოზე [ზრუნვის] ხელოვნებას პოლიტიკა ვუწოდეთ? განა არ უნდა ითქვას,

რომ ქსოვის ხელოვნება, რამდენადაც ტანსაცმლის დამზადების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს, სახელწოდების გარდა არაფრით განსხვავდება ტანსაცმლის დამზადების ხელოვნებისგან, როგორც მეფობის ხელოვნება არაფრით განსხვავდება პოლიტიკისგან?» («პოლიტიკოსი», 279c-280a) პოლიტიკოსის მეფე მიმზადებელი არისტოკრატი ოლიგარქი დემოკრატი ტირანი ეს პასაჟი სქემატურად ასე შეიძლება გამოისახოს:




ამის შემდეგ უცხოელი დიქტომიის კიდეც ერთ ნიმუშს გვთავაზობს:

ტანსაცმლის დამზადებასთან დაკავშირებული ხელოვნება, თავის მხრივ, ორ ნაწილად იყოფა: ერთი არის წარმოქმნის დამხმარე მიზეზი, მეორე – თავად მიზეზი. ხელოვნებები, რომლებიც თავად მიზეზებს წარმოადგენს ორად იყოფა: თელვის ხელოვნება და მატყლის რთვის ხელოვნება.

მატყლის რთვის ხელოვნება იყო დაყოფისა და შეერთების ხელოვნებებად, ხოლო შეერთების ხელოვნება – ძახვისა და წვნის ხელოვნებებად.

ძახვის ხელოვნების ერთი ნაწილი არის მისაქსველით რთვის ხელოვნება, რომლის ნაწილიცაა შალის ქსოვის ხელოვნება («პოლიტიკოსი», 281d-283a).

ეს ყოველივე კი სქემის სახით ასე შეიძლება გამოისახოს:



აღსანიშნავია, რომ «პოლიტიკოსში» არც ერთხელ არ გვხვდება ტერმინი «დიალექტიკა» (dialektikhv), თუმცაღა ორ პასაჟში მოცემულია მისგან ნაწარმოები შედარებითი ხარისხის ზედსართავი სახელი dialektikovtero («პოლიტიკოსი», 285d, 287a). ორივე შემთხვევაში საუბარია მსჯელობის მეთოდზე, რომლის შედეგადაც თანამოსაუბრეები «უფრო მეტად დიალექტიკოსები» გახდებიან.

ანუ, დიაირესისის მეთოდის გამოყენებით, პლატონის აზრით, ადამიანი დიალექტიკას უახლოვდება.

ამრიგად, პლატონის «პოლიტიკოსში» დიაირესისის განვითარება რომ შევაჯამოთ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დიაირესისს ამ ნაწარმოებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. დიალოგის ერთ-ერთ ფუნქციას სწორედ ამ მეთოდის თეორიის და პრაქტიკის დემონსტრირება წარმოადგენს. ამასთან, «პოლიტიკოსი» იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მასში პლატონისათვის დამახასიათებელი დიქოტომიური დიაირესისის პარალელურად გვხვდება ორზე მეტ ქვეჯგუფად დაყოფის მეთოდიც.

დიაირესისის მეთოდი «პოლიტიკოსში» მჭიდროდ უკავშირდება დიდი ფილოსოფოსისათვის დამახასიათებელ კიდევ ერთ მეთოდს – პარადიგმას, რაზეც შემდეგ ქვეთავში ვიმსჯელებთ.

ნიმუში (**paravdeigma**) როგორც კვლევის მეთოდის ერთ-ერთი ელემენტი

პოლიტიკოსის განსაზღვრისას უცხოელი უმცროს სოკრატეს სთავაზობს პარადიგმის გამოყენებას. ეს არაა უცხო პლატონის დიალოგებისთვის.

«სოფისტში» უცხოელი თეეტეტოსს მოუწოდებს, რომ, რადგან საკვლევი საკითხი ძალიან რთულია, ვიდრე მას შეეხებოდეს, უმჯობესია ჯერ უფრო მცირესა და მარტივში ივარჯიშო, რომელზეც კვლევის მეთოდს (methodo) მოსინჯავ (*«სოფისტი»*, 218d) **[27]**.

«მენონშიც» სოკრატე მენონს სთავაზობს, სანამ სიქველეს განსაზღვრავდეს, ჯერ ფიგურა განიხილოს, რაც მისთვის ვარჯიში იქნება (*«მენონი»*, 75a) **[28]**. იგივე მეთოდია «სახელმწიფოში», იმ განსხვავებით, რომ იქ სავარჯიშოდ უფრო დიდი მოდელია აღებული. კერძოდ, ვიდრე გაარკვევდნენ სამართლიანობას ადამიანში, განიხილავენ სამართლიანობას სახელმწიფოში (*«სახელმწიფო»*, 368e) **[29]**.

ამრიგად, გადაწყვეტენ, ჯერ რაიმე უმნიშვნელოს მიმართონ, შემდეგ კი ის ნიმუშად (paravdeigma) დაადგინონ უფრო მნიშვნელოვანისათვის.

არსებითი სახელი paravdeigma ნაწარმოებია ზმნურ ძირზე «ma» სუფიქსის დართვით. paravdeigma არის paradeivknumi-ს შედეგი, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს «ერთიმეორის გვერდიგვერდ ვაჩვენებ». paravdeigma ორმაგი მნიშვნელობის მქონეა. ერთი ესაა, ნიმუში,

მაგალითი, ხოლო მეორე – მაგალითი იმ გაგებით, რომ ესაა სტანდარტი, რომლითაც იზომება სხვა რამეები. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში პლატონი მას პირველი მნიშვნელობით იყენებს. საერთოდ, როდესაც პლატონს რაიმეს განმარტება სურს, მას ხშირად ეხმარება მაგალითი. ნიმუში არის ერთ-ერთი მოსახერხებელი საშუალება, რომლის მეშვეობითაც შეიძლება მიაღწიო ჭეშმარიტ ცოდნას.

პ. გ. გადამერი თვლის, რომ ნიმუშის როლს კვლევაში იგივე ფუნქცია აქვს, რაც დახატული ფიგურის როლს მათემატიკაში.^[30] ჩვენი საკვლევი დიალოგი იმითიცაა მნიშვნელოვანი, რომ დიარიესისის მსგავსად, ის გვთავაზობს პარადიგმის მეთოდის თეორიასაც. როდესაც უცხოელს პოლიტიკოსის შემდგომი განხილვის მიზნით სჭირდება ქსოვის ხელოვნებისა და ამ ხელოვნების წარმომადგენლის დემონსტრირება დიარიესისის გზით (რაც უკვე განვიხილეთ წინა თავში), ის უმცროს სოკრატეს ასეთ ფრაზას ეუბნება: «ღვთაებრივო, რთულია მაგალითების გარეშე რაიმე მნიშვნელოვანი გამოამჟღავნო.» («პოლიტიკოსი», 277d).^[31] ანუ მისი აზრით, პარადიგმის გარეშე შეუძლებელია დიდ და ამაღლებულ საკითხებზე ფილოსოფიური (დიალექტიკური) მსჯელობა. აქვე პლატონი იყენებს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ტერმინს «პარადიგმის პარადიგმა».

ამგვარი რამ არ გვხვდება პლატონის არც ერთ სხვა დიალოგში. უცხოელი უმცროს სოკრატეს ეუბნება: «მაგალითმა, ჩემო კარგო, სხვა მაგალითი მომთხოვა» («პოლიტიკოსი», 277d).^[32] ანუ, უნდა ვივარაუდოთ, რომ საკვლევი საკითხი (პოლიტიკოსი) იმდენად რთულია, რომ ა) მას სჭირდება პარადიგმის მოყვანა და ბ) პოლიტიკოსის კვლევისათვის მოყვანილ პარადიგმას დამატებით კიდევ სხვა პარადიგმა სჭირდება.

ამრიგად, «პოლიტიკოსის» შემთხვევაში პარადიგმა ორ შემთხვევაში გვხვდება. ერთი ესაა ქსოვის დიდოსტატის მაგალითის განხილვა შემდგომში პოლიტიკოსის იდენტიფიკაციის მიზნით და მეორე – პარადიგმის პარადიგმა, ანუ ასოთშეთანხმებების მაგალითის მოყვანა. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

პარადიგმის პარადიგმას უცხოელი ასე აღწერს: «ჯერ უნდა მიიყვანო იმ [მარცვლებთან] რომლებშიც [ასოებს ცნობენ], შემდეგ კი წინ უნდა დაუდო ის [მარცვლები], რომლებიც ჯერ კიდევ არ იციან. ერთმანეთს უნდა შეადარებინო და დაანახო, რომ [ასოები] მსგავსნი არიან და მათ ერთნაირი ბუნება აქვთ ორივე შემთხვევაში. მანამდე

უნდა [შეადარებინო], სანამ ნაცნობის გვერდით განთავსებული უცნობი გასაგები არ გახდება.

ამგვარად, მაგალითებად იქცევია და წარმოაჩენენ, რომ თითოეული ასო თითოეულ მარცვალში, თუ სხვისგან განსხვავებულია, სხვაგვარადაც უნდა იწოდებოდეს, თუ სხვისი მსგავსია, სახელიც ერთი უნდა ჰქონდეთ» («პოლიტიკოსი», 278b-c). [33]

აქვე უცხოელი ცდილობს გამოყოს პარადიგმისათვის აუცილებელი თვისება: «მაგალითი მაშინ წარმოიშობა, როდესაც ერთი და იგივე ორ სხვადასხვა რამეს დაკავშირებული მართებულად აღიქმება და ერთის მეორესთან დაკავშირებით ჭეშმარიტი მოსაზრება ყალიბდება» («პოლიტიკოსი», 278c). [34]

პარადიგმის შესახებ თეორიული მსჯელობის ეს ნაწილი უმნიშვნელოვანესია ამ დიალოგის კონტექსტის გასაგებად. ს. როზენი თვლის, რომ პარადიგმის პარადიგმად მოცემული ასოთშეთანხმების ნიმუში მიგვანიშნებს იმაზე, რომ მდგომარეობა ასეთივეა ფორმებთან დაკავშირებითაც.

ძალიან რთულია იმის გაგება, თუ რომელი ფორმები (იდებები) როგორ ერწყმის ერთმანეთს. უმცროსი სოკრატე არის დიალექტიკაში დამწყები, ანუ ის ისევე უნდა მიუდგოს ფორმებს, როგორც ბავშვები – ასოებს, როდესაც კითხვას იწყებენ. [35]

მეორე შემთხვევაში უცხოელი უმცროს სოკრატეს სთავაზობს გამოიყენონ მცირე პარადიგმა იმისათვის, რომ მოგვიანებით შესაძლებელი გახდეს მეფესა და სახელმწიფოზე ზრუნვის ხელოვნებაზე გადასვლა.

ასეთ უმცირეს პარადიგმად კი ის ქსოვის ხელოვნებას შეარჩევს. ვიდრე იმის განხილვაზე გადავიდოდეთ, თუ რა გზით შეიძლება ქსოვის ხელოვნება პოლიტიკის ხელოვნების კვლევის პარადიგმად გამოდგეს, უნდა აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომლითაც პლატონი პარადიგმის მეთოდს ახასიათებს. კერძოდ ესაა მეთოდი, რომელიც გვჩვენებს რომ «სიზმარი ცხადად გვექცეს» («პოლიტიკოსი», 278e). [36]

ანუ, პარადიგმის მეთოდი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ჭეშმარიტი ფილოსოფოსისა და დიალექტიკოსის მოღვაწეობისათვის.

ერთ-ერთი ყველაზე უფრო ბუნდოვანებით მოცული შეკითხვა, რომელიც პლატონის «პოლიტიკოსს» უკავშირდება არის შემდეგი:

რატომ აირჩია პლატონმა ქსოვის პარადიგმა პოლიტიკის ხელოვნების განსასაზღვრად?

ამასთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა.

პლატონის ცნობილი მკვლევარის, ს. როზენის მოსაზრების თანახმად, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ პოლიტიკოსის კვლევის საკითხს თანამედროვე პოლიტიკის თეორიიდან ვუყურებთ. ამ შემთხვევაში კი ქსოვის ხელოვნების პარადიგმა სრულიად უსარგებლოა პოლიტიკის ხელოვნების არსის წვდომისათვის. როდესაც ამ საკითხზე ვმსჯელობთ, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ უცხოელის მთავარი მიზანი პოლიტიკოსის დეფინიცია კი არა, არამედ უმცროსი სოკრატეს «უფრო მეტად დიალექტიკოსად ქცევაა» («პოლიტიკოსი», 285d).

[37]

ამდენად, ქსოვის ხელოვნების პარადიგმის შერჩევა ემსახურება დიალექტიკურ მიზნებს.

სხვა მკვლევარი, მ. მილერი თვლის, რომ ქსოვის ხელოვნების პარადიგმა ჩვეულებრივ პარადიგმადაა აღებული პოლიტიკოსის საკვლევად და ამას განსაკუთრებული ფილოსოფიური დატვირთვა არ უნდა ჰქონდეს.

ამიტომ, ის არ მსჯელობს ამ საკითხზე და უფრო მეტ ყურადღებას თავად ქსოვის ხელოვნების საკვლევად განხორციელებულ დიაირესისზე ამახვილებს. [38]

მ. ბარნეტს მიაჩნია, რომ ქსოვის პარადიგმა თავდაპირველად მეთოდოლოგიური ხასიათისაა, დასასრულს კი ის პოლიტიკოსის მოღვაწეობის სტრუქტურად იქცევა. კანონმდებელი და მბრძანებელი პოლიტიკური მქსოველია. [39]

ვფიქრობთ, პლატონთან ქსოვის ხელოვნების პარადიგმა ნამდვილად არ უნდა იყოს შემთხვევითი ხასიათის. ვერც იმ მოსაზრებას დავეთანხმებით, რომ დიალოგის მთავარი მიზანი უმცროსი სოკრატეს გამოცდაა და ამდენად პლატონი შემთხვევითად იღებს იმ პარადიგმას, რომელიც მას ხელთ პირველი მოხვდება. ჩემი აზრით, ქსოვის პარადიგმა არსებითადაა დაკავშირებული პოლიტიკოსის დეფინიციასთან. უფრო მეტიც, პლატონს ქსოვა (როგორც შეერთების, შეკავშირების უნარი) პოლიტიკოსისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ აუცილებელ თვისებად მიიჩნია. როგორც ქსოვის ოსტატი ზრუნავს ადამიანებზე თავისი

საქმიანობით, იმგვარადვე ზრუნავს სახელმწიფოზე პოლიტიკოსი.

მოკლედ რომ ვთქვათ, ქსოვის პარადიგმა ამ დიალოგის მთავარ ღერძს წარმოადგენს, რომელიც კრავს და აერთიანებს მასში განაწილებულ, ერთი შეხედვით სრულიად განსხვავებულ თემებს. თუ რამდენად მნიშვნელოვანი კავშირია ქსოვასა და პოლიტიკის ხელოვნებებს შორის, ამას უკეთ «პოლიტიკოსის» სტრუქტურული და კომპოზიციური ორგანიზაციის საკითხზე მსჯელობისას ვნახავთ.

მითი სამყაროს ბრუნვის შესახებ

მითი, რომელსაც პლატონი «პოლიტიკოსში» გვიამბობს არის თითქმის ერთადერთი არგუმენტი, რომლის თანახმადაც მეცნიერები აღიარებენ პლატონის მწერლის მანერის შენარჩუნებას «პოლიტიკოსში».

მიყვებ «პოლიტიკოსის» სიუჟეტის განვითარებას. მას შემდეგ, რაც პოლიტიკოსის განსაზღვრის პირველი მცდელობა კრახით სრულდება, უცხოელი უმცროს სოკრატეს სთავაზობს მოიხმონ გრძელი მითი. ანუ ის რადიკალურად ცვლის კვლევის მეთოდს. ის ასევე მიმართავს უმცროს სოკრატეს: «მაშ ბავშვებით ყურადღებით მოეკიდე ჩემ მითს» («პოლიტიკოსი», 268e).^[40] ამის შემდეგ უცხოელი გვთავაზობს ერთგვარ მონახაზს, წინასწარ გეგმას, თუ რომელ მითებს შეეხება ის. ეს მითებია:

1. ატრევსისა და თიესტოსის განხეთქილების შესახებ, რის გამოც განრისხებულმა ზევსმა უკუღმა დაატრიალა სამყაროს ბრუნვა; 2. კრონოსის მეფობის შესახებ, როდესაც ადამიანები ბედნიერები იყვნენ; 3. იმ ხანის შესახებ, როდესაც ადამიანები ერთმანეთისგან კი არ იზადებოდნენ, არამედ – მიწიდან («პოლიტიკოსი», 268e-269b). უნდა ითქვას, რომ აქ პლატონი სამ დამოუკიდებელ მითს აერთიანებს და მას ეს სწორედ პოლიტიკოსის დეფინიციისთვის სჭირდება. შემდეგ პლატონი განავრცობს თითოეულ ამ მითს და მას გვიამბობს როგორც ერთიან ფაბულას.

მითი შედგება შესავლის, 6 ნაწილისა და დასკვნისაგან:

შესავალი (268d-e) – დიპირესისის შეცდომის გამო საჭიროა მსჯელობის თავიდან დაწყება.

ნაწილი I. (268e-269c) – სამი ძირითადი თემის – სამყაროს ბრუნვა, კრონოსის ხანა, მიწიდან შობილი ადამიანები – ჩამოთვლა.

ნაწილი II (269c-271c) – სამყაროს ორგვარი ბრუნვა.

ნაწილი III (271c-272b) – კრონოსის ხანა.

ნაწილი IV (272b-d) – ბედნიერი (ოქროს) ხანის პრობლემა.

ნაწილი V (272d-274d) – კოსმოსის მოწესრიგება.

დასკვნა (274d-275d) – მითის მიზანი და მსჯელობის სწორად განახლების გეგმა.

რაში სჭირდება პლატონს დიალოგში ამხელა მითის მოხმობა? ეს შეკითხვა პლატონის მკვლევართა ერთ-ერთ ძირითად თავსატეხს წარმოადგენს.

თავისთავად ეს მითი მთლიანად დაკავშირებულია სამყაროს მოწყობისა და მართვის თემასთან. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ საბოლოოდ ეს მითიც ისეთი გრძელი და გაწელილი გამოდის, რომ მისი წყალობით პლატონი კიდევ ერთხელ უშვებს შეცდომას დიალოგის აგებაში. ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმები, ვინაიდან ვრცელი მითის თითოეული ნაწილი, რომელიც «პოლიტიკოსშია» მოხმობილი, ორგანულადაა დაკავშირებული დიალოგის ძირითად თემასთან – პოლიტიკოსთან.

ვინაიდან მსურს გამოვყო მითში გადმოცემული ის ძირითადი დებულებები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება პოლიტიკის ხელოვნებასა და პოლიტიკოსს, საჭიროდ მიმაჩნია მთლიანად მოვიყვანო ეს ეპიზოდი (მიუხედავად იმისა, რომ დიალოგის თარგმანი ქართულ ენაზე თან ერთვის წინამდებარე გამოკვლევას):

«უცხოელი: მრავალი ძველი თქმულება არსებობს და კიდევ სხვა მრავალი იარსებებს. ერთ-ერთი ასეთი თქმულება ეხება ატრევსისა და თიესტოსის განხეთქილებას, ალბათ, გსმენია და გახსოვს, რაც იქ მოხდა.

უმცროსი სოკრატე: ალბათ, ოქროს ვერძს გულისხმობ.

უცხოელი: არანაირად. მზისა და სხვა ვარსკვლავების ჩასვლაამოსვლის ცვლილებებს ეხება, რადგან საიდანაც ახლა მზე ამოდის, ადრე იმ ადგილას ჩადიოდა და პირიქით, სადაც ახლა ჩადის – იქიდან ამოდიოდა. მაშინ ღმერთმა ატრევსის გულისთვის შეცვალა ისე, როგორც ახლაა.

უმცროსი სოკრატე: ამასაც ამბობენ.

უცხოელი: კრონოსის მეფობის შესახებაც ბევრისგან გვსმენია.

უმცროსი სოკრატე: ძალიან ბევრისგან.

უცხოელი: და იმაზეც, რომ უწინ ადამიანები მიწიდან იზადებოდნენ და არა ერთმანეთისგან?

უმცროსი სოკრატე: ესეც ერთ-ერთი უძველესი თქმულებაა.

უცხოელი: ყველა ეს და კიდევ ათასი სხვა და უფრო საკვირველი [ამბავიც] ერთ მოვლენას უკავშირდება. წელთა სიმრავლის გამო ნაწილი დაიკარგა, ნაწილი მიმოიფანტა და თითოეულ მათგანზე განცალკევებულად ყვებიან. მაგრამ არავის უთქვამს, რა იყო მათი მთავარი მიზეზი და ახლა ჩვენ უნდა ვთქვათ, რადგან ეს დაგვეხმარება მეფის განსაზღვრებაში.

უმცროსი სოკრატე: მშვენივრად ამბობ. თქვი, არაფერი გამოტოვო.

უცხოელი: მაშ, მისმინე. ხან თავად ღმერთი მართავს სამყაროს მოძრაობას და აბრუნებს მას, იმ პერიოდში კი, როდესაც ამოიწურება მისთვის განკუთვნილი დრო, [ღმერთი] ტოვებს მას და ის ავტომატურად [იწყებს] საპირისპიროდ ბრუნვას, რადგან სამყარო ცოცხალია და აქვს გონება, რომელიც უბოძა იმან, ვინც ის თავდაპირველად შექმნა და ეს უკუსვლა მას აუცილებლობით აქვს ჩადებული ბუნებაში იმ მიზეზით, რომ...

უმცროსი სოკრატე: რა მიზეზით?

უცხოელი: მუდამ თავისი თავის იგივეობრივად და უცვლელად ყოფნა მხოლოდ ღვთაებრივ [არსებებს] შეჰფეროთ, სხეულის ბუნება კი მათ რიგს არ განეკუთვნება. იმას, რასაც ზეცასა და კოსმოსს ვუწოდებთ, მისმა შემქმნელმა უბოძა მრავალი ნეტარება, მაგრამ იმავდროულად – სხეულთან ზიარებაც. ამიტომ შეუძლებელია წილად არ ხვდომოდა ცვლილებები, თუმცა, რამდენადაც შესაძლებელია, ის ერთ ადგილას ერთნაირად მოძრაობს, ხოლო უკუღმა ბრუნვის [თვისება] მან მიიღო როგორც სულ მცირე გადახრა თავისი მოძრაობიდან. მუდმივად ბრუნვა თითქმის არავის შეუძლია, გარდა იმისა, ვინც თავად მართავს სხვათა მოძრაობას, მათ კი არ ეძლევათ ნება ხან ერთი მიმართულებით ამოძრაონ [რაიმე], ხან კი – მისი საპირისპირო [მიმართულებით]. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, კოსმოსზე არც იმის თქმა შეიძლება, რომ ის მუდამ თავად ამოძრავებს საკუთარ თავს, არც იმისი, რომ მას მთლიანად ყოველთვის ღმერთი აბრუნებს ორმაგად და საპირისპირო მიმართულებით, და არც იმისი, რომ ორი ღმერთი თავისი შეხედულებისამებრ ერთიმეორის საპირისპიროდ აბრუნებს, არამედ, როგორც ადრეც ვთქვით, ერთი [რამ] რჩება, რომ ის სხვა ღვთაებრივი მიზეზით მოძრაობს. ის ხელახლა იძენს სიცოცხლეს და მას უკვდავებას უმზადებს და ანიჭებს შემოქმედი, ხოლო როდესაც

[კოსმოსი] თავისუფლდება, ის თავისთავად მოძრაობს და მას იმდენი დრო ეძლევა, რომ ათასობით უკუბრუნე გააკეთოს და რადგან ყველაზე დიდი და ყველაზე უკეთ გაწონასწორებულია, უმცირესი ბიჯით ბრუნავს.

უმცროსი სოკრატე: ძალიან დამაჯერებელია ეს ყველაფერი, რაც ახლა თქვი.

უცხოელი: მოდი, გავანალიზოთ და გავაცნობიეროთ ნათქვამის საფუძველზე, ყველა იმ სასწაულის მიზეზი, რაზეც ახლა ვსაუბრობთ.

ეს [მიზეზი] კი შემდეგია.

უმცროსი სოკრატე: რომელი?

უცხოელი: ის, რომ სამყარო წრიულად ხან ერთი მიმართულებით მოძრაობს, ხან კი მის საპირისპიროდ.

უმცროსი სოკრატე: როგორ?

უცხოელი: ეს უნდა ჩაითვალოს უდიდეს და ყველაზე სრულყოფილ ცვლილებად, რაც კი ზეცაში ხდება.

უმცროსი სოკრატე: როგორც ჩანს.

უცხოელი: საფიქრალია, რომ უდიდესი ცვლილებები მის ქვეშ მცხოვრებლებშიც ხდება.

უმცროსი სოკრატე: ესეც ასეა.

უცხოელი: განა არ ვიცით, რომ ცხოველთა ბუნებისთვის ძალიან რთულია მრავალი, დიდი და სხვადასხვაგვარი ცვლილების გადატანა?

უმცროსი სოკრატე: როგორ არა.

უცხოელი: ამ დროს სხვა ცხოველებსაც აუცილებლად უდიდესი განადგურების [საფრთხე] ატყდება თავს და ადამიანთა გვარიდანაც ძალიან ცოტა თუ გადარჩება და მათაც წილად ხვდებათ მრავალი ახალი და საოცარი განსაცდელი, რომელთაგან უდიდესი ისაა, რომელიც თან ახლავს სამყაროს შემობრუნებას, როდესაც მისი მოძრაობა საპირისპირო მიმართულებას იძენს.

უმცროსი სოკრატე: რომელი [განსაცდელი]?

უცხოელი: რა ასაკისაც იყო თითოეული ცხოველი, იმავე [ასაკის] დარჩა და ყველაფერმა, რაც მოკვდავი იყო, შეწყვიტა ზრდა და მოხუცებულობაც აღარ ეტყობოდა, პირიქით შეიცვალა, გაახალგაზრდავდა და განაზდა; მოხუცებს თეთრი თმა გაუშავდათ, წვერიანი ლოყები კვლავ სრიალა გაუხდათ და ძველ დროს დაუბრუნდნენ, მოწიფულ მამაკაცთა სხეულიც სრიალა გახდა და დღითიდღე თითოეული მათგანი უფრო და უფრო

ახალგაზრდავდებოდა მანამ, სანამ კვლავ ახალშობილი არ გახდებოდა და სულითაც და სხეულითაც მას არ დაემსგავსებოდა. ასე აგრძელებდნენ ჭკნობას, სანამ საბოლოოდ არ გაქრნენ. იმ დროს ძალადობით მოკლულთა გვამებსაც იგივე დაემართა და რამდენიმე დღეში შეუმჩნევლად გაქრა.

უმცროსი სოკრატე: უცხოელო, მაშ როგორ ხდებოდა ცოცხალთა შობა მაშინ? როგორ იზადებოდნენ ისინი ერთმანეთისგან?

უცხოელი: ცხადია, სოკრატე, რომ მაშინ ბუნებაში არ არსებობდა ერთმანეთისგან შობა. ამბობენ, რომ როგორც ოდესღაც მიწიდან შობილთა გვარი არსებობდა, ისე იმ დროსაც მიწიდან იზადებოდნენ. ეს ხსოვნა შემოგვინახეს ჩვენმა უძველესმა წინაპრებმა, რომლებიც პირველი წრებრუნვის მიწურულს ცხოვრობდნენ და მის დასაწყისში იშვნენ. ამიტომ გახდნენ იმ ამბების მაცნენი ჩვენთვის, რაშიც ახლა მრავალს უმართებულოდ ეპარება ეჭვი; ჩვენ კი, ვფიქრობ, უნდა დავიჯეროთ, რომ თუ მოხუცები ახალგაზრდავდებიან, მაშინ მიცვალებულებიც, რომლებიც მიწას არიან მიბარებული, უნდა წამოდგნენ და გაცოცხლდნენ დაბადების საპირისპირო ცვლილების კვალობაზე. შესაბამისად, ისინი აუცილებლად მიწიდან წარმოიშვებიან, სწორედ აქედანაა მათი სახელიც და მისი განმარტებაც, თუ რომელიმეს ღმერთმა სხვა ხვედრი არ არგუნა.

უმცროსი სოკრატე: რა თქმა უნდა, ასე გამოდის ადრე ნათქვამიდან, მაგრამ ცხოვრება, რომელსაც როგორც აღნიშნე, კრონოსი განაგებდა, რომელ წრებრუნვას ეკუთვნოდა, ძველს თუ ახალს? ხომ აშკარაა, რომ ვარსკვლავებისა და მზის ნებისმიერი ცვლილება წრებრუნვისას ხდება?

უცხოელი: კარგად მიგიდევნებია ყური მსჯელობისთვის. რაც შეეხება შენს კითხვას, ადამიანთათვის ყველაფრის თავისთავად შობის შესახებ, ეს საერთოდ არ ეხება ამჟამინდელ წრებრუნვას, არამედ ადრე იყო. მაშინ, დასაწყისში წრებრუნვას მთლიანად ღმერთი მართავდა და ზედამხედველობდა, მმართველ ღმერთებს ასევე გადანაწილებული ჰქონდათ კოსმოსის სხვადასხვა ნაწილი და ცხოველებიც გვარებისა და ჯოგების მიხედვით ჰყავდათ დანაწილებული ღვთაებრივ მწყემსებს – დემონებს. თითოეული [მათგანი] მართავდა იმ [ნაწილს], რომელიც მას ერგებოდა, ისე, რომ არც გარეული ცხოველები არსებობდნენ, არც ერთმანეთს ჭამდნენ, არც ომი ჰქონიათ, არც სხვა სახის არეულობა, მრავალი კარგი რამ შეიძლება ითქვას ამგვარი მოწყობის შესახებ. ადამიანების ასეთი

თავისთავადი ცხოვრების თაობაზე შემდეგი მიზეზების გამო ითქვა: ღმერთი თავად მწყემსავდა და წინამძღვრობდა მათ, როგორც ამჟამად ადამიანები, რომლებიც სხვა არსებებზე უფრო ღვთაებრივნი არიან, მათზე მდაბალთ მწყემსავდნენ.

მისი მწყემსობის დროს არც სახელმწიფოები არსებობდა, არც ცოლები და შვილები ჰყავდათ. ყველანი მიწიდან იზადებოდნენ და წინა დროიდან არაფერი ახსოვდათ. მართალია, მსგავსი არაფერი ჰქონდათ, მაგრამ ხეებიდან და სხვა მცენარეებიდან უხვ ხილს იღებდნენ, რაც მიწის დამუშავებით კი არ აღმოცენდებოდა, არამედ მიწიდან თავისთავად ამოდიოდა. არც ტანსაცმელი ჰქონდათ, არც – საწოლი და უფრო მეტად ღია ცის ქვეშ ცხოვრობდნენ. ამინდი ხომ მათთვის დალოცვილი იყო, რბილ სარეცლად კი მიწიდან უხვად ამოსული ბალახი ჰქონდათ. სოკრატე, გასმენია კრონოსის დროს მათი ცხოვრების შესახებ? ახლა კი, როგორც ამბობენ, ზევსის დროა, რომელშიც შენც იმყოფები და იცი. შეგიძლია და გინდა, განსაჯო ამ ორიდან, რომელი უფრო ბედნიერი [ხანაა]?

უმცროსი სოკრატე: არანაირად.

უცხოელი: ხომ არ გინდა, მე განგიმარტო?

უმცროსი სოკრატე: რატომაც არა.

უცხოელი: მაშ, თუ კრონოსის გამოზრდილი შვილები მოიცლიდნენ და შეძლებდნენ საუბარს არა მხოლოდ ადამიანებთან, არამედ ცხოველებთანაც, და ამ ყველაფერს გამოიყენებდნენ ფილოსოფიისთვის, ცხოველებთან და ერთმანეთთან საუბრის მეშვეობით ბუნებისგან შეიტყობდნენ, ხომ არ იცოდა მან, განსაკუთრებული ძალის წყალობით, რაღაც განსხვავებული გონების მარაგისათვის. ასე კი ადვილად მისახვედრია, რომ იმ ეპოქის ადამიანები ბევრად უფრო ბედნიერი იყვნენ, ვიდრე – დღევანდელი. ხოლო თუ უბრალოდ [მუცელს] ამოივსებდნენ საკვებითა და სასმელით და ერთმანეთს და ცხოველებს მხოლოდ იმ ამბებს გადასცემდნენ, რასაც მათ შესახებ ახლაც ყვებიან, ესეც, ჩემი აზრით, ცხადი და ადვილად ასახსნელი იქნებოდა. მაგრამ, მოდი, თავი დავანებოთ მანამ, სანამ ვინმე არ გვაუწყებს, ცოდნისა და მსჯელობის რა მოთხოვნილება ჰქონდათ მაშინ. მაგრამ, უნდა განვმარტოთ, რატომ მოვიხმეთ ეს მითი, რათა გზა განვაგრძოთ. მას შემდეგ, რაც ამ ყველაფერს დრო ამოეწურა და ცვლილება უნდა მომხდარიყო, მთელი მიწიერი გვარი განადგურდა და სულებმა შეწყვიტეს დაბადება და მიწაზე დაცვივდნენ თესლის სახით, ყოველივეს მმართველმა მიატოვა ადგილი, რომელსაც კვებავდა და

სათვალთვალოდ განთავსდა. სამყარო კი კვლავ ბრუნავდა მისთვის ბედისწერით დადგენილი და თანდაყოლილი სწრაფვის გამო. თითოეულმა ღმერთმა, რომელიც [სამყაროს] ნაწილს მართავდა უზენაეს ღვთაებასთან ერთად, გაიგო თუ არა მომხდარის შესახებ, მიატოვა სამყაროს ის ნაწილი, რომელზეც ზრუნავდა. სამყარო კი უკუღმა დატრიალდა და საკუთარ თავს შეეჯახა, რადგან მისი დასაწყისი და დასასრული ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით ამოძრავდა. მომხდარმა დიდმა მიწისძვრამ კი ყველა ცხოველი კიდევ ერთხელ გაანადგურა. კარგა ხნის შემდეგ, რაც ხმაური და მღელვარება შეწყდა, რყევებს სიმშვიდე მოჰყვა, ხოლო სამყარო თავის ჩვეულ სვლას დაუბრუნდა, განაგრძო მართვა და ზრუნვა საკუთარ თავზე და ყველაფერზე, რაც მასშია და შემდეგისდაგვარად იხსენებდა თავისი შემოქმედისა და მამის სწავლებას. დასაწყისში [ყველაფერს] უფრო ზუსტად ასრულებდა, ხოლო ბოლოს უფრო უყურადღებოდ. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ბუნებით თანდაყოლილი სხეული შერეული იყო, რადგან მანამ, სანამ სამყაროში მოვიდოდა, მრავალ უწესრიგობას ეზიარა. თავისი შემქმნელისგან მას ყველაფერი მშვენიერი ერგო, ხოლო თავისი ადრინდელი მდგომარეობიდან, რაც კი ზეცაში მძიმე და უსამართლო იყო, ყველაფერი თვითონაც დაიტოვა და ცოცხალ არსებებსაც უბოძა. სამყარო მმართველთან ერთად ცოცხალ არსებებს კვებავდა, მათში მცირეოდენ სიავესა და ბევრ სიკეთეს აღვივებდა. მმართველთან დაშორების შემდეგ, თავდაპირველად ყველაფერს მშვენივრად უძღვებოდა, მაგრამ დრო რომ გავიდა და [მმართველი] დავიწყებას მიეცა, მასზე ძველი უწესრიგობა გაბატონდა, ბოლოს [სამყაროში] მცირეოდენი სიკეთე დარჩა, და ბევრ საპირისპირო რამეს შეერია, მასაც და ყველაფერს მასში მყოფს განადგურების საფრთხე დაემუქრა. მას შემდეგ, რაც ღმერთმა, რომელმაც [სამყარო] მოაწესრიგა, დაინახა მისი რთულ მდგომარეობა, იზრუნა, რომ მღელვარებისგან აფორიაქებული [სამყარო] არ განადგურებულიყო და არაერთგვაროვნების უსაზღვრო ზღვაში არ ჩაძირულიყო. [მან] კვლავ გამზრდელის ადგილი დაიკავა, ყველაფერი დასწესებულებული და დაშლილი კვლავ უწინდელ ბრუნვას დაუბრუნა, მოაწესრიგა, უკვდავი და უბერებელი გახადა. ესაა ამ მითის დასასრული. რაც შეეხება ჩვენს [მოსაზრებას] მეფის შესახებ, ის ადრე ნათქვამს უნდა დავუკავშიროთ. როდესაც სამყარო ამოძრავდა და დაბადების დღევანდელ გზას დაადგა, ასაკმა ზრდა შეწყვიტა და მაშინდელის საპირისპირო ახალი რამეები გაჩნდა. პატარა არსებები, რომლებიც თავიანთი ზომის გამო კინალამ გაქრნენ, ისევ იზრდებოდნენ, ხოლო

მიწიდან ახლად აღმოცენებული სხეულები კვლავ კვდებოდნენ და მიწაში ჩადიოდნენ. და სხვა ყველაფერი იცვლებოდა, ბაძავდა და მიჰყვებოდა რა სამყაროს მდგომარეობას. ბაძვა აუცილებელი იყო ყველაფერში – ფეხმძიმობაში, დაბადებაში, გამოზრდაში – რადგან მიწიდან სხვა რამისგან შემდგარი ცოცხალი არსება ვერ აღმოცენდებოდა, ისევე როგორც სამყაროს, თავად უნდა ემართა თავისი სვლა. მის ნაწილებსაც, შეძლებისამებრ, თავად უნდა აღმოეცენებინათ, ეშვათ და გამოეზარდათ. უკვე იქ მივედით, საიდანაც ჩვენი საუბარი წამოვიწყეთ. ძალიან დიდ ხანს მოვუნდებით საუბარს, თუ რატომ და როგორ შეიცვალნენ ცხოველები და ეს შორს წაგვიყვანს, ხოლო ადამიანებზე – უფრო მოკლედ თქმა [შეიძლება] და უფრო შესაფერიც [იქნება]. მას შემდეგ, რაც ჩვენმა ღვთაებამ, მწყემსმა ჩვენზე ზრუნვა შეწყვიტა, ბევრი ცხოველი, რომელსაც მძიმე ხასიათი ჰქონდა, გაველურდა და სწეულ და დაუცველ ადამიანებს იტაცებდა. პირველ ხანებში უძლურნი და მოუხერხებელნი იყვნენ, ბუნებრივი საკვები არ ჰყოფნიდათ, ხოლო [საჭმლის] მოპოვება არ იცოდნენ, რადგან ადრე ამას არაფერი აიძულებდათ. ამ ყველაფრის გამო მათ ძალიან უჭირდათ. სწორედ ამიტომ, როგორც ამბობენ, ღმერთებმა აუცილებელი ცოდნისა და მითითებების გარდა სხვა საჩუქრებიც გვიბოძეს: ცეცხლი – პრომეთემ, ხელოვნებანი – ჰეფესტოსმა და ხელობაში მისმა დამხმარე [ქალბატონმა], თესლი და მცენარეები – სხვა ღმერთებმა. ყველაფერი, რაც ადამიანურ ცხოვრებას აწესრიგებს, აქედან წარმოიშვა, რადგან, როგორც უკვე ავღნიშნე, როდესაც ადამიანებს ზრუნვა შემოაკლდათ, მათ თავად მოუწიათ ეზრუნათ და ემართათ საკუთარი თავი, მთელი სამყაროს მსგავსად, რომელსაც მუდამ ვბაძავთ და მივყვებით. სხვა დროს სხვაგვარად, ახლა კი ასე ვიბადებით და ვიზრდებით. ეს მითი აქ დავასრულოთ, თუმცა იმის გასაგებად გამოვიყენოთ, თუ როგორ ვცდებოდით მსჯელობისას, როცა მეფესა და პოლიტიკოსს განვსაზღვრავდით.»

როგორც ვხედავთ, პასაჟი საკმაოდ დიდი მოცულობისაა და, თუ არ ჩავთვლით უცხოელის რეპლიკებს, ის ერთიან თხრობას წარმოადგენს.

ჩვენთვის ამ პასაჟიდან მნიშვნელოვანია შემდეგი დებულებები:

1. უცხოელი თვლის, რომ აუცილებლად უნდა გააანალიზოს მითების წყარო და მიზეზი, რამდენადაც ეს მას დაეხმარება მეფის (მმართველის) განსაზღვრაში («პოლიტიკოსი», 269b-c).

2. სამყარო წრიულად ხან ერთი მიმართულებით მოძრაობს ხან – მეორეთი («პოლიტიკოსი», 270b).

3. სამყაროს შემოზრუნებას მრავალი განსაცდელი მოაქვს სულიერი არსებებისათვის («პოლიტიკოსი», 270c-d).

4. როდესაც სამყარო უკუდმა დატრიალდა, ადამიანები მიწიდან იშვებოდნენ და არა ერთმანეთისგან («პოლიტიკოსი», 270d-271c).

5. კრონოსის ეპოქის ადამიანები ბედნიერი იყვნენ და მათ არ ჰქონდათ საზრუნავი («პოლიტიკოსი», 272c).

6. სამყაროს შემოტრიალება მაშინ მოხდა, როდესაც ყველა ღმერთმა მიატოვა კოსმოსი და ის თავისით დატრიალდა და თავის თავს შეეჯახა («პოლიტიკოსი», 272e-273a).

თუ დავაკვირდებით მითს, უცხოელის მონათხრობი ისტორია მთლიანად ემყარება ღმერთისა და კოსმოსის ურთიერთკავშირს. მითის მიხედვით, ღმერთი და სამყარო ერთმანეთის მიმართ ასიმეტრიულ მდგომარეობაში არიან. ღმერთს აქვს სრული ავტონომია და ის მუდამ თავად აზრუნებს საკუთარ თავს (auto; de eauto; strefein aei; «პოლიტიკოსი», 269e), მუდამ თავისი თავის იგივეობრივი და უცვლელია (to kata tauta; kai wsautw) ecein aei kai tauton einai, «პოლიტიკოსი», 269d). ის ასევე ზრუნავს კოსმოსზე, როგორც მისი შემქმნელი (gennhsanto, «პოლიტიკოსი», 269d) და «ჰარმონიაში» მომყვანი (sunarmosanto, «პოლიტიკოსი», 269d). ამდენად, ღმერთი და კოსმოსი ერთიმეორისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება და ეს განსხვავება მოძრაობაშიც შეინიშნება. კოსმოსი შუაგულშია და მოძრაობს წესისამებრ, მაგრამ ამგვარი სრულყოფილი მოძრაობა ღმერთის გარდა არავის შეუძლია. ამიტომ, ხანდახან ის ცდება ჩვეულ მოძრაობას და იცვლის მიმართულებას. ეს კი განაპირობებს სამყაროს/კოსმოსის შინაგან ოპოზიციას. როდესაც კოსმოსი იცვლის ბრუნვის მიმართულებას, დგება ერთი ეპოქის დასასრული და იწყება სხვა ეპოქა. სამყარო ბრუნავს, როგორც წესია, როდესაც მას ღმერთი მართავს, ხოლო როდესაც ის მიატოვებს მას, სამყარო უკუდმა ტრიალდება.

სწორედ ღმერთის მართულ სამყაროსთანაა დაკავშირებული კრონოსის მმართველობისდროინდელი «ბედნიერი ადამიანების» ხანა.

პლატონის «პოლიტიკოსის» მკვლევარი მ. მილერი თვლის, რომ აქ

პლატონი ჰესიოდეს ნაწარმოების «სამუშაონი და დღენი» გავლენას განიცდის, სადაც მოთხრობილია ადამიანთა ხუთი თაობის შესახებ. ჰესიოდეს კრონოსის მმართველობის ჟამს «ჰარმონიის» ცნებას უკავშირებს. **[41]**

დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ მითი, რომელსაც პლატონი «პოლიტიკოსში» გვთავაზობს, ასახავს მართვის სხვადასხვა მოდელის გავლენას ადამიანებზე. იმისათვის, რომ ადამიანთა საზოგადოებამ შეძლოს ნორმალურად ფუნქციონირება, მას სჭირდება რაიმე ცოდნის ხელოვნების მფლობელი, რომელიც ცხოვრების გარეშე ფაქტორებთან ერთგარ ჰარმონიზებას მოახდენს. ამგვარი ხელოვნებაა სწორედ პოლიტიკის ხელოვნება და ეს როლი, შესაბამისად, პოლიტიკოსს უნდა ეკუთვნოდეს.

მას შემდეგ, რაც კარგად გავაანალიზებთ მითს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ: 1. პლატონი თავისი მწერლური ოსტატობით ამ მონათხრობში აერთიანებს სხვადასხვა გადმოცემიდან მიღებულ კოსმოგონიურ მითებს.

2. მითი არათუ დიალოგის სტრუქტურის დარღვევად შეიძლება ჩავთვალოს, არამედ, პირიქით, ის წარმოადგენს დიალოგის ჰარმონიულ ნაწილს.

თუ დიალოგის მიზანია მიაკვლიოს, როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი პოლიტიკოსი და ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მას სჭირდება განიხილოს, რომელია მმართველობის სწორი ფორმა, მითის მიზანია იგივე გვიჩვენოს მითოლოგიურ/კოსმოგონიურ მაგალითზე.

ჭარბისა და ნაკლულის დიალექტიკა.
საზომის აუცილებლობა.

დიალოგ «პოლიტიკოსის» კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი უკავშირდება ჭარბისა და ნაკლულის დიალექტიკას, რასაც საზომის აუცილებლობის იდეამდე მივყავართ. რითია მნიშვნელოვანი და არსებითი გაზომვის ხელოვნებისა და საზომის აუცილებლობის საკითხები ამ დიალოგისათვის?

მივყვეთ პლატონის ტექსტს. მას შემდეგ, რაც უცხოელი და უმცროსი სოკრატე შეთანხმდებიან ქსოვის ხელოვნების დეფინიციაზე, უცხოელი სვამს კითხვას, მეტისმეტად ვრცლად და ფუჭად ხომ არ ისაუბრეს ამ თემაზე. უმცროსი სოკრატე ფიქრობს, რომ არაფერი იყო ფუჭად ნათქვამი.

აქ უცხოელი საჭიროდ თვლის ჯერ გაარკვიონ, რა არის სიჭარბე (uperbolh) და ნაკლებობა (elleiyi), რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება იმაზე საუბარი, სიტყვა საკმარისზე უფრო ვრცელი იყო, თუ არა. ამ საკითხებით კი გაზომვის ხელოვნებაა (metrhtikh) დაკავებული («პოლიტიკოსი», 283b-c). აქვე უცხოელი მიუთითებს, რომ არსებობს გაზომვის ორგვარი ხელოვნება: ერთი არის დიდისა და მცირეს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, მეორე კი – იმ არსის შესახებ, რომელიც არსებობაში მოყვანისთვისაა აუცილებელი. პირველი დანაყოფი მარტივად გასაგებია, ვინაიდან ის იმას გულისხმობს, რომ რაიმეზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დიდი ან პატარაა მხოლოდ სხვა რაიმესთან შედარების გზით. რაც შეეხება მეორე შემთხვევას, აქ პლატონს ახალი ცნება შემოაქვს. კერძოდ, ესაა «საშუალოს», «ზომიერის» (metrion) ცნება. უცხოელი თვლის, რომ სწორედ გაზომვის ხელოვნების ეს მეორე სახეობაა ადამიანთათვის რთული.

ეს პასაჟი შემთხვევითი და კონტექსტიდან ამოვარდნილი არაა იმიტომ, რომ ის ორგანულად უკავშირდება პოლიტიკოსის კვლევის საკითხს.

კერძოდ, მეფობის, პოლიტიკის და ყველა სხვა ხელოვნება, რომელზეც აქამდე იყო საუბარი, გამოკვლეულ უნდა იქნას ზომიერთან და არა სხვა რაიმესთან მიმართებაში.

ამგვარად, დიქოტომიის პრინციპით ვიღებთ გაზომვის ხელოვნების (metrhtikhv) ორ განშტოებას, ერთს მიეკუთვნება ყველა ის ხელოვნება, რომელიც რიცხვს, სიგრძეს, სიღრმეს, სიგანესა და სიჩქარეს მათ საპირისპიროს მიმართ ზომავს, ხოლო მეორეს – ის ხელოვნებები, რომლებიც ზომიერთან, შესაფერთან, დროულთან, საჭიროსთან შედარებით ზომავს («პოლიტიკოსი», 284e). ამ მსჯელობის შემდეგ, უცხოელი კვლავ უბრუნდება პოლიტიკის ხელოვნების კვლევას და ამბობს შემდეგს: «ამგვარად ამ მსჯელობით ამ ხელოვნებებსა და მათ ყველა საქმიანობას ხომ არ გავანადგურებთ და ამასთან ერთად პოლიტიკის ხელოვნებასაც ხომ არ მოვსპობთ, რომელსაც ვიძიებთ და ქსოვის ხელოვნებასაც, რომელზეც ახლა ხან ითქვა? ეს ყველა თავს იკავებს იმისგან, რაც ზომიერზე მეტი ან ნაკლებია, სხვა რამის გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ ეს საქმესთან დაკავშირებით რთულია და ამ გზით გადაარჩენს საზომ ერთეულს და ქმნის ყველაფერს მშვენიერსა და კარგს» («პოლიტიკოსი», 284a-b)

ამის შემდეგ კი კვლავ მოდის უცხოელის რეპლიკა: «ხომ არ შეიძლება პოლიტიკოსი და ან სხვა ვინმე საქმეების მცოდნე უდავოდ იყოს ამგვარი, თუკი არ შევთანხმდებით?» («პოლიტიკოსი», 284c)

[43]

ამრიგად, თუ ამ ორ მონაკვეთს ერთმანეთს დავუკავშირებთ, გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ საზომის აუცილებლობის საკითხი არსებითი და საკვანძოა მთლიანად პოლიტიკოსის განსაზღვრისათვის. უცხოელი პოლიტიკოსის ერთ-ერთი მნიშვნელოვან უნარად იმას თვლის, რომ მან უნდა შეძლოს «გაზომვა» არა შედარებით (უფრო დიდი, უფრო მცირე), არამედ აბსოლუტურ საზომთან (სტანდარტი, საშუალო, ზომიერი) მიმართებაში. ცნებების «ზომიერი», «საშუალო» (to; mevtrion) შემოტანით პლატონი მიგვანიშნებს პოლიტიკოსის ბუნების კიდევ ერთ აუცილებელ თვისებაზე. პოლიტიკოსს უნდა შეეძლოს ჭარბისა და ნაკლებისგან თავის არიდება და ზომიერების დაცვა.

შემდგომ ქვეთავში «პოლიტიკის თეორია «პოლიტიკოსში» სხვადასხვა ასპექტის გაშუქებასთან ერთად წარმოვადგენ ყველა იმ თვისებას, რომელიც პლატონის აზრით, ჭეშმარიტ პოლიტიკოსს უნდა ახასიათებდეს.

პოლიტიკის თეორია «პოლიტიკოსში»

რაც არ უნდა უცნაური იყოს, დიალოგის, რომლის სახელწოდებაც არის «პოლიტიკოსი», ყველაზე ნაკლებად სადავო საკითხი პოლიტიკური ასპექტია. თუ უფრო ღრმად გავაანალიზებთ, ეს არც ისე უცნაურია, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, «პოლიტიკოსი» დიდი ხნის განმავლობაში არ იყო მიჩნეული მნიშვნელოვან ნაწარმოებად და, აქედან გამომდინარე, მისი სერიოზულად აღქმა პლატონის პოლიტიკური შეხედულებების კვლევის დროს თითქმის არ ხდებოდა.

ვიდრე დიალოგის იმ ნაწილს განვიხილავდეთ, სადაც საუბარია უშუალოდ პოლიტიკის ხელოვნებაზე, მინდა ის პასაჟები მოვიყვანო, სადაც გამოყოფილია პოლიტიკოსისათვის აუცილებელი შტრიხები.

საწყის დიქოტომიაში უცხოელი ასე მიმართავს უმცროს სოკრატეს:

«თუ რომელიმე კერძო პირი იმდენად ძლიერი იქნება, რომ რჩევა მისცეს ქვეყნის მეფეს, განა არ ვიტყვით, რომ მას იგივე ცოდნა აქვს, რაც უნდა ჰქონდეს მმართველს.» («პოლიტიკოსი», 259a) [44]

შესაბამისად პლატონს მიაჩნია, რომ მმართველის აუცილებელი

პირობა ცოდნის ქონაა.

ცოტა უფრო ქვემოთ უცხოელი სვამს (შეიძლება ითქვას, რიტორიკულ) შეკითხვას: „რა განსხვავებაა მართვის თვალსაზრისით დიდი სახლისა თუ პატარა ქალაქის მართვას შორის?“ («პოლიტიკოსი», 259b) [45]

აქ უკვე მინიშნება იმაზეა, რომ მთავარია მართვის ცოდნა. თუკი ვინმეს ეს ცოდნა ჭეშმარიტად გააჩნია, მას ნებისმიერი რამის მართვა შეუძლია.

იქვე უცხოელი კიდევ ერთ მნიშვნელოვან დეტალს გვთავაზობს, როდესაც ამბობს: «ცხადია, რომ მმართველობისას მეფეს ხელებითა და მთელი თავისი სხეულით გაცილებით უფრო ნაკლების გაკეთება შეუძლია, ვიდრე სულის სიძლიერითა და გამჭრიახობით.»

(«პოლიტიკოსი», 259c) [46]

აქ პლატონი იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ მმართველს სჭირდება უფრო მეტად სულიერი და პიროვნული და არა – ფიზიკური სიძლიერე.

უცხოელი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ცოდნის მნიშვნელობას მმართველისათვის, როდესაც ამბობს: «სანამ ცოდნითა და სამართლიანობით მოქმედებენ და შეძლებისდაგვარად გადაარჩენენ და აუმჯობესებენ [სახელმწიფოს], მანამ და ამ პირობებში მას უნდა ეწოდოს ერთადერთი სწორი სახელმწიფო მმართველობა. სხვა [მმართველობები] კი, რაც ჩამოვთვალეთ, კანონიერი და ნამდვილი კი არაა, არამედ მხოლოდ ბაძავს მას; ისინი, რომლებსაც კეთილმოწყობილს ვუწოდებთ, კარგში ბაძავენ, ხოლო სხვები – ცუდში.» («პოლიტიკოსი», 293d-e) [47]. ამჯერად ცოდნის ქონა მმართველისათვის უბრალოდ თვისება კი არა, არამედ ერთადერთი პირობაა იმისთვის, რომ მმართველი ჭეშმარიტად მმართველად ჩაითვალოს.

სხვა შემთხვევაში, თუკი მმართველს ჭეშმარიტი ცოდნა არ გააჩნია, ის უბრალოდ მიმბაძველია და პოლიტიკოსთან მას საქმე არ აქვს.

საკუთრივ პოლიტიკის ხელოვნებისა და პოლიტიკოსის რაობაზე პლატონი დიალოგის უკანასკნელ ნაწილში საუბრობს. აქვე შემოდის კანონის მისეული გააზრება და სახელმწიფო მართვის მოდელების განხილვაც.

გაზომვის ხელოვნებისა და აუცილებელი საზომის საკითხების განხილვის შემდეგ უცხოელი ამბობს: «კვლავ პოლიტიკოსს

დავუბრუნდეთ და მაგალითად უკვე ნახსენები ქსოვის ხელოვნება მოვიყვანოთ» («პოლიტიკოსი», 287a-b).^[48] უცხოელი ჩამოთვლის იმ ხელოვნებებს, რომლებიც სახელმწიფოს არსებობის მიზეზები (aijtivai) ან დამხმარე მიზეზებია (sunaivtioi). ვინაიდან მათი ორად დაყოფა სრულიად შეუძლებელია, აუცილებელი ხდება მათი ჯგუფებად დაყოფა. ამრიგად, დამხმარე მიზეზებში ვიღებთ შემდეგ ჯგუფებს: 1. ხელოვნებები, რომლებიც ქმნის იარაღს სახელმწიფოსთვის; 2. ხელოვნებები, რომლებიც ქმნის სათავსს სახელმწიფოსთვის; 3. ხელოვნებები, რომლებიც გადასაადგილებლადაა; 4. დამცავი ხელოვნებები; 5. თამაშსა და გართობასთან დაკავშირებული ხელოვნებები; 6. პირველადი, მარტივი ნივთიერებების მოპოვების ხელოვნებები; 7. გამოზრდა-გამოკვებასთან დაკავშირებული ხელოვნებები. ეს ყოველივე უკავშირდება სახელმწიფოში ფლობას. ხოლო სახელმწიფოს თავად მიზეზებში შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა: 1. მონები და მსახურები, რომლებშიც გამოიყოფა ნაყიდი მონები, დაქირავებული მუშები, ვაჭრები, მაცნეები, ქურუმები და ჭეშმარიტი პოლიტიკოსის მიმბაძველები. თავის მხრივ კი ეს უკანასკნელი რთული ჯგუფი მცირე ქვეჯგუფებად იყოფა:

მეფე, ტირანი, არისტოკრატი, ოლიგარქი, დემოკრატი; 2. მოსამართლისა და ორატორის ხელოვნება და 3. პოლიტიკის ხელოვნება («პოლიტიკოსი», 287b-292e).

სწორედ ამ უკანასკნელი დაყოფის დროს საუბრობს უცხოელი სახელმწიფო მართვის ფორმებზე (რეჟიმებზე). ის გამოყოფს სამი სახის მმართველობას და ორ სახეში კიდევ ორ-ორ ფორმას აერთიანებს. საბოლოოდ ვიღებთ 5 სახის რეჟიმს. ესენია:

1. ერთის მიერ მართვა, რომელიც იყოფა მონარქიად და ტირანიად; 2. უმცირესობის მიერ მართვა, რომლის სახეებიცაა არისტოკრატია და ოლიგარქია, 3. უმრავლესობის მიერ მართვა, იგივე დემოკრატია.

აქვე უცხოელი დასძენს, რომ ის არ აპირებს სათითაოდ განიხილოს ეს რეჟიმები, ვინაიდან თვლის, რომ სახელმწიფოსთან დაკავშირებულ მმართველობათაგან სწორი მხოლოდ ის მმართველობა იქნება, რომელსაც სათავეში ჭეშმარიტად მცოდნე მმართველები ჰყავს, სხვა ყველაფერი კი მეორეხარისხოვანია («პოლიტიკოსი», 293c-d). ანუ პლატონი კიდევ ერთხელ მიანიშნებს პოლიტიკოსის/მმართველის აუცილებელ თვისებაზე – ის უნდა

იყოს ჭეშმარიტად მცოდნე. ბრძნული მართვა ან მეფობა არ შეიძლება განპირობებული იყოს სახელმწიფოს მართვის ფორმით, რადგან ის ხელოვნებაა და მოითხოვს ცოდნას.

ამ კონტექსტშივე შემოდის კანონის გაგების საკითხი «პოლიტიკოსში». პლატონი თვლის, რომ წერილობითი კანონები გადასინჯულ უნდა იქნას გარემოებების შესაბამისად. კანონმდებლობა პლატონს პოლიტიკოსის საქმიანობის განუყოფელ ნაწილად მიაჩნია, მაგრამ ის თვლის, რომ კანონი გონიერი ადამიანის ხელში შეიძლება იყოს სასარგებლო. უცხოელი ამბობს: «ცხადია, რომ გარკვეულწილად კანონმდებლობა მეფობის ხელოვნების ნაწილია, მაგრამ ყველაზე უკეთესია, როცა ძალა კანონებს კი არ ეკუთვნის, არამედ – გონიერ მეფეს» («პოლიტიკოსი», 294a).^[49]

აქვე უცხოელი უმცროს სოკრატეს ეუბნება: «რადგან კანონი ვერასოდეს მოიცვას საუკეთესოს და ყველაზე სამართლიანს და ვერ დაადგენს ყველასთვის უმჯობესს» («პოლიტიკოსი», 294a-b).^[50] საერთოდ უნდა ითქვას, რომ პლატონის შემოქმედებაში ხშირად დგება ეჭვქვეშ კანონის მართებულობა. უფრო ხშირად პლატონი ამას მისი დიალოგების ე. წ. სოფისტ მოსაუბრეებს ათქმევინებს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სოფისტებისათვის ზოგადად დამახასიათებელი იყო ბუნებისა და კანონის დაპირისპირება. novmo»-fuvs»-ის ცნობილი ანტიითეზა პირველად თავს სოფისტებთან იჩენს.^[51] მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს სხვა დიალოგებიდან.

ცნობილი სოფისტი პროტაგორასი თავის შეხედულებებს კანონთან დაკავშირებით მითის სახით აყალიბებს. ის ამბობს, რომ ზევსმა ადამიანებს შთაუწერა რიდი და სამართალი, რათა მათ ერთმანეთი არ მოესპოთ, რადგან მათ გარეშე ადამიანთა ერთობა – სახელმწიფო – ვერ იარსებებს («პროტაგორასი», 322d).^[52]

ამასთან, განსხვავებით ხელობის სხვა სახეებისაგან, რომლებსაც ზოგი ფლობს, ზოგი კი – არა, რიდი და სამართალი ყველას საკუთრებაა. ამის შემდეგ ადამიანი უკანონობისთვის ისჯება, მაგრამ იგი ისჯება არა ჩადენილი უკანონობისთვის, არამედ იმ მიზნით, რომ მომავალში სხვამ არ გაიმეოროს მისი დანაშაული («პროტაგორასი», 324b).^[53] ამიტომ ყოველი მშობელი თუ მასწავლებელი ცდილობს კანონის შესაბამისი ცხოვრება და მოქმედება ასწავლოს ბავშვს («პროტაგორასი», 326d).^[54]

პლატონის დიალოგში პროტაგორასის მიერ მოყვანილი მითი სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული. შეიძლება

ვინმემ იფიქროს, რომ სოფისტს სამართალი ადამიანისათვის ღვთაებისგან ბოძებულად მიაჩნია. უ. გათრი კი, ამბის გადმოცემის აშკარად მითოსური ხასიათის გათვალისწინებით, აგრეთვე რელიგიისადმი პროტაგორასის სკეპტიკური დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ასკვნის, რომ ამ მითში პროტაგორასი ადამიანთა მიერ კანონთა აუცილებლობის შეგნებამდე მისვლაზე მოგვითხრობს, რაც პრაქტიკული საჭიროებით იყო გამოწვეული.^[55]

ამ აზრს პირდაპირ გადმოგვცემს «სახელმწიფოში» გლავკონი, როგორც საქვეყნოდ აღიარებულ შეხედულებას («სახელმწიფო», 359a).^[56]

მეორე ცნობილი სოფისტი ჰიპიასი ფიქრობს, რომ კანონი ტირანია და მრავალ ადამიანს ისეთი რამის გაკეთებას აიძულებს, რაც ბუნებას ეწინააღმდეგება, თუმცა ისიც აღიარებს კანონის მნიშვნელობას სახელმწიფოსათვის.

ამასთან, აღნიშნავს, რომ თუმცა კანონებს სახელმწიფოს საკეთილდღეოდ ადგენენ, სარგებლობა მხოლოდ სწორად დადგენილ კანონს მოაქვს, არასწორად დადგენილი კი, პირიქით, სახელმწიფოსთვის მავნეა («მცირე ჰიპიასი», 284d).^[57] აქედან გამომდინარე, ჰიპიასი კანონებსა და მათდამი მორჩილებას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, რადგან ხშირად კანონმდებლები საკუთარი შეხედულებებისამებრ თავად ცვლიან კანონებს.

პლატონთან სოფისტების შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი წარმომადგენლებისა და მათი მიმდევრების შეხედულებებსაც ვხვდებით კანონის შესახებ, რომლებიც აღიარებენ, რომ მათთვის არ აქვს მნიშვნელობა სამართლიანსა და უსამართლოს, მთავარია იყო ძალმოსილი («გორგიასი», 468e-469e).^[58] რომ კანონი არის ხელოვნური შეზღუდვა, რომელიც სუსტების მიერაა დადგენილი იმ მიზნით, რომ ისინი ძლიერებზე ამაღლდნენ, ძლიერნი კი ბუნების კანონებს ემორჩილებიან, რომლებიც არ ემთხვევა დადგენილს («გორგიასი», 483b-c).^[59] რომ სამართლიანობა რეალურად არის ის, რაც სურს ძლიერს («სახელმწიფო», 339a).^[60] რომ უსამართლო პრაქტიკულად ყოველთვის ჯაბნის სამართლიანს («სახელმწიფო», 343d-344e).^[61] რომ საბოლოოდ სწორედ უსამართლობაა პრაქტიკულად სასარგებლო.

ანტიფონი თავის წიგნში «ქეშმარიტების შესახებ» წერს, რომ კანონების უმრავლესობა ბუნებას ეწინააღმდეგება. კანონებს ის უწოდებს «ბუნების ბორკილებს».^[62] როგორც ცნობილია, რიც საკითხებთან მიმართებაში პლატონი/ სოკრატე ძლიერ ჰგავდნენ

სოფისტებს. ვფიქრობ, კანონის შესახებ პლატონის დიალოგებში ასე ხშირად გატარებული მოსაზრება არ უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ სოფისტებს და უმართებულო არ იქნება იმის თქმა, რომ ამ მოსაზრებას გარკვეულწილად პლატონიც იზიარებდა. დავუბრუნდეთ ისევ «პოლიტიკოსს» და მასში სახელმწიფო მართვის ფორმების თეორიას. პლატონი აქ უცხოელის მეშვეობით გამოხატავს სიმპათიას ერთპიროვნული მმართველობის (მონარქიის) მიმართ და უმცირესობის მმართველობის (ოლიგარქიის) მიმართ.

უცხოელი პირდაპირ ამბობს: «პატარა [ჯგუფში], უმცირესობაში ან ერთში უნდა ვეძიოთ სახელმწიფოს სწორად მართვის ერთადერთი ფორმა, დანარჩენები კი მიბადვად უნდა ჩაითვალოს, და როგორც ცოტა ხნის წინ ითქვა, ზოგიერთი უკეთესს ბადავს, ზოგი კი – უარესს.» («პოლიტიკოსი», 297c). [63] თუმცა ის კარგად აცნობიერებს, რატომ არაა ამ ქვეყანაში მიღებული და მოსაწონი ამგვარი მმართველობა. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანებს არ ჰყავთ მცოდნე და სამართლიანი მმართველი. შესაბამისად, უცოდინარ და უსამართლო მმართველს მხოლოდ ბოროტება მოაქვს მათთვის: «ადამიანები კი უკმაყოფილონი არიან ამგვარი ერთი მონარქით, არ ენდობიან მას და თვლიან, რომ არასოდეს არავინ იქნება ამგვარი მმართველობის ღირსი, რადგან უნდა სურდეს და შეეძლოს სიქველითა და ცოდნით მართვა, სამართლიანად და სწორად ყველასთვის [მისი] შესაფერისის განაწილება, ისინი კი ღუპავენ, ხოცავენ და ბოროტებას უკეთებენ თითოეულს, ვისაც კი მოისურვებენ. თუკი გაჩნდებოდა ისეთი, როგორსაც ვამბობთ, ეყვარებოდათ და მის სწორ და ზუსტ ერთპიროვნულ მმართველობაში ბედნიერად იცხოვრებდნენ» («სახელმწიფო», 301c-d). [64]

განხილვის შემდეგ პლატონი (უცხოელი) მიდის იმ დასკვნამდე, რომ, რაკი ქვეყანაში არაა ისეთი მმართველი, როგორიც ის ჭეშმარიტად უნდა იყოს, ამიტომ საჭიროა კანონებისა და დადგენილებების წერა და შემდეგ მათ შესაბამისად მოქმედება: «ახლა კი, როცა ასეთი მეფე, როგორსაც ვამბობთ, სახელმწიფოებში არ იბადება ისე, როგორიც ფუტკართა ოჯახში, რომელიც მაშინვე გამორჩეულია სხეულითა და სულით, საჭიროა ერთად შეკრებილებმა დადგენილებები ვწეროთ» («პოლიტიკოსი», 301d-e). [65] ზემოთ შევეცადე წარმომედგინა ყველა ის პასაჟი, რომელიც ასახავს პლატონის მიერ ამ დიალოგში გადმოცემული პოლიტიკის თეორიას. დასასრულს, კი მინდა შევეხო დიალოგის დასკვნით

ნაწილს, ბოლო აბზაცს, რომელიც პოლიტიკოსის საბოლოო დეფინიციას გვთავაზობს:

«მეფობის ხელოვნება პირდაპირი ქსოვით ერთმანეთს აქსოვს მამაცი და კეთილგონიერი ადამიანების ხასიათს, ერთსულოვნებითა და მეგობრობით ერთმანეთთან აკავშირებს მათ ცხოვრებას და ამგვარად ქმნის დიდებულ და საუკეთესო ქსოვილს, მთელ სახელმწიფოში ყველასათვის საზიაროს, როგორც მონების ისე თავისუფალი [ადამიანებისთვის]; შემოახვევს მათ ამ ქსოვილს და ისე მართავს და ხელმძღვანელობს, რომ არაფერი დააკლოს, რაც ბედნიერ სახელმწიფოს შეეფერება.» («პოლიტიკოსი», 311b-c).

[66] პოლიტიკოსის უკანასკნელ დეფინიციაში კარგად ჩანს, რომ მისი საქმიანობა ორგანულადაა დაკავშირებული ქსოვის ხელოვნებასთან.

პოლიტიკოსს, ისევე როგორც ქსოვის დიდოსტატს, უნარი უნდა ჰქონდეს ერთმანეთთან ისე შეაკავშიროს ყველა დეტალი, რომ საბოლოოდ მიიღოს გამართული სახელმწიფო (ქსოვილი), რომლის სიკეთეც ყველასათვის საზიარო იქნება.

თუ კიდევ ერთხელ გამოვყოფთ პოლიტიკოსისათვის აუცილებელ ნიშან-თვისებებს ამ დიალოგის მიხედვით, ვნახავთ, რომ აქ აშკარა და თვალსაჩინოა პლატონის იდეალიზმი. ის ჭეშმარიტ მმართველს დიალექტიკოსთან აიგივებს. მმართველის მთავარი თვისება ცოდნა და სამართლიანობა უნდა იყოს, მას უნდა შეეძლოს ჭარბისა და ნაკლულის თავიდან არიდება და ამ გზით ზომიერების დაცვა. დაბოლოს, პოლიტიკოსის მთავარი უნარი, სხვადასხვა ჯგუფების ერთმანეთთან შეკავშირება, შეერთება (ქსოვა) უნდა იყოს. მხოლოდ ამ უნარების მატარებელი მმართველი შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტად პოლიტიკოსად, სხვა დანარჩენი კი – მხოლოდ მის მიბაძვად. სამწუხაროდ, არსებული მმართველები მოკლებულნი არიან ამ თვისებებს. სწორედ ამის გამო, მნიშვნელობა არ აქვს მართვის რეჟიმს ვინაიდან, რაგინდ კარგად არ უნდა იყოს მოწყობილი სახელმწიფო, უცოდინარი მმართველი მას ბოროტად იყენებს.

ნაშრომის დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ დიალოგის ჩარჩოში პლატონმა გააერთიანა ორი განსხვავებული საკითხი – პოლიტიკა და მეთოდი, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ორი ასპექტი არც ისე შორსაა ერთიმეორისაგან, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. პლატონის აზროვნებაში ეს ორი რამ (პოლიტიკა და მეთოდი) მჭიდრო კავშირშია ერთიმეორესთან. ფილოსოფოსისა და

დიალექტიკოსისათვის არსებობს ერთადერთი ჭეშმარიტი მმართველი. მმართველი არის ის, ვინც იცის, როგორ უნდა მართოს.

თავი III. პლატონის

„პოლიტიკოსის“

სტრუქტურული და

კომპოზიციური ორგანიზაცია

მეცნიერებაში არაერთგზისაა აღნიშნული, რომ პლატონი წარმოადგენს ერთგვარ გარდამავალ ეტაპს ბერძნულ კულტურაში მომხდარი დიდი რევოლუციის – ზეპირიდან წერილობით ტრადიციაზე გადასვლისა. უფრო ზუსტი კი იქნება, თუ ვიტყვით, რომ პლატონის დიალოგები არის გარკვეული სახის ჰიბრიდული მედიუმი, რომელშიც ინფორმაციის შენახვის ტრადიციული, ზეპირი ფორმები შერწყმულია წერილობით ლიტერატურულ სტილთან. ეს მედიუმი შეინიშნება პლატონის დიალოგების სტრუქტურული აგების დონეზე. თავისთავად პლატონის დიალოგები კომპოზიციური ორგანიზაციის მრავალმხრივ საინტერესო ფორმებს ავლენს.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ რა მდგომარეობაა ამ მხრივ «პოლიტიკოსში», ამ ნაწარმოების სტრუქტურის ანალიზს მივმართოთ. უნდა ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით პლატონის მემკვიდრეობა – კერძოდ კი, მისი ნაწარმოებების კომპოზიციური ორგანიზაციის საკითხი – სათანადოდ შესწავლილი არ არის. არადა ნებისმიერი ნაწარმოების შესწავლისას უდიდესი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს მის არქიტექტონიკასა და სტრუქტურას, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ნაწარმოების ინდივიდუალობასა და მხატვრულ ღირსებას^[67].

პლატონის დიალოგებს ფორმალური თვალსაზრისით ორ ჯგუფად ყოფენ, იმისდა მიხედვით, ნაწარმოებს დიალოგის პირდაპირი რეპრეზენტაციის სახე აქვს, თუ იგი ცალკეული პერსონაჟის მიერ მოთხრობილ დიალოგს წარმოადგენს. მათ აღმნიშვნელად შემდეგი ტერმინები გამოიყენება:

არაპირდაპირი, ირიბი, მოთხრობილი (reported, narrated, «dihegmatic») დიალოგი (მასში მოცემულია წარმოსახვითი ავტორის

მიერ გადმოცემული საუბარი) და პირდაპირი, უშუალო, დრამატული (dramatic) დიალოგი (მასში წარმოსახვითი მთხრობელის გარეშე, უშუალოდ არის გადმოცემული საუბარი) [68].

პლატონის დიალოგთა სტრუქტურის ამგვარი კლასიფიკაცია, რა თქმა უნდა, მისაღებია, მაგრამ იგი მიზნად ისახავს ნაწარმოებთა დაჯგუფებას ფორმალური თვალსაზრისით და არა კომპოზიციითა სიღრმისეულ გააზრებას.

სტრუქტურული ანალიზის მხრივ «პოლიტიკოსი» ნამდვილად გამოჩნდება წარმოადგენს. როგორც ჩანს, ნაწარმოების, ერთი შეხედვით, სრულიად მოუწესრიგებელი და ქაოსური აგება მეცნიერთა ინტერესის საგნად იქცა და ამიტომ არაერთმა მკვლევარმა სცადა ამ დიალოგის სტრუქტურის მისეული ანალიზის წარმოდგენა. შევეცდები თითოეული მათგანი განვიხილო და დასასრულს ჩემი ხედვა წარმოვადგინო.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ «პოლიტიკოსი» პლატონის ადრეული და შუა პერიოდის დიალოგებისაგან განსხვავებით ნაკლებად მხატვრულია და იგი ე. წ. დრამატულ დიალოგთა რიცხვს მიეკუთვნება. მასში თითქმის არ გვაქვს მოქმედება, აქ არის წმინდა მსჯელობა და ამდენად ჩვენ უნდა განვიხილოთ მსჯელობის კომპოზიცია, ის, თუ როგორ ნაწილდება დიალოგში ფილოსოფიური პრობლემატიკა.

ერთ-ერთი პირველი, ვინც შეეხო «პოლიტიკოსის» სტრუქტურული ორგანიზაციის საკითხს, არის ს. ჯ. როუ, რომელიც თვლიდა, რომ ამ დიალოგს აქვს კარგად ორგანიზებული სწორი ხაზი, რომელიც გადახვევების გარეშე მიდის დასაწყისიდან ბოლომდე. ს. ჯ. როუ ამგვარ სტრუქტურას პლატონის გვიანდელი დიალოგებისათვის დამახასიათებლად თვლიდა და მიუთითებდა ამ ნაწარმოებების ტრაქტატებთან სიახლოვეზე. ამავე მოსაზრების იყო პ. ტეილორიც.

[69] ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარი ს. როზენი თავის მონოგრაფიაში «პოლიტიკოსის» შესახებ შინაარსშივე გამოყოფს ამ დიალოგის ძირითად სტრუქტურულ ელემენტებს, ესენია:

1. სცენის დადგმა; 2. დიაირესისი; 3. მითი სამყაროს ბრუნვის შესახებ; 4. დიაირესისის შესწორება; 5. პარადიგმები; 6. ქსოვის ხელოვნება; 7. საზომი; 8. კანონის არსი; 9 ქალაქი როგორც სიმულაკრუმი.

62 თუმცა როზენი უფრო შორს არ მიდის და არ ცდილობს გაარკვიოს, თუ რა სტრუქტურული კავშირია ამ ნაწილებს შორის.

[70]

რუსი მკვლევარი ა. ლოსევი «პოლიტიკოსში» შემდეგ კომპოზიციურ ელემენტებს გამოყოფს:

1. შესავალი (257a-258b); 2. პოლიტიკური მოღვაწის შესახებ სწავლების დიალექტიკა (258b-267c); 3. დაყოფის არაადეკვატურობის აღიარება (267c-269c); 4. კოსმოსური შემოზღუდვების შესახებ სწავლება, როგორც აუცილებლობა მეფის განსასაზღვრად (269c-274d); 5. დასკვნები კოსმოლოგიიდან და წინა მსჯელობის შედეგების გადახედვა (274d-292c); 6. სრულყოფილი პოლიტიკოსის დამოუკიდებლობა კანონებისა და ხელოვნებებისგან (292d-297c); 7. ნაკლებად სრულყოფილი მმართველობის ბაძვითი ფორმების შესახებ სწავლება, რომლებისთვისაც აუცილებელია კანონის დაქვემდებარება (297c-303d); 8. პოლიტიკის რიტორიკის, სამხედრო და სასამართლო საქმეებიდან გამოყოფა და სამეფო ქსოვის შესახებ სწავლება (303d-311c). [71]

ა. ლოსევის ეს დაყოფებიც ზოგადად დიალოგის კომპოზიციის გამოვლენას ეხება და არაა ფოკუსირებული სხვადასხვა ელემენტთა შორის კავშირზე. ის არ ცდილობს გაარკვიოს, რამდენად ერთიანია დიალოგი.

მ. მილერის გამოკვლევა «ფილოსოფოსი პლატონის «პოლიტიკოსში» ამ დიალოგის დეტალურ ანალიზს გვთავაზობს. მონოგრაფიის დასასრულს წარმოდგენილია «პოლიტიკოსის» სტრუქტურის მონახაზი, თუმცა თავად მონოგრაფიაში გაანალიზებული არ არის სტრუქტურის კავშირი შინაარსთან. სტრუქტურის მონახაზი კი ასე გამოიყურება:

(0) მოქმედების დაწყება (257a-258b)

(1) საწყისი დიაირესისი (მწყემსი-მმართველის გაგება) (258b-267c)

1. საწყისი პროცესი (ორმაგი დიაირესისი) (258b-261e)

2. გადახრა მეთოდიდან (262a-264b)

a. უარყოფა (ცალ მხარეს მიყოლა და «განახევრება») (262a-263b)

b. რეორიენტაცია («განახევრების» ილუსტრირება) (263c-264b)

3. განახლება და დიაირესისის [ირონიული] დასრულება (264b-267c)

(2) შეფერხება და გადახრა (267c-287b)

A. მითი (მწყემსი-მმართველის გაგების უარყოფა) (267c-277a)

a. უცხოელის წინააღმდეგობა (267c-268d)

b. მითი (268d-274e)

c. საწყისი დეფინიციების რევიზია მითის ფონზე (274e-277a)

B. მიბრუნება პარადიგმასთან (რეორიენტაცია, მესოველის ახალი პარადიგმის წარმოდგენა) (277a-287b)

1. პარადიგმის საჭიროება (277a-279a)

2. მესოველის პარადიგმატული დიაირესისი (279a-283a)

a. საწყისი დიაირესისის ასახვა (279c-280a)

b. უცხოელის წინააღმდეგობის ასახვა (280a-281d)

(i) შეცდომისა და წინააღმდეგობის გამეორება (280a-e)

(ii) შემდგომი დაყოფების საჭიროების განმარტება (281a-d)

c. განახლება და დიაირესის დასრულება (281d-283a)

3. საჭირო საზომის დოქტრინა (283b-287b)

a. საჭირო საზომის გაცხადება (283c-285c)

(i) საჭირო და შესაფერისი საზომების განსხვავება (283c-e)

(ii) საჭირო საზომი და სახელმწიფო მართვა (283e-284d)

(iii) საჭირო საზომი და დიაირესისი (284e-285c)

b. მინიშნება დიალოგის საჭირო მიზნებზე (285c-286b)

c. საჭირო საზომის გამოყენება (286b-287b)

(3) დიაირესისის განახლება და დეფინიციის (მედიაციური) დასრულება (287b-311c)

1. პარადიგმის გამოყენება, პირველი ნაბიჯები (287b-290e)

a. მიზეზის დამხმარე ხელოვნებები (287b-289c)

b. თავად მიზეზს დაქვემდებარებული ხელოვნებები (289c-290e)

2. გადახრა: სახელმწიფო მართვა, სამართალი, სახელმწიფო მოწყობა (291a-303d)

a. ჭეშმარიტი კრიტერიუმი (291a-293e)

(i) მიღებული პოლიტიკური კლასიფიკაციები (291d-292a)

(ii) წინააღმდეგობა: ცოდნა როგორც ჭეშმარიტი კრიტერიუმი (292a-c)

(iii) მიღებული კრიტერიუმების უარყოფა (292d-293e)

b. მედიაციის გზები (293e-301a)

(i) პარადიგმა – მცოდნე მმართველი საუკეთესოა (293e-297c)

[1] მისი უპირატესობა კანონზე (293e-295b)

[a] სამართლის აბსტრაქტულობა (294a-c)

[b] კანონების მწვრთნელის მიერ გამოყენების პარადიგმა (294d-e)

[c] პოლიტიკოსის გამოყენება (294e-295b)

[2] ექიმის მიერ მკურნალობის შეცვლის პარადიგმა (295b-296a)

[3] პოლიტიკოსისა და კანონის გამოყენება (296a-297c)

(ii) კანონით მართვა როგორც უარესი, ვიდრე ცოდნით მართვა და უკეთესი, ვიდრე ძალადობით მართვა (297c-301a)

c. მიღებულ კრიტერიუმებთან ფილოსოფიური მიდგომა (301a-303d)

(i) მიღებული კრიტერიუმების ხელახლა თავმოყრა (301a-c)

(ii) მცოდნე მმართველის როგორც საუკეთესოს დადგენა (301c-302b)

(iii) ინტეგრირება (302b-303d)

3. პარადიგმის გამოყენების განახლება (303d-311c)

a. დიაირესისის ბოლო ნაბიჯი (303d-305e)

b. მესოველის სახის გამოყენება (305e-311c)

(i) ტემპერამენტთა «საოცარი» ოპოზიცია (306a-308b)

(ii) მასწავლებლების წინასწარი მუშაობა (308b-309b)

(iii) პოლიტიკოსის მიერ მოქალაქეების ერთმანეთთან შეკავშირება (ქსოვა) (309b-311c). სტრუქტურის წარმოდგენილი ვერსია ზედმიწევნით დეტალიზებული და ჩემი აზრით, დამაბნეველია. ვფიქრობ არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ ეს სტრუქტურა ეთანხმება მოსაზრებას, რომ პლატონის «პოლიტიკოსი» ცუდადაა ორგანიზებული და მოიცავს ბევრ ისეთ საკითხს, რომელიც არ უნდა იყოს მნიშვნელოვანი პოლიტიკოსის სახის კვლევისას.

დიალოგის სტრუქტურული ანალიზის ცდებს შორის საგანგებოდ გამოვყოფდი ჟ. პ. მერილის სტატიას «პლატონის «პოლიტიკოსის» ორგანიზაცია და პოლიტიკოსის როგორც მწყემსის როლი».^[73] ჟ. პ. მერილი თავიდანვე ხაზს უსვამს, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს პლატონის შემსწავლელისათვის დიალოგის ორგანიზაციის შესწავლას. ის ამტკიცებს, რომ ამ დიალოგს წრიული სიმეტრია აქვს და დიალოგის როგორც წრის განხილვა ნათელს ფენს მის შინაარს ბევრ ასპექტში. ამასთან, ის მიიჩნევს, რომ უცხოელი პოლიტიკოსის მმართველობას მწყემსობას ადარებს და წრიული სტრუქტურაც სწორედ ამ დახასიათებას უწყობს ხელს. მეცნიერი იქვე შენიშნავს, რომ პლატონის დიალოგებისთვის წრიული სიმეტრია უცხოა, მაგრამ ეს არაა პირველი შემთხვევა, ვინაიდან დ. ვეგელინიც ორგანიზაციის ამგვარ პრინციპს აღწერს «სახელმწიფოში» (იმ განსხვავებით, რომ ის არ იყენებს ტერმინს «წრიული»). უნდა აღინიშნოს, რომ «სოფისტის» ჩემ მიერ წარმოდგენილ ანალიზში ასევე მივუთითებ ამ დიალოგის წრიულ კომპოზიციაზე, რაც აგრეთვე ფორმის შინაარსთან კავშირითაა განპირობებული.^[74]

ჟ. პ. მერილი თვლის, რომ თავისთავად წრიული სტრუქტურა შეინიშნება ტრილოგიაში «თეეტეტოსი», «სოფისტი», «პოლიტიკოსი.» სწორედ ეს სამი დიალოგი ერთიანობაში ქმნის საკითხს და იძლევა მისი სწორი გაზრების საშუალებას. ამ ტრილოგიის შესავალს წარმოადგენს «თეეტეტოსის» დასაწყისში წარმოდგენილი საუბარი ევკლიდესა და ტერფსიონს შორის («თეეტეტოსი», 142a-143c), საიდანაც ჩვენ ვიგებთ, რომ როდესაც სოკრატე ელოდა სასამართლოს, მან უამბო ევკლიდეს საუბრები, რომლებიც გაიმართა თეოდოროსის სკოლაში. ევკლიდემ ჩაიწერა ეს მონათხრობი და შემდეგ სოკრატესთან ერთად დააზუსტა ჩანაწერი. ამდენად, ტრილოგია – «თეეტეტოსი», «სოფისტი», «პოლიტიკოსი» – სოკრატეს ნაამბობის ევკლიდესეულ ჩანაწერს წარმოადგენს.

დავუბრუნდეთ «პოლიტიკოსის» ორგანიზაციის საკითხს. მერილი

დიალოგში გამოყოფს ორგანიზაციის სქემის 5 ძირითად ელემენტს. ესენია:

(A) შეკითხვა, თუ როგორ უნდა განისაზღვროს პოლიტიკოსი, (B) ადამიანები ჯოგურ საზოგადოებაში, (C) პოლიტიკის ხელოვნებისგან განსხვავებული ხელოვნების წარმომადგენლები, (D) პოლიტიკოსი, მისი ხელოვნება და ცოდნა, (E) ქსოვის მეთოდი და პარადიგმა. სქემატურად კი დიალოგის კომპოზიცია შემდეგნაირად შეიძლება გამოიხატოს:

კავშირი «თეეტეტოსსა» და «სოფისტთან» (257a-258a) შესავალი:

A. შეკითხვის წამოწევა, თუ როგორ უნდა განისაზღვროს პოლიტიკოსი (258b-261a)

პირველი ნაწილი: უწესრიგო პოლიტიკა

B. ადამიანები ჯოგურ საზოგადოებაში (261a-267d)

C. პოლიტიკის ხელოვნებისგან განსხვავებული ხელოვნების წარმომადგენლები (267e-268d)

D. მითში წარმოდგენილი პოლიტიკოსი (268d-275a)

C. პოლიტიკის ხელოვნებისგან განსხვავებული ხელოვნების წარმომადგენლები (275b-277c)

მეორე ნაწილი: ფილოსოფია

E. ქსოვის მეთოდი და პარადიგმა

E1. მეთოდი: პარადიგმების გამოყენება (277d-278e)

E2. ქსოვის პარადიგმა (279a-283a)

E1. მეთოდი: საშუალება (283b-287a)

მესამე ნაწილი: პოლიტიკოსის მოწესრიგებული პოლიტიკა

C. პოლიტიკის ხელოვნებისგან განსხვავებული ხელოვნების წარმომადგენლები (287a-291c)

D. პოლიტიკოსი და მისი რეჟიმი

D1. რეჟიმების ტიპოლოგია: არასწორი ცდა (291c-292d)

D2. პოლიტიკოსი როგორც კანონმდებელი (292e-302b)

D1. რეჟიმების ტიპოლოგია: ახალი ცდა (302b-303c)

C. პოლიტიკის ხელოვნებისგან განსხვავებული ხელოვნების წარმომადგენლები (303c-305e)

B. ადამიანები ჯოგურ საზოგადოებაში (305e-311b)

დასკვნა:

A. პასუხი შეკითხვაზე, თუ როგორ უნდა განისაზღვროს პოლიტიკოსი (311b-311c)

როგორც ამ სტრუქტურიდან ირკვევა დიალოგის ერთიან წრეში კიდევ სხვა წრეებია განლაგებული. პოლიტიკოსისა და მისი ხელოვნების შესახებ მსჯელობა გარშემორტყმულია პოლიტიკის ხელოვნებისგან განსხვავებული ხელოვნების წარმომადგენლებზე მსჯელობებით, რაც დიალოგში ორჯერ ქმნის CDC წრის სტრუქტურას. ქსოვის პარადიგმა გარშემორტყმულია მეთოდზე მსჯელობით, რაც ქმნის E1E2E1 წრის სტრუქტურას.

პოლიტიკოსზე როგორც კანონმდებელზე მსჯელობა კი შიმოსაზღვრულია რეჟიმების ტიპოლოგიებით, რაც ქმნის D1D2D1.

[75] მერილის ამ თვალსაზრისის თანახმად, ორგანიზაციული სქემის სამი ელემენტი შეესაბამება ქსოვის პარადიგმის იმ სამ ძირითად ელემენტს, რომელსაც უცხოელი გვთავაზობს, როგორც პოლიტიკოსის ხელოვნების პარადიგმას.

წარმოვადგენ «პოლიტიკოსის» სტრუქტურული და კომპოზიციური ორგანიზების ჩემ ვერსიას, რომელიც კვლევის ორ პარალელურ მიდგომას ასახავს, იმის მიხედვით, თუ რას მივიჩნევთ სტრუქტურულ ერთეულად.

ჩემი აზრით, «პოლიტიკოსი» კარგად დაგეგმილი და მოწესრიგებული დიალოგია და მთლიანობაში, ისევე როგორც პლატონის ყველა სხვა დიალოგი, იყოფა შესავალ ძირითად და დასკვნით ნაწილებად. ამასთან, «პოლიტიკოსის» სტრუქტურა მთლიანობაში ასე შეიძლება გამოსახოს:

A. შესავალი (257a-258b) რომელიც, ერთი მხრივ, წარმოადგენს საკითხის დასმას და, მეორე მხრივ, ეხმაურება წინა დიალოგებს. შესავალში გაწერილია საკვლევი თემა (ვინ არის ჭეშმარიტად პოლიტიკოსი) და განსაზღვრულია ვინ იქნებიან დიალოგის მთავარი მოქმედი პირები ანუ თანამოსაუბრეები (უცხოელი და უმცროსი სოკრატე).

B. ძირითადი ნაწილი (25bb-311b):

C. მსჯელობის მეთოდზე შეთანხმება (258b-c)	პარადიგმა:
D. ხელოვნების დაყოფა (258d-262a)	პოლიტიკოსი
C ₁ . მეთოდის პირველი მარცხი (262a-264c)	როგორც ჯოგების
D ₁ . ხელოვნების ხელახალი დაყოფა (264d-266b)	მმართველი
C ₂ . მეთოდის მარცხი (266c-266d)	A
D ₂ . ხელოვნების დაყოფებთან დაბრუნება (266e-267c)	
C ₃ . მეთოდის არასრულყოფილება. მითის ანუ ახალი მეთოდის შეთავაზება (267c-274e) – თავისთავად მითი, ერთი მხრივ, არის მეთოდი პოლიტიკოსის საკვლევად, ხოლო, მეორე მხრივ, ის შინაარსობრივად ორგანულ კავშირშია დიალოგის ძირითად თემასთან, რადგან ქვეყნის მართვის სისტემების მითოლოგიურ წარმოდგენებს ასახავს.	სახელმწიფო მართვის ფორმები (მითოლოგიური წარმოდგენები). B
D ₃ . ხელოვნების დაყოფებთან დაბრუნება (275d-277a)	აუცილებელი თვისება – ქსოვის
C ₄ . მეთოდის შეცდომასთან დაბრუნება (277a-279c)	(შეკავშირების უნარი)
D ₄ . ხელოვნების დაყოფა (279c-283b)	C
C ₅ . მეთოდზე მსჯელობა (283c-284d)	აუცილებელი თვისება – საზომის
D ₅ . ხელოვნების დაყოფა (284e-285c)	საჭიროების – ქარბისა და
C ₆ . მეთოდზე მსჯელობა (285c-286c)	ნაკლულის გაცნობიერება.
D ₆ . ხელოვნების დაყოფა (286c-291c)	C ₁
სახელმწიფო მართვის ფორმები (291d-305e)	სახელმწიფო მართვის ფორმები B ₁
C ₇ . მეთოდთან (ქსოვის ხელოვნებასთან) დაბრუნება (306a-311b)	პარადიგმა: პოლიტიკოსი როგორც ქსოვის დიდოსტატი A ₁

A. დასკვნა (291d-305e) რომელიც წარმოადგენს პასუხს საკითხზე, ვინ არის ჭეშმარიტად პოლიტიკოსი. როგორც ზემოთ ნაჩვენები სქემიდან ირკვევა, ერთი მხრივ, ეს დიალოგი შეიძლება განვიხილოთ როგორც პარალელური დაყოფის სქემით ორგანიზებული ნაწარმოები (თუ სტრუქტურულ ერთეულად დიალოგისათვის დამახასიათებელ ელემენტს ავიღებთ), ხოლო მეორე მხრივ, – როგორც წრიული სქემით შექმნილი (თუ სტრუქტურულ ერთეულად დიალოგში გაშლილ ძირითად თემატიკას მივიჩნევთ).

ორივე შემთხვევაში დიალოგს კრავს შესავალი და დასკვნა, ანუ ის

სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ეხება საკითხს, «თუ ვინ არის ჭეშმარიტად პოლიტიკოსი». პირველ შემთხვევაში (შესავალში) ესაა საკითხის დასმა, ხოლო მეორეში (დასკვნაში) – პასუხი დასმულ საკითხზე.

პირველი დაყოფისას ჩვენ ერთეულად ავიღეთ საკვლევი საკითხის შინაარსსა და კვლევის მეთოდზე მსჯელობა. თუ დავაკვირდებით სქემის მარჯვენა სვეტს, შევნიშნავთ, რომ მთლიანი ნაწარმოები დაყოფილია შემდეგი წრიული სქემით: ABA, სადაც A ნიშნავს შესავალსა და დასკვნას, ხოლო B -ძირითად ნაწილს. თავად BB ნაწილში კი შეინიშნება ორი C და D ელემენტის მონაცვლეობა, სადაც C ეხება კვლევის მეთოდის შერჩევას/ შეცვლას/უარყოფას, ხოლო D – ხელოვნებების დაყოფებს ასახავს. A ელემენტის თავსა და ბოლოში არსებობა განაპირობებს წრიული კომპოზიციურობისაკენ სწრაფვას, მაგრამ ამას ხელს უშლის საკუთრივ ორ A ელემენტს შორის მოქცეული C და D ელემენტის მონაცვლეობა, რომელიც ამჟღავნებს პარალელური დაყოფისათვის დამახასიათებელ სტრუქტურას.

მთლიანობაში ეს სქემატურად ასე შეიძლება გამოვხატოთ: ACDC-1D1C2D2C3D3C4D4C5D5C6D6C7A.

რაც შეეხება სქემის მარჯვენა სვეტს, აქ სტრუქტურულ ერთეულად აღებულია ძირითადი ნაწილის თემატიკა, რომელიც უფრო მსხვილ ბლოკებად იყოფა და სქემატურად ასე შეიძლება გამოისახოს: ABCC1B1A1.

A ელემენტები წარმოადგენს პოლიტიკოსის ორ ძირითად პარადიგმას, ერთ შემთხვევაში ესაა ჯოგების მმართველი/მწყემსი, ხოლო მეორეში – ქსოვის ხელოვნების დიდოსტატი. B ელემენტები წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის ფორმებს, ერთ შემთხვევაში, მითოლოგიურს, ხოლო მეორეში – რეალურს. ხოლო C ელემენტები პოლიტიკოსისათვის დამახასიათებელ აუცილებელ თვისებას. ერთ შემთხვევაში, ესაა ქსოვის (შეკავშირების) უნარი, ხოლო მეორეში – საზომის გაცნობიერებისა და ჭარბისა და ნაკლულის განსხვავების უნარი. ამ შემთხვევაში სახეზე აშკარა წრიული სიმეტრიაა.

პლატონის «პოლიტიკოსის» წრიული და პარალელური სქემით აგება მნიშვნელოვანია ჩვენთვის ტექსტის ინტერპრეტირებისას იმდენად, რამდენადაც ძალიან ხშირად დიალოგის ცალკეულ ნაწილებს ერთმანეთისაგან განცალკევებით განიხილავენ და ამის

შედეგად დიალოგს ცუდად ორგანიზებულად მიიჩნევენ. ვფიქრობ, დიალოგის ასე აგება სრულიად ბუნებრივი მოვლენაა და მისი ეს ფორმა გამოწვეულია თავად დიალოგის შინაარსით. მოლოდინი იმისა, რომ პოლიტიკოსის განსაზღვრა არგუმენტების მწყობრი თანმიმდევრობითა და საბოლოო დასკვნით შეიძლება მოხდეს, ბუნებრივია ტრაქტატის შემთხვევაში, მაგრამ სრულიად არაბუნებრივი დიალოგური მსჯელობისათვის და მით უფრო, ისეთი სადავო და სერიოზული საკითხის განხილვისას, როგორიც პოლიტიკოსის ბუნებაა.

უცხოელსა და უმცროს სოკრატეს სჭირდებათ თემიდან გადახვევა (ერთი შეხედვით), ხელახლა მსჯელობა და საბოლოოდ დასმულ საკითხთან დაბრუნება. ვფიქრობ, სწორედ ტექსტის ორგანიზების ამგვარი ფორმა ეხმარება მკითხველს პლატონის ჭეშმარიტი მეთოდოლოგიისა და არგუმენტირების ანალიზში. როგორც უ. გათრი შენიშნავდა, პლატონის პრეზენტაციის მეთოდი მოიცავს იმ უამრავ კავშირს, რაც პლატონის გონებაშია, მაგრამ ჩვენ ეს შეიძლება გამოგვრჩეს, ეს კი პირველ რიგში მეთოდსა და განსახილველ საკითხს შორის კავშირებს ეხება.

რა ასპექტში შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი «პოლიტიკოსის» სტრუქტურა მისი შინაარსისთვის? პირველ რიგში, დიალოგის სტრუქტურული ანალიზის შედეგი გვეხმარება გავაცნობიეროთ კავშირი ამ ნაწარმოების ერთი შეხედვით განცალკევებულ და კონტექსტიდან ამოვარდნილ თემებს შორის. აღვნიშნავ, რომ პარალელური დაყოფისას გამოკვეთილი ორი კომპონენტი კავშირშია პლატონის ერთიან მსოფლმხედველობასა და ფილოსოფიასთან. მწერალი ყოველთვის მიიჩნევდა, რომ ჭეშმარიტება მხოლოდ დისკუსიის გზით შეიძლება იყოს მიგნებული. ამდენად, მთელი ის კომპონენტი, რომელიც მეთოდს ეხება, სწორედ ამ მოსაზრებას ამყარებს. პლატონი ამ დიალოგში არაერთგზის გვიჩვენებს, როგორ შეიძლება ერთი შეხედვით სწორი არგუმენტი გაბათილდეს და ფუჭად იქცეს.

ამდენად, აუცილებელია თანამოსაუბრეები მსჯელობისას არაერთხელ დაუბრუნდნენ ამა თუ იმ არგუმენტს და ამასთან, შეამოწმონ მეთოდის მართებულობა.

და მაინც, ტექსტის მთლიანი ორგანიზების ფორმა გამოწვეულია პოლიტიკოსის გვარის რთული და გადამწყვეტი მნიშვნელობით.

ყველა ერთი შეხედვით სხვა ასპექტი, – იქნება ეს მითი კრონოსის ეპოქის შესახებ, ქსოვის პარადიგმა თუ ჯოგურად გამოზრდის ხელოვნება, – განსაკუთრებულად ახლოსაა პოლიტიკოსისა და მისი ხელოვნების რაობასთან.

მიმართავდა თუ არა პლატონი დიალოგის სტრუქტურული ორგანიზაციის ამგვარ სტილს გაცნობიერებულად? ვფიქრობ, ამას განაპირობებდა თვითონ ფილოსოფიური დიალოგის სპეციფიკა. პლატონს სურდა, რომ მის მსმენელს მასთან ერთად ეკვლია. იმისათვის კი, რომ აუდიტორია კარგად აჰყოლოდა საუბრის დინამიკას და მიღებული დასკვნები არ დავიწყებოდა, მას სჭირდებოდა ერთი და იმავეს შეხსენება, ხაზგასმა. შესაძლოა, ამიტომაც ხდება ისე, რომ ეპიზოდებისათვის დამახასიათებელ სტრუქტურულ ორგანიზებაში თითოეული ელემენტი ორჯერ მეორდება. ერთხელ მის წარმოსაჩენად და მეორედ – ხაზგასასმელად, მკითხველისათვის შესახსენებლად. ანუ სტრუქტურული და კომპოზიციური ორგანიზაციის ის ფორმა, რომელიც ამ დიალოგში იჩენს თავს, არ უნდა ყოფილიყო პლატონის თვითმიზანი. ამას ალბათ უფრო ფილოსოფიური დიალოგის ლოგიკა და სპეციფიკა განაპირობებდა.

სამწუხაროდ, არსებობს პლატონის დიალოგების სტრუქტურის კვლევის მხოლოდ რამდენიმე ცდა და ჩვენ საშუალება არ გვაქვს განვიხილოთ პლატონის «პოლიტიკოსის» კომპოზიციური თავისებურებები სხვა დიალოგების სტრუქტურული ორგანიზების პრინციპებთან მიმართებაში. კარგი იქნება თუ ეს მდგომარეობა მომავალში შეიცვლება და საშუალება მოგვეცემა პლატონის დიალოგების დაჯგუფებისა მათი სტრუქტურულ-კომპოზიციური აგების პრინციპების შესაბამისად. თუ პლატონის დიალოგებს სტრუქტურული ანალიზის მეთოდით გამოვიკვლევთ, ეს საშუალებას მოგვცემს უფრო ღრმად და ახლებურად გავიაზროთ მისი შემოქმედება.

თავი IV. პლატონის „პოლიტიკოსის“ ტერმინოლოგია

პლატონის შემოქმედების თარგმნისა და ინტერპრეტირებისას მრავალი პრობლემა იჩენს თავს, რომელთაგან ერთ-ერთი ძირითადი ტერმინოლოგიასთანაა დაკავშირებული. როგორ უნდა მოვუძებნოთ ზუსტი ქართული შესატყვისები ბერძნულ ცნებებს? მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ფილოსოფიას და ტექნიკურ ტერმინებს, რომელთა ოდნავ განსხვავებული ნიუანსური ინტერპრეტირებაც კი ფილოსოფიური პრობლემისა და მასთან დაკავშირებული მეცნიერული ნააზრევის მცდარ გააზრებას გამოიწვევს.

ტერმინთა ქართული შესატყვისების მოძიებისას ჯერ კიდევ «სოფისტის» ქართულად თარგმნისას შემდეგ მეთოდოლოგიას მივმართე [76], რომელიც «პოლიტიკოსის» თარგმნისასაც გამოვიყენე: 1. თავდაპირველად განვიხილე ტერმინის მნიშვნელობები თავად ძველ ბერძნულ ენაში; 2. ამ ტერმინის გამოყენების სპეციფიკა პლატონის დიალოგებში; 3. ტერმინის მნიშვნელობა კონკრეტულად «პოლიტიკოსში»; 4. წარმოვადგინე ამ ტერმინის ქართული შესატყვისი.

დიალოგი «პოლიტიკოსი» საინტერესო აღმოჩნდა მასში გამოყენებული ტერმინების მხრივაც. ნაწარმოების ტერმინოლოგიის კვლევის პროცესში გამოვიყენე ციფრული ფილოლოგიის მეთოდიკა, კერძოდ კი პროგრამა Antconc. Antconc-ის დახმარებით: 1. ვცადე გამერკვია, თუ რომელი ტერმინები გვხვდება პლატონის «პოლიტიკოსში» უფრო ხშირად, რაც, ცხადია, უშუალოდაა დაკავშირებული ტექსტის შინაარსსა და კონტექსტთან და 2. გამოვყავი სხვადასხვა თემატური ჯგუფის ტერმინოლოგია, რომელიც ამ დიალოგში გვხვდება. შედეგი საინტერესო აღმოჩნდა.

თავდაპირველად შევქმენი ყველა იმ სიტყვის სია, რომელიც «პოლიტიკოსში» გვხვდება. შემდეგ სიიდან გამოვხშირე არტიკლები, წინდებულები, შორისდებულები, ასევე, საკუთარი სახელები, ვინაიდან დიალოგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ისინი ხშირად მეორდება. ამის შემდეგ დარჩენილი ლექსიკური ერთეულებიდან მივიღე ჩამონათვალი, რომლის თანახმადაც პლატონი «პოლიტიკოსში» ყველაზე ხშირად შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს იყენებს:

levgomai – თქმა, მსჯელობა, საუბარი (150-ჯერ);

givgnomai – წარმოშობა, ქმნალობა (102-ჯერ);

tevcnh, hJ – ხელოვნება, ცოდნა, საქმიანობა (68-ჯერ);

lovgo», oJ – სიტყვა, მსჯელობა, საუბარი (54-ჯერ);
 novmo», oJ – კანონი, წესი (49-ჯერ);
 mevro», to; – ნაწილი (46-ჯერ);
 ajrch,v hJ – საწყისი, სათავე (44-ჯერ);
 gevno», to; – გვარი (41-ჯერ);
 povli», hJ – ქალაქი, პოლისი, სახელმწიფო (41-ჯერ);
 basilikhv, hJ – მეფობის (მართვის) ხელოვნება (39-ჯერ);
 a[rcein – მართვა (39-ჯერ);
 politikov», oJ – პოლიტიკოსი, სახელმწიფო მმართველი (34-ჯერ);
 politikhv, hJ – პოლიტიკის (მართვის) ხელოვნება (30-ჯერ);
 basileuv», oJ – მეფე, მმართველი (30-ჯერ).

ამას კი, ცხადია ლოგიკური ახსნა აქვს. პირველ ადგილზე, როგორც მოსალოდნელია, სიტყვა «levgomai – თქმა, მსჯელობა, საუბარი» გვხვდება, რასაც თავად დიალოგის სპეციფიკა განაპირობებს. პლატონის ზოგადი იდეაა, რომ ნებისმიერი საკითხის განხილვა მხოლოდ მსჯელობისა და ფილოსოფიური საუბრის გზით შეიძლება მოხდეს.

ასევე სრულიად მოსალოდნელია ისიც, რომ მეორე ადგილზე ზოგადად პლატონის ფილოსოფიაში ერთ-ერთი ხშირად გამოყენებული ტერმინი «givgnomai – წარმოშობა, ქმნადობა» გვხვდება.

ამას მოჰყვება ის ტერმინები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ფილოსოფიური მსჯელობის მეთოდთან (gevno», to; – გვარი; lovgo», oJ – სიტყვა, მსჯელობა, საუბარი; mevro», to; – ნაწილი), პოლიტიკის ხელოვნებასა და პოლიტიკოსის განსაზღვრასთან (novmo», oJ – კანონი, წესი; ajrch,v hJ – საწყისი, სათავე; gevno», to; – გვარი; povli», hJ – ქალაქი, პოლისი, სახელმწიფო; basilikhv, hJ – მეფობის (მართვის) ხელოვნება; a[rcein – მართვა; politikov», oJ – პოლიტიკოსი, სახელმწიფო მმართველი; politikhv, hJ – პოლიტიკის (მართვის) ხელოვნება; basileuv», oJ – მეფე, მმართველი.).

თუ დავაკვირდებით ტერმინთა გამოყენების სიხშირეს პლატონის «პოლიტიკოსში», ვნახავთ, რომ ის უშუალო კავშირშია დიალოგის ძირითად თემატიკასა და კონტექსტთან. «პოლიტიკოსი» პირველ რიგში არის ჭეშმარიტი ფილოსოფია, რომელშიც ფილოსოფიური კვლევის მეთოდი და საკვლევი თემატიკა (პოლიტიკის ხელოვნება და პოლიტიკოსი) ერთმანეთთან უშუალოდაა დაკავშირებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, Antconc-ის დახმარებით, გამოვყავი სხვადასხვა თემატური ჯგუფის ტერმინოლოგია, რომელიც ამ დიალოგში გვხვდება და შევადგინე ამ ტერმინთა კატალოგი. ეს ტერმინები შინაარსობრივად პირობითად შემდეგ ძირითად ჯგუფებად შეიძლება დაიყოს:

1 საუბართან, მსჯელობასა და აზროვნებასთან დაკავშირებული ტერმინები; 2. ადამიანის საქმიანობასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ტერმინები; 3. პოლიტიკის ხელოვნებასა და პოლიტიკოსთან დაკავშირებული ტერმინები; 4. ქსოვის ხელოვნებასთან დაკავშირებული ტერმინები.

სათითაოდ წარმოვადგენ შესაბამისი ჯგუფის ტერმინთა კატალოგს.

საუბართან, მსჯელობასა და აზროვნებასთან დაკავშირებული ტერმინები
დიალოგ «პოლიტიკოსის» ერთ-ერთ საინტერესო და მნიშვნელოვან ტერმინოლოგიურ შრეს ქმნის ის ტერმინები, რომლებიც უკავშირდება საუბარს, მსჯელობასა და აზროვნებას. ამ შემთხვევაში პლატონის გზა ასეთია: ის იღებს უკვე არსებულ და ძველ ბერძნულში ფართოდ გავრცელებულ ლექსიკურ ერთეულებს და მათ ტექნიკურ ტერმინებად აქცევს.

ასეთი ტერმინები უხვად გვხვდება ამ კონკრეტულ დიალოგშიც.

თუ რამდენად მრავალფეროვანია პლატონის «პოლიტიკოსში» ამ ჯგუფის ტერმინები ამას ქვემოთ მოყვანილი კატალოგიც მოწმობს:

ajgnoevw – არ ვიცი;

ajdolevsch – ფუჭად მეტყველი;

aijsqavnomai – აღვიქვამ, შევნიშნავ;

ajkouvwn – ვუსმენ;

ajkoluqevw – მივყვები;

ajmavqḥ» – გაუნათლებელი;
ajmartavnw – ვცდები;
ajmavrthma, to; – ცოდვა, შეცდომა;
ajmfignoevw – ვცდები, ვმერყეობ, ვეჭვობ;
ajmfisbhtevw – ვეწინააღმდეგები;
ajnagnwzivzw – შევიცნობ, გავიცნობ;
ajnalambavnw – ვიღებ;
ajnologiva, ḥJ – ანალოგია, შესაბამისობა;
ajnapauvw – შევაჩერებ, შევწყვეტ;
ajneurivskw – აღმოვაჩენ;
ajpergavzomai – გამოვყოფ, აღვწერ, ავსახავ;
ajpokrivnomai – ვპასუხობ;
ajpovkrish», ḥJ – პასუხი;
ajpodevcomai – ვიღებ, ვეთანხმები;
ajpovdeixi», ḥJ – მტკიცება;
ajpomimnhvskomai – ვიმახსოვრებ;
ajporiva, ḥJ – დაბნეულობა;
ajposkopevw – ვაკვირდები;
ajpofaivnw – ვაჩვენებ;
ajpocorivzw – გამოვყოფ;
ajponevmw – გამოვყოფ;
ajforivzw – განვსაზღვრავ;
bouvlomai – მსურს, მირჩევნია;
gignwvskw – შევიმეცნებ;
dhlovw – ვაცხადებ;

diazhtevw – განვიხილავ, გამოვიკვლევ;
diairevw – გამოვყოფ, ვაცალკევებ;
diaivresi», hJ – დაყოფა;
dialevgw – ვირჩევ;
dialevgomai – ვესაუბრები (ვინმეს), ვმსჯელობ, განვიხილავ
(ვინმესთან ერთად);
dialektikov» – დიალექტიკური;
dialhktikh», hJ – დიალექტიკა;
dianevmw – დავყოფ, ვანაწილებ;
dianoevomai – ვმსჯელობ, ვაზროვნებ, ვფიქრობ;
diaskopevw – განვიხილავ;
dievrcomai – ჩამოვთვლი, გადმოვცემ;
diakribovw – ვიკვლევ, განვიხილავ;
dianapauvw – დროებით შევაჩერებ, დავასვენებ;
diafwnevzw – არ ვეთანხმები;
diacwriwzw – გამოვყოფ, განვასხვავებ;
didavskw – ვასწავლი;
diexevrcomai – დაწვრილებით გადმოვცემ;
dievrcomai – აღვწერ, გადმოვცემ;
dionomavzw – ვასახელებ, სახელს ვუწოდებ;
diorivzw – განვსაზღვრავ;
dicotomevw – ორად ვყოფ, შუაზე ვყოფ;
dovxa, hJ – აზრი;
doxavzw – ვფიქრობ, ვაზროვნებ;
ejxeulabevomai – დეტალურად განვიხილავ;
ejkkrivnw – გამოვყოფ, გამოვარჩევ;

ejndeivknumi – ვაჩვენებ, წარმოვადგენ, დავამტკიცებ;
ejnnoevw – ვხვდები, ვგულისხმობ;
ejpakoluqevw – მივყვები;
ejpanorqovw – ვასწორებ;
ejponomavzw – ვუწოდებ;
eu|rivskw – ვპოულობ, აღმოვაჩენ;
zhtev w – ვიკვლევ, ვეძებ;
zhvthma, to; – საკითხი, განხილვის საგანი, კვლევა;
hJgevomai – ვთქვი, ვფიქრობ, მიმაჩნია;
ijdeva, hJ – იდეა;
kaqoravw – ვაკვირდები, შევიმეცნებ;
kalevw – ვუწოდებ, ვასახელებ;
keleuvw – ვარწმუნებ, ვურჩევ;
klh»si», hJ – დასახელება, სახელწოდება;
krivnw – გამოვყოფ, დავასკვნი;
levgomai – ვამბობ;
lovgo», oJ – სიტყვა, აზრი, მსჯელობა;
logismov», oJ – განსჯა;
makrologiva, hJ – ვრცელი სიტყვა;
manqavnw – ვხვდები, ვიგებ;
mevqodo», hJ – კვლევის გზა, მეთოდი;
metalambavnw – მონაწილეობას ვიღებ, ვეზიარები;
mimnhvskw – ვიხსენებ;
nomivzw – მივიჩნევ, ვთვლი;
oi\mai – ვფიქრობ, ვთვლი;

οΙmologevw – ვეთანხმები;
οΙmwnoevw – ერთნაირად ვფიქრობთ, ვთანხმდებით;
οΙmwvnumo» – იმავე სახელის მქონე;
ο[noma, to; – სახელი;
οΙnomavzw – ვუწოდებ, ვასახელებ;
paravdeigma, to; – ნიმუში, მაგალითი;
paramuqevomai – ვარწმუნებ;
peivqaw – ვარწმუნებ;
peiravw – ვცდილობ, ვიგებ;
perilambavnw – გამოვხატავ, გადმოვცემ;
pisteuvw – მჯერა;
planavw – ვცდები, ვიბნევი;
poreuvw – ვრცლად ვიკვლევ;
proairevw – ამოვირჩევ, გამოვყოფ;
prosairevw – ამოვირჩევ, გამოვყოფ;
prosagoreuvw – მივმართავ, ვუწოდებ;
prosevcw – ყურადღებას ვაქცევ, ვაკვირდები;
proslevgw – დავამატებ, ვიტყვი, დავძენ;
provsrhsi», hJ – სახელწოდება, დასახელება;
prosquevggomai – მივმართავ, მოვუწოდებ;
shmaivnw – აღვნიშნავ, განვსაზღვრავ;
skevptomai – განვიხილავ, ვთვლი, ვფიქრობ;
skopeuvw – ვაკვირდები, განვიხილავ, ვმსჯელობ;
spoudavzw – დაკავებული ვარ;
sumbouleuvw – რჩევას ვაძლევ;

sunarmovttw – ვეწყობი;
 sundokevw – ერთ აზრზე ვართ;
 sunnoevw – ვფიქრობ;
 suntevmnw – გამოკლებ, ვასრულებ;
 suntivqhmi – შევთანხმდები;
 sunomologevw – შევუთანხმდები (ვინმეს);
 sugcwrw» – დავუშვებ, დავეთანხმები;
 scivzw – ვყოფ;
 tevmnw – გამოვყოფ;
 tivqhmi – დავადგენ;
 uḽpotivqemai – დავუშვებ, დავადგენ;
 uḽpopteuvw – ვექვობ, ვვარაუდობ;
 faivnomai – აღმოვჩნდები, წარმოვჩნდები;
 fquevggomai – გამოვთქვამ;
 filosofevw – ფილოსოფიით ვარ დაკავებული;
 fravzw – მივუთითებ, ავუხსნი;
 frovnimo» – გონიერი;
 yeu»do», to; – ტყუილი.

ადამიანის საქმიანობასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ტერმინები

დიალოგ «პოლიტიკოსში» (ისევე, როგორც «სოფისტში») ვხვდებით მრავალ ტერმინს, რომელიც აღნიშნავს ადამიანის ამა თუ იმ საქმიანობას, მოღვაწეობას, მეცნიერებასა თუ ხელოვნებას. მათი უმრავლესობა ზოგჯერ იმდენად დაწვრილმანებულია, რომ ერთგვარ ირონიასაც იწვევს.

ამგვარი ტერმინების უმრავლესობა პლატონის შექმნილი, ხოლო გარკვეული ნაწილი უკვე არსებული ტექნიკური ტერმინია.

თავდაპირველად მოკლედ შევეხები, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ

დიალოგში ტერმინს «tevcnh». მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პლატონი ჯერ კიდევ დიალოგში «სოფისტი» სოფისტის საქმიანობას აღნიშნავს როგორც ხელოვნებას (tevcnh) და არა, როგორც გაწაფულობას (tribhv) ან გამოცდილებას (ejmpeiriva). პლატონის დიალოგებში ტერმინი «tevcnh» ხშირ შემთხვევაში ხელოვნებას აღნიშნავს, ხოლო «სოფისტში» და «პოლიტიკოსში» ამ ტერმინის მნიშვნელობა შედარებით დაკნინებულია. აქ ტერმინი «tevcnh» გამოხატავს ნებისმიერ უნარს, შესაძლებლობას, რაც კი ამა თუ იმ ადამიანს შეიძლება გააჩნდეს. შესაბამისად, ტერმინები tecnivth» და a[tecno» ხელოვნებასთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ უნარსა და საქმიანობასთან, ანუ ისინი ქართულად შეიძლება გადმოვიტანოთ როგორც «უნარის მქონე, შემძლე» და, შესაბამისად – «უუნარო». მაგრამ, ვფიქრობ, პლატონს სურდა ყველა ამ უმნიშვნელო და ზოგჯერ კურიოზული საქმიანობისათვის ირონიულად სწორედ ხელოვნება ეწოდებინა.

ამიტომაც ტერმინი «tevcnh», ისევე როგორც «სოფისტში», «პოლიტიკოსშიც» გადმოვიტანე ტრადიციულად, როგორც ხელოვნება და ტერმინები «tecnivth» და «a[tecno», შესაბამისად, როგორც ხელოვანი, ოსტატი, გამოცდილი და არახელოვანი, გამოუცდელი.

«tevcnh»-ს ერთ-ერთ ცნობილ ოპოზიციას წარმოადგენს «ejpisthmhv»-ც.

თუმცა «პოლიტიკოსში» ეს ორი ტერმინი სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება.

პლატონის «პოლიტიკოსში» ადამიანის საქმიანობისა და მოღვაწეობის აღმნიშვნელი 79 ლექსიკური ფორმატივი გვხვდება. ესენია:

ajgelaiokomikhv, hJ – ჯოგის მოვლის ხელოვნება;

ajgelaiotrofikhv, hJ – ჯოგური გამოზრდის ხელოვნება;

ajkestikhv, hJ – ტანსაცმლის შეკეთების ხელოვნება;

ajnqrwponomikhv, hJ – ადამიანთა მწყემსვის ხელოვნება;

ajriqmhtikhv, hJ – არითმეტიკა;

aujtepitaktikhv, hJ – თავად ბრძანების გაცემის ხელოვნება;

aujtwpolikhv, hJ – საკუთარი ნივთებით ვაჭრობა;
basilikhv, hJ – მეფობის ხელოვნება;
gewrgikhv, hJ – მიწათმოქმედების ხელოვნება;
gnwstikhv (tevcnh), hJ – შემეცნებითი ხელოვნება;
gomfwtikhv, hJ – მჭედლობის ხელოვნება;
grafikhv, hJ – მხატვრობა;
gumnastikhv, hJ – გიმნასტიკა;
Qhreutikhv, hJ – ნადირობის ხელოვნება;
dermatourgikhv, hJ – ტყავის დამზადების ხელოვნება;
diakritikhv, hJ – დაყოფის ხელოვნება;
dikastikhv, hJ – სასამართლო ხელოვნება;
druotomikhv, hJ – ხის ჭრის ხელოვნება;
ejmporeutikhv, h – ვაჭრობის ხელოვნება;
ejpiqhmatourgiva, hJ – დამცავების დამზადების ხელოვნება;
ejpimeletikhv, hJ – ზრუნვის ხელოვნება;
ejpitaktikhv, hJ – ბრძანების გაცემის ხელოვნება;
eJrmhneutikhv, hJ – განმარტების ხელოვნება;
qerapeutikhv, hJ – მოვლის ხელოვნება;
qreptikhv, hJ – გამოზრდის ხელოვნება;
ijatrikhv, hJ – მედიცინა;
iJppoforbiva, hJ – ცხენოსნობა;
kaphlikhv, hJ – მეწვრილმანეობა;
keleustikhv, hJ – ბრძანების ხელოვნება;
kerkistikhv, hJ – მაქოს გამოყენების ხელოვნება;
khramikhv, hJ – მეთუნეობა;

khrukikhv, hJ – მაცნის ხელოვნება;
koinotrofikhv, hJ – ერთობლივი გამოზრდის ხელოვნება;
kosmhtikhv, hJ – მორთვის ხელოვნება;
knafeutikhv, hJ – თელვის ხელოვნება;
kritikhv, hJ – განსჯის ხელოვნება;
krokonhtikhv, hJ – მისაქსველით რთვის ხელოვნება;
kuberntikhv, hJ – მართვის ხელოვნება;
lektikhv, hJ – საუბრის ხელოვნება;
logistikhv, hJ – თვლის ხელოვნება;
mageirikhv, hJ – მზარეულობა;
mageutikhv, hJ – მაგიის ხელოვნება;
mantikhv, hJ – მისნობის ხელოვნება;
metrhtikhv, hJ – გაზომვის ხელოვნება;
mimhtikhv, hJ – ბადვის ხელოვნება;
mousikhv, hJ – მუსიკის ხელოვნება;
nautikhv, hJ – ნაოსნობის ხელოვნება;
nestikhv, hJ – რთვის ხელოვნება;
nomeutikhv, hJ – მწყემსვის ხელოვნება;
nomoqetikhv, hJ – კანონმდებლობის ხელოვნება;
xakotupikhv, hJ – სპილენძის დამზადების ხელოვნება;
xantikhv, hJ – ჩეჩის ხელოვნება;
xhrotrofikhv (tevcnh), hJ – ხმელეთზე გამოზრდასთან დაკავშირებული (ხელოვნება);
oJplopooii>khv, hJ – შეიარაღების ხელოვნება;
oijkodomikhv, hJ – მშენებლობის ხელოვნება;
oijkonomikhv, hJ – სახლის მართვის ხელოვნება;

pezonomikhv, hJ – ქვეითად მავალ ცხოველთა გამოზრდის ხელოვნება;

peistikhv, hJ – დარწმუნების ხელოვნება;

pilhtikhv, hJ – თელვის ხელოვნება;

pluntikhv, hJ – რეცხვის ხელოვნება;

politikhv, hJ – პოლიტიკის ხელოვნება;

praktikhv (tevcnh), hJ – პრაქტიკული ხელოვნება;

problhmatourgikhv, hJ – თავდაცვის საშუალებებით შეიარაღების ხელოვნება;

rJhtoreiva, hJ – რიტორიკის ხელოვნება;

skutotomikhv, hJ – მეწაღეობა;

sthmononhtikhv, hJ – ქსელის შექმნის ხელოვნება;

strathgiva, hJ – მხედართმთავრობა;

strathgikhv, hJ – მხედართმთავრობის ხელოვნება;

streptikhv, hJ – ძახვის ხელოვნება;

sugkritikhv, hJ – შეერთების ხელოვნება;

sumplektikhv, hJ – წვნის ხელოვნება;

talasiourgikhv, hJ – შალის რთვის ხელოვნება;

tektonikhv, hJ – დურგლობა;

turannikhv, hJ – ტირანიის ხელოვნება;

uJgrotrofikhv (tevcnh), hJ – წყალქვეშ გამოზრდასთან დაკავშირებული (ხელოვნება);

uJphretikhv, hJ – მსახურების ხელოვნება;

uJfantikhv, hJ – ქსოვის ხელოვნება;

ceirotecniva, hJ – ხელოსნობა;

ceiroteknikhv, hJ – ხელოსნობა.

როგორც ამ კატალოგიდან ირკვევა, პლატონი ორგვარად აწარმოებს ადამიანის საქმიანობის აღმნიშვნელ ტერმინებს:

1. აბსტრაქტულ სახელთა წარმოების ძველ ბერძნულ ენაში ცნობილი ტიპი, არსებით სახელზე -ikhv სუფიქსის დართვა; ამგვარად ნაწარმოები სახელები ყველაზე უფრო მეტია ამ დიალოგში. მათგან ზოგიერთი უკვე არსებული და ძველ ბერძნულში ფართოდ გამოყენებული ტერმინია, ზოგი კი – პლატონის სიტყვათწარმოების პროდუქტი.

2. ფუძეზე -iva სუფიქსის დართვით. «პოლიტიკოსში» სულ ოთხი ამგვარი ტერმინი გვხვდება: (ejpiqhmatourgiva, iJppoforbiva, ceirotecniva, rJhtoreiva). აქედან ორ შემთხვევაში პლატონი ორივე წესით ნაწარმოებ პარალელურ ფორმებს წარმოადგენს: (ceirotecniva, ceiroteknikhv – ხელოსნობა; strathgiva, strathgikh – მხედართმთავრობა).

პოლიტიკის ხელოვნებასა და პოლიტიკოსთან დაკავშირებული ტერმინები

დიალოგის ძირითადი თემიდან გამომდინარე, ტერმინთა მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენს პოლიტიკის ხელოვნებასა და პოლიტიკოსთან დაკავშირებული ტერმინები. ვიდრე ამ ტერმინთა კატალოგს წარმოვადგენდე, მოკლედ შევეხები თავად «politikov»-ის მნიშვნელობას ამ დიალოგში. რასაკვირველია, დიალოგის ანალიზისა და ინტერპრეტირებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ პლატონის პოლიტიკოსი არ არის პოლიტიკოსი თანამედროვე გაგებით. ძველბერძნული ლექსიკონები პოლიტიკოსის ორგვარ განსაზღვრებას გვთავაზობს: 1.

პოლიტიკოსი; 2. სახელმწიფო მოღვაწე. პოლიტიკოსი, პლატონის იდეით, არის ის, ვინც იცის სახელმწიფოს მართვა. სწორედ, ამ ტერმინის განსხვავებული ინტერპრეტაცია ქმნის, ერთი შეხედვით, ისეთ წარმოდგენას, თითქოს პოლიტიკოსის განმარტება ამ დიალოგში არასრულყოფილია.

პლატონის «პოლიტიკოსში» წარმოდგენილია პოლიტიკის ხელოვნებასთან დაკავშირებული შემდეგი ტექნიკური ტერმინები, რომელთაც იგივე მნიშვნელობა აქვს თანამედროვე პოლიტიკის თეორიაშიც:

a[diko] – უსამართლო;

ajndreiva, hJ – სიმამაცე;
ajrhthv, hJ – სიქველე;
ajristokrativa, hJ – არისტოკრატია;
basileuv», oJ – მეფე;
basilikhv, hJ – მეფობის ხელოვნება;
bivaio» – ძალადობრივი;
despovzw – ვმართავ, ვბატონობ;
despothv», oJ – ბატონი;
dhmokrativa, hJ – დემოკრატია;
dh»mo», oJ – ხალხი;
dhmovsio» – საზოგადო;
divkaio» – სამართლიანი;
dunasteiva, hJ – მმართველობა;
ejkouvzio» – კეთილი ნების;
ejpitaktikhv, hJ – ბრძანების გაცემის ხელოვნება;
ijdiwvth» – კერძო;
keleustikhv, hJ – ბრძანების ხელოვნება;
kuberntikhv, hJ – მართვის ხელოვნება;
kubernhvth», oJ – მმართველი;
monarciva, hJ – მონარქია;
nomoqetikhv, hJ – კანონმდებლობის ხელოვნება;
novmo», oJ – კანონი;
oijkonovmo» – სახლის მმართველი;
oiligarciva, hJ – ოლიგარქია;
ojlivgoi – უმცირესობა;

plh»qo», tov – სიმრავლე;
politikhv – პოლიტიკის ხელოვნება;
politikov», oJ – პოლიტიკოსი;
polloiv – უმრავლესობა;
strathgikhv, hJ – მხედართმთავრობის ხელოვნება;
swvfron, tov – კეთილგონიერი;
swfrosuvnh, hJ – კეთილგონიერება;
tavxi», hJ – წესრიგი;
turannikhv, hJ – ტირანიის ხელოვნება;
tuvranno», oJ – ტირანი.
a[diko» – უსამართლო;
ajndreiva, hJ – სიმამაცე;
ajrhthv, hJ – სიქველე;
ajristokrativa, hJ – არისტოკრატია;
basileuv», oJ – მეფე;
basilikhv, hJ – მეფობის ხელოვნება;
bivaio» – ძალადობრივი;
despovzw – ვმართავ, ვბატონობ;
despothv», oJ – ბატონი;
dhmokrativa, hJ – დემოკრატია;
dh»mo», oJ – ხალხი;
dhmovsio» – საზოგადო;
divkaio» – სამართლიანი;
dunasteiva, hJ – მმართველობა;
eJkouvzio» – კეთილი ნების;

ejpitaktikhv, hJ – ბრძანების გაცემის ხელოვნება;
 ijdiwvth» – კერძო;
 keleustikhv, hJ – ბრძანების ხელოვნება;
 kuberntikhv, hJ – მართვის ხელოვნება;
 kubernhvth», oJ – მმართველი;
 monarciva, hJ – მონარქია;
 nomoqetikhv, hJ – კანონმდებლობის ხელოვნება;
 novmo», oJ – კანონი;
 oijkonovmo» – სახლის მმართველი;
 ojlignarciva, hJ – ოლიგარქია;
 ojlivgoi – უმცირესობა;
 plh»qoi», tov – სიმრავლე;
 politikhv – პოლიტიკის ხელოვნება;
 politikov», oJ – პოლიტიკოსი;
 polloiv – უმრავლესობა;
 strathgikhv, hJ – მხედართმთავრობის ხელოვნება;
 swvfron, tov – კეთილგონიერი;
 swfrosuvnh, hJ – კეთილგონიერება;
 tavxi», hJ – წესრიგი;
 turannikhv, hJ – ტირანიის ხელოვნება;
 tuvranno», oJ – ტირანი.

ქსოვის ხელოვნებასთან დაკავშირებული ტერმინები
 როგორც უკვე აღვნიშნე, დიალოგ «პოლიტიკოსის» მნიშვნელოვანი
 ნაწილი უკავია ქსოვის ხელოვნების პარადიგმას. პლატონი
 ზედმიწევნით ზუსტად და სკრუპულოზურად მსჯელობს ქსოვის
 ხელოვნებასთან დაკავშირებულ დეტალებზე. მას ამისთვის მზად
 აქვს ტექნიკური ტერმინოლოგია.

ქსოვის ხელოვნებაზე მსჯელობისას პლატონი საკითხის სიღრმისეულ ცოდნას ავლენს, რასაც ქვემოთ მოყვანილი კატალოგიც ცხადყოფს:

kevrki», hJ – მაქო;

kerkistikhv, hJ – მაქოს გამოყენების ხელოვნება;

krokhv, hJ – მისაქსველი;

krokonhtikhv, hJ – მისაქსველით რთვის ხელოვნება;

nestikhv, hJ – რთვის ხელოვნება;

sthmononhtikhv, hJ – ქსელის შექმნის ხელოვნება;

sthvmwn, oJ – ქსელი;

streptikhv, hJ – ძახვის ხელოვნება;

sumplokhv, hJ – ქსოვა, გადაწვნა;

talasiourgikhv, hJ – შალის რთვის ხელოვნება;

uJfantikhv, hJ – ქსოვის ხელოვნება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ «პოლიტიკოსში» გამოყენებული მრავალფეროვანი და მრავალფუნქციური ტერმინოლოგია არის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, ერთი მხრივ, ამ დიალოგის ფილოსოფიური მიზნების განსახორციელებლად, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ნაწარმოების ენობრივი შრის საკვლევადაც, რაც ამ დიალოგის თვითმყოფად მხატვრულ სამყაროს განაპირობებს მისი სტრუქტურისა და კომპოზიციის, სიუჟეტის განვითარების თავისებურებებისა და დრამატიზმის პარალელურად.

რაც შეეხება ამ დიალოგის სხვა მხატვრულ ღირსებებს, მათ წარმოჩენას ნაშრომის შემდგომ თავში შევეცდები.

თავი V. „პოლიტიკოსი“ როგორც მხატვრული ნაწარმოები

ეპიტეტები, შედარებები, მეტაფორები

თანამედროვე შეფასებით, «პოლიტიკოსი» პლატონის სხვა

დიალოგებთან შედარებით ნაკლებად მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს.

ნაშრომის მოცემულ თავში შევეცდები, ლიტერატურული ნაწარმოების რაობის განმსაზღვრელი რამდენიმე კომპონენტი შევისწავლო და, შესაბამისად, წარმოვაჩინო ამ დიალოგის მხატვრული მხარე და პლატონის სტილის თავისებურებები^[77]. ითვლება, რომ პლატონის წერის მანერა ზედმიწევნით სადა და დახვეწილია, ხოლო – მეტყველება მკაფიო და ლაკონური. პლატონის მიერ «პოლიტიკოსში» გამოყენებულ მხატვრულ საშუალებათა ანალიზით შევეცდები წარმოვაჩინო, თუ რამდენად მჟღავნდება ამ დიალოგში პლატონის ენისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

«პოლიტიკოსის» ეპითეტები ორიგინალობით არ გამოირჩევა. სხვადასხვა საგნებისა და მოვლენების განსაზღვრისას პლატონი, ჩვეულებრივ, ტრადიციულ ზედსართავ სახელებს მიმართავს, თანაც საკმაოდ თავშეკავებულად და ზომიერად, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად «პოლიტიკოსის» სტილის სისადავეს განაპირობებს (ამ მხრივ «პოლიტიკოსი» პლატონის სხვა დიალოგების მსგავსია).

უნდა ითქვას, რომ პლატონი «პოლიტიკოსში» უპირატესობას ანიჭებს შედარებებსა და მეტაფორებს, რომლებსაც, ჩვეულებრივ, მიმართავს ფილოსოფიური დისკურსის გასაძლიერებლად. «პოლიტიკოსში» მწერალი ყველაზე ხშირად შედარებებს იყენებს, რომელთა საშუალებითაც ფილოსოფიურ კატეგორიებზე გვესაუბრება. პლატონის «პოლიტიკოსის» მხატვრულობის მთავარი მახასიათებელი ისაა, რომ მის მიერ გამოყენებული თითოეული მეტაფორა და შედარება ემსახურება ფილოსოფიური მიზნების განხორციელებას.

პირველ რიგში «პოლიტიკოსში» არაერთგზის მოყვანილ ნადირობის მეტაფორაზე შევაჩერებ ყურადღებას. ნადირობის მეტაფორები პლატონთან ძალიან ხშირად გვხვდება, ადრეული დიალოგებიდან დაწყებული ყველაზე უფრო გვიანდელი ნაწარმოებებით დამთავრებული. მასთან ვხვდებით სიტყვებზე ნადირობას («გორგიასი», 490a), სახელებზე ნადირობას («თეეტეტოსი», 166c), სიტყვებით ნადირობას («ევთიდემოსი», 295d), სიტყვების დევნასა და იმის ნადავლად ჩათვლას, თუკი ვინმე მსჯელობისას დაიბნევა («გორგიასი», 489b), პასუხისაგან დასხლტომას («ევთიდემოსი», 297b) და ა. შ. ნადირობის ტერმინოლოგია

სპეციალურადაც კი გამოიყენება მეცნიერული კვლევის, ლოგიკური მეთოდის აღსანიშნად. ნადირობის სიმბოლიკა ადამიანის სულიერი მოღვაწეობის მახასიათებლად ყველაზე ინტენსიურად დიალოგ «სოფისტშია» გატარებული. ამ გზას მეტ-ნაკლებად მიჰყვება «პოლიტიკოსიც». «ნადირობის» შედარებები და მეტაფორები მთელ დიალოგშია გაბნეული.

პირველად ნადირობის მეტაფორას კვლევის მეთოდის აღსანიშნავად პლატონი დიალოგის პირველ ნაწილშივე იყენებს, როდესაც ამბობს: «ის ცოდნა, რომელზეც ვნადირობთ, იყო და არის შინაურ [ცხოველებს შორის], კერძოდ, ის უნდა მოვიძიოთ ჯოგურად მცხოვრებ არსებებში» («პოლიტიკოსი», 264a) [78]. მოგვიანებით ის ამბობს: «მაშ, ქსოვის ხელოვნებაზე მსჯელობას მხოლოდ მის გამო ჭკუათმყოფელი არ გამოედევნებოდა» («პოლიტიკოსი», 285d) [79]. «პოლიტიკოსში» ნადირობის მეტაფორა კვლევის ფილოსოფიურ მეთოდს განსაზღვრავს. ფილოსოფოსის რწმენით, კვლევის პროცესი ნადირობის მსგავსია. საკვლევ საკითხს საგულდაგულოდ უნდა მიჰყვე და ეცადო, ხელიდან არ გაგისხლტეს ის.

კვლევის მეთოდი ნადირობის გარდა მოგზაურობის პროცესსაც ჰგავს. სწორედ მოგზაურობის მეტაფორა გვხვდება კვლევის აღსანიშნად შემდეგ პასაჟში: «ადვილია, რადგან ცოტაღა დაგვრჩა, ჩვენი მოგზაურობის დასაწყისში ან შუაში კი ეს რთული ამოცანა იქნებოდა. ახლა კი, რადგან ასე ფიქრობ, ჯერ გრძელ გზას მივყვით. სანამ ახლები ვართ, ასე სჯლა უფრო მარტივი იქნება» («პოლიტიკოსი», 265b) [80]. – პლატონი აქ კვლევის პროცესსა და მის მონაწილეებს მოგზაურობას ადარებს. კვლევა, ისევე როგორც მოგზაურობა, დასაწყისში უფრო ადვილია, თანდათან კი უფრო და უფრო დამძლეული ხდება.

ორ შემთხვევაში დიალექტიკური მსჯელობის, კერძოდ კი, მისი დიქოტომიური ნაწილის განვითარების პროცესი და მასში მონაწილეები ოქროს განმწმენდასა და ამ ხელობის ოსტატებთანაა შედარებული:

«კიდევ ერთი გვარი რჩება, რომლის გამოყოფაც უფრო რთულია, რადგან უფრო მეტად ჰგავს სამეფო ხელოვნებას და უფრო ძნელად გასაგებია. მეჩვენება, რომ იმავეს განვიცდით, რასაც ის, ვინც ოქროს წმენდს» («პოლიტიკოსი», 303d). [81] «ისინიც თავდაპირველად მიწას, ქვებსა და სხვა მსგავს რამეებს აშორებენ, შემდეგ ოქროსთან შერეული და მისი მსგავსი ძვირფასი [ნივთიერებები] რჩება – სპილენძი და ვერცხლი, ხანდახან ანდამატიც, რომლებიც მხოლოდ

ცეცხლით გამოიყოფა დიდი წვალეების შედეგად. მხოლოდ ამის შემდეგ ვიხილავთ სუფთა ოქროს როგორც ასეთს» («პოლიტიკოსი», 303d-e).^[82] ამრიგად, საკვლევ საკითხს თავდაპირველად უნდა ჩამოაცილო ყველაფერი, რაც მისი მიზამდა (რაც ჰგავს მას) და ის იმგვარად წარმოაჩინო, როგორიცაა ჭეშმარიტი და მუდამ თავისი თავის იგივეობრივი. ზუსტად ამ პროცესს ჰგავს ოქროს განწმენდის პროცესი, რომლის საბოლოო შედეგიც სუფთა ოქროს მიღებაა. ოქროს მოპოვების გარდა დიალექტიკური კვლევის პროცესი გამოსახულების შექმნასაც (მხატვრობა, ქანდაკება) ჰგავს. საერთო მონახაზის შემდეგ აუცილებელია მისი დასრულება, ბოლომდე მიყვანა: «განა ახლახან მართებულად არ შევშინდით, როდესაც დავეჭვდით, რომ შეიძლებოდა მეფის მონახაზი გაგვეკეთებინა ისე, რომ მისი ზუსტი სახე არ გადმოგვეცა, სანამ არ ჩამოვაშორებდით ყველას, ვინც მის გარშემო ირევა და მასთან ერთად მწყემსობას იჩემებს» («პოლიტიკოსი», 268c)^[83].

როგორც ცნობილია, დიქოტომიის შედეგად ხელოვნებების დაყოფა ორ ნაწილად ხდება. ზემოთ აღვნიშნე, რომ «პოლიტიკოსში» პლატონი დიპირესისის დიქოტომიისგან განსხვავებულ სახესაც წარმოადგენს. ამ მეთოდს კი ის მკითხველს ამგვარად წარმოუდგენს: «მაშ, დავანაწევროთ, როგორც მსხვერპლად შეწირული ცხოველი, რადგან შეუძლებელია მისი ორად გაყოფა» («პოლიტიკოსი», 287c).^[84] აქ საკვლევი ხელოვნება მსხვერპლად შეწირულ ცხოველთანაა შედარებული.

«პოლიტიკოსში» მოყვანილია ფუტკართა სკის მეტაფორაც, რომელიც სახელმწიფოს შედარებას წარმოადგენს. უცხოელი ამბობს: «და თუ ისინი სიკვდილით სჯიან ან ვინმეს აძევებენ და ამგვარად წმენდენ და აუმჯობესებენ სახელმწიფოს, კოლონიებში გარეკავენ ფუტკრიბივით, რომ რაოდენობა შეამცირონ» («პოლიტიკოსი», 293d).^[85] მოგვიანებით ფილოსოფოსი ამ მეტაფორულ შედარებას კიდევ ერთხელ უბრუნდება: «ახლა კი, როცა ასეთი მეფე, როგორსაც აღვწერთ, სახელმწიფოებში არ იბადება ისე, როგორიც ფუტკართა ოჯახში, ანუ თავიდანვე გამორჩეული სხეულითა და სულით, ერთად უნდა შევიკრიბოთ, დადგენილებები ვწეროთ, და როგორც ჩანს, ყველაზე სწორი სახელმწიფო მმართველობის გზას დავადგეთ» («პოლიტიკოსი», 301d).^[86] – ამ პასაჟის უკანასკნელი სიტყვები ამავედროულად ნადირობის ზემოხსენებულ მეტაფორას წარმოადგენს. სწორი სახელმწიფო მმართველობა მოსანადირებელი (გამოსაკვლევი) ამიტომ საჭიროა მის კვალს მიყოლა, დადევნება. საგანგებოდ მინდა გამოვყო მხატვრული შედარება, რომელსაც

პლატონი შემდეგ პასაჟში იყენებს: «და გარდა ამისა საჭირო იქნება ისეთი კანონის შემოღება, რომ თუ ვინმე გემის მართვის, ნაოსნობის ან ჯანმრთელობასა და მედიცინასთან დაკავშირებული ჭეშმარიტების – რაც ქარს, სიცხესა და სიცივეს ეხება – კვლევას დაიწყებს დაწერილი კანონების საპირისპიროდ და ამ საკითხებთან დაკავშირებით ვითომ ცოდნას შეიძენს, უპირველეს ყოვლისა მას ექიმს ან გემის კაპიტანს კი არ უწოდებენ, არამედ ცაში მომზირალს, მოლაყბესა და სოფისტს» («პოლიტიკოსი», 299b).^[87]

სიტყვა «metewrologi»¹ გადმოვიტანე როგორც «ცაში მომზირალი». სიტყვასიტყვით ეს ტერმინი ნიშნავს «მას ვინც ციურ მოვლენებზე მსჯელობს». ეს ტერმინი პირდაპირ კავშირშია სოკრატეს ერთ-ერთ ბრალდებასთან. ამ შემთხვევაში კი ის წარმოადგენს ყველა იმ ადამიანის მეტაფორას, რომელსაც არ აქვს საქმის ჭეშმარიტი ცოდნა.

დაბოლოს, გამოვყოფ კიდევ ერთ მეტაფორას, რომელიც ახასიათებს ყველა იმ ადამიანს, ვისაც საქმე არ აქვს ჭეშმარიტ პოლიტიკასთან, მაგრამ პოლიტიკოსს ქვეყნის მართვაში ეცილება:

უცხოელი ამბობს: «მრავალფეროვანია ეს გვარი, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. მათგან ბევრი ლომებს და კენტავრებს ჰგავს, სხვა მსგავს [არსებებსაც], უმეტესობა კი – სატირებს და სხვა სუსტ და მრავალსახოვან ცხოველებს. სწრაფად იცვლიან სახესა და შესაძლებლობებს» («პოლიტიკოსი», 291a-b).^[88] მოგვიანებით ის კვლავ იმეორებს ამ მეტაფორულ შედარებას: «იყოს ასე. ჩვენთვის ეს ნამდვილი დრამაა, როგორც წელან ვთქვით, კენტავრებისა და სატირების ხმაურიან დასს ვხედავთ, რომელიც პოლიტიკის ხელოვნებიდან უნდა გამოიყოს» («პოლიტიკოსი», 303c-d).^[89]

როგორც ცნობილია, კენტავრები და სატირები იყვნენ მითოლოგიური არსებები. ერთნი აერთიანებდნენ ცხენისა და ადამიანის ბუნებას, ცხოვრობდნენ მთებში და გამოირჩეოდნენ ველური და უხეში ბუნებით. ხოლო მეორენი, ტყეში მცხოვრები თხის მსგავსი დემონები, დიონისეს თანამგზავრნი იყვნენ.

«პოლიტიკოსში» უმეცარი ბრბო სწორედ სატირებსა და კენტავრებთანაა შედარებული, რომელთა მონაწილეობითაც საბოლოოდ ნამდვილი ცხოვრებისეული დრამა იმართება.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგ წარმოვადგენ «პოლიტიკოსში» მოდიებული შედარებებისა და მიტაფორების ანალიზის შედეგად მიღებულ ზოგად დასკვნებს:^[90]

1. «პოლიტიკოსი» შედარებებისა და მეტაფორების მრავალფეროვნებით არ ხასიათდება.

2. ამ ნაწარმოებში ვხვდებით როგორც მოკლე, ისე გავრცობილ შედარებებს.

მოკლე შედარებებს ხშირად მარტივი ფორმულის სახე აქვთ და განსაკუთრებული ორიგინალობით არ გამოირჩევიან.

3. პლატონის შედარებები ხშირად მითოლოგიური ხასიათისაა ან ყოველდღიური ყოფაცხოვრებას უკავშირდება.

4. ზოგჯერ ძნელია ზღვარის გავლება «პოლიტიკოსის» შედარებებსა და მეტაფორებს შორის. მათი სინთეზით პლატონი თავისებურ მეტაფორულ შედარებებს გვთავაზობს.

პლატონის ბგერწერის თავისებურებანი
ბგერწერას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნებისმიერი მნიშვნელოვანი მწერლის და მათ შორის პლატონის შემოქმედებაშიც.

ვეთანხები მოსაზრებას, რომ მისი დიალოგების სრულყოფილი ფილოლოგიური ანალიზი ამ საკითხის გათვალისწინებასაც მოითხოვს.

თანამედროვე მკითხველმა, რომელიც სტრიქონებს თვალით აღიქვამს, შეიძლება ვერც კი შეამჩნიოს სიტყვათა ჰარმონიული ჟღერადობა, მაგრამ პლატონს თავისი დიალოგები განკუთვნილი ჰქონდა მკითხველისათვის, რომელიც «დაწერილს წარმოთქვამდა მჟღერი ხორხით და წარმოთქმულს აღიქვამდა ნავარჯიშები სმენით». [91] შესაბამისად, იგი შედარებით ადვილად აფიქსირებდა და «შეიგრძნობდა» სიტყვების თამაშს.

მკვლევარი, რომელიც პლატონის პროზას ბგერწერის თვალსაზრისით განიხილავს, ორი პრობლემის წინაშე დგას: ჯერ ერთი, როგორ შეამჩნიოს მწერლის ენის აკუსტიკური თავისებურებანი და მეორეც, როგორ აღწეროს და განმარტოს ისინი.

[92] პლატონის ნებისმიერი დიალოგი ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს, რომლის ბევრი მხატვრული ღირსება, ჩვეულებრივ, თარგმანებში ნაკლებად წარმოჩნდება და ძირითადად ორიგინალთან ზიარებით ხდება ნათელი. გამონაკლისს არც «პოლიტიკოსი» მიეკუთვნება.

განსაკუთრებით შეუმჩნეველი რჩება მკითხველს ამ დიალოგის აკუსტიკური მხარე.

აკუსტიკური ეფექტის შექმნას «პოლიტიკოსში» პლატონი რამდენიმე გზით ახერხებს:

1. სიტყვათა თანმიმდევრობაში ბოლო ბგერების გამეორებით, ამგვარი მაგალითები «პოლიტიკოსში» უხვად გვხვდება. ნიმუშის სახით მოვიყვანო რამდენიმეს: th;n ejpisthvmhn h}n..., ajpeivroi» ou\si kai; ajmeivktoi» kai; ajsumfwvnoi»..., th;n tevcnhn aujthvn..., zw»/on, o{son h{meron kai; ajgelai»on, scedovn..., tauvth» ou[sh» th»« ejpisthvmh»...

2. სიტყვათა თანმიმდევრობაში საწყისი ბგერების გამეორებით, მაგ.: basilevw» basilikhv..., a[nte a[rcwn a[nte..., de; dh; diaivresin...

3. ერთი და იმავე ფუძისაგან ნაწარმოები მეტყველების სხვადასხვა ნაწილის მიმდევრობით. მაგ.: politikh;n kai; politiko;n kai; basilikh;n kai; basiliko;n..., tevmnein temou»men..., ajnalavbwmen ajnalabovnte»...

4. უბრალოდ ერთი რიგის ბგერების მონაცვლეობით სიტყვათა მიმდევრობაში:

ajnafanhvsh fronhvsew»..., mevrou» ajei; mevrou» ajfairoumevnou»...

ბგერათა ამგვარი თამაშით პლატონი ერთგვარ აკუსტიკურ ეფექტს ქმნის მსმენელში/მკითხველში, რითიც იზრდება მისი შემოქმედების მხატვრული ღირსება.

«პოლიტიკოსის» ლიტერატურული ფორმისათვის «პოლიტიკოსი» ლიტერატურული ფორმის განხილვისას აუცილებლად გამოიკვეთება საკითხი, თუ რა თავისებურებებია დამახასიათებელი პლატონის ამ კონკრეტული დიალოგის ლიტერატურული ფორმისათვის?

«პოლიტიკოსი», ისევე როგორც პლატონის სხვა ნაწარმოებები, დიალოგის ჟანრს მიეკუთვნება. თუ დავაკვირდებით პლატონის ადრეულ ე. წ. აპორიულ დიალოგებს, ადვილი შესამჩნევია, რომ აქ გვაქვს მზა განმარტებები, თუ რატომ დაწერა ისინი პლატონმა დიალოგის ფორმით, მაგრამ როდესაც გადავდივართ შუა და განსაკუთრებით კი გვიანი პერიოდის დიალოგებზე, ეს განმარტებები უფრო და უფრო ნაკლებად გვხვდება.

ამგვარი ტიპის განმარტებები განსაკუთრებით მცირეა დიალოგ «პოლიტიკოსში».

ჩანს ისიც, რომ მეცნიერთა დიდი ნაწილი ამ ნაწარმოებს ტრაქტატად უფრო განიხილავს, ვიდრე დიალოგად.

პლატონის „პოლიტიკოსის» ლიტერატურული ფორმის შესახებ მსჯელობისას, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რამდენად რელიეფურად წარმოჩნდება ფილოსოფიური დიალოგის ჟანრობრივი მახასიათებლები „პოლიტიკოსში». ამ თვალსაზრისით მისმა კვლევამ წარმოაჩინა, რომ თუ თანამედროვე მკვლევართა მიერ შემოთავაზებულ, ფილოსოფიური დიალოგის კლასიფიკაციებს დავეყრდნობით, „პოლიტიკოსი» შეიძლება მიჩნეულ იქნას ე.წ. კვლევით დიალოგად. ხოლო თუ კონკრეტულად დ. ვოლტონის კლასიფიკაციას ავიღებთ ამოსავლად, მაშინ აღმოჩნდება, რომ ეს ნაწარმოები ფილოსოფიური დიალოგის ექვსი ტიპიდან, ხუთის მახასიათებლების მქონეა. კერძოდ, ესენია: დარწმუნება, კვლევა, მოლაპარაკება, განხილვა და ინფორმაციის მიება.

დიალოგის შემადგენელი სტრუქტურული ელემენტებიდან „პოლიტიკოსში» გვხვდება კითხვა-პასუხების ციკლი, ხოლო ფილოსოფიური დიალოგის ენობრივი ფორმებიდან კი – ე.წ. რედუცირება და მულტიფუნქციობა.

მოკლე პასუხები

დასასრულ, მინდა ყურადღება შევაჩერო ზოგადად პლატონის შემოქმედების და კონკრეტულად ამ დიალოგისათვის დამახასიათებელ ისეთ ნიუანსზე, როგორიცაა მოკლე პასუხები, რომლებიც მრავლად მოიძებნება როგორც «პოლიტიკოსში» ისე დიდი ფილოსოფოსის მთელ შემოქმედებაში **[93]**.

დიალოგში ერთ-ერთ საინტერესო ლექსიკურ შრეს ქმნის თანამოსაუბრის მზა, მოკლე პასუხები, რომლებიც ძირითადად გამოხატავს შეფარულ ეჭვს, პასიურ თანხმობას, პოზიტიურ შეთანხმებას ან თხოვნას უფრო მეტი სიცხადე მოეფინოს საკვლევ საკითხს. ასეთებია: *naiv, pw»« pw»« d jouj, pw»« gavr ouj, tiv de, ti; mhvn, ou{tw»», pavnu ge, pavnu mevn ouj, pantavpasi me;n ou[n, e[stw, oujkou;n crh»», sgovdra ge, mavla ge, oujdamw»«* და სხვა მსგავსი, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანია ტექსტის დრამატული კონტექსტის გასააზრებლად.

ამგვარი მოკლე პასუხების ქართულად გადმოტანისას რამდენიმე პრინციპით ვხელმძღვანელობდი. კერძოდ, ვეცადე: 1. გადმომეტანა ქართულში ყოველდღიური ლექსიკით, რაც დიალოგს არ დაუკარგავდა სიცხოველეს და დინამიურობას; 2. გადმოტანისას შემენარჩუნებინა გრამატიკული ფორმა და სიტყვაწარმოების პრინციპი; 3. რაც შეიძლებოდა უფრო ზუსტად ამესახა სემანტიკური

ნიუანსები.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ პლატონის დიალოგების და მათ შორის «პოლიტიკოსის» სტილის სილამეს, სისადავესა და სიმსუბუქეს ბევრწილად სწორედ ასეთი მოკლე პასუხების ოსტატური გამოყენება განაპირობებს.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ «პოლიტიკოსის» მხატვრული თვალსაზრისით განხილვამ ცხადყო, რომ გავრცელებული მოსაზრების საპირისპიროდ, თითქოს ეს დიალოგი მოკლებულია მხატვრულ ღირსებას, «პოლიტიკოსი» ხორცშესხმულია სხვადასხვა მხატვრული ხერხის დახვეწილი და ორიგინალური გამოყენებით.

დასკვნა

«პოლიტიკოსი» ფილოლოგიური თვალსაზრისით ნაკლებადაა შესწავლილი, თითქოსდა იმ მიზეზით, რომ ის ნაკლებ მხატვრულია პლატონის სხვა ნაწარმოებებთან შედარებით. ჩემი ნაშრომით სწორედ ამ დიალოგის ფილოლოგიური კვლევა დავისახე მიზნად და ზემოთ აღნიშნული მოსაზრების მართებულობის დადგენას შევეცადე.

აღნიშნული დიალოგის კვლევის თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით, ძველი ბერძნული ორიგინალის შეძლებისდაგვარად სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე და საკუთარ დაკვირვებებზე დაყრდნობით, წარმოვადგინე ეს დიალოგი როგორც მხატვრული ნაწარმოები.

საგანგებოდ გავამახვილე ყურადღება იმ ასპექტებზე, რომლებიც დღეისათვის სათანადოდ შესწავლილი არ არის. ბუნებრივია, ფილოლოგიური ასპექტების კვლევა წარიმართა ფილოსოფიურ პრობლემატიკასთან მჭიდრო კავშირში.

ნაშრომის დასასრულ წარმოვადგენ კვლევის შედეგად მიღებულ ძირითად დასკვნებს:

პლატონის «პოლიტიკოსის» კვლევა, დიდი ხნის განმავლობაში არ ითვლებოდა მნიშვნელოვნად, თითქოსდა იმ მიზეზით, რომ ის დიდი ფილოსოფოსის ერთ-ერთ «წარუმატებელ» და «ცუდად ორგანიზებულ» ნაწარმოებად ითვლებოდა. სხვა დიალოგებთან შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა ამ ნაწარმოების ფილოლოგიური ასპექტების ანალიზსაც, თუმცა ვითარება მეტ-ნაკლებად შეიცვალა XX საუკუნის მიწურულს და «პოლიტიკოსის»

კვლევა შედარებით უფრო აქტუალური გახდა. მიუხედავად ამისა, ამ დიალოგის სისტემური ფილოსოფიური ანალიზი დღემდე არ მომხდარა.

«პოლიტიკოსში» დიალოგის ლიტერატურული ფორმა მთელი რიგი ფილოსოფიური საკითხების ანალიზისა და განსაზღვრისათვის გამოიყენება, როგორცაა: დიალექტიკისა და დიაირესისის მეთოდის თეორია და ილუსტრირება; საზომის, ჭარბისა და ნაკლულის პრობლემატიკა; მითოლოგია ქვეყნის ბრუნვის შესახებ; პოლიტიკის თეორია და ჭეშმარიტი პოლიტიკოსის დეფინიცია.

შეიძლება ითქვას, რომ ეს დიალოგი ერთგვარად პოლიტიკის ხელოვნების მეცნიერულ-თეორიული ანალიზია. «პოლიტიკოსი» არის კვლევითი ხასიათის დიალოგი, რომელიც დღეს ლიტერატურათმცოდნეობაში მიღებული ფილოსოფიური დიალოგის ექვსი ტიპიდან ხუთის მახასიათებლების მქონეა, ესენია: დარწმუნება, კვლევა, მოლაპარაკება, განხილვა და ინფორმაციის მიება. დიალოგის შემადგენელი ძირითადი სტრუქტურული ელემენტი არის კითხვა-პასუხების ციკლი, ხოლო ფილოსოფიური დიალოგის ენობრივი ფორმებიდან «პოლიტიკოსში» გვხვდება რედუცირება და მულტიფუნქციობა.

«პოლიტიკოსში» მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დიაირესისის მეთოდს. დიალოგის ერთ-ერთ ფუნქციას სწორედ ამ მეთოდის თეორიის და პრაქტიკის დემონსტრირება წარმოადგენს. ამასთან, «პოლიტიკოსი» იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მასში პლატონისათვის დამახასიათებელი დიქოტომიური დიაირესისის პარალელურად გვხვდება ორზე მეტ ქვეჯგუფად დაყოფის მეთოდიც. დიაირესისის მეთოდი ამ ნაწარმოებში მჭიდროდ უკავშირდება დიდი ფილოსოფოსისათვის დამახასიათებელ პარადიგმის მეთოდს. ქსოვის პარადიგმა ამ დიალოგის მთავარ ღერძს წარმოადგენს, რომელიც კრავს და აერთიანებს მასში განაწილებულ, ერთი შეხედვით სრულიად განსხვავებულ თემებს.

«პოლიტიკოსში» დიდი ადგილი ეთმობა მითს სამყაროს ბრუნვის შესახებ. პლატონი მწერლური ოსტატობით ერთ მითში აერთიანებს სხვადასხვა გადმოცემიდან მიღებულ კოსმოგონიურ თქმულებებს. მითი დიალოგის ჰარმონიულ ნაწილს წარმოადგენს. თუ დიალოგის მიზანია მიაკვლიოს, როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი პოლიტიკოსი და ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მას სჭირდება განიხილოს,

რომელია მმართველობის სწორი ფორმა, მითის მიზანია იგივე გვიჩვენოს მითოლოგიურ/კოსმოგონიურ მაგალითზე.

პოლიტიკოსის დეფინიციისას აშკარა და თვალსაჩინოა პლატონის იდეალიზმი. ის ჭეშმარიტ მმართველს დიალექტიკოსთან აიგივებს. მმართველის მთავარი თვისება ცოდნა და სამართლიანობა უნდა იყოს, მას უნდა შეეძლოს ჭარბისა და ნაკლულის თავიდან არიდება და ამ გზით ზომიერების დაცვა. დაბოლოს, პოლიტიკოსის მთავარი უნარი, სხვადასხვა ჯგუფების ერთმანეთთან შეკავშირება, შეერთება (ქსოვა) უნდა იყოს.

ფილოსოფოსისა და დიალექტიკოსისათვის არსებობს ერთადერთი ჭეშმარიტი მმართველი. მმართველი არის ის, ვინც იცის, როგორ უნდა მართოს.

«პოლიტიკოსი» ხასიათდება ორიგინალური კომპოზიციური ორგანიზაციით.

ნაწარმოების სიუჟეტის – ფილოსოფიური მსჯელობის – მსვლელობაში შეინიშნება სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთა გამეორების ორგანიზაციული პრინციპი, რომელიც საკმაოდ მკაცრად არის დაცული.

«პოლიტიკოსში» გამოყენებული ტერმინები შინაარსობრივად რამდენიმე ძირითად ჯგუფად იყოფა: 1. საუბართან, მსჯელობასა და აზროვნებასთან დაკავშირებული ტერმინები; 2. ადამიანის საქმიანობასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ტერმინები; 3. პოლიტიკის ხელოვნებასა და პოლიტიკოსთან დაკავშირებული ტერმინები; 4. ქსოვის ხელოვნებასთან დაკავშირებული ტერმინები. პლატონი ძველ ბერძნულში არსებულ ზოგად ტერმინებს ვიწრო ტექნიკური მნიშვნელობებით აღჭურავს და ამავე სემანტიკით ამკვიდრებს.

რაც შეეხება დიალოგის მხატვრულ მხარეს, უნდა ითქვას, რომ პლატონი «პოლიტიკოსში» უპირატესობას ანიჭებს შედარებებსა და მეტაფორებს, რომლებსაც, ჩვეულებრივ, მიმართავს ფილოსოფიური დისკურსის გასაძლიერებლად და რომელთა შორის ზღვარის გავლევაც ზოგჯერ რთულია, რადგან მათი სინთეზით ფილოსოფოსი თავისებურ მეტაფორულ შედარებებს გვთავაზობს. «პოლიტიკოსში» წარმოდგენილია ორიგინალური ბგერწერის ნიმუშებიც, რომლებიც, სხვა მხატვრული სახეების მსგავსად,

ფილოსოფიური მსჯელობის მნიშვნელოვანი ასპექტების ხაზგასასმელად გამოიყენება. ამ დიალოგში პლატონი, ჩვეულებისამებრ, მიმართავს ე.წ. მოკლე პასუხებს. სხვა დიალოგების კვალობაზე, «პოლიტიკოსის» სტილის სილამეს, სისადავესა და სიმსუბუქეს ბევრწილად სწორედ ასეთი მოკლე პასუხების ოსტატური გამოყენება განაპირობებს.

«პოლიტიკოსის» ფილოსოფიური ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს დიალოგი ხორცშესხმულია სხვადასხვა მხატვრული ხერხის დახვეწილი გამოყენებით, რაც ეწინააღმდეგება გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ეს ნაწარმოები პლატონის სხვა დიალოგებთან შედარებით ნაკლებ მხატვრულია.

პლატონი – პოლიტიკოსი

(სოკრატე, თეოდოროსი, უცხოელი, უმცროსი სოკრატე)

* * *

სოკრატე

[257a] უზომოდ მადლობელი ვარ შენი, თეოდოროს, თეეტეტოსისა და ამ უცხოელის გაცნობისთვის.

თეოდოროსი

სოკრატე, მალე სამმაგად მადლობელი იქნები, მას შემდეგ, რაც ისინი პოლიტიკოსსა და ფილოსოფოსზე იმსჯელებენ შენთან ერთად.

სოკრატე

კარგი, ძვირფასო თეოდოროს, მაგრამ ნუთუ ვიტყვით, რომ ეს თვლისა და გეომეტრიის საუკეთესო [ოსტატისგან] მოვისმინეთ?
[257b]

თეოდოროსი

რას გულისხმობ, სოკრატე?

სოკრატე

[იმას], რომ ეს ადამიანები [სოფისტი, პოლიტიკოსი და ფილოსოფოსი] ერთნაირად შეაფასე, არადა ღირსებით გაცილებით უფრო შორს დგანან ერთმანეთისგან, ვიდრე თქვენი ხელოვნების [ანუ მათემატიკის] ანალოგიის კანონით[94] გამოდის.

თეოდოროსი

სოკრატე, ჩვენ ღმერთ ამონს[95] ვფიცავ, მართალი ხარ, რომ არ დაივიწყე და დათვლისას ჩემ მიერ დაშვებულ შეცდომაზე მიმანიშნე. ამის გამო შენზე შურს სხვა დროს ვიძიებ: შენ კი, უცხოელო, ნუ დაიზარებ ჩვენთვის სიკეთის ქმნას, ამოირჩიე ან პოლიტიკოსი [257c] ან ფილოსოფოსი და თანმიმდევრულად გვიამბე [მათზე].

უცხოელი

ეს უნდა გაკეთდეს, თეოდოროს, რახან ერთხელ მოვკიდეთ ხელი, არ უნდა მოვეშვათ, სანამ ბოლომდე არ მივიყვანთ. მაგრამ რა ვუყოთ ამ თეეტეტოსს?

თეოდოროსი

რას [გულისხმობ]?

უცხოელი

შევასვენოთ და მისი ადგილი მისი გიმნაზიის მეგობარს[96], სოკრატეს დავუთმოთ?

თუ რას გვირჩევ?

თეოდოროსი

ისე მოვიქცეთ, როგორც თქვი. ახალგაზრდებს უფრო უადვილდებათ ნებისმიერი სახის შრომა, თუ შეისვენებენ ხოლმე. [257d]

სოკრატე

და თან, უცხოელო, მეჩვენება, რომ ორივე რაღაცნაირად
მენათესავება; როგორც თქვენ ამბობთ, ერთი სახით მგავს, ხოლო
მეორეს [258a] იგივე სახელი აქვს, რაც მე და მიმართვის ერთი და
იგივე [ფორმა] სიახლოვეს ბადებს. მონათესავენი მუდამ უნდა
გამოვიცნოთ საუბრისას. თეეტეტოსს გუშინ თავად ვესაუბრე[97] და
ახლაც მოვისმინე მისი პასუხები, სოკრატეს კი საერთოდ არ ვიცნობ,
საჭიროა მისი ნახვაც. ჯერ შენ გიპასუხოს, შემდეგ კი – მე.

უცხოელი

ასე იყოს. სოკრატე, გესმის სოკრატესი?

უმცროსი სოკრატე

დიახ.

უცხოელი

ეთანხმები, რასაც ის ამბობს?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა. [258b]

უცხოელი

რაკი, როგორც ჩანს, შენ არაფერი გაქვს საწინააღმდეგო, მე რაღა უნდა
[მქონდეს], მაგრამ სოფისტის შემდეგ, ვფიქრობ, პოლიტიკოსი უნდა
განვიხილოთ. მითხარი, ისიც რაღაცის მცოდნედ უნდა ჩავთვალოთ,
თუ არა?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

მეცნიერებები ისე უნდა დავყოთ, როგორც ადრე [სოფისტზე
მსჯელობისას][98]?

უმცროსი სოკრატე

ალბათ.

უცხოელი

მე კი ვფიქრობ, რომ ასე არ უნდა დავყოთ, სოკრატე.

უმცროსი სოკრატე

მაშ როგორ? [258c]

უცხოელი

სხვაგვარად.

უმცროსი სოკრატე

შესაძლოა.

უცხოელი

სად უნდა მოვიძიოთ პოლიტიკოსის გზა[99]? უნდა მოვიძიოთ, სხვათაგან გამოვყოთ და ერთ სახედ აღვბეჭდოთ, შემდეგ [გზის] სხვა განშტოებები სხვა ერთიან სახედ მოვნიშნოთ ისე, რომ ჩვენი სული მეცნიერებების მხოლოდ ორ სახეს აღიქვამდეს[100].

უმცროსი სოკრატე

უცხოელო, ვფიქრობ, ეს შენი საქმეა და არა ჩემი. [258d]

უცხოელი

შენი საქმეც უნდა გახდეს, სოკრატე, როცა ჩვენთვის ნათელი მოეფინება.

უმცროსი სოკრატე

კარგი.

უცხოელი

მაშ, არითმეტიკა და მისი მსგავსი ხელოვნების სხვა მრავალი [სახეობა] შორსაა საქმისგან და მხოლოდ ცოდნას იძლევა, არა?

უცხოელი

ხოლო დურგლობა და სხვა მსგავსი ხელობანი, რომლებიც საქმესთანაა შეზრდილი, [258e] ფლობს ცოდნას და ქმნის ისეთ რაღაცეებს, რაც უწინ არ არსებობდა.

უმცროსი სოკრატე

აბა რა?

უცხოელი

ამგვარად ყველა მეცნიერებას ვყოფთ [ორ ჯგუფად]: ერთი არის პრაქტიკული, ხოლო მეორე – შემეცნებითი.

უმცროსი სოკრატე

მაშ, ეს შენთვის იყოს ერთიანი მეცნიერების ორი სახე.

უცხოელი

მაშინ, პოლიტიკოსს, მეფეს, ბატონს და სახლის მმართველსაც კი – ყველას ერთად – ერთ სახელს

ვუწოდებთ, თუ ვიტყვით, რომ რამდენი სახელიცაა, იმდენივე ხელოვნება არსებობს? ჯობს, ამ გზით გამომყვე[101].

უმცროსი სოკრატე

რომელი [გზით]? [259a]

უცხოელი

ამ [გზით]: თუ კერძო [პრაქტიკის მქონე] ექიმს შეუძლია რჩევა მისცეს რომელიმე საჯარო ექიმს, მის ხელოვნებას იგივე სახელი არ უნდა ვუწოდოთ, რაც იმისას, ვისაც ის ურჩევს?

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

მაშ რა? თუ რომელიმე კერძო პირი იმდენად ძლიერი იქნება, რომ რჩევა მისცეს ქვეყნის მეფეს, განა არ ვიტყვით, რომ მას იგივე ცოდნა

აქვს, რაც უნდა ჰქონდეს მმართველს?

უმცროსი სოკრატე

ვიტყვი. [259b]

უცხოელი

მაგრამ ჭეშმარიტი მეფის ცოდნა ხომ მეფობის ცოდნაა?

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

ამგვარად, ამ ცოდნის მფლობელს, მმართველი იქნება ის თუ კერძო პირი, ამ ხელოვნების გამო, განა მართებულად არ ვუწოდებთ «მეფობის შემძლეს»?

უმცროსი სოკრატე

სამართლიანია.

უცხოელი

ასევეა სახლის მმართველსა და ბატონთან დაკავშირებითაც.

უმცროსი სოკრატე

ასეა.

უცხოელი

მაშ რა? რა განსხვავებაა მართვის თვალსაზრისით დიდი სახლისა თუ პატარა ქალაქის მართვას შორის?

უმცროსი სოკრატე

არავითარი. [259c]

უცხოელი

მაშ, ნათელია, რომ იმ ყველაფერთან დაკავშირებით, რაც ახლა განვიხილეთ, არსებობს ერთი ცოდნა და რა განსხვავებაა, მას

მეფობას დაარქმევენ, პოლიტიკოსობას თუ სახლის მმართველობას?

უმცროსი სოკრატე

რა [განსხვავებაა]?

უცხოელი

მაგრამ, ცხადია, რომ მმართველობისას მეფეს ხელებითა და მთელი თავისი სხეულით გაცილებით უფრო ნაკლების გაკეთება შეუძლია, ვიდრე სულის სიძლიერითა და გამჭრიახობით.

უმცროსი სოკრატე

ცხადია.

უცხოელი

მაშ, უნდა ითქვას, რომ მეფისთვის შემეცნებითი ხელოვნება [259d] უფრო შესაფერისია, ვიდრე ხელოსნობა ან ნებისმიერი პრაქტიკული [ხელოვნება]?

უმცროსი სოკრატე

აბა რა?

უცხოელი

მაშ, ჩავთვალოთ, რომ პოლიტიკის ხელოვნება და ყველაფერი, რაც პოლიტიკასთანაა დაკავშირებული, აგრეთვე, მეფობის ხელოვნება და ყველაფერი, რაც მეფობასთანაა დაკავშირებული – ეს ყველაფერი ერთი და მუდამ იგივეობრივია?

უმცროსი სოკრატე

ცხადია.

უცხოელი

განა თანმიმდევრული არ იქნებოდა, თუ ამის შემდეგ შემეცნებითი ხელოვნებას დავყოფდით?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

ყურადღება მიაქციე, ისიც ხომ არ იყოფა?

უმცროსი სოკრატე

მითხარი, რას [გულისხმობ]? [259e]

უცხოელი

აი, ამას: ჩვენ ხომ გვაქვს თვლის ხელოვნება?

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

ვფიქრობ, ის ნამდვილად შემეცნებით ხელოვნებას განეკუთვნება.

უმცროსი სოკრატე

როგორ არა?

უცხოელი

მას შემდეგ, რაც თვლის ხელოვნება შეიცნობს რიცხვებს შორის განსხვავებას, მას იმაზე მეტ საქმეს ხომ არ დავაკისრებთ, ვიდრე უკვე შეცნობილის განსჯაა?

უმცროსი სოკრატე

სხვა რაღას [დავაკისრებთ]?

უცხოელი

ხუროთმოძღვარიც ხომ თავად კი არ მუშაობს, არამედ მუშებს მართავს?

უმცროსი სოკრატე

დიახ.

უცხოელი

და წვლილი შეაქვს ცოდნით და არა – ფიზიკური შრომით.

უმცროსი სოკრატე

ასეა. [260a]

უცხოელი

სამართლიანი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ ის შემეცნებითი ცოდნის თანამონაწილეა.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

ვფიქრობ, მას შემდეგ, რაც ჩათვლის, რომ საქმეს მორჩა, თავი კი არ უნდა დაანებოს თვლის ოსტატივით, არამედ თითოეულ მუშას უნდა დაავალოს შესაფერისი რამ, სანამ არ გაკეთდება ის, რაც დავალებულია.

უმცროსი სოკრატე

მართალია.

უცხოელი

ყველა ის ხელოვნება, რომელიც დაკავშირებულია თვლასთან, შემეცნებითია, მაგრამ ეს ორი გვარი მაინც ხომ იყოფა იმის მიხედვით, [260b] განსჯის თუ ბრძანებას აძლევს?

უმცროსი სოკრატე

ასე ჩანს.

უცხოელი

მაშ, თუ ვიტყვით, რომ მთელი შემეცნებითი ხელოვნება იყოფა ორ ნაწილად: ბრძანების გაცემა და განსჯა, კარგად იქნება ნათქვამი?

უმცროსი სოკრატე

ჩემი აზრით – კი.

უცხოელი

მაგრამ მათთვის, ვინც რაიმეს ერთად აკეთებს, სასიამოვნო არ უნდა იყოს შეთანხმება?

უმცროსი სოკრატე

როგორ არა.

უცხოელი

ამგვარად სანამ ჩვენ არ შევთანხმდებით, მანამდე სხვათა აზრებზე ნუ ვიდარდებით.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა. [260c]

უცხოელი

მაშ, ხელოვნების ამ ორი სახეობიდან რომელს უნდა მივაკუთვნოთ მეფობა: განსჯას – როგორც მაყურებელი[102], თუ ბრძანების გაცემას – როგორც მმართველი?

უმცროსი სოკრატე

უკანასკნელს.

უცხოელი

საკითხავია, ბრძანების გაცემის ხელოვნებაც ხომ არ იყოფა. ვფიქრობ, როგორც მეწვრილმანეობა განსხვავდება საკუთარი ნივთებით ვაჭრობისგან, [260d] ასევე განსხვავდება სამეფო გვარი მაცნეთა გვარისგან.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

მეწვრილმანები ყიდულობენ სხვათა, უკვე გაყიდულ ნივთებს, და ხელმეორედ ყიდიან.

უმცროსი სოკრატე

ზუსტად ასეა.

უცხოელი

მაცნეთა კლასიც სხვების ნააზრევს იღებს ბრძანებად და შემდეგ კვლავ სხვებს უბრძანებს.

უმცროსი სოკრატე

სრული ჭეშმარიტებაა.

უცხოელი

მაშ რა? ერთმანეთს შევურევთ მეფობის, განმარტების, [260e] ბრძანების, მისნობის, მაცნეს და ყველა სხვა მსგავს ხელოვნებას, რომელთაც ბრძანების გაცემა აერთიანებს? თუ გასურს, როგორც ახლა ისინი

ერთმანეთს შევადარეთ, მათი სახელებიც შევადაროთ, რადგან ისე მოხდა, რომ თავად ბრძანების გამცემი გვარი ჯერ კიდევ უსახელოა. ამგვარად მათ ერთმანეთისგან გავარჩევდით და სამეფო გვარს თავად ბრძანების გამცემ ნაწილს მივაკუთვნებდით, სხვებზე კი საერთოდ არ ვიზრუნებდით და მათთვის სახელის დარქმევას სხვებს მივანდობდით, რადგან კვლევს [261a] მმართველის და არა მისი საპირისპირო [რამის] გამო დავიწყეთ.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

რადგან ეს გვარი საკმაოდ დაშორებულია სხვებს, და ის, რაც მისთვისაა დამახასიათებელი, განსხვავდება იმისგან, რაც მისთვის

უცხოა, ხელახლა ხომ არ უნდა დავყოთ ის, თუ მასში კვლავ
შევნიშნავთ რაიმე განშტოებას?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

ჩანს, რომ [ამგვარი განშტოება] აქვს. მომყევი და დაყავი.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

განა არ აღმოვაჩენთ, რომ ყველა, ვისაც მმართველად ვთვლით, და
ვინც ბრძანებებს გასცემს [261b], ამას რაღაცის წარმოსაშობად
აკეთებს?

უმცროსი სოკრატე

როგორ არა.

უცხოელი

რთული არაა, ყველაფერი, რაც წარმოშობილია, ორ სახედ დაიყოს.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

მათი ერთი [ნაწილი] უსულოა, ხოლო მეორე – სულიერი.

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

მათ მსგავსად დავყოფთ შეეცნებითი ხელოვნების ბრძანების გამცემ
ნაწილს, თუკი დაყოფას მოვისურვებთ.

უმცროსი სოკრატე

რის მიხედვით [დავყოფთ]?

უცხოელი

მის ერთ ნაწილს მივაკუთვნებთ უსულოთა წარმოშობას, [261c]
ხოლო მეორეს კი – სულიერთა. ასე ყველაფერი კვლავ ორად
დაიყოფა.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

მათ ერთ ნაწილს თავი დავანებოთ, ხოლო მეორე ავიღოთ და კვლავ
ორ ნაწილად გავყოთ.

უმცროსი სოკრატე

როგორ ფიქრობ, რომელი ნაწილი უნდა ავიღოთ?

უცხოელი

რა თქმა უნდა ის, რომელიც სულიერებთან დაკავშირებით გასცემს
ბრძანებებს. სამეფო ცოდნა ხომ უსულოებთან დაკავშირებით არ
გასცემს ბრძანებებს ისე, როგორც ამას ხურო [აკეთებს]; არამედ ის
უფრო კეთილშობილია [261d] და მისი ძალაუფლება მხოლოდ
სულიერებსა და მათთან დაკავშირებულ [საკითხებზე] ვრცელდება.

უმცროსი სოკრატე

მართალია.

უცხოელი

სულიერთა დაბადებასა და კვებას შეიძლება შევხედოთ, როგორც
ერთის გამოზრდას, ან როგორც ცხოველთა დიდ ჯოგზე ერთობლივ
ზრუნვას.

უმცროსი სოკრატე

სწორია.

უცხოელი

პოლიტიკოსი, როგორც ვნახავთ, ერთის გამომზრდელი კი არაა, როგორც ერთი ხარის მომვლელი ან ერთი ცხენის მეჯინიბე, არამედ ის უფრო მეტად ჰგავს ადამიანს, რომელიც ხარების ნახირსა და ცხენების რემას მწყემსავს[103].

უმცროსი სოკრატე

ჩანს ასეა, როგორც ახლა თქვი. [261e]

უცხოელი

ბევრი ცხოველის ერთად გამოზრდას «ჯოგური გამოზრდა» ან «ერთობლივი გამოზრდა» ხომ არ ვუწოდოთ?

უმცროსი სოკრატე

როგორც უფრო მოსახერხებელია.

უცხოელი

კარგი, სოკრატე. თუკი შეძლებ, რომ არ იზრუნო სახელებზე[104], როდესაც მოხუცდები სიბრძნით უფრო გამდიდრდები. ახლა კი, როგორც მოგვიწოდე, ისე უნდა მოვიქცეთ: ხომ არ გგონია, რომ ვინმემ შეიძლება აღმოაჩინოს, რომ ჯოგური გამოზრდის ხელოვნება [262a] ორმაგია და ამის გამო, რასაც ახლა ამ ორმაგ [ხელოვნებაში] ვიკვლევთ, მის ორსავე ნახევარში უნდა გამოვიკვლიოთ?

უმცროსი სოკრატე

ვისურვებდი. მგონია, რომ ერთია ადამიანების გამოზრდა, ხოლო მეორე – ცხოველების.

უცხოელი

დიდი მონდომებითა და გამბედაობით დაგიყვია, მაგრამ შეძლებისდაგვარად ვეცადოთ, ეს აღარ დაგვემართოს.

უმცროსი სოკრატე

რა?

უცხოელი

არ უნდა გამოვყოთ ერთი პატარა ნაწილი მრავალი დიდი [ნაწილისგან] [262b] მისი სახის [გაუთვალისწინებლად], ვინაიდან ნაწილი იმავდროულად სახეც უნდა იყოს. მშვენიერია, როდესაც იმას, რასაც იკვლევ, უმაღლეს გამოყოფ დანარჩენებისგან, თუკი ამას სწორად გააკეთებ, [ისე] როგორც ახლა შენ გაიფიქრე, რომ დაყოფა იყო საჭირო და აჩქარდი მსჯელობისას, რადგან მიხვდი, რომ ადამიანებისკენ ვიხრებოდით. მაგრამ, ძვირფასო, საიმედო არაა დაწვრილმანება, უფრო საიმედოა შუაზე გაყოფა. ასე უფრო მეტადაა შესაძლებელი იდეასთან მიახლოება. სწორედ ამას აქვს მნიშვნელობა [262c] კვლევისას.

უმცროსი სოკრატე

უცხოელო, ამით რისი თქმა [გსურს]?

უცხოელი

ვეცდები გავითვალისწინო შენი ბუნება და უფრო გასაგებად ვილაპარაკო, სოკრატე. რაც ახლა გვაქვს, იმით შეუძლებელია ეს [საკითხი] საკმარისად ცხადი იყოს. შევეცდები ცოტა დავწინაურდეთ, რომ უფრო გასაგები გახდეს.

უმცროსი სოკრატე

რას ამბობ, დაყოფისას რა შეგვეშალა?

უცხოელი

რადაც ასეთი: ვინმემ რომ სცადოს ორად გაყოს ადამიანთა გვარი [262d] ისე, როგორც ჩვენთან ყოფს ადამიანთა უმრავლესობა, გამოყოფს რა ბერძნებს ყველა დანარჩენი უამრავი, ერთმანეთში შერეული და სხვადასხვა [ენაზე მოსაუბრე] გვარისაგან და მათ ერთ სახელს – «ბარბაროსს» – უწოდებს და ამ ერთი სახელის გამო ფიქრობს, რომ ეს ერთი გვარია; ან ვინმემ რომ ჩათვალოს, რომ რიცხვები ორად იყოფა, გამოყოს «ათი ათასი» ყველასგან [262e],

როგორც ერთი განსხვავებული სახე, ყველა დანარჩენს კი ერთი სახელი უწოდოს და ამ სახელის გამო ჩათვალოს, რომ ეს ერთი გვარია, რომელიც პირველისგან განსხვავდება. უკეთესი და უფრო თანაბარზომიერი იქნებოდა სახეების მიხედვით დაყოფა, თუკი ვინმე რიცხვებს კენტად და ლუწად დაყოფდა, ხოლო ადამიანების გვარს – მამრებად და მდედრებად, ლიდიელებსა და ფრიგიელებს კი სხვა დანარჩენისგან მაშინ გამოყოფდა, თუ რთული იქნებოდა ერთდროულად თითოეული დანაყოფის [263a] გვარისა და ნაწილის დადგენა.

უმცროსი სოკრატე

მართალია, მაგრამ, უცხოელო, უფრო ნათლად როგორ უნდა შეიცნოს ვინმემ გვარი და ნაწილი, თუ ისინი ერთიმეორის იგივეობრივი კი არაა, არამედ განსხვავებული?

უცხოელი

ო, ჩინებულო სოკრატე, მარტივ რამეს კი არ მთხოვ! ისედაც უკვე იმაზე შორს წავედით, ვიდრე წამოწეულ მსჯელობას სჭირდებოდა, შენ კი ჩვენი კიდევ უფრო [შორს] გადაკარგვა გინდა. ახლა კი, კვლავ [ჩვენ

თემას] მივუბრუნდეთ, როგორც შეგვეფერება, [263b] ხოლო მაგ [საკითხს] კვალდაკვალ მივყვეთ მოცალეობის ჟამს. ფრთხილად იყავი, არ გეგონოს, რომ ამის შესახებ ჩემგან ოდესმე მკაფიო განმარტება მოგისმენია.

უმცროსი სოკრატე

რის შესახებ?

უცხოელი

რომ სახე და ნაწილი ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

უმცროსი სოკრატე

აბა როგორ?

უცხოელი

თუკი არსებობს რაიმეს სახე, მაშინ ის აუცილებლად იქნება იმ საგნის ნაწილიც, რისი სახეცაა; ხოლო ნაწილი არ არის აუცილებელი იყოს სახეც. სოკრატე, ყოველთვის თქვი, რომ ეს ჩემი ნათქვამია, წინა კი – არა.

უმცროსი სოკრატე

იყოს ასე. [263c]

უცხოელი

ახლა ეს მითხარი.

უმცროსი სოკრატე

რა?

უცხოელი

[ის], საიდანაც გადავუხვიეთ, რომ აქ მოვსულიყავით. ვფიქრობ [ეს მაშინ მოხდა], როცა გკითხე თუ როგორ იყოფა ჯოგური გამოზრდა, შენ კი გაბედულად მიპასუხე, რომ არსებობს სულიერთა ორი გვარი: ერთი – ადამიანების, მეორე კი – ყველა სხვა ცხოველისა ერთად.

უმცროსი სოკრატე

ჭეშმარიტად.

უცხოელი

მომეჩვენა, რომ ერთი ნაწილი მოაშორე და შემდეგ დარჩენილი ნაწილი ერთ გვარად მიიჩნიე, [263d] რადგან ერთი სახელი დაარქვი და [მას] «ცხოველები» უწოდე.

უმცროსი სოკრატე

ზუსტად ასე იყო.

უცხოელი

მაგრამ, უმამაცესო, შეიძლება რომელიმე ცხოველი, რომელიც

სხვებზე უფრო გონიერი აღმოჩნდება, მაგალითად წერო[105], ან რომელიმე სხვა, შენსავით შეუდგეს სახელდებას და განადიდოს წეროების ერთი გვარი ყველა სხვა ცხოველთან შედარებით, დანარჩენებს კი, და მათ შორის ადამიანების [გვარსაც], ერთად მოუყაროს თავი და მათ სხვა არაფერი უწოდოს, თუ არა «ცხოველები». [263e] ვცადოთ მსგავსი რამეების წინააღმდეგ გალაშქრება.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

ნუ დავყოფთ ცოცხალთა მთელ გვარს, რათა ამგვარი შეცდომა არ დავუშვათ.

უმცროსი სოკრატე

მართლაც, არ არის საჭირო.

უცხოელი

მაშინაც სწორედ ასე შეგვეშალა.

უმცროსი სოკრატე

რა?

უცხოელი

შემეცნებითი ხელოვნების ბრძანების გამცემი გვარი ჩვენში მიეკუთვნებოდა ცხოველთა გამოზრდას, ანუ ჯოგურ გამოზრდას, ასე არ იყო?

უმცროსი სოკრატე

კი [264a].

უცხოელი

მაშინ უკვე ცხოველთა მთელი გვარი დაიყო ორად: გაწვრთნილ და

ველურ [ცხოველებად]. ის [ცხოველები], რომელთა ბუნებაც წვრთნას ექვემდებარება – შინაურია, ხოლო დანარჩენი – გარეული.

უმცროსი სოკრატე

მშვენიერია.

უცხოელი

ის ცოდნა, რომელზეც ვნადირობთ **[106]**, იყო და არის შინაურ [ცხოველებს შორის], კერძოდ, ის უნდა მოვიძიოთ ჯოგურად მცხოვრებ არსებებში.

უმცროსი სოკრატე

ჰო.

უცხოელი

ნუ დავყოფთ მაშინდელივით და ყველას ერთად ნუ განვიხილავთ, ნურც იმიტომ ვიჩქარებთ, რომ სწრაფად გადავინაცვლოთ პოლიტიკის ხელოვნებაზე [264b], რადგან ახლა ზუსტად ისეთ მდგომარეობაში ვართ, როგორც ანდაზაშია.

უმცროსი სოკრატე

რას [გულისხმობ]?

უცხოელი

ავჩქარდით და დაყოფა უფრო ნელა დავასრულებთ.

უმცროსი სოკრატე

კარგადაც [მოვიქცევით], უცხოელო.

უცხოელი

ასე იყოს. კიდევ ერთხელ თავიდან დავყოთ ერთობლივი გამოზრდის ხელოვნება, იქნებ ასე უკეთ შეიტყო ის, რისკენაც მიისწრაფვი. მოდი, მითხარი...

უმცროსი სოკრატე

რა?

უცხოელი

ალბათ, ხშირად გსმენია სხვისგან, [264c] არა მგონია თავად გენახოს თევზსაცავები ნილოსსა და სამეფო კუნძულებზე[107]. ტბებში კი ნანახი გექნება.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა, ესენიც მინახავს და იმათზეც მსმენია.

უცხოელი

და ბატებისა და წეროების მოშენებაზეც[108] გექნება გაგონილი, თუნდაც თესალიის მინდვრებში არ იყო ნამყოფი და ალბათ გჯერა კიდევ.

უმცროსი სოკრატე

როგორ არა. [264d]

უცხოელი

ეს ყველაფერი იმიტომ გკითხე, რომ ჯოგური გამოზრდა წყალქვეშაც ხდება და ხმელეთზეც.

უმცროსი სოკრატე

სწორედ ასეა.

უცხოელი

ე. ი. შენც ასე გგონია, რომ ერთობლივი გამოზრდის ხელოვნება ორად უნდა გავეყოთ და თითოეულს თავისი ადგილი მივუჩინოთ, ერთს უნდა ვუწოდოთ წყალქვეშ გამოზრდა, ხოლო მეორეს – ხმელეთზე.

უმცროსი სოკრატე

ჰო.

უცხოელი

ვფიქრობ, არ უნდა ვიკვლიოთ [264e], თუ რომელ მათგანს მიეკუთვნება მეფობის ხელოვნება, რადგან ეს ისედაც ყველასთვის ცხადია.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

ხმელეთზე ჯოგურ გამოზრდას, ალბათ, ყველა დაყოფს.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

მასში მფრინავთ და მოსიარულეთ[109] გამოყოფს.

უმცროსი სოკრატე

ჭეშმარიტად.

უცხოელი

მაშ რა? პოლიტიკის ხელოვნება მოსიარულეთა შორის არ უნდა ვეძიოთ? განა, როგორც იტყვიან, უგუნურიც ასე არ იფიქრებს?

უმცროსი სოკრატე

მეც ასე მგონია.

უცხოელი

მოსიარულე ცხოველთა გამოზრდის ხელოვნებაც ორად უნდა გავყოთ ისე, როგორც რიცხვები დავყავით.

უმცროსი სოკრატე

ცხადია. [265a]

უცხოელი

როგორც ჩანს, იმ ნაწილისკენ, საითკენაც ჩვენი მსჯელობა

მიისწრაფვის, ორი გზა მიდის: ერთი უფრო მოკლეა, როდესაც დიდიდან მცირეს გამოყოფ, ხოლო მეორე უფრო მეტადაა იმასთან კავშირში, რასაც უწინ ვამბობდით, ესაა შუაზე გაყოფა და ეს [გზა] უფრო გრძელია. ახლა კი ისე განვაგრძოთ, როგორც გვსურს.

უმცროსი სოკრატე

როგორ? ორივე [გზას რომ მივყვეთ] არ შეიძლება?

უცხოელი

ერთდროულად არა, საკვირველო, მონაცვლეობით კი, ცხადია, შეიძლება. [265b]

უმცროსი სოკრატე

მაშინ მე ავირჩევდი ორივეს, ერთმანეთის მონაცვლეობით.

უცხოელი

ადვილია, რადგან ცოტალა დაგვრჩა, ჩვენი მოგზაურობის დასაწყისში ან შუაში კი ეს რთული ამოცანა იქნებოდა. ახლა კი, რადგან ასე ფიქრობ, ჯერ გრძელ გზას მივყვეთ. სანამ ახლები ვართ, სვლა უფრო მარტივი იქნება. შეხედე, როგორ ხდება დაყოფა.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

მოსიარულე შინაური ცხოველები, რომლებიც ჯოგურად [ცხოვრობენ], მათი ბუნების შესაბამისად, ორად უნდა გაიყონ.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

მათ ნაწილს რქები არ აქვს, ნაწილი – რქოსანია. [265c]

უმცროსი სოკრატე

ჩანს [ასეა].

უცხოელი

მოსიარულე ცხოველთა გამოზრდის ხელოვნება ისე დაყავი, რომ თითოეული [ნაწილი] შესაფერისად განსაზღვრო, რადგან თუ მათ სახელდებას მოისურვებ, [საქმე] იმაზე უფრო გართულდება, ვიდრე საჭიროა.

უმცროსი სოკრატე

მაშ, როგორ უნდა ვთქვა?

უცხოელი

ასე: მოსიარულე ცხოველთა გამოზრდის ხელოვნება იყოფა ორად და მისი ერთი ნაწილი რქოსანთა ჯოგებთანაა დაკავშირებული, ხოლო მეორე – ურქოსთან. [265d]

უმცროსი სოკრატე

იყოს ისე, როგორც ითქვა, რადგან ყოველმხრივ გასაგებია.

უცხოელი

სავსებით ნათელია, რომ მეფე ურქო [ცხოველთა] ჯოგებს მწყემსავს.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

მოდით ესეც დავშალოთ და ვცადოთ, მეფეს ის მივაკუთვნოთ, [რაც მას ეკუთვნის].

უმცროსი სოკრატე

მოდით.

უცხოელი

როგორ გსურს რომ დაყო, კენტკლიქიანობის შესაბამისად, თუ იმის

მიხედვით მსგავსს ეჯვარება თუ განსხვავებულს? გასაგებია?

უმცროსი სოკრატე

რა? [265e]

უცხოელი

ის, რომ ცხენებსა და ვირებს შეუძლიათ ერთმანეთისგან შვან.

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

ხოლო ურქო შინაურ [ცხოველთა] ჯოგების დანარჩენ ნაწილს არ შეუძლია ერთმანეთთან შერევა.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

მაშ რა? ვისზე ზრუნავს პოლიტიკოსი, მასზე, ვინც მსგავსს ეჯვარება, თუ მასზე, ვინც – განსხვავებულს?

უმცროსი სოკრატე

ცხადია, მასზე, ვინც [სხვას] არ ერევა.

უცხოელი

როგორც ჩანს, ისიც ორად უნდა გავყოთ ისე, როგორც ადრე მოვიქცეთ.

უმცროსი სოკრატე

ასეა საჭირო. [266a]

უცხოელი

ყველა შინაური და ჯოგური ცხოველი დაყოფილი გვაქვს, გარდა ორი გვარისა. ძაღლებს ხომ ვერ მივათვლით ჯოგური არსებების

გვარს.

უმცროსი სოკრატე

ვერა, მაგრამ როგორ დავყოთ ეს ორი [გვარი]?

უცხოელი

სამართლიანი იქნება, თუ შენ და თეეტეტოსი დაყოფთ, რადგან გეომეტრიასთან გაქვთ კავშირი.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

დიამეტრზე და შემდეგ კვლავ დიამეტრის დიამეტრზე.

უმცროსი სოკრატე

რას გულისხმობ? [266b]

უცხოელი

ბუნება, რომელიც ადამიანთა გვარს გვერგო, უფრო განსხვავებულად მიემართება სიარულს, ვიდრე დიამეტრი კვადრატის ორ გვერდს?

უმცროსი სოკრატე

არა.

უცხოელი

დარჩენილ გვართა [ბუნებაც] კვადრატის შესაბამისად იმ კვადრატის დიამეტრია, რომელიც ორი ფუტის ტოლია.

უმცროსი სოკრატე

აბა რა? ვფიქრობ, თითქმის უკვე მივხვდი, რისი ჩვენებაც გსურს.

უცხოელი

სოკრატე, ხომ ვხედავთ, რომ ასე დაყოფისას ჩვენ თავს რაღაც სასაცილო [266c] ხდება?

უმცროსი სოკრატე

რა?

უცხოელი

ადამიანურ გვარს არსებულთა შორის ყველაზე კეთილშობილური და ამავე დროს, ყველაზე უზრუნველი სიარული ხვდა წილად.

უმცროსი სოკრატე

ვხედავ და უცნაურად მეჩვენება.

უცხოელი

მაშ რა? განა ბუნებრივი არაა, რომ ყველაზე ნელი ყველაზე გვიან აღწევს [დანაშნულების ადგილს]?

უმცროსი სოკრატე

კი, ასეა.

უცხოელი

განა ვერ ვხვდებით, რომ უფრო სასაცილოა მეფე, რომელიც ჯოგთან ერთად გარბის [266d] და ფეხდაფეხ მისდევს ადამიანებს, რომლებიც საუკეთესოდ არიან მომზადებულნი უზრუნველი ცხოვრებისთვის?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

ახლა კი, სოკრატე, უფრო ნათელი გახდა ის, რაც მაშინ სოფისტის კვლევისას ითქვა[110].

უმცროსი სოკრატე

რა?

უცხოელი

ის, რომ მსჯელობის ეს მეთოდი უფრო მეტად არ ზრუნავს

ამაღლებულზე და უფრო დიდს უფრო მეტად არ აფასებს, ვიდრე უფრო მცირეს, არამედ მუდამ თავად მიდის ჭეშმარიტებამდე[111].

უმცროსი სოკრატე

როგორც ჩანს [ასეა].

უცხოელი

ამის შემდეგ თავად ხომ არ მოვიფიქრო მეფის განსაზღვრება, შეკითხვა [266e] რომ არ დამასწრო, რომელია ყველაზე მოკლე გზა?

უმცროსი სოკრატე

ასე სჯობს.

უცხოელი

ვამბობ, რომ მსწრაფლ უნდა გამოვყოთ ორფეხათა გვარი ოთხფეხასგან და დავინახავთ რა, რომ აქ ადამიანებთან ერთად ფრინველებიც მოხვდნენ, ბუმბულიანთა გვარი უბუმბულოსგან უნდა გავმიჯნოთ. როდესაც ესეც დაიყოფა და თავს იჩენს ადამიანთა მწყემსვის ხელოვნება, პოლიტიკოსიმეფე, დავსვათ მხედრად და გადავცეთ მას ქვეყნის მართვის სადავეები, რადგან სწორედ ამ მეცნიერებასთანაა ის ახლოს. [267a]

უმცროსი სოკრატე

მშვენივრად გადმოეცი აზრი, ვალი გაისტუმრე და პროცენტიც დაამატე.

უცხოელი

მოდით დასაწყისს დავუბრუნდეთ და ბოლომდე მივიყვანოთ პოლიტიკის ხელოვნების განსაზღვრება.

უმცროსი სოკრატე

ასე [მოვიქცეთ].

უცხოელი

თავდაპირველად შემეცნებით ხელოვნებაში გამოვყავით ბრძანების გაცემის ხელოვნება, მასში გამოვყავით თავად ბრძანების გამცემი ნაწილი [267b]. ამ ნაწილიდან კვლავ გამოვყავით არანაკლებ მნიშვნელოვანი გვარი – ცხოველების გამოზრდის ხელოვნება, ხოლო ცხოველების გამოზრდის ხელოვნებიდან – ჯოგური გამოზრდის ხელოვნება, ჯოგური გამოზრდის ხელოვნებიდან – მოსიარულე ცხოველთა გამოზრდა, მოსიარულე ცხოველთა გამოზრდის [ნაწილიდან] კი ურქო ცხოველთა გამოზრდა გამოვყავით. ამ უკანასკნელის ერთი ნაწილი კი სულ მცირე სამმაგი უნდა იყოს. თუკი ვინმე მოისურვებს ის ერთი სახელით მოიხსენიოს, მას უნდა უწოდოს იმ გვარის მწყემსვის ხელოვნება, რომლის შეჯვარება განსხვავებულთან არ ხდება. [267c] ამ ნაწილიდან გამოსაყოფი დარჩება მხოლოდ ადამიანთა ორფეხა ჯოგის მწყემსვის ხელოვნება. და სწორედ ესაა, რასაც ვიკვლევდით და რასაც ეწოდება მეფობის ანუ პოლიტიკის ხელოვნება.

უმცროსი სოკრატე

სწორედ ასეა.

უცხოელი

სოკრატე, ნუთუ მართლა ისე შევასრულეთ ყველაფერი, როგორც შენ ამბობ?

უმცროსი სოკრატე

რას [გულისხმობ]?

უცხოელი

მთლიანად და სრულყოფილად ვთქვით სათქმელი? თუ ჩვენ კვლევას რაიმე აკლია და, მართალია, რაღაც ვთქვით, [267d] მაგრამ ბოლომდე არ გვითქვამს?

უმცროსი სოკრატე

რას ამბობ?

უცხოელი

შევეცდები ნათელი მოვფინო იმას, რასაც ვფიქრობ.

უმცროსი სოკრატე

თქვი.

უცხოელი

ახლა ხანს ხომ გამოჩნდა, რომ მწყემსვის მრავალი ხელოვნებიდან ერთერთი პოლიტიკის ხელოვნებაა და ის გულისხმობს ზრუნვას რომელიმე ჯოგზე?

უმცროსი სოკრატე

დიახ.

უცხოელი

მსჯელობით დადგინდა, რომ ის ცხენების ან სხვა ცხოველების გამოზრდა კი არაა, არამედ – ადამიანების ერთობლივი გამოზრდის მეცნიერებაა.

უმცროსი სოკრატე

ასეა. [267e]

უცხოელი

მაშ, ვნახოთ, რა განსხვავებაა მეფეებსა და დანარჩენ მწყემსებს შორის.

უმცროსი სოკრატე

რა [განსხვავებაა]?

უცხოელი

თუ სხვა, რომელსაც სხვა ხელოვნება ჰქვია, თავს მოიკატუნებს და იტყვის, რომ ისიც ჯოგის გამომზრდელია.

უმცროსი სოკრატე

რას გულისხმობ?

უცხოელი

მაგალითად, თუ ვაჭრები, გლეხები და მცხოვრებლები, მათთან ერთად კი გიმნასტიკის მასწავლებლები და ექიმთა გვარიც შეეცილებიან მათ, ვინც ადამიანებს მწყემსავს და ვისაც პოლიტიკოსები ვუწოდებთ [268a], [და იტყვიან] რომ სწორედ ისინი ზრუნავენ არა მარტო ადამიანთა ჯოგების, არამედ მათი მმართველების გამოზრდაზეც.

უმცროსი სოკრატე

განა მართებულად არ იტყვიან?

უცხოელი

შესაძლოა. მაგას ვნახავთ, ის კი ვიცით, რომ საქონლის მომვლელს ამ საქმეში ვერავინ შეეცილება, ის თავადაა საქონლის მწყემსიც, ექიმიც, შემჯვარებელიც და მისი მშობიარობის [268b] დროსაც მხოლოდ ისაა

ბებიასეალობის მცოდნე. როცა თამაშსა და მუსიკას შეეხება საქმე, თუ საქონელს ეს ბუნებით მოსდგამს, არავინაა [საქონლის მომვლელზე] ძლიერი მის დამშვიდებასა და მოთვინიერებაში, რადგან მას ინსტრუმენტებითა თუ უბრალო ბაგეებით შეუძლია გამოსცეს ის მუსიკა, რომელიც მის ჯოგს შეეფერება. სხვა მწყემსებზეც შეიძლება იგივე ითქვას, არა?

უმცროსი სოკრატე

სრული ჭეშმარიტებაა.

უცხოელი

მაგრამ განა შეიძლება ჩვენი მსჯელობა მეფის შესახებ მართებული და უდავო იყოს, [268c] მაშინ, როცა მხოლოდ მას დავადგენთ ადამიანების ჯოგის მწყემსად და გამომზრდელად, და გამოვრიცხავთ ყველა სხვას, ვინც მას ამაში ეცილება?

უმცროსი სოკრატე

არანაირად.

უცხოელი

განა ახლახან მართებულად არ შევშინდით, როდესაც დავეჭვდით, რომ შეიძლებოდა მეფის მონახაზი გაგვეკეთებინა ისე, რომ მისი ზუსტი სახე არ გადმოგვეცა, სანამ არ ჩამოვაშორებდით ყველას, ვინც მის გარშემო ირევა და მასთან ერთად მწყემსობას იჩემებს, არ გამოვაცალკევებდით მათგან და მხოლოდ მას არ წარმოვადგენდით? [268d]

უმცროსი სოკრატე

სავსებით სწორია.

უცხოელი

მაშ, ასე უნდა გავაკეთოთ, სოკრატე, თუ არ ვაპირებთ, რომ მსჯელობის დასასრულს შევრცხვეთ.

უმცროსი სოკრატე

არა, ასე არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოვიქცეთ.

უცხოელი

კვლავ თავიდან უნდა დავიწყოთ და სხვა გზას უნდა გავყვეთ.

უმცროსი სოკრატე

რომელს?

უცხოელი

თამაშგარეულ გზას. უნდა გამოვიყენოთ გრძელი მითის დიდი ნაწილი, დანარჩენი კი [268e], როგორც უწინ, ნაწილ-ნაწილ უნდა დავყოთ და ასე მივადწევთ იმას, რასაც ვიკვლევთ. ასე მოვიქცეთ?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

მაშ, ბავშვებივით ყურადღებით მოეკიდე ჩემ მითს[112], დიდი ხანი

ხომ არაა, რაც თამაშს თავი დაანებე.

უმცროსი სოკრატე

მოყევი.

უცხოელი

მრავალი ძველი თქმულება არსებობს და კიდევ სხვა მრავალი იარსებებს.

ერთ-ერთი ასეთი თქმულება ეხება ატრევსისა და თიესტოსის[113] განხეთქილებას, ალბათ, გსმენია და გახსოვს, რაც იქ მოხდა.

უმცროსი სოკრატე

ალბათ, ოქროს ვერძს[114] გულისხმობ. [269a]

უცხოელი

არანაირად. მზისა და სხვა ვარსკვლავების ჩასვლა-ამოსვლის ცვლილებებს ეხება, რადგან საიდანაც ახლა მზე ამოდის, ადრე იმ ადგილას ჩადიოდა და პირიქით, სადაც ახლა ჩადის – იქიდან ამოდიოდა. მაშინ ღმერთმა ატრევსის გულისთვის შეცვალა ისე, როგორც ახლაა[115].

უმცროსი სოკრატე

ამასაც ამბობენ.

უცხოელი

კრონოსის[116] მეფობის შესახებაც ბევრისგან გვსმენია. [269b]

უმცროსი სოკრატე

ძალიან ბევრისგან.

უცხოელი

და იმაზეც, რომ უწინ ადამიანები მიწიდან იზადებოდნენ და არა ერთმანეთისგან?[117]

უმცროსი სოკრატე

ესეც ერთ-ერთი უძველესი თქმულებაა.

უცხოელი

ყველა ეს და კიდევ ათასი სხვა და უფრო საკვირველი [ამბავიც] ერთ მოვლენას უკავშირდება. წელთა სიმრავლის გამო ნაწილი დაიკარგა, ნაწილი მიმოიფანტა და თითოეულ მათგანზე განცალკევებულად ყვებიან. მაგრამ არავის უთქვამს, რა იყო მათი მთავარი მიზეზი [269c] და ახლა ჩვენ უნდა ვთქვათ, რადგან ეს დაგვეხმარება მეფის განსაზღვრებაში.

უმცროსი სოკრატე

მშვენივრად ამბობ. თქვი, არაფერი გამოტოვო.

უცხოელი

მაშ, მისმინე. ხან თავად ღმერთი მართავს სამყაროს მოძრაობას და აბრუნებს მას, იმ პერიოდში კი, როდესაც ამოიწურება მისთვის განკუთვნილი დრო, [ღმერთი] ტოვებს მას და ის ავტომატურად [იწყებს] საპირისპიროდ ბრუნვას, [269d] რადგან სამყარო ცოცხალია და აქვს გონება, რომელიც უბოძა იმან, ვინც ის თავდაპირველად შექმნა და ეს უკუსვლა მას აუცილებლობით აქვს ჩადებული ბუნებაში იმ მიზეზით, რომ...

უმცროსი სოკრატე

რა მიზეზით?

უცხოელი

მუდამ თავისი თავის იგივეობრივად და უცვლელად ყოფნა მხოლოდ ღვთაებრივ [არსებებს] შეჭვერთ, სხეულის ბუნება კი მათ რიგს არ განეკუთვნება. იმას, რასაც ზეცასა და კოსმოსს ვუწოდებთ, მისმა შემქმნელმა უბოძა მრავალი ნეტარება, მაგრამ იმავდროულად – სხეულთან ზიარებაც. [269e] ამიტომ შეუძლებელია წილად არ ხვდომოდა ცვლილებები, თუმცა, რამდენადაც შესაძლებელია, ის

ერთ ადგილას ერთნაირად მოძრაობს, ხოლო უკუღმა ბრუნვის [თვისება] მან მიიღო როგორც სულ მცირე გადახრა თავისი მოძრაობიდან. მუდმივად ბრუნვა თითქმის არავის შეუძლია, გარდა იმისა, ვინც თავად მართავს სხვათა მოძრაობას, მათ კი არ ეძლევათ ნება ხან ერთი მიმართულებით ამოძრაონ [რაიმე], ხან კი – მისი საპირისპირო [მიმართულებით]. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, კოსმოსზე არც იმის თქმა შეიძლება, რომ ის მუდამ თავად ამოძრავებს საკუთარ თავს, არც იმისი, რომ მას მთლიანად ყოველთვის ღმერთი აბრუნებს ორმაგად და საპირისპირო მიმართულებით, [270a] და არც იმისი, რომ ორი ღმერთი თავისი შეხედულებისამებრ ერთიმეორის საპირისპიროდ აბრუნებს, არამედ, როგორც ადრეც ვთქვით, ერთი [რამ] რჩება, რომ ის სხვა ღვთაებრივი მიზეზით მოძრაობს. ის ხელახლა იძენს სიცოცხლეს და მას უკვდავებას უმზადებს და ანიჭებს შემოქმედი, ხოლო როდესაც [კოსმოსი] თავისუფლდება, ის თავისთავად მოძრაობს და მას იმდენი დრო ეძლევა, რომ ათასობით უკუბრუნნი გააკეთოს და რადგან ყველაზე დიდი და ყველაზე უკეთ გაწონასწორებულია, უმცირესი ბიჯით ბრუნავს. [270b]

უმცროსი სოკრატე

მალიან დამაჯერებელია ეს ყველაფერი, რაც ახლა თქვი.

უცხოელი

მოდით, გავაანალიზოთ და გავაცნობიეროთ ნათქვამის საფუძველზე, ყველა იმ სასწაულის მიზეზი, რაზეც ახლა ვსაუბრობთ. ეს [მიზეზი] კი შემდეგია.

უმცროსი სოკრატე

რომელი?

უცხოელი

ის, რომ სამყარო წრიულად ხან ერთი მიმართულებით მოძრაობს, ხან კი მის საპირისპიროდ.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

ეს უნდა ჩაითვალოს [270c] უდიდეს და ყველაზე სრულყოფილ ცვლილებად, რაც კი ზეცაში ხდება.

უმცროსი სოკრატე

როგორც ჩანს.

უცხოელი

საფიქრალია, რომ უდიდესი ცვლილებები მის ქვეშ მცხოვრებლებშიც ხდება.

უმცროსი სოკრატე

ესეც ასეა.

უცხოელი

განა არ ვიცით, რომ ცხოველთა ბუნებისთვის ძალიან რთულია მრავალი, დიდი და სხვადასხვაგვარი ცვლილების გადატანა?

უმცროსი სოკრატე

როგორ არა.

უცხოელი

ამ დროს სხვა ცხოველებსაც აუცილებლად უდიდესი განადგურების [საფრთხე] ატყდება თავს [270d] და ადამიანთა გვარიდანაც ძალიან ცოტა თუ გადარჩება და მათაც წილად ხვდებათ მრავალი ახალი და საოცარი განსაცდელი, რომელთაგან უდიდესი ისაა, რომელიც თან ახლავს სამყაროს შემობრუნებას, როდესაც მისი მოძრაობა საპირისპირო მიმართულებას იძენს.

უმცროსი სოკრატე

რომელი [განსაცდელი]?

უცხოელი

რა ასაკისაც იყო თითოეული ცხოველი, იმავე [ასაკის] დარჩა და ყველაფერმა, რაც მოკვდავი იყო, შეწყვიტა ზრდა და მოხუცებულობაც აღარ ეტყობოდა, პირიქით შეიცვალა, [270e] გაახალგაზრდავდა და განაზდა; მოხუცებს თეთრი თმა გაუშავდათ, წვერიანი ლოყები კვლავ სრიალა გაუხდათ და ძველ დროს დაუბრუნდნენ, მოწიფულ მამაკაცთა სხეულიც სრიალა გახდა და დღითიდღე თითოეული მათგანი უფრო და უფრო ახალგაზრდავდებოდა მანამ, სანამ კვლავ ახალშობილი არ გახდებოდა და სულითაც და სხეულითაც მას არ დაემსგავსებოდა. ასე აგრძელებდნენ ჭკნობას, სანამ საბოლოოდ არ გაქრნენ. იმ დროს ძალადობით მოკლულთა გვამებსაც იგივე დაემართა [271a] და რამდენიმე დღეში შეუმჩნევლად გაქრა.

უმცროსი სოკრატე

უცხოელო, მაშ როგორ ხდებოდა ცოცხალთა შობა მაშინ? როგორ იბადებოდნენ ისინი ერთმანეთისგან?

უცხოელი

ცხადია, სოკრატე, რომ მაშინ ბუნებაში არ არსებობდა ერთმანეთისგან შობა. ამბობენ, რომ როგორც ოდესღაც მიწიდან შობილთა გვარი არსებობდა, ისე იმ დროსაც მიწიდან იბადებოდნენ. ეს ხსოვნა შემოგვინახეს ჩვენმა უძველესმა წინაპრებმა, რომლებიც პირველი წრებრუნვის [271b] მიწურულს ცხოვრობდნენ და მის დასაწყისში იშვნენ. ამიტომ გახდნენ იმ ამბების მაცნენი ჩვენთვის, რაშიც ახლა მრავალს უმართებულოდ ეპარება ეჭვი; ჩვენ კი, ვფიქრობ, უნდა დავიჯეროთ, რომ თუ მოხუცები ახალგაზრდავდებიან, მაშინ მიცვალებულებიც, რომლებიც მიწას არიან მიბარებული, უნდა წამოდგნენ და გაცოცხლდნენ დაბადების საპირისპირო ცვლილების კვალობაზე. შესაბამისად, ისინი აუცილებლად [271c]

მიწიდან წარმოიშვებიან, სწორედ აქედანაა მათი სახელიც და მისი

განმარტებაც, თუ რომელიმეს ღმერთმა სხვა ხვედრი არ არგუნა.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა, ასე გამოდის ადრე ნათქვამიდან, მაგრამ ცხოვრება, რომელსაც როგორც აღნიშნე, კრონოსი განაგებდა, რომელ წრებრუნვას ეკუთვნოდა, ძველს თუ ახალს? ხომ აშკარაა, რომ ვარსკვლავებისა და მზის ნებისმიერი ცვლილება წრებრუნვისას ხდება?

უცხოელი

კარგად მიგიდევნებია ყური მსჯელობისთვის. [271d] რაც შეეხება შენს კითხვას, ადამიანთათვის ყველაფრის თავისთავად შობის შესახებ, ეს საერთოდ არ ეხება ამჟამინდელ წრებრუნვას, არამედ ადრე იყო. მაშინ, დასაწყისში წრებრუნვას მთლიანად ღმერთი მართავდა და ზედამხედველობდა, მმართველ ღმერთებს ასევე გადანაწილებული ჰქონდათ კოსმოსის სხვადასხვა ნაწილი და ცხოველებიც გვარებისა და ჯოგების მიხედვით ჰყავდათ დანაწილებული ღვთაებრივ მწყემსებს – დემონებს. თითოეული [მათგანი] მართავდა იმ [ნაწილს], [271e] რომელიც მას ერგებოდა, ისე, რომ არც გარეული ცხოველები არსებობდნენ, არც ერთმანეთს ჭამდნენ, არც ომი ჰქონიათ, არც სხვა სახის არეულობა, მრავალი კარგი რამ შეიძლება ითქვას ამგვარი მოწყობის შესახებ. ადამიანების ასეთი თავისთავადი ცხოვრების თაობაზე შემდეგი მიზეზების გამო ითქვა: ღმერთი თავად მწყემსავდა და წინამძღვრობდა მათ, როგორც ამჟამად ადამიანები, რომლებიც სხვა არსებებზე უფრო ღვთაებრივნი არიან, მათზე მდაბალთ მწყემსავდნენ. მისი მწყემსობის დროს არც სახელმწიფოები არსებობდა, არც ცოლები და შვილები ჰყავდათ [272a]. ყველანი მიწიდან იზადებოდნენ და წინა დროიდან არაფერი ახსოვდათ. მართალია, მსგავსი არაფერი ჰქონდათ, მაგრამ ხეებიდან და სხვა მცენარეებიდან უხვ ხილს იღებდნენ, რაც მიწის დამუშავებით კი არ აღმოცენდებოდა, არამედ მიწიდან თავისთავად ამოდიოდა. არც ტანსაცმელი ჰქონდათ, არც – საწოლი და უფრო მეტად ღია ცის ქვეშ ცხოვრობდნენ. ამინდი ხომ მათთვის

დალოცვილი იყო, რბილ სარეცლად კი მიწიდან უხვად ამოსული
ბალახი ჰქონდათ [272b]. სოკრატე, გსმენია კრონოსის დროს მათი
ცხოვრების შესახებ? ახლა კი, როგორც ამბობენ, ზევსის დროა,
რომელშიც შენც იმყოფები და იცი. შეგიძლია და გინდა, განსაჯო ამ
ორიდან, რომელი უფრო ბედნიერი [ხანაა]?[118]

უმცროსი

სოკრატე არანაირად.

უცხოელი

ხომ არ გინდა, მე განგიმარტო?

უმცროსი სოკრატე

რატომაც არა.

უცხოელი

მაშ, თუ კრონოსის გამოზრდილი შვილები მოიცლიდნენ და
შეძლებდნენ საუბარს არა მხოლოდ ადამიანებთან, არამედ
ცხოველებთანაც [272c], და ამ ყველაფერს გამოიყენებდნენ
ფილოსოფიისთვის, ცხოველებთან და ერთმანეთთან საუბრის
მეშვეობით ბუნებისგან შეიტყობდნენ, ხომ არ იცოდა მან,
განსაკუთრებული ძალის წყალობით, რაღაც განსხვავებული
გონების მარაგისათვის. ასე კი ადვილად მისახვედრია, რომ იმ
ეპოქის ადამიანები ბევრად უფრო ბედნიერი იყვნენ, ვიდრე –
დღევანდელი. ხოლო თუ უბრალოდ [მუცელს] ამოივსებდნენ
საკვებითა და სასმელით და ერთმანეთს და ცხოველებს მხოლოდ იმ
ამბებს გადასცემდნენ, რასაც მათ შესახებ ახლაც [272d] ყვებიან, ესეც,
ჩემი აზრით, ცხადი და ადვილად ასახსნელი იქნებოდა. მაგრამ,
მოდი, თავი დავანებოთ მანამ, სანამ ვინმე არ გვაუწყებს, ცოდნისა და
მსჯელობის რა მოთხოვნილება ჰქონდათ მაშინ. მაგრამ, უნდა
განვმარტოთ, რატომ მოვიხმეთ ეს მითი, რათა გზა განვაგრძოთ. მას
შემდეგ, რაც ამ ყველაფერს დრო ამოეწურა და ცვლილება უნდა
მომხდარიყო, [272e] მთელი მიწიერი გვარი განადგურდა და

სულებმა შეწყვიტეს დაბადება და მიწაზე დაცვივდნენ თესლის სახით, ყოველივეს მმართველმა მიატოვა ადგილი, რომელსაც კვებავდა და სათვალთვალოდ განთავსდა. სამყარო კი კვლავ ბრუნავდა მისთვის ბედისწერით დადგენილი და თანდაყოლილი სწრაფვის გამო. თითოეულმა ღმერთმა, რომელიც [სამყაროს] ნაწილს მართავდა უზენაეს ღვთაებასთან ერთად, გაიგო თუ არა მომხდარის შესახებ, მიატოვა სამყაროს ის ნაწილი [273a], რომელზეც ზრუნავდა. სამყარო კი უკუღმა დატრიალდა და საკუთარ თავს შეეჯახა, რადგან მისი დასაწყისი და დასასრული ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით ამოძრავდა. მომხდარმა დიდმა მიწისძვრამ კი ყველა ცხოველი კიდევ ერთხელ გაანადგურა. კარგა ხნის შემდეგ, რაც ხმაური და მღელვარება შეწყდა, რყევებს სიმშვიდე მოჰყვა, ხოლო სამყარო თავის ჩვეულ სვლას დაუბრუნდა, განაგრძო მართვა და ზრუნვა [273b] საკუთარ თავზე და ყველაფერზე, რაც მასშია და შეძლებისდაგვარად იხსენებდა თავისი შემოქმედისა და მამის[119]სწავლებას. დასაწყისში [ყველაფერს] უფრო ზუსტად ასრულებდა, ხოლო ბოლოს უფრო უყურადღებოდ. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ბუნებით თანდაყოლილი სხეული შერეული იყო, რადგან მანამ, სანამ სამყაროში მოვიდოდა, მრავალ უწყესრიგობას ეზიარა. თავისი შემქმნელისგან მას ყველაფერი მშვენიერი ერგო, ხოლო თავისი ადრინდელი მდგომარეობიდან [273c], რაც კი ზეცაში მძიმე და უსამართლო იყო, ყველაფერი თვითონაც დაიტოვა და ცოცხალ არსებებსაც უბოძა. სამყარო მმართველთან ერთად ცოცხალ არსებებს კვებავდა, მათში მცირეოდენ სიავესა და ბევრ სიკეთეს აღვივებდა. მმართველთან დაშორების შემდეგ, თავდაპირველად ყველაფერს მშვენივრად უძღვებოდა, მაგრამ დრო რომ გავიდა და [მმართველი] დავიწყებას მიეცა, მასზე ძველი უწყესრიგობა გაბატონდა [273d], ბოლოს [სამყაროში] მცირეოდენი სიკეთე დარჩა, და ბევრ საპირისპირო რამეს შეერია, მასაც და ყველაფერს მასში მყოფს განადგურების საფრთხე დაემუქრა. მას შემდეგ, რაც ღმერთმა, რომელმაც [სამყარო] მოაწესრიგა, დაინახა მისი რთულ მდგომარეობა, იზრუნა, რომ მღელვარებისგან აფორიაქებული

[სამყარო] არ განადგურებულიყო და არაერთგვაროვნების უსაზღვრო ზღვაში არ [273e] ჩაძირულიყო. [მან] კვლავ გამოზრდელის ადგილი დაიკავა, ყველაფერი დასნეულებული და დაშლილი კვლავ უწინდელ ბრუნვას დაუბრუნა, მოაწესრიგა, უკვდავი და უბერებელი გახადა. ესაა ამ მითის დასასრული.

რაც შეეხება ჩვენს [მოსაზრებას] მეფის შესახებ, ის ადრე ნათქვამს უნდა დავუკავშიროთ. როდესაც სამყარო ამოდრავდა და დაბადების დღევანდელ გზას დაადგა, ასაკმა ზრდა შეწყვიტა და მაშინდელის საპირისპირო ახალი რამეები გაჩნდა. პატარა არსებები, რომლებიც თავიანთი ზომის გამო კინალამ გაქრნენ, ისევ იზრდებოდნენ, ხოლო მიწიდან ახლად აღმოცენებული სხეულები კვლავ კვდებოდნენ და მიწაში ჩადიოდნენ. და სხვა ყველაფერი იცვლებოდა, [274a] ბამვდა და მიჰყვებოდა რა სამყაროს მდგომარეობას. ბამვა აუცილებელი იყო ყველაფერში – ფეხმძიმობაში, დაბადებაში, გამოზრდაში – რადგან მიწიდან სხვა რამისგან შემდგარი ცოცხალი არსება ვერ აღმოცენდებოდა, ისევე როგორც სამყაროს, თავად უნდა ემართა თავისი სვლა. მის ნაწილებსაც, შეძლებისამებრ, თავად უნდა აღმოეცენებინათ, ეშვათ და გამოეზარდათ. [274b] უკვე იქ მივედით, საიდანაც ჩვენი საუბარი წამოვიწყეთ. ძალიან დიდ ხანს მოვუნდებით საუბარს, თუ რატომ და როგორ შეიცვალნენ ცხოველები და ეს შორს წაგვიყვანს, ხოლო ადამიანებზე – უფრო მოკლედ თქმა [შეიძლება] და უფრო შესაფერიც [იქნება]. მას შემდეგ, რაც ჩვენმა ღვთაებამ, მწყემსმა ჩვენზე ზრუნვა შეწყვიტა, ბევრი ცხოველი, რომელსაც მძიმე ხასიათი ჰქონდა, გაველურდა და სწეულ და დაუცველ ადამიანებს იტაცებდა **[120]** [274c]. პირველ ხანებში უძლურნი და მოუხერხებელნი იყვნენ, ბუნებრივი საკვები არ ჰყოფნიდათ, ხოლო [საჭმლის] მოპოვება არ იცოდნენ, რადგან ადრე ამას არაფერი აიძულებდათ. ამ ყველაფრის გამო მათ ძალიან უჭირდათ. სწორედ ამიტომ, როგორც ამბობენ, ღმერთებმა აუცილებელი ცოდნისა და მითითებების გარდა სხვა საჩუქრებიც გვბოძეს: ცეცხლი – პრომეთემ, ხელოვნებანი – ჰეფესტოსმა და ხელობაში მისმა დამხმარე [ქალბატონმა] **[121]** [274d], თესლი და

მცენარეები – სხვა ღმერთებმა. ყველაფერი, რაც ადამიანურ ცხოვრებას აწესრიგებს, აქედან წარმოიშვა, რადგან, როგორც უკვე ავლნიშნე, როდესაც ადამიანებს ზრუნვა შემოაკლდათ, მათ თავად მოუწიათ ეზრუნათ და ემართათ საკუთარი თავი, მთელი სამყაროს მსგავსად, რომელსაც მუდამ ვბაძავთ და მივყვებით. სხვა დროს სხვაგვარად, ახლა კი ასე ვიბადებით და ვიზრდებით [274e]. ეს მითი აქ დავასრულოთ, თუმცა იმის გასაგებად გამოვიყენოთ, თუ როგორ ვცდებოდით მსჯელობისას, როცა მეფესა და პოლიტიკოსს განვსაზღვრავდით.

უმცროსი სოკრატე

რას გულისხმობ? რა შეცდომა დავუშვით?

უცხოელი

ერთი მხრივ, ის უფრო პატარაა, ხოლო მეორე მხრივ – უფრო დიდი, მძიმე და მნიშვნელოვანი, ვიდრე [ჩანს].

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

როდესაც ამჟამინდელი წრებრუნვისა და წარმოშობის მეფესა და პოლიტიკოსზე გვკითხეს, ჩვენ საპირისპირო წრებრუნვის [275a] ადამიანთა ჯოგის მწყემსზე ვუპასუხეთ, რომელიც ღმერთი იყო და არა – ადამიანი, რითიც ძალიან დიდი შეცდომა დავუშვით. როდესაც ის მთელი ქვეყნის მმართველად გამოვაცხადეთ, არ გვითქვამს, თუ რა სახით [მართავს]. ანუ სწორად კი ვთქვით, მაგრამ ნათქვამი სრული და მკაფიო არ იყო; სწორედ ამიტომ აქ უფრო ნაკლებად შევცდით, ვიდრე წინა [შემთხვევაში].

უმცროსი სოკრატე

მართალია.

უცხოელი

როგორც ჩანს, ქვეყნის მართვის ფორმა უნდა დავადგინოთ, რათა იმედი ვიქონიოთ, რომ ასე მაინც საბოლოოდ განვსაზღვრავთ, თუ ვინ არის პოლიტიკოსი.

უმცროსი სოკრატე

კარგი [275b].

უცხოელი

მითიც იმის წარმოსაჩენად მოვიხმეთ, რომ ჯოგურ გამოზრდაში არა მხოლოდ ყველა ეცილება მას, ვისაც ახლა ვიკვლევთ, არამედ, რომ კიდევ უფრო ცხადად გვეჩვენებინა ის, ვისაც მწყემსისა და მენახირის მსგავსად – მხოლოდ ერთს შეეფერებოდა ადამიანების გამოზრდაზე ზრუნვა და ამ სახელის ტარების პატივი.

უმცროსი სოკრატე

მართალია.

უცხოელი

სოკრატე, ვფიქრობ, [275c] ღვთაებრივი მწყემსის სახე ამ მეფეზე უფრო დიდებულია. ახლანდელი პოლიტიკოსები ხომ უფრო მეტად მათ გვანან ბუნებით, ვისაც მართავენ და ვისთანაც საკვებსა და განათლებას იზიარებენ.

უმცროსი სოკრატე

ნამდვილად ასეა.

უცხოელი

მაგრამ [ის] არც მეტად უნდა ვიკვლიოთ და არც ნაკლებად, როგორიც არ უნდა ყოს ბუნებით.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

* * *

სოკრატე

[257a] უზომოდ მაღლობელი ვარ შენი, თეოდოროს, თეეტეტოსისა და ამ უცხოელის გაცნობისთვის.

თეოდოროსი

სოკრატე, მალე სამმაგად მაღლობელი იქნები, მას შემდეგ, რაც ისინი პოლიტიკოსსა და ფილოსოფოსზე იმსჯელებენ შენთან ერთად.

სოკრატე

კარგი, ძვირფასო თეოდოროს, მაგრამ ნუთუ ვიტყვით, რომ ეს თვლისა და გეომეტრიის საუკეთესო [ოსტატისგან] მოვისმინეთ? [257b]

თეოდოროსი

რას გულისხმობ, სოკრატე?

სოკრატე

[იმას], რომ ეს ადამიანები [სოფისტი, პოლიტიკოსი და ფილოსოფოსი] ერთნაირად შეაფასე, არადა ღირსებით გაცილებით უფრო შორს დგანან ერთმანეთისგან, ვიდრე თქვენი ხელოვნების [ანუ მათემატიკის] ანალოგიის კანონით **[94]** გამოდის.

თეოდოროსი

სოკრატე, ჩვენ ღმერთ ამონს **[95]** ვფიცავ, მართალი ხარ, რომ არ დაივიწყე და დათვლისას ჩემ მიერ დაშვებულ შეცდომაზე მიმანიშნე. ამის გამო შენზე შურს სხვა დროს ვიძიებ: შენ კი, უცხოელო, ნუ დაიზარებ ჩვენთვის სიკეთის ქმნას, ამოირჩიე ან პოლიტიკოსი [257c] ან ფილოსოფოსი და თანმიმდევრულად გვიაშუბე [მათზე].

უცხოელი

ეს უნდა გაკეთდეს, თეოდოროს, რახან ერთხელ მოვკიდეთ ხელი, არ უნდა მოვეშვათ, სანამ ბოლომდე არ მივიყვანთ. მაგრამ რა ვუყოთ ამ თეეტეტოსს?

თეოდოროსი

რას [გულისხმობს]?

უცხოელი

შევასვენოთ და მისი ადგილი მისი გიმნაზიის მეგობარს[96],
სოკრატეს დავუთმოთ?

თუ რას გვირჩევ?

თეოდოროსი

ისე მოვიქცეთ, როგორც თქვი. ახალგაზრდებს უფრო უადვილდებათ
ნებისმიერი სახის შრომა, თუ შეისვენებენ ხოლმე. [257d]

სოკრატე

და თან, უცხოელო, მეჩვენება, რომ ორივე რაღაცნაირად
მენათესავება; როგორც თქვენ ამბობთ, ერთი სახით მგავს, ხოლო
მეორეს [258a] იგივე სახელი აქვს, რაც მე და მიმართვის ერთი და
იგივე [ფორმა] სიახლოვეს ბადებს. მონათესავენი მუდამ უნდა
გამოვიცნოთ საუბრისას. თეეტეტოსს გუშინ თავად ვესაუბრე[97] და
ახლაც მოვისმინე მისი პასუხები, სოკრატეს კი საერთოდ არ ვიცნობ,
საჭიროა მისი ნახვაც. ჯერ შენ გიპასუხოს, შემდეგ კი – მე.

უცხოელი

ასე იყოს. სოკრატე, გესმის სოკრატესი?

უმცროსი სოკრატე

დიახ.

უცხოელი

ეთანხმები, რასაც ის ამბობს?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა. [258b]

უცხოელი

რაკი, როგორც ჩანს, შენ არაფერი გაქვს საწინააღმდეგო, მე რაღა უნდა [მქონდეს], მაგრამ სოფისტის შემდეგ, ვფიქრობ, პოლიტიკოსი უნდა განვიხილოთ. მითხარი, ისიც რაღაცის მცოდნედ უნდა ჩავთვალოთ, თუ არა?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

მეცნიერებები ისე უნდა დავყოთ, როგორც ადრე [სოფისტზე მსჯელობისას][98]?

უმცროსი სოკრატე

ალბათ.

უცხოელი

მე კი ვფიქრობ, რომ ასე არ უნდა დავყოთ, სოკრატე.

უმცროსი სოკრატე

მაშ როგორ? [258c]

უცხოელი

სხვაგვარად.

უმცროსი სოკრატე

შესაძლოა.

უცხოელი

სად უნდა მოვიძიოთ პოლიტიკოსის გზა[99]? უნდა მოვიძიოთ, სხვათაგან გამოვყოთ და ერთ სახედ აღვბეჭდოთ, შემდეგ [გზის] სხვა განშტოებები სხვა ერთიან სახედ მოვნიშნოთ ისე, რომ ჩვენი სული მეცნიერებების მხოლოდ ორ სახეს აღიქვამდეს[100].

უმცროსი სოკრატე

უცხოელო, ვფიქრობ, ეს შენი საქმეა და არა ჩემი. [258d]

უცხოელი

შენი საქმეც უნდა გახდეს, სოკრატე, როცა ჩვენთვის ნათელი მოეფინება.

უმცროსი სოკრატე

კარგი.

უცხოელი

მაშ, არითმეტიკა და მისი მსგავსი ხელოვნების სხვა მრავალი [სახეობა] შორსაა საქმისგან და მხოლოდ ცოდნას იძლევა, არა?

უცხოელი

ხოლო დურგლობა და სხვა მსგავსი ხელობანი, რომლებიც საქმესთანაა შეზრდილი, [258e] ფლობს ცოდნას და ქმნის ისეთ რაღაცეებს, რაც უწინ არ არსებობდა.

უმცროსი სოკრატე

აბა რა?

უცხოელი

ამგვარად ყველა მეცნიერებას ვყოფთ [ორ ჯგუფად]: ერთი არის პრაქტიკული, ხოლო მეორე – შემეცნებითი.

უმცროსი სოკრატე

მაშ, ეს შენთვის იყოს ერთიანი მეცნიერების ორი სახე.

უცხოელი

მაშინ, პოლიტიკოსს, მეფეს, ბატონს და სახლის მმართველსაც კი – ყველას ერთად – ერთ სახელს ვუწოდებთ, თუ ვიტყვით, რომ რამდენი სახელიცაა, იმდენივე ხელოვნება არსებობს? ჯობს, ამ გზით გამომყვე[101].

უმცროსი სოკრატე

რომელი [გზით]? [259a]

უცხოელი

ამ [გზით]: თუ კერძო [პრაქტიკის მქონე] ექიმს შეუძლია რჩევა მისცეს რომელიმე საჯარო ექიმს, მის ხელოვნებას იგივე სახელი არ უნდა ვუწოდოთ, რაც იმისას, ვისაც ის ურჩევს?

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

მაშ რა? თუ რომელიმე კერძო პირი იმდენად ძლიერი იქნება, რომ რჩევა მისცეს ქვეყნის მეფეს, განა არ ვიტყვით, რომ მას იგივე ცოდნა აქვს, რაც უნდა ჰქონდეს მმართველს?

უმცროსი სოკრატე

ვიტყვით. [259b]

უცხოელი

მაგრამ ჭეშმარიტი მეფის ცოდნა ხომ მეფობის ცოდნაა?

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

ამგვარად, ამ ცოდნის მფლობელს, მმართველი იქნება ის თუ კერძო პირი, ამ ხელოვნების გამო, განა მართებულად არ ვუწოდებთ «მეფობის შემძლეს»?

უმცროსი სოკრატე

სამართლიანია.

უცხოელი

ასევეა სახლის მმართველსა და ბატონთან დაკავშირებითაც.

უმცროსი სოკრატე

ასეა.

უცხოელი

მაშ რა? რა განსხვავებაა მართვის თვალსაზრისით დიდი სახლისა
თუ პატარა ქალაქის მართვას შორის?

უმცროსი სოკრატე

არავითარი. [259c]

უცხოელი

მაშ, ნათელია, რომ იმ ყველაფერთან დაკავშირებით, რაც ახლა
განვიხილეთ, არსებობს ერთი ცოდნა და რა განსხვავებაა, მას
მეფობას დაარქმევენ, პოლიტიკოსობას თუ სახლის მმართველობას?

უმცროსი სოკრატე

რა [განსხვავებაა]?

უცხოელი

მაგრამ, ცხადია, რომ მმართველობისას მეფეს ხელებითა და მთელი
თავისი სხეულით გაცილებით უფრო ნაკლების გაკეთება შეუძლია,
ვიდრე სულის სიძლიერითა და გამჭრიახობით.

უმცროსი სოკრატე

ცხადია.

უცხოელი

მაშ, უნდა ითქვას, რომ მეფისთვის შემეცნებითი ხელოვნება [259d]
უფრო შესაფერისია, ვიდრე ხელოსნობა ან ნებისმიერი პრაქტიკული
[ხელოვნება]?

უმცროსი სოკრატე

აბა რა?

უცხოელი

მაშ, ჩავთვალოთ, რომ პოლიტიკის ხელოვნება და ყველაფერი, რაც პოლიტიკასთანაა დაკავშირებული, აგრეთვე, მეფობის ხელოვნება და ყველაფერი, რაც მეფობასთანაა დაკავშირებული – ეს ყველაფერი ერთი და მუდამ იგივეობრივია?

უმცროსი სოკრატე

ცხადია.

უცხოელი

განა თანმიმდევრული არ იქნებოდა, თუ ამის შემდეგ შემეცნებით ხელოვნებას დავყოფდით?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

ყურადღება მიაქციე, ისიც ხომ არ იყოფა?

უმცროსი სოკრატე

მითხარი, რას [გულისხმობ]? [259e]

უცხოელი

აი, ამას: ჩვენ ხომ გვაქვს თვლის ხელოვნება?

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

ვფიქრობ, ის ნამდვილად შემეცნებით ხელოვნებას განეკუთვნება.

უმცროსი სოკრატე

როგორ არა?

უცხოელი

მას შემდეგ, რაც თვლის ხელოვნება შეიცნობს რიცხვებს შორის განსხვავებას, მას იმაზე მეტ საქმეს ხომ არ დავაკისრებთ, ვიდრე უკვე შეცნობილის განსჯაა?

უმცროსი სოკრატე

სხვა რაღას [დავაკისრებთ]?

უცხოელი

ხუროთმოძღვარიც ხომ თავად კი არ მუშაობს, არამედ მუშებს მართავს?

უმცროსი სოკრატე

დიახ.

უცხოელი

და წვლილი შეაქვს ცოდნით და არა – ფიზიკური შრომით.

უმცროსი სოკრატე

ასეა. [260a]

უცხოელი

სამართლიანი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ ის შემეცნებითი ცოდნის თანამონაწილეა.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

ვფიქრობ, მას შემდეგ, რაც ჩათვლის, რომ საქმეს მორჩა, თავი კი არ უნდა დაანებოს თვლის ოსტატივით, არამედ თითოეულ მუშას უნდა დაავალოს შესაფერისი რამ, სანამ არ გაკეთდება ის, რაც დავალებულია.

უმცროსი სოკრატე

მართალია.

უცხოელი

ყველა ის ხელოვნება, რომელიც დაკავშირებულია თვლასთან, შემეცნებითია, მაგრამ ეს ორი გვარი მაინც ხომ იყოფა იმის მიხედვით, [260b] განსჯის თუ ბრძანებას აძლევს?

უმცროსი სოკრატე

ასე ჩანს.

უცხოელი

მაშ, თუ ვიტყვით, რომ მთელი შემეცნებითი ხელოვნება იყოფა ორ ნაწილად: ბრძანების გაცემა და განსჯა, კარგად იქნება ნათქვამი?

უმცროსი სოკრატე

ჩემი აზრით – კი.

უცხოელი

მაგრამ მათთვის, ვინც რაიმეს ერთად აკეთებს, სასიამოვნო არ უნდა იყოს შეთანხმება?

უმცროსი სოკრატე

როგორ არა.

უცხოელი

ამგვარად სანამ ჩვენ არ შევთანხმდებით, მანამდე სხვათა აზრებზე ნუ ვიდარდებთ.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა. [260c]

უცხოელი

მაშ, ხელოვნების ამ ორი სახეობიდან რომელს უნდა მივაკუთვნოთ მეფობა: განსჯას – როგორც მაყურებელი[102], თუ ბრძანების

გაცემას – როგორც მმართველი?

უმცროსი სოკრატე

უკანასკნელს.

უცხოელი

საკითხავია, ბრძანების გაცემის ხელოვნებაც ხომ არ იყოფა. ვფიქრობ, როგორც მეწვრილმანეობა განსხვავდება საკუთარი ნივთებით ვაჭრობისგან, [260d] ასევე განსხვავდება სამეფო გვარი მაცნეთა გვარისგან.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

მეწვრილმანეები ყიდულობენ სხვათა, უკვე გაყიდულ ნივთებს, და ხელმეორედ ყიდიან.

უმცროსი სოკრატე

ზუსტად ასეა.

უცხოელი

მაცნეთა კლასიც სხვების ნააზრევს იღებს ბრძანებად და შემდეგ კვლავ სხვებს უბრძანებს.

უმცროსი სოკრატე

სრული ჭეშმარიტებაა.

უცხოელი

მაშ რა? ერთმანეთს შევურევთ მეფობის, განმარტების, [260e] ბრძანების, მისნობის, მაცნეს და ყველა სხვა მსგავს ხელოვნებას, რომელთაც ბრძანების გაცემა აერთიანებს? თუ გასურს, როგორც ახლა ისინი ერთმანეთს შევადარეთ, მათი სახელებიც შევადაროთ, რადგან ისე მოხდა, რომ თავად ბრძანების გამცემი გვარი ჯერ კიდევ

უსახელოა. ამგვარად მათ ერთმანეთისგან გავარჩევდით და სამეფო გვარს თავად ბრძანების გამცემ ნაწილს მივაკუთვნებდით, სხვებზე კი საერთოდ არ ვიზრუნებდით და მათთვის სახელის დარქმევას სხვებს მივანდობდით, რადგან კვლევა [261a] მმართველის და არა მისი საპირისპირო [რამის] გამო დავიწყეთ.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

რადგან ეს გვარი საკმაოდ დაშორებულია სხვებს, და ის, რაც მისთვისაა დამახასიათებელი, განსხვავდება იმისგან, რაც მისთვის უცხოა, ხელახლა ხომ არ უნდა დავყოთ ის, თუ მასში კვლავ შევნიშნავთ რაიმე განშტოებას?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

ჩანს, რომ [ამგვარი განშტოება] აქვს. მომყევი და დაყავი.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

განა არ აღმოვაჩენთ, რომ ყველა, ვისაც მმართველად ვთვლით, და ვინც ბრძანებებს გასცემს [261b], ამას რაღაცის წარმოსაშობად აკეთებს?

უმცროსი სოკრატე

როგორ არა.

უცხოელი

რთული არაა, ყველაფერი, რაც წარმოშობილია, ორ სახედ დაიყოს.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

მათი ერთი [ნაწილი] უსულოა, ხოლო მეორე – სულიერი.

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

მათ მსგავსად დავყოფთ შეეცნებითი ხელოვნების ბრძანების გამცემ ნაწილს, თუკი დავყოფას მოვისურვებთ.

უმცროსი სოკრატე

რის მიხედვით [დავყოფთ]?

უცხოელი

მის ერთ ნაწილს მივაკუთვნებთ უსულოთა წარმოშობას, [261c] ხოლო მეორეს კი – სულიერთა. ასე ყველაფერი კვლავ ორად დაიყოფა.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

მათ ერთ ნაწილს თავი დავანებოთ, ხოლო მეორე ავიღოთ და კვლავ ორ ნაწილად გავყოთ.

უმცროსი სოკრატე

როგორ ფიქრობ, რომელი ნაწილი უნდა ავიღოთ?

უცხოელი

რა თქმა უნდა ის, რომელიც სულიერებთან დაკავშირებით გასცემს ბრძანებებს. სამეფო ცოდნა ხომ უსულოებთან დაკავშირებით არ

გასცემს ბრძანებებს ისე, როგორც ამას ხურო [აკეთებს]; არამედ ის უფრო კეთილშობილია [261d] და მისი ძალაუფლება მხოლოდ სულიერებსა და მათთან დაკავშირებულ [საკითხებზე] ვრცელდება.

უმცროსი სოკრატე

მართალია.

უცხოელი

სულიერთა დაბადებასა და კვებას შეიძლება შევხედოთ, როგორც ერთის გამოზრდას, ან როგორც ცხოველთა დიდ ჯოგზე ერთობლივ ზრუნვას.

უმცროსი სოკრატე

სწორია.

უცხოელი

პოლიტიკოსი, როგორც ვნახავთ, ერთის გამომზრდელი კი არაა, როგორც ერთი ხარის მომვლელი ან ერთი ცხენის მეჯინიბე, არამედ ის უფრო მეტად ჰგავს ადამიანს, რომელიც ხარების ნახირსა და ცხენების რემას მწყემსავს[103].

უმცროსი სოკრატე

ჩანს ასეა, როგორც ახლა თქვი. [261e]

უცხოელი

ბევრი ცხოველის ერთად გამოზრდას «ჯოგური გამოზრდა» ან «ერთობლივი გამოზრდა» ხომ არ ვუწოდოთ?

უმცროსი სოკრატე

როგორც უფრო მოსახერხებელია.

უცხოელი

კარგი, სოკრატე. თუკი შეძლებ, რომ არ იზრუნო სახელებზე[104], როდესაც მოხუცდები სიბრძნით უფრო გამდიდრდები. ახლა კი,

როგორც მოგვიწოდეს, ისე უნდა მოვიქცეთ: ხომ არ გგონია, რომ ვინმემ შეიძლება აღმოაჩინოს, რომ ჯოგური გამოზრდის ხელოვნება [262a] ორმაგია და ამის გამო, რასაც ახლა ამ ორმაგ [ხელოვნებაში] ვიკვლევთ, მის ორსავე ნახევარში უნდა გამოვიკვლიოთ?

უმცროსი სოკრატე

ვისურვებდი. მგონია, რომ ერთია ადამიანების გამოზრდა, ხოლო მეორე – ცხოველების.

უცხოელი

დიდი მონდომებითა და გამბედაობით დაგიყვია, მაგრამ შეძლებისდაგვარად ვეცადოთ, ეს აღარ დაგვემართოს.

უმცროსი სოკრატე

რა?

უცხოელი

არ უნდა გამოვყოთ ერთი პატარა ნაწილი მრავალი დიდი [ნაწილისგან] [262b] მისი სახის [გაუთვალისწინებლად], ვინაიდან ნაწილი იმავდროულად სახეც უნდა იყოს. მშვენიერია, როდესაც იმას, რასაც იკვლევ, უმაღლეს გამოყოფ დანარჩენებისგან, თუკი ამას სწორად გააკეთებ, [ისე] როგორც ახლა შენ გაიფიქრე, რომ დაყოფა იყო საჭირო და აჩქარდი მსჯელობისას, რადგან მიხვდი, რომ ადამიანებისკენ ვიხრებოდით. მაგრამ, ძვირფასო, საიმედო არაა დაწვრილმანება, უფრო საიმედოა შუაზე გაყოფა. ასე უფრო მეტადაა შესაძლებელი იდეასთან მიახლოება. სწორედ ამას აქვს მნიშვნელობა [262c] კვლევისას.

უმცროსი სოკრატე

უცხოელო, ამით რისი თქმა [გსურს]?

უცხოელი

ვეცდები გავითვალისწინო შენი ბუნება და უფრო გასაგებად ვილაპარაკო, სოკრატე. რაც ახლა გვაქვს, იმით შეუძლებელია ეს

[საკითხი] საკმარისად ცხადი იყოს. შევეცდები ცოტა დავწინაურდეთ, რომ უფრო გასაგები გახდეს.

უმცროსი სოკრატე

რას ამბობ, დაყოფისას რა შეგვეშალა?

უცხოელი

რაღაც ასეთი: ვინმემ რომ სცადოს ორად გაყოს ადამიანთა გვარი [262d] ისე, როგორც ჩვენთან ყოფს ადამიანთა უმრავლესობა, გამოყოფს რა ბერძნებს ყველა დანარჩენი უამრავი, ერთმანეთში შერეული და სხვადასხვა [ენაზე მოსაუბრე] გვარისაგან და მათ ერთ სახელს – «ბარბაროსს» – უწოდებს და ამ ერთი სახელის გამო ფიქრობს, რომ ეს ერთი გვარია; ან ვინმემ რომ ჩათვალოს, რომ რიცხვები ორად იყოფა, გამოყოს «ათი ათასი» ყველასგან [262e], როგორც ერთი განსხვავებული სახე, ყველა დანარჩენს კი ერთი სახელი უწოდოს და ამ სახელის გამო ჩათვალოს, რომ ეს ერთი გვარია, რომელიც პირველისგან განსხვავდება. უკეთესი და უფრო თანაბარზომიერი იქნებოდა სახეების მიხედვით დაყოფა, თუკი ვინმე რიცხვებს კენტად და ლუწად დაყოფდა, ხოლო ადამიანების გვარს – მამრებად და მდედრებად, ლიდიელებსა და ფრიგიელებს კი სხვა დანარჩენისგან მაშინ გამოყოფდა, თუ რთული იქნებოდა ერთდროულად თითოეული დანაყოფის [263a] გვარისა და ნაწილის დადგენა.

უმცროსი სოკრატე

მართალია, მაგრამ, უცხოელო, უფრო ნათლად როგორ უნდა შეიცნოს ვინმემ გვარი და ნაწილი, თუ ისინი ერთიმეორის იგივეობრივი კი არაა, არამედ განსხვავებული?

უცხოელი

ო, ჩინებულო სოკრატე, მარტივ რამეს კი არ მთხოვ! ისედაც უკვე იმაზე შორს წავედით, ვიდრე წამოწეულ მსჯელობას სჭირდებოდა, შენ კი ჩვენი კიდევ უფრო [შორს] გადაკარგვა გინდა. ახლა კი, კვლავ

[ჩვენ თემას] მივუბრუნდეთ, როგორც შეგვეფერება, [263b] ხოლო მაგ [საკითხს] კვალდაკვალ მივყვეთ მოცალეობის ჟამს. ფრთხილად იყავი, არ გეგონოს, რომ ამის შესახებ ჩემგან ოდესმე მკაფიო განმარტება მოგისმენია.

უმცროსი სოკრატე

რის შესახებ?

უცხოელი

რომ სახე და ნაწილი ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

უმცროსი სოკრატე

აბა როგორ?

უცხოელი

თუკი არსებობს რაიმეს სახე, მაშინ ის აუცილებლად იქნება იმ საგნის ნაწილიც, რისი სახეცაა; ხოლო ნაწილი არ არის აუცილებელი იყოს სახეც. სოკრატე, ყოველთვის თქვი, რომ ეს ჩემი ნათქვამია, წინა კი – არა.

უმცროსი სოკრატე

იყოს ასე. [263c]

უცხოელი

ახლა ეს მითხარი.

უმცროსი სოკრატე

რა?

უცხოელი

[ის], საიდანაც გადავუხვიეთ, რომ აქ მოვსულიყავით. ვფიქრობ [ეს მაშინ მოხდა], როცა გკითხე თუ როგორ იყოფა ჯოგური გამოზრდა, შენ კი გაბედულად მიპასუხე, რომ არსებობს სულიერთა ორი გვარი: ერთი – ადამიანების, მეორე კი – ყველა სხვა ცხოველისა ერთად.

უმცროსი სოკრატე

ჭეშმარიტად.

უცხოელი

მომეჩვენა, რომ ერთი ნაწილი მოაშორე და შემდეგ დარჩენილი
ნაწილი ერთ გვარად მიიჩნე, [263d] რადგან ერთი სახელი დაარქვი
და [მას] «ცხოველები» უწოდე.

უმცროსი სოკრატე

ზუსტად ასე იყო.

უცხოელი

მაგრამ, უმამაცესო, შეიძლება რომელიმე ცხოველი, რომელიც
სხვებზე უფრო გონიერი აღმოჩნდება, მაგალითად წერო[105], ან
რომელიმე სხვა, შენსავით შეუდგეს სახელდებას და განადიდოს
წეროების ერთი გვარი ყველა სხვა ცხოველთან შედარებით,
დანარჩენებს კი, და მათ შორის ადამიანების [გვარსაც], ერთად
მოუყაროს თავი და მათ სხვა არაფერი უწოდოს, თუ არა
«ცხოველები». [263e] ვცადოთ მსგავსი რამეების წინააღმდეგ
გალაშქრება.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

ნუ დავყოფთ ცოცხალთა მთელ გვარს, რათა ამგვარი შეცდომა არ
დავუშვათ.

უმცროსი სოკრატე

მართლაც, არ არის საჭირო.

უცხოელი

მაშინაც სწორედ ასე შეგვეშალა.

უმცროსი სოკრატე

რა?

უცხოელი

შემეცნებითი ხელოვნების ბრძანების გამცემი გვარი ჩვენში
მიეკუთვნებოდა ცხოველთა გამოზრდას, ანუ ჯოგურ გამოზრდას,
ასე არ იყო?

უმცროსი სოკრატე

კი [264a].

უცხოელი

მაშინ უკვე ცხოველთა მთელი გვარი დაიყო ორად: გაწვრთნილ და
ველურ [ცხოველებად]. ის [ცხოველები], რომელთა ბუნებაც წვრთნას
ექვემდებარება – შინაურია, ხოლო დანარჩენი – გარეული.

უმცროსი სოკრატე

მშვენიერია.

უცხოელი

ის ცოდნა, რომელზეც ვნადირობთ **[106]**, იყო და არის შინაურ
[ცხოველებს შორის], კერძოდ, ის უნდა მოვიძიოთ ჯოგურად
მცხოვრებ არსებებში.

უმცროსი სოკრატე

ჰო.

უცხოელი

ნუ დავყოფთ მაშინდელივით და ყველას ერთად ნუ განვიხილავთ,
ნურც იმიტომ ვიჩქარებთ, რომ სწრაფად გადავინაცვლოთ
პოლიტიკის ხელოვნებაზე [264b], რადგან ახლა ზუსტად ისეთ
მდგომარეობაში ვართ, როგორც ანდაზაშია.

უმცროსი სოკრატე

რას [გულისხმობ]?

უცხოელი

ავჩქარდით და დაყოფა უფრო ნელა დავასრულებთ.

უმცროსი სოკრატე

კარგადაც [მოვიქცებით], უცხოელო.

უცხოელი

ასე იყოს. კიდევ ერთხელ თავიდან დავყოთ ერთობლივი
გამოზრდის ხელოვნება, იქნებ ასე უკეთ შეიტყო ის, რისკენაც
მიისწრაფვი. მოდი, მითხარი...

უმცროსი სოკრატე

რა?

უცხოელი

ალბათ, ხშირად გსმენია სხვისგან, [264c] არა მგონია თავად გენახოს
თევზსაცავები ნილოსსა და სამეფო კუნძულებზე[107]. ტბებში კი
ნანახი გექნება.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა, ესენიც მინახავს და იმათზეც მსმენია.

უცხოელი

და ბატებისა და წეროების მოშენებაზეც[108] გექნება გაგონილი,
თუნდაც თესალიის მინდვრებში არ იყო ნამყოფი და ალბათ გჯერა
კიდევ.

უმცროსი სოკრატე

როგორ არა. [264d]

უცხოელი

ეს ყველაფერი იმიტომ გკითხე, რომ ჯოგური გამოზრდა წყალქვეშაც

ხდება და ხმელეთზეც.

უმცროსი სოკრატე

სწორედ ასეა.

უცხოელი

ე. ი. შენც ასე გგონია, რომ ერთობლივი გამოზრდის ხელოვნება ორად უნდა გავყოთ და თითოეულს თავისი ადგილი მივუჩინოთ, ერთს უნდა ვუწოდოთ წყალქვეშ გამოზრდა, ხოლო მეორეს – ხმელეთზე.

უმცროსი სოკრატე

ჰო.

უცხოელი

ვფიქრობ, არ უნდა ვიკვლიოთ [264e], თუ რომელ მათგანს მიეკუთვნება მეფობის ხელოვნება, რადგან ეს ისედაც ყველასთვის ცხადია.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

ხმელეთზე ჯოგურ გამოზრდას, ალბათ, ყველა დაყოფს.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

მასში მფრინავთ და მოსიარულეთ[109] გამოყოფს.

უმცროსი სოკრატე

ჭეშმარიტად.

უცხოელი

მაშ რა? პოლიტიკის ხელოვნება მოსიარულეთა შორის არ უნდა

ვედიოთ? განა, როგორც იტყვიან, უგუნურიც ასე არ იფიქრებს?

უმცროსი სოკრატე

მეც ასე მგონია.

უცხოელი

მოსიარულე ცხოველთა გამოზრდის ხელოვნებაც ორად უნდა
გავყოთ ისე, როგორც რიცხვები დავყავით.

უმცროსი სოკრატე

ცხადია. [265a]

უცხოელი

როგორც ჩანს, იმ ნაწილისკენ, საითკენაც ჩვენი მსჯელობა
მიისწრაფვის, ორი გზა მიდის: ერთი უფრო მოკლეა, როდესაც
დიდიდან მცირეს გამოყოფ, ხოლო მეორე უფრო მეტადაა იმასთან
კავშირში, რასაც უწინ ვამბობდით, ესაა შუაზე გაყოფა და ეს [გზა]
უფრო გრძელია. ახლა კი ისე განვაგრძოთ, როგორც გვსურს.

უმცროსი სოკრატე

როგორ? ორივე [გზას რომ მივყვეთ] არ შეიძლება?

უცხოელი

ერთდროულად არა, საკვირველო, მონაცვლეობით კი, ცხადია,
შეიძლება. [265b]

უმცროსი სოკრატე

მაშინ მე ავირჩევდი ორივეს, ერთმანეთის მონაცვლეობით.

უცხოელი

ადვილია, რადგან ცოტაღა დაგვრჩა, ჩვენი მოგზაურობის
დასაწყისში ან შუაში კი ეს რთული ამოცანა იქნებოდა. ახლა კი,
რადგან ასე ფიქრობ, ჯერ გრძელ გზას მივყვეთ. სანამ ახლები ვართ,
სვლა უფრო მარტივი იქნება. შეხედე, როგორ ხდება დაყოფა.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

მოსიარულე შინაური ცხოველები, რომლებიც ჯოგურად
[ცხოვრობენ], მათი ბუნების შესაბამისად, ორად უნდა გაიყონ.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

მათ ნაწილს რქები არ აქვს, ნაწილი – რქოსანია. [265c]

უმცროსი სოკრატე

ჩანს [ასეა].

უცხოელი

მოსიარულე ცხოველთა გამოზრდის ხელოვნება ისე დაყავი, რომ
თითოეული [ნაწილი] შესაფერისად განსაზღვრო, რადგან თუ მათ
სახელდებას მოისურვებ, [საქმე] იმაზე უფრო გართულდება, ვიდრე
საჭიროა.

უმცროსი სოკრატე

მაშ, როგორ უნდა ვთქვა?

უცხოელი

ასე: მოსიარულე ცხოველთა გამოზრდის ხელოვნება იყოფა ორად და
მისი ერთი ნაწილი რქოსანთა ჯოგებთანაა დაკავშირებული, ხოლო
მეორე – ურქოსთან. [265d]

უმცროსი სოკრატე

იყოს ისე, როგორც ითქვა, რადგან ყოველმხრივ გასაგებია.

უცხოელი

სავსებით ნათელია, რომ მეფე ურქო [ცხოველთა] ჯოგებს მწყემსავს.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

მოდით ესეც დავშალოთ და ვცადოთ, მეფეს ის მივაკუთვნოთ, [რაც მას ეკუთვნის].

უმცროსი სოკრატე

მოდით.

უცხოელი

როგორ გსურს რომ დაყო, კენტკლიქიანობის შესაბამისად, თუ იმის მიხედვით მსგავსს ეჯვარება თუ განსხვავებულს? გასაგებია?

უმცროსი სოკრატე

რა? [265e]

უცხოელი

ის, რომ ცხენებსა და ვირებს შეუძლიათ ერთმანეთისგან შვან.

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

ხოლო ურქო შინაურ [ცხოველთა] ჯოგების დანარჩენ ნაწილს არ შეუძლია ერთმანეთთან შერევა.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

მაშ რა? ვისზე ზრუნავს პოლიტიკოსი, მასზე, ვინც მსგავსს ეჯვარება, თუ მასზე, ვინც – განსხვავებულს?

უმცროსი სოკრატე

ცხადია, მასზე, ვინც [სხვას] არ ერევა.

უცხოელი

როგორც ჩანს, ისიც ორად უნდა გავყოთ ისე, როგორც ადრე მოვიქცეთ.

უმცროსი სოკრატე

ასეა საჭირო. [266a]

უცხოელი

ყველა შინაური და ჯოგური ცხოველი დაყოფილი გვაქვს, გარდა ორი გვარისა. ძაღლებს ხომ ვერ მივათვლით ჯოგური არსებების გვარს.

უმცროსი სოკრატე

ვერა, მაგრამ როგორ დავყოთ ეს ორი [გვარი]?

უცხოელი

სამართლიანი იქნება, თუ შენ და თეეტეტოსი დაყოფთ, რადგან გეომეტრიასთან გაქვთ კავშირი.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

დიამეტრზე და შემდეგ კვლავ დიამეტრის დიამეტრზე.

უმცროსი სოკრატე

რას გულისხმობ? [266b]

უცხოელი

ბუნება, რომელიც ადამიანთა გვარს გვერგო, უფრო განსხვავებულად მიემართება სიარულს, ვიდრე დიამეტრი კვადრატის ორ გვერდს?

უმცროსი სოკრატე

არა.

უცხოელი

დარჩენილ გვართა [ბუნებაც] კვადრატის შესაბამისად იმ კვადრატის დიამეტრია, რომელიც ორი ფუტის ტოლია.

უმცროსი სოკრატე

აბა რა? ვფიქრობ, თითქმის უკვე მივხვდი, რისი ჩვენებაც გსურს.

უცხოელი

სოკრატე, ხომ ვხედავთ, რომ ასე დაყოფისას ჩვენ თავს რაღაც სასაცილო [266c] ხდება?

უმცროსი სოკრატე

რა?

უცხოელი

ადამიანურ გვარს არსებულთა შორის ყველაზე კეთილშობილური და ამავე დროს, ყველაზე უზრუნველი სიარული ხვდა წილად.

უმცროსი სოკრატე

ვხედავ და უცნაურად მეჩვენება.

უცხოელი

მაშ რა? განა ბუნებრივი არაა, რომ ყველაზე ნელი ყველაზე გვიან აღწევს [დანიშნულების ადგილს]?

უმცროსი სოკრატე

კი, ასეა.

უცხოელი

განა ვერ ვხვდებით, რომ უფრო სასაცილოა მეფე, რომელიც ჯოგთან ერთად გარბის [266d] და ფეხდაფეხ მისდევს ადამიანებს, რომლებიც

საუკეთესოდ არიან მომზადებულნი უზრუნველი ცხოვრებისთვის?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

ახლა კი, სოკრატე, უფრო ნათელი გახდა ის, რაც მაშინ სოფისტის კვლევისას ითქვა^[110].

უმცროსი სოკრატე

რა?

უცხოელი

ის, რომ მსჯელობის ეს მეთოდი უფრო მეტად არ ზრუნავს ამაღლებულზე და უფრო დიდს უფრო მეტად არ აფასებს, ვიდრე უფრო მცირეს, არამედ მუდამ თავად მიდის ჭეშმარიტებამდე^[111].

უმცროსი სოკრატე

როგორც ჩანს [ასეა].

უცხოელი

ამის შემდეგ თავად ხომ არ მოვიფიქრო მეფის განსაზღვრება, შეკითხვა [266e] რომ არ დამასწრო, რომელია ყველაზე მოკლე გზა?

უმცროსი სოკრატე

ასე სჯობს.

უცხოელი

ვამბობ, რომ მსწრაფლ უნდა გამოვყოთ ორფეხათა გვარი ოთხფეხასგან და დავინახავთ რა, რომ აქ ადამიანებთან ერთად ფრინველებიც მოხვდნენ, ბუმბულიანთა გვარი უბუმბულოსგან უნდა გავმიჯნოთ. როდესაც ესეც დაიყოფა და თავს იჩენს ადამიანთა მწყემსვის ხელოვნება, პოლიტიკოსიმეფე, დავსვათ მხედრად და გადავცეთ მას ქვეყნის მართვის სადავეები, რადგან სწორედ ამ

მეცნიერებასთანაა ის ახლოს. [267a]

უმცროსი სოკრატე

მშვენივრად გადმოეცა აზრი, ვალი გაისტუმრე და პროცენტიც დაამატე.

უცხოელი

მოდო დასაწყისს დავუბრუნდეთ და ბოლომდე მივიყვანოთ პოლიტიკის ხელოვნების განსაზღვრება.

უმცროსი სოკრატე

ასე [მოვიქცეთ].

უცხოელი

თავდაპირველად შემეცნებით ხელოვნებაში გამოვყავით ბრძანების გაცემის ხელოვნება, მასში გამოვყავით თავად ბრძანების გამცემი ნაწილი [267b]. ამ ნაწილიდან კვლავ გამოვყავით არანაკლებ მნიშვნელოვანი გვარი – ცხოველების გამოზრდის ხელოვნება, ხოლო ცხოველების გამოზრდის ხელოვნებიდან – ჯოგური გამოზრდის ხელოვნება, ჯოგური გამოზრდის ხელოვნებიდან – მოსიარულე ცხოველთა გამოზრდა, მოსიარულე ცხოველთა გამოზრდის [ნაწილიდან] კი ურქო ცხოველთა გამოზრდა გამოვყავით. ამ უკანასკნელის ერთი ნაწილი კი სულ მცირე სამმაგი უნდა იყოს. თუკი ვინმე მოისურვებს ის ერთი სახელით მოიხსენიოს, მას უნდა უწოდოს იმ გვარის მწყემსვის ხელოვნება, რომლის შეჯვარება განსხვავებულთან არ ხდება. [267c] ამ ნაწილიდან გამოსაყოფი დარჩება მხოლოდ ადამიანთა ორფეხა ჯოგის მწყემსვის ხელოვნება. და სწორედ ესაა, რასაც ვიკვლევდით და რასაც ეწოდება მეფობის ანუ პოლიტიკის ხელოვნება.

უმცროსი სოკრატე

სწორედ ასეა.

უცხოელი

სოკრატე, ნუთუ მართლა ისე შევასრულეთ ყველაფერი, როგორც შენ ამბობ?

უმცროსი სოკრატე

რას [გულისხმობს]?

უცხოელი

მთლიანად და სრულყოფილად ვთქვით სათქმელი? თუ ჩვენ კვლევას რაიმე აკლია და, მართალია, რაღაც ვთქვით, [267d] მაგრამ ბოლომდე არ გვითქვამს?

უმცროსი სოკრატე

რას ამბობ?

უცხოელი

შევეცდები ნათელი მოვფინო იმას, რასაც ვფიქრობ.

უმცროსი სოკრატე

თქვი.

უცხოელი

ახლა ხანს ხომ გამოჩნდა, რომ მწყემსვის მრავალი ხელოვნებიდან ერთერთი პოლიტიკის ხელოვნებაა და ის გულისხმობს ზრუნვას რომელიმე ჯოგზე?

უმცროსი სოკრატე

დიახ.

უცხოელი

მსჯელობით დადგინდა, რომ ის ცხენების ან სხვა ცხოველების გამოზრდა კი არაა, არამედ – ადამიანების ერთობლივი გამოზრდის მეცნიერებაა.

უმცროსი სოკრატე

ასეა. [267e]

უცხოელი

მაშ, ვნახოთ, რა განსხვავებაა მეფეებსა და დანარჩენ მწყემსებს შორის.

უმცროსი სოკრატე

რა [განსხვავებაა]?

უცხოელი

თუ სხვა, რომელსაც სხვა ხელოვნება ჰქვია, თავს მოიკატუნებს და იტყვის, რომ ისიც ჯოგის გამომზრდელია.

უმცროსი სოკრატე

რას გულისხმობ?

უცხოელი

მაგალითად, თუ ვაჭრები, გლეხები და მცხოვრებლები, მათთან ერთად კი გიმნასტიკის მასწავლებლები და ექიმთა გვარიც შეეცილებიან მათ, ვინც ადამიანებს მწყემსავს და ვისაც პოლიტიკოსები ვუწოდებთ [268a], [და იტყვიან] რომ სწორედ ისინი ზრუნავენ არა მარტო ადამიანთა ჯოგების, არამედ მათი მმართველების გამოზრდაზეც.

უმცროსი სოკრატე

განა მართებულად არ იტყვიან?

უცხოელი

შესაძლოა. მაგას ვნახავთ, ის კი ვიცით, რომ საქონლის მომვლელს ამ საქმეში ვერავინ შეეცილება, ის თავადაა საქონლის მწყემსიც, ექიმიც, შემჯვარებელიც და მისი მშობიარობის [268b] დროსაც მხოლოდ ისაა ბებიაქალობის მცოდნე. როცა თამაშსა და მუსიკას შეეხება საქმე, თუ საქონელს ეს ბუნებით მოსდგამს, არავინაა [საქონლის მომვლელზე] ძლიერი მის დამშვიდებასა და მოთვინიერებაში, რადგან მას ინსტრუმენტებითა თუ უბრალო ბაგეებით შეუძლია გამოსცეს ის მუსიკა, რომელიც მის ჯოგს შეეფერება. სხვა

მწყემსებზეც შეიძლება იგივე ითქვას, არა?

უმცროსი სოკრატე

სრული ჭეშმარიტებაა.

უცხოელი

მაგრამ განა შეიძლება ჩვენი მსჯელობა მეფის შესახებ მართებული და უდავო იყოს, [268c] მაშინ, როცა მხოლოდ მას დავადგენთ ადამიანების ჯოგის მწყემსად და გამომზრდელად, და გამოვრიცხავთ ყველა სხვას, ვინც მას ამაში ეცილება?

უმცროსი სოკრატე

არანაირად.

უცხოელი

განა ახლახან მართებულად არ შევშინდით, როდესაც დავექვდით, რომ შეიძლებოდა მეფის მონახაზი გაგვეკეთებინა ისე, რომ მისი ზუსტი სახე არ გადმოგვეცა, სანამ არ ჩამოვაშორებდით ყველას, ვინც მის გარშემო ირევა და მასთან ერთად მწყემსობას იჩემებს, არ გამოვაცალკევებდით მათგან და მხოლოდ მას არ წარმოვადგენდით? [268d]

უმცროსი სოკრატე

სავსებით სწორია.

უცხოელი

მაშ, ასე უნდა გავაკეთოთ, სოკრატე, თუ არ ვაპირებთ, რომ მსჯელობის დასასრულს შევრცხვეთ.

უმცროსი სოკრატე

არა, ასე არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოვიქცეთ.

უცხოელი

კვლავ თავიდან უნდა დავიწყოთ და სხვა გზას უნდა გავყვეთ.

უმცროსი სოკრატე

რომელს?

უცხოელი

თამაშგარეულ გზას. უნდა გამოვიყენოთ გრძელი მითის დიდი ნაწილი, დანარჩენი კი [268e], როგორც უწინ, ნაწილ-ნაწილ უნდა დავყოთ და ასე მივაღწევთ იმას, რასაც ვიკვლევთ. ასე მოვიქცეთ?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

მაშ, ბავშვებივით ყურადღებით მოეკიდე ჩემ მითს[112], დიდი ხანი ხომ არაა, რაც თამაშს თავი დაანებე.

უმცროსი სოკრატე

მოყევი.

უცხოელი

მრავალი ძველი თქმულება არსებობს და კიდევ სხვა მრავალი იარსებებს.

ერთ-ერთი ასეთი თქმულება ეხება ატრევსისა და თიესტოსის[113] განხეთქილებას, ალბათ, გსმენია და გახსოვს, რაც იქ მოხდა.

უმცროსი სოკრატე

ალბათ, ოქროს ვერძს[114] გულისხმობ. [269a]

უცხოელი

არანაირად. მზისა და სხვა ვარსკვლავების ჩასვლა-ამოსვლის ცვლილებებს ეხება, რადგან საიდანაც ახლა მზე ამოდის, ადრე იმ ადგილას ჩადიოდა და პირიქით, სადაც ახლა ჩადის – იქიდან ამოდიოდა. მაშინ ღმერთმა ატრევსის გულისთვის შეცვალა ისე, როგორც ახლაა[115].

უმცროსი სოკრატე

ამასაც ამბობენ.

უცხოელი

კრონოსის[116] მეფობის შესახებაც ბევრისგან გვსმენია. [269b]

უმცროსი სოკრატე

ძალიან ბევრისგან.

უცხოელი

და იმაზეც, რომ უწინ ადამიანები მიწიდან იზადებოდნენ და არა ერთმანეთისგან?[117]

უმცროსი სოკრატე

ესეც ერთ-ერთი უძველესი თქმულებაა.

უცხოელი

ყველა ეს და კიდევ ათასი სხვა და უფრო საკვირველი [ამბავიც] ერთ მოვლენას უკავშირდება. წელთა სიმრავლის გამო ნაწილი დაიკარგა, ნაწილი მიმოიფანტა და თითოეულ მათგანზე განცალკევებულად ყვებიან. მაგრამ არავის უთქვამს, რა იყო მათი მთავარი მიზეზი [269c] და ახლა ჩვენ უნდა ვთქვათ, რადგან ეს დაგვეხმარება მეფის განსაზღვრებაში.

უმცროსი სოკრატე

მშვენივრად ამბობ. თქვი, არაფერი გამოტოვო.

უცხოელი

მაშ, მისმინე. ხან თავად ღმერთი მართავს სამყაროს მოძრაობას და აბრუნებს მას, იმ პერიოდში კი, როდესაც ამოიწურება მისთვის განკუთვნილი დრო, [ღმერთი] ტოვებს მას და ის ავტომატურად [იწყებს] საპირისპიროდ ბრუნვას, [269d] რადგან სამყარო ცოცხალია და აქვს გონება, რომელიც უბოძა იმან, ვინც ის თავდაპირველად შექმნა და ეს უკუსვლა მას აუცილებლობით აქვს ჩადებული

ბუნებაში იმ მიზეზით, რომ...

უმცროსი სოკრატე

რა მიზეზით?

უცხოელი

მუდამ თავისი თავის იგივეობრივად და უცვლელად ყოფნა მხოლოდ ღვთაებრივ [არსებებს] შეჰფერთ, სხეულის ბუნება კი მათ რიგს არ განეკუთვნება. იმას, რასაც ზეცასა და კოსმოსს ვუწოდებთ, მისმა შემქმნელმა უბოძა მრავალი ნეტარება, მაგრამ იმავდროულად – სხეულთან ზიარებაც. [269e] ამიტომ შეუძლებელია წილად არ ხვდომოდა ცვლილებები, თუმცა, რამდენადაც შესაძლებელია, ის ერთ ადგილას ერთნაირად მოძრაობს, ხოლო უკუდმა ბრუნვის [თვისება] მან მიიღო როგორც სულ მცირე გადახრა თავისი მოძრაობიდან. მუდმივად ბრუნვა თითქმის არავის შეუძლია, გარდა იმისა, ვინც თავად მართავს სხვათა მოძრაობას, მათ კი არ ეძლევათ ნება ხან ერთი მიმართულებით ამოძრაონ [რაიმე], ხან კი – მისი საპირისპირო [მიმართულებით]. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, კოსმოსზე არც იმის თქმა შეიძლება, რომ ის მუდამ თავად ამოძრავებს საკუთარ თავს, არც იმისი, რომ მას მთლიანად ყოველთვის ღმერთი აბრუნებს ორმაგად და საპირისპირო მიმართულებით, [270a] და არც იმისი, რომ ორი ღმერთი თავისი შეხედულებისამებრ ერთიმეორის საპირისპიროდ აბრუნებს, არამედ, როგორც ადრეც ვთქვით, ერთი [რამ] რჩება, რომ ის სხვა ღვთაებრივი მიზეზით მოძრაობს. ის ხელახლა იძენს სიცოცხლეს და მას უკვდავებას უმზადებს და ანიჭებს შემოქმედი, ხოლო როდესაც [კოსმოსი] თავისუფლდება, ის თავისთავად მოძრაობს და მას იმდენი დრო ეძლევა, რომ ათასობით უკუბრუნნი გააკეთოს და რადგან ყველაზე დიდი და ყველაზე უკეთ გაწონასწორებულია, უმცირესი ბიჯით ბრუნავს. [270b]

უმცროსი სოკრატე

ძალიან დამაჯერებელია ეს ყველაფერი, რაც ახლა თქვი.

უცხოელი

მოდით, გავაანალიზოთ და გავაცნობიეროთ ნათქვამის საფუძველზე, ყველა იმ სასწაულის მიზეზი, რაზეც ახლა ვსაუბრობთ. ეს [მიზეზი] კი შემდეგია.

უმცროსი სოკრატე

რომელი?

უცხოელი

ის, რომ სამყარო წრიულად ხან ერთი მიმართულებით მოძრაობს, ხან კი მის საპირისპიროდ.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

ეს უნდა ჩაითვალოს [270c] უდიდეს და ყველაზე სრულყოფილ ცვლილებად, რაც კი ზეცაში ხდება.

უმცროსი სოკრატე

როგორც ჩანს.

უცხოელი

საფიქრალია, რომ უდიდესი ცვლილებები მის ქვეშ მცხოვრებლებშიც ხდება.

უმცროსი სოკრატე

ესეც ასეა.

უცხოელი

განა არ ვიცით, რომ ცხოველთა ბუნებისთვის ძალიან რთულია მრავალი, დიდი და სხვადასხვაგვარი ცვლილების გადატანა?

უმცროსი სოკრატე

როგორ არა.

უცხოელი

ამ დროს სხვა ცხოველებსაც აუცილებლად უდიდესი განადგურების [საფრთხე] ატყდება თავს [270d] და ადამიანთა გვარიდანაც ძალიან ცოტა თუ გადარჩება და მათაც წილად ხვდებათ მრავალი ახალი და საოცარი განსაცდელი, რომელთაგან უდიდესი ისაა, რომელიც თან ახლავს სამყაროს შემობრუნებას, როდესაც მისი მოძრაობა საპირისპირო მიმართულებას იძენს.

უმცროსი სოკრატე

რომელი [განსაცდელი]?

უცხოელი

რა ასაკისაც იყო თითოეული ცხოველი, იმავე [ასაკის] დარჩა და ყველაფერმა, რაც მოკვდავი იყო, შეწყვიტა ზრდა და მოხუცებულობაც აღარ ეტყობოდა, პირიქით შეიცვალა, [270e] გაახალგაზრდავდა და განაზდა; მოხუცებს თეთრი თმა გაუშავდათ, წვერიანი ლოყები კვლავ სრიალა გაუხდათ და ძველ დროს დაუბრუნდნენ, მოწიფულ მამაკაცთა სხეულიც სრიალა გახდა და დღითიდღე თითოეული მათგანი უფრო და უფრო ახალგაზრდავდებოდა მანამ, სანამ კვლავ ახალშობილი არ გახდებოდა და სულითაც და სხეულითაც მას არ დაემსგავსებოდა. ასე აგრძელებდნენ ჭკნობას, სანამ საბოლოოდ არ გაქრნენ. იმ დროს ძალადობით მოკლულთა გვამებსაც იგივე დაემართა [271a] და რამდენიმე დღეში შეუმჩნევლად გაქრა.

უმცროსი სოკრატე

უცხოელო, მაშ როგორ ხდებოდა ცოცხალთა შობა მაშინ? როგორ იბადებოდნენ ისინი ერთმანეთისგან?

უცხოელი

ცხადია, სოკრატე, რომ მაშინ ბუნებაში არ არსებობდა ერთმანეთისგან შობა. ამბობენ, რომ როგორც ოდესღაც მიწიდან

შობილთა გვარი არსებობდა, ისე იმ დროსაც მიწიდან იზადებოდნენ. ეს ხსოვნა შემოგვინახეს ჩვენმა უძველესმა წინაპრებმა, რომლებიც პირველი წრებრუნვის [271b] მიწურულს ცხოვრობდნენ და მის დასაწყისში იშვნენ. ამიტომ გახდნენ იმ ამბების მაცნენი ჩვენთვის, რაშიც ახლა მრავალს უმართებულოდ ეპარება ეჭვი; ჩვენ კი, ვფიქრობ, უნდა დავიჯეროთ, რომ თუ მოხუცები ახალგაზრდავდებიან, მაშინ მიცვალებულებიც, რომლებიც მიწას არიან მიბარებული, უნდა წამოდგნენ და გაცოცხლდნენ დაბადების საპირისპირო ცვლილების კვალობაზე. შესაბამისად, ისინი აუცილებლად [271c] მიწიდან წარმოიშვებიან, სწორედ აქედანაა მათი სახელიც და მისი განმარტებაც, თუ რომელიმეს ღმერთმა სხვა ხვედრი არ არგუნა.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა, ასე გამოდის ადრე ნათქვამიდან, მაგრამ ცხოვრება, რომელსაც როგორც აღნიშნე, კრონოსი განაგებდა, რომელ წრებრუნვას ეკუთვნოდა, ძველს თუ ახალს? ხომ აშკარაა, რომ ვარსკვლავებისა და მზის ნებისმიერი ცვლილება წრებრუნვისას ხდება?

უცხოელი

კარგად მიგიდევნებია ყური მსჯელობისთვის. [271d] რაც შეეხება შენს კითხვას, ადამიანთათვის ყველაფრის თავისთავად შობის შესახებ, ეს საერთოდ არ ეხება ამჟამინდელ წრებრუნვას, არამედ ადრე იყო. მაშინ, დასაწყისში წრებრუნვას მთლიანად ღმერთი მართავდა და ზედამხედველობდა, მმართველ ღმერთებს ასევე გადანაწილებული ჰქონდათ კოსმოსის სხვადასხვა ნაწილი და ცხოველებიც გვარებისა და ჯოგების მიხედვით ჰყავდათ დანაწილებული ღვთაებრივ მწყემსებს – დემონებს. თითოეული [მათგანი] მართავდა იმ [ნაწილს], [271e] რომელიც მას ერგებოდა, ისე, რომ არც გარეული ცხოველები არსებობდნენ, არც ერთმანეთს ჭამდნენ, არც ომი ჰქონიათ, არც სხვა სახის არეულობა, მრავალი კარგი რამ შეიძლება ითქვას ამგვარი მოწყობის შესახებ. ადამიანების

ასეთი თავისთავადი ცხოვრების თაობაზე შემდეგი მიზეზების გამო ითქვა: ღმერთი თავად მწყემსავდა და წინამძღვრობდა მათ, როგორც ამჟამად ადამიანები, რომლებიც სხვა არსებებზე უფრო ღვთაებრივნი არიან, მათზე მდაბალთ მწყემსავდნენ. მისი მწყემსობის დროს არც სახელმწიფოები არსებობდა, არც ცოლები და შვილები ჰყავდათ [272a]. ყველანი მიწიდან იზადებოდნენ და წინა დროიდან არაფერი ახსოვდათ. მართალია, მსგავსი არაფერი ჰქონდათ, მაგრამ ხეებიდან და სხვა მცენარეებიდან უხვ ხილს იღებდნენ, რაც მიწის დამუშავებით კი არ აღმოცენდებოდა, არამედ მიწიდან თავისთავად ამოდიოდა. არც ტანსაცმელი ჰქონდათ, არც – საწოლი და უფრო მეტად ღია ცის ქვეშ ცხოვრობდნენ. ამინდი ხომ მათთვის დალოცვილი იყო, რბილ სარეცლად კი მიწიდან უხვად ამოსული ბალახი ჰქონდათ [272b]. სოკრატე, გსმენია კრონოსის დროს მათი ცხოვრების შესახებ? ახლა კი, როგორც ამბობენ, ზევსის დროა, რომელშიც შენც იმყოფები და იცი. შეგიძლია და გინდა, განსაჯო ამ ორიდან, რომელი უფრო ბედნიერი [ხანაა]?[118]

უმცროსი

სოკრატე არანაირად.

უცხოელი

ხომ არ გინდა, მე განგიმარტო?

უმცროსი სოკრატე

რატომაც არა.

უცხოელი

მაშ, თუ კრონოსის გამოზრდილი შვილები მოიცლიდნენ და შეძლებდნენ საუბარს არა მხოლოდ ადამიანებთან, არამედ ცხოველებთანაც [272c], და ამ ყველაფერს გამოიყენებდნენ ფილოსოფიისთვის, ცხოველებთან და ერთმანეთთან საუბრის მეშვეობით ბუნებისგან შეიტყობდნენ, ხომ არ იცოდა მან, განსაკუთრებული ძალის წყალობით, რაღაც განსხვავებული

გონების მარაგისათვის. ასე კი ადვილად მისახვედრია, რომ იმ ეპოქის ადამიანები ბევრად უფრო ბედნიერი იყვნენ, ვიდრე – დღევანდელი. ხოლო თუ უბრალოდ [მუცელს] ამოივსებდნენ საკვებითა და სასმელით და ერთმანეთს და ცხოველებს მხოლოდ იმ ამბებს გადასცემდნენ, რასაც მათ შესახებ ახლაც [272d] ყვებიან, ესეც, ჩემი აზრით, ცხადი და ადვილად ასახსნელი იქნებოდა. მაგრამ, მოდი, თავი დავანებოთ მანამ, სანამ ვინმე არ გვაუწყებს, ცოდნისა და მსჯელობის რა მოთხოვნილება ჰქონდათ მაშინ. მაგრამ, უნდა განვმარტოთ, რატომ მოვიხმეთ ეს მითი, რათა გზა განვაგრძოთ. მას შემდეგ, რაც ამ ყველაფერს დრო ამოეწურა და ცვლილება უნდა მომხდარიყო, [272e] მთელი მიწიერი გვარი განადგურდა და სულებმა შეწყვიტეს დაბადება და მიწაზე დაცვივდნენ თესლის სახით, ყოველივეს მმართველმა მიატოვა ადგილი, რომელსაც კვებავდა და სათვალთვალოდ განთავსდა. სამყარო კი კვლავ ბრუნავდა მისთვის ბედისწერით დადგენილი და თანდაყოლილი სწრაფვის გამო. თითოეულმა ღმერთმა, რომელიც [სამყაროს] ნაწილს მართავდა უზენაეს ღვთაებასთან ერთად, გაიგო თუ არა მომხდარის შესახებ, მიატოვა სამყაროს ის ნაწილი [273a], რომელზეც ზრუნავდა. სამყარო კი უკუღმა დატრიალდა და საკუთარ თავს შეეჯახა, რადგან მისი დასაწყისი და დასასრული ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით ამოძრავდა. მომხდარმა დიდმა მიწისძვრამ კი ყველა ცხოველი კიდევ ერთხელ გაანადგურა. კარგა ხნის შემდეგ, რაც ხმაური და მღელვარება შეწყდა, რყევებს სიმშვიდე მოჰყვა, ხოლო სამყარო თავის ჩვეულ სვლას დაუბრუნდა, განაგრძო მართვა და ზრუნვა [273b] საკუთარ თავზე და ყველაფერზე, რაც მასშია და შეძლებისდაგვარად იხსენებდა თავისი შემოქმედისა და მამის[119] სწავლებას. დასაწყისში [ყველაფერს] უფრო ზუსტად ასრულებდა, ხოლო ბოლოს უფრო უყურადღებოდ. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ბუნებით თანდაყოლილი სხეული შერეული იყო, რადგან მანამ, სანამ სამყაროში მოვიდოდა, მრავალ უწესრიგობას ეზიარა. თავისი შემქმნელისგან მას ყველაფერი მშვენიერი ერგო, ხოლო თავისი ადრინდელი მდგომარეობიდან [273c], რაც კი ზეცაში მძიმე და უსამართლო იყო, ყველაფერი თვითონაც დაიტოვა და ცოცხალ

არსებებსაც უბოძა. სამყარო მმართველთან ერთად ცოცხალ არსებებს კვებავდა, მათში მცირეოდენ სიავესა და ბევრ სიკეთეს აღვივებდა. მმართველთან დაშორების შემდეგ, თავდაპირველად ყველაფერს მშვენივრად უძღვებოდა, მაგრამ დრო რომ გავიდა და [მმართველი] დავიწყებას მიეცა, მასზე ძველი უწესრიგობა გაბატონდა [273d], ბოლოს [სამყაროში] მცირეოდენი სიკეთე დარჩა, და ბევრ საპირისპირო რამეს შეერია, მასაც და ყველაფერს მასში მყოფს განადგურების საფრთხე დაემუქრა. მას შემდეგ, რაც ღმერთმა, რომელმაც [სამყარო] მოაწესრიგა, დაინახა მისი რთულ მდგომარეობა, იზრუნა, რომ მღელვარებისგან აფორიაქებული [სამყარო] არ განადგურებულიყო და არაერთგვაროვნების უსაზღვრო ზღვაში არ [273e] ჩაძირულიყო. [მან] კვლავ გამზრდელის ადგილი დაიკავა, ყველაფერი დასწესდებოდა და დაშლილი კვლავ უწინდელ ბრუნვას დაუბრუნა, მოაწესრიგა, უკვდავი და უბერებელი გახადა. ესაა ამ მითის დასასრული.

რაც შეეხება ჩვენს [მოსაზრებას] მეფის შესახებ, ის ადრე ნათქვამს უნდა დავუკავშიროთ. როდესაც სამყარო ამოძრავდა და დაბადების დღეევანდელ გზას დაადგა, ასაკმა ზრდა შეწყვიტა და მაშინდელის საპირისპირო ახალი რამეები გაჩნდა. პატარა არსებები, რომლებიც თავიანთი ზომის გამო კინალამ გაქრნენ, ისევ იზრდებოდნენ, ხოლო მიწიდან ახლად აღმოცენებული სხეულები კვლავ კვდებოდნენ და მიწაში ჩადიოდნენ. და სხვა ყველაფერი იცვლებოდა, [274a] ბაძავდა და მიჰყვებოდა რა სამყაროს მდგომარეობას. ბაძვა აუცილებელი იყო ყველაფერში – ფეხმძიმობაში, დაბადებაში, გამოზრდაში – რადგან მიწიდან სხვა რამისგან შემდგარი ცოცხალი არსება ვერ აღმოცენდებოდა, ისევე როგორც სამყაროს, თავად უნდა ემართა თავისი სვლა. მის ნაწილებსაც, შეძლებისამებრ, თავად უნდა აღმოეცენებინათ, ეშვათ და გამოეზარდათ. [274b] უკვე იქ მივედით, საიდანაც ჩვენი საუბარი წამოვიწყეთ. ძალიან დიდ ხანს მოვუწოდებთ საუბარს, თუ რატომ და როგორ შეიცვალნენ ცხოველები და ეს შორს წაგვიყვანს, ხოლო ადამიანებზე – უფრო მოკლედ თქმა [შეიძლება] და უფრო შესაფერიც [იქნება]. მას შემდეგ,

რაც ჩვენმა ღვთაებამ, მწყემსმა ჩვენზე ზრუნვა შეწყვიტა, ბევრი ცხოველი, რომელსაც მძიმე ხასიათი ჰქონდა, გაველურდა და სწულ და დაუცველ ადამიანებს იტაცებდა[120] [274c]. პირველ ხანებში უძლურნი და მოუხერხებელნი იყვნენ, ბუნებრივი საკვები არ ჰყოფნიდათ, ხოლო [საჭმლის] მოპოვება არ იცოდნენ, რადგან ადრე ამას არაფერი აიძულებდათ. ამ ყველაფრის გამო მათ ძალიან უჭირდათ. სწორედ ამიტომ, როგორც ამბობენ, ღმერთებმა აუცილებელი ცოდნისა და მითითებების გარდა სხვა საჩუქრებიც გვიბოძეს: ცეცხლი – პრომეთემ, ხელოვნება – ჰეფესტოსმა და ხელობაში მისმა დამხმარე [ქალბატონმა][121] [274d], თესლი და მცენარეები – სხვა ღმერთებმა. ყველაფერი, რაც ადამიანურ ცხოვრებას აწესრიგებს, აქედან წარმოიშვა, რადგან, როგორც უკვე ავღნიშნე, როდესაც ადამიანებს ზრუნვა შემოაკლდათ, მათ თავად მოუწიათ ეზრუნათ და ემართათ საკუთარი თავი, მთელი სამყაროს მსგავსად, რომელსაც მუდამ ვბაძავთ და მივყევით. სხვა დროს სხვაგვარად, ახლა კი ასე ვიბადებით და ვიზრდებით [274e]. ეს მითი აქ დავასრულოთ, თუმცა იმის გასაგებად გამოვიყენოთ, თუ როგორ ვცდებოდით მსჯელობისას, როცა მეფესა და პოლიტიკოსს განვსაზღვრავდით.

უმცროსი სოკრატე

რას გულისხმობ? რა შეცდომა დავუშვით?

უცხოელი

ერთი მხრივ, ის უფრო პატარაა, ხოლო მეორე მხრივ – უფრო დიდი, მძიმე და მნიშვნელოვანი, ვიდრე [ჩანს].

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

როდესაც ამჟამინდელი წრებრუნვისა და წარმოშობის მეფესა და პოლიტიკოსზე გვკითხეს, ჩვენ საპირისპირო წრებრუნვის [275a]

ადამიანთა ჯოგის მწყემსზე ვუპასუხეთ, რომელიც ღმერთი იყო და არა – ადამიანი, რითიც ძალიან დიდი შეცდომა დავუშვით. როდესაც ის მთელი ქვეყნის მმართველად გამოვაცხადეთ, არ გვითქვამს, თუ რა სახით [მართავს]. ანუ სწორად კი ვთქვით, მაგრამ ნათქვამი სრული და მკაფიო არ იყო; სწორედ ამიტომ აქ უფრო ნაკლებად შევცდით, ვიდრე წინა [შემთხვევაში].

უმცროსი სოკრატე

მართალია.

უცხოელი

როგორც ჩანს, ქვეყნის მართვის ფორმა უნდა დავადგინოთ, რათა იმედი ვიქონიოთ, რომ ასე მაინც საბოლოოდ განვსაზღვრავთ, თუ ვინ არის პოლიტიკოსი.

უმცროსი სოკრატე

კარგი [275b].

უცხოელი

მითიც იმის წარმოსაჩენად მოვიხმეთ, რომ ჯოგურ გამოზრდაში არა მხოლოდ ყველა ეცილება მას, ვისაც ახლა ვიკვლევთ, არამედ, რომ კიდევ უფრო ცხადად გვეჩვენებინა ის, ვისაც მწყემსისა და მენახირის მსგავსად – მხოლოდ ერთს შეეფერებოდა ადამიანების გამოზრდაზე ზრუნვა და ამ სახელის ტარების პატივი.

უმცროსი სოკრატე

მართალია.

უცხოელი

სოკრატე, ვფიქრობ, [275c] ღვთაებრივი მწყემსის სახე ამ მეფეზე უფრო დიდებულია. ახლანდელი პოლიტიკოსები ხომ უფრო მეტად მათ გვანან ბუნებით, ვისაც მართავენ და ვისთანაც საკვებსა და განათლებას იზიარებენ.

უმცროსი სოკრატე

ნამდვილად ასეა.

უცხოელი

მაგრამ [ის] არც მეტად უნდა ვიკვლიოთ და არც ნაკლებად, როგორიც არ უნდა ყოს ბუნებით.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

* * *

უცხოელი

კვლავ ამ [საკითხს] დავუბრუნდეთ: ხომ ვთქვით, რომ არსებობს თავად ბრძანების გაცემის ხელოვნება, რომელიც ეხება ცოცხალ არსებებს და ცალკეულ პირებზე კი არ ზრუნავს, არამედ [275d] – [ადამიანთა] ერთობაზე და მაშინ მას ასეც ვუწოდეთ – ჯოგურად გამოზრდის ხელოვნება, გახსოვს?

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

სწორედ იქ შევცდით, რადგან პოლიტიკოსი არსად შევიყვანეთ და არც სახელი დავარქვით, დაგვემალა და სახელდებას გაექცა.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

თითოეული ჯოგის გამოკვება ყველა სხვა მწყემსს სჩვევია, პოლიტიკოსს კი – არა, [275e] ჩვენ კი მასაც ეს სახელი ვუწოდეთ, თუმცა ერთი სახელი უნდა გვეწოდებინა ყველასთვის, ვისაც [რაიმე]

საერთო აქვს.

უმცროსი სოკრატე

მართალია, თუკი ამგვარი [სახელი] არსებობს.

უცხოელი

როგორ იქნება მოვლა ყველასათვის საერთო [საქმე], თუ მას არ განვსაზღვრავთ როგორც გამოზრდას ან რაიმე სხვა ქმედებას? ხომ არ დავარქვათ ჯოგის პატრონობის, [მისი] მოვლის ან [მასზე] ზრუნვის ხელოვნება, რასაც ყველა, და მათ შორის პოლიტიკოსიც, აკეთებს, ვინაიდან მსჯელობამ გვიჩვენა, რომ ასეა საჭირო. [276a]

უმცროსი სოკრატე

მართალია, მაგრამ შემდეგი დაყოფა როგორ მოხდება?

უცხოელი

ისე, როგორც ადრე დავყავით ჯოგური გამოზრდის ხელოვნება, [გამოყავით რა] მასში მოსიარულეთა და უფრთოთა, შეურეველთა და ურქოთა გამოზრდა. თუ ასე დავყოფდით ჯოგის მოვლის ხელოვნებასაც, ერთი და იმავე სიტყვით მოვიხსენიებდით ახლანდელ [დროსაც] და კრონოსის მეფობისასაც.

უმცროსი სოკრატე

როგორც ჩანს, ასეა, მაგრამ გაგრძელებას მაინც ვითხოვ.

უცხოელი

ცხადია, რომ თუ ჯოგის მოვლის ხელოვნებას [276b] ვუწოდებდით, ვერასოდეს ვერავინ შეგვედავებოდა, ზრუნვა საერთოდ არ არსებობსო, როგორც ადრე შემოგვედავნენ: ჩვენთან არ არსებობს ხელოვნება, რომელიც გამოკვებასთან დაკავშირებულ სახელს იმსახურებსო; და თუ ამგვარი [ხელოვნება] იარსებებდა ის სხვას უფრო მეტად შეეფერებოდა, ვიდრე მეფესო.

უმცროსი სოკრატე

მართალია.

უცხოელი

ადამიანთა მთელ საზოგადოებაზე ზრუნვის ვერც ერთი ხელოვნება ვერ იქნებოდა განსხვავებული და უფრო აღმატებული, ვიდრე მეფობის და ყველა ადამიანის მართვის ხელოვნება. [276c]

უმცროსი სოკრატე

მართალს ამბობ.

უცხოელი

ამის შემდეგ ხვდები, სოკრატე, რომ სულ ბოლოსაც დიდი შეცდომა დავუშვით?

უმცროსი სოკრატე

რა [შეცდომა]?

უცხოელი

მართალია, მივხვდით, რომ არსებობს ორფეხა ჯოგის გამოკვების ხელოვნება, მაგრამ მისთვის მაშინვე არ უნდა დაგვერქმია მეფობის ან პოლიტიკის ხელოვნება, თითქოს ამით ყველაფერი ითქვას.

უმცროსი სოკრატე

აბა, როგორ?

უცხოელი

თავდაპირველად, როგორც უკვე ითქვა, სახელი უნდა გადავაკეთოთ [276d] ის ზრუნვასთან უფრო მეტად უნდა დავაკავშიროთ, ვიდრე გამოკვებასთან. შემდეგ კი უნდა დავყოთ. მრავალ ნაწილად დაიყოფა.

უმცროსი სოკრატე

მაინც როგორ?

უცხოელი

ღვთაებრივი მწყემსი შეიძლება ადამიანებზე მზრუნველისგან გამოგვეყოს.

უმცროსი სოკრატე

მართალია.

უცხოელი

შემდეგ საჭირო იქნებოდა, ცალკე გამოყოფილი ზრუნვის ხელოვნებაც ორად გაგვეყო.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

თავსმოხვეულ და ნებაყოფლობით [ზრუნვად].

უმცროსი სოკრატე

როგორ? [276e]

უცხოელი

ადრე სწორედ [ამ საკითხს] მივუდექით უფრო მარტივად, ვიდრე საჭირო იყო და შევცდით, როდესაც მეფე

და ტირანი ერთად განვათავსეთ მაშინ, როცა არც თავად გვანან ერთმანეთს და არც – მართვის მეთოდებით.

უმცროსი სოკრატე

ნამდვილად.

უცხოელი

ახლა კი, როგორც უკვე ითქვა, გამოვასწოროთ [ჩვენი შეცდომა] და ადამიანებზე ზრუნვის ხელოვნება კვლავ ორად გავყოთ: თავსმოხვეულ და ნებაყოფლობით [ნაწილებად].

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

თავსმოხვეულს ტირანიის ხელოვნება ვუწოდოთ, ხოლო ნებაყოფლობით, რომელიც ორფეხა ცხოველთა ჯოგებზე მათივე სურვილით ზრუნვის ხელოვნებას უკავშირდება – პოლიტიკის ხელოვნება. განა ის, ვინც ზრუნვის ხელოვნებას ფლობს, ჭეშმარიტ მეფედ და პოლიტიკოსად არ უნდა გამოვაცხადოთ? [277a]

უმცროსი სოკრატე

მაშ, როგორც ჩანს, უცხოელო, პოლიტიკოსზე მსჯელობა ასე უნდა დავასრულოთ?

უცხოელი

ეს ჩვენთვის მშვენიერი იქნებოდა, სოკრატე, მაგრამ ასე მხოლოდ შენ კი არ უნდა იფიქრო, არამედ – მეც. მე კი მგონია, რომ ჩვენს მეფეს ჯერ კიდევ არ აქვს დასრულებული სახე. ჩვენც ისე დაგვემართა,

როგორც მოქანდაკეებს [ემართებათ ხოლმე], როცა ჩქარობენ და იმაზე მეტ და დიდ დეტალს უმატებენ ნამუშევარს, ვიდრე საჭიროა, [277b] ამის გამო კი მის [დასრულებას] აგვიანებენ. გვინდოდა სწრაფად და შთამბეჭდავად გამოგვეაშკარავებინა მსჯელობისას დაშვებული შეცდომა. გვეგონა მეფეს დიდებული მაგალითები შეეფერებოდა, მითს დიდი მნიშვნელობა მივანიჭეთ და იძულებულნი გავხდით, მისი უფრო დიდი ნაწილი გამოგვეყენებინა, ვიდრე საჭირო იყო. ამის გამო მსჯელობა გავახანგრძლივეთ და მითი ვეღარ დავასრულეთ. უბრალოდ ჩვენმა მსჯელობამ, [277c] როგორც ცოცხალი არსების გამოსახულებამ, გარეგნული [ფორმა] შეიძინა, მკაფიოობა კი, რომელიც საღებავებისა და ფერების შერევით მოდის, ჯერ კიდევ არ აქვს. ის, ვისაც შეუძლია [საუბარს] ფეხდაფეხ მიჰყვეს, სიტყვითა და მსჯელობით უკეთ წარმოაჩენს ცოცხალ არსებას, ვიდრე მხატვრობით ან სხვა რაიმე ხელობით, ხოლო ვინც საუბარს ფეხდაფეხ ვერ მიჰყვება, მას ეს ხელობით [უკეთ გამოუვა].

უმცროსი სოკრატე

მართალია. გვითხარი, ჩვენ ნათქვამში რა ვერ გაცხადდა საკმარისად.
[277d]

უცხოელი

ღვთაებრივო, რთულია მაგალითების გარეშე რაიმე მნიშვნელოვანი
გამომჟღავნო, ისე როგორც, როცა რომელიმე ჩვენგანი რაიმეს იგებს
სიზმარში, გაღვიძების შემდეგ მან კვლავ არაფერი იცის.

უმცროსი სოკრატე

რას გულისხმობ?

უცხოელი

როგორც ჩანს, უადგილოდ შევებე იმას, რასაც ცოდნასთან
დაკავშირებით განვიცდით.

უმცროსი სოკრატე

რას?

უცხოელი

მაგალითმა, ჩემო კარგო, სხვა მაგალითი მოითხოვა. [277e]

უმცროსი სოკრატე

თქვი, ნუ მომერიდები. რა [მაგალითი]?

უცხოელი

ვიტყვი, თუ მზად ხარ, ფეხდაფეხ მომყვე. ვიცით, რომ ბავშვები,
რომლებმაც ეს-ესაა ისწავლეს ასოები...

უმცროსი სოკრატე

რა?

უცხოელი

რომ ისინი საკმაოდ კარგად ცნობენ ასოებს მოკლე და მარტივ

მარცვლებში და შეუძლიათ სწორად ისაუბრონ მათ შესახებ. [278a]

უმცროსი სოკრატე

როგორ არა.

უცხოელი

ზუსტად იმავე [ასოებზე] სხვა [მარცვლებში] ეჭვი ეპარებათ და შეცდომებს უშვებენ ფიქრითაც და სიტყვითაც.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

განა ყველაზე მარტივი და კარგი არ იქნებოდა მათი იქამდე მიყვანა, რაც ჯერ არ იციან, ამგვარად?

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

ჯერ უნდა მიიყვანო იმ [მარცვლებთან], რომლებშიც [ასოებს ცნობენ], შემდეგ კი წინ უნდა დაუდო ის [მარცვლები], რომლებიც ჯერ კიდევ არ [278b] იციან. ერთმანეთს უნდა შეადარებინო და დაანახო, რომ [ასოები] მსგავსნი არიან და მათ ერთნაირი ბუნება აქვთ ორივე შემთხვევაში. მანამდე უნდა [შეადარებინო], სანამ ნაცნობის გვერდით განთავსებული უცნობი გასაგები არ გახდება. ამგვარად, მაგალითებად იქცევიან და წარმოაჩენენ, რომ თითოეული ასო თითოეულ მარცვალში, თუ სხვისგან განსხვავებულია, [278c], სხვაგვარადაც უნდა იწოდებოდეს, თუ სხვისი მსგავსია, სახელიც ერთი უნდა ჰქონდეთ.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

მაშ, დამაკმაყოფილებელია მოსაზრება, რომ მაგალითი მაშინ წარმოიშობა, როდესაც ერთი და იგივე რამ ორ სხვადასხვა რამეს დაკავშირებული მართებულად აღიქმება და ერთის მეორესთან დაკავშირებით ჭეშმარიტი მოსაზრება ყალიბდება?

უმცროსი სოკრატე

როგორც ჩანს, მასეა.

უცხოელი

უნდა გაგვიკვირდეს, რომ ჩვენი სულიც [278d], რომელიც ბუნებით ზუსტად იმავეს განიცდის ყველაფრის პირველსაწყისთან დაკავშირებით, რასაც – ასოებთან დაკავშირებით, ხან სიმართლეს ემყარება და სწორად ხვდება ყველაფერში ყველაფერს, ხან კი – მერყეობს და ზოგიერთ ნარევთან დაკავშირებით სწორად ფიქრობს, ხოლო როდესაც მათ სხვა საგნების გრძელ და რთულ მარცვლებში გადაიტანენ, კვლავ ვერ ცნობს?

უმცროსი სოკრატე

გასაკვირი არაფერია.

უცხოელი

მეგობარო, განა შეიძლება ვინმემ, ვინც მცდარი მოსაზრებით დაიწყებს, [278e] ჭეშმარიტების პატარა ნაწილს მაინც მიაღწიოს და გონიერება მოიპოვოს.

უმცროსი სოკრატე

თითქმის არანაირად.

უცხოელი

თუ ეს ასეა, საერთოდ არ შევცდებით, მაგალითის მთელი ბუნების გასაგებად ჯერ სხვა მაგალითის პატარა ნაწილს განვიხილავთ, შემდეგ კი ვიზრუნებთ, რომ ნაკლებ მნიშვნელოვანიდან გადავიდეთ მეფის უფრო მნიშვნელოვან სახეზე; ამგვარად, მაგალითის მეშვეობით ვეცდებით შევიცნოთ სახელმწიფოზე ზრუნვის

ხელოვნება, რათა სიზმარი ცხადად გვექცეს.

უმცროსი სოკრატე

მალიან მართებული [იქნებოდა]. [279a]

უცხოელი

კვლავ უწინდელ მსჯელობას დავუბრუნდეთ. რადგან მეფობის გვარს მრავალი ეცილება სახელმწიფოზე ზრუნვას, ისინი უნდა გამოვხშიროთ და მეფე მათგან გავმიჯნოთ. ამისათვის კი, როგორც უკვე ითქვა, მაგალითი დაგვჭირდება.

უმცროსი სოკრატე

ნამდვილად.

უცხოელი

რომელი პატარა მაგალითის მოხმობა შეგვიძლია, რომ პოლიტიკის [მსგავს] საქმიანობას ეწეოდეს და საკმარისად გვაპოვნინოს ის, [279b] რასაც ვეძებთ? ზევსის გულისთვის, სოკრატე, რაკი ხელთ სხვა არაფერი გვაქვს, თუ გინდა, ქსოვის ხელოვნება ავირჩიოთ და მთლიანად თუ არა, იქნებ შალის ქსოვა საკმარისი იყოს. თუ [ქსოვის] ამ ნაწილს ავირჩევთ, სწრაფად დაგვიმოწმებს იმას, რაც გვსურს.

უმცროსი სოკრატე

რატომაც არა.

უცხოელი

მაშ, როგორც ადრე, ნაწილებს რომ ერთმანეთს ვაჭრიდით და ვყოფდით, ახლაც ქსოვის ხელოვნებასთან დაკავშირებით ასე არ უნდა მოვიქცეთ, [279c] რომ შეძლებისდაგვარად სწრაფად გავიაროთ ყველაფერი და მალე მივიდეთ იმასთან, რაც გვჭირდება?

უმცროსი სოკრატე

რას გულისხმობ?

უცხოელი

[მსჯელობის] გზით გიპასუხებ.

უმცროსი სოკრატე

მშვენივრად თქვი.

უცხოელი

ყველაფერი, რასაც ვქმნით და მოვიპოვებთ, ან რაღაცის გასაკეთებლად ან თავდასაცავად, რომ რამე არ დაგვემართოს. ის, რაც თავდასაცავადაა ან ადამიანური და ღვთაებრივი შხამის საწინააღმდეგოა [279d], ან – თავდაცვის სხვა იარაღი. მათგან ზოგი საომარი იარაღია, ზოგი კი – დაცვის საშუალება. ამ საშუალებათაგან ზოგი თავშესაფარია **[122]**, ზოგი კი – სიცოცხლისა და სიცხისგან დამცავი. ამ უკანასკნელთაგან ზოგი სახლის სახურავია, ზოგი კი – გადასაფარებელი. მათგან ზოგი ძირს დასაფენია, ზოგი კი – ტანზე მოსახვევი. ამ უკანასკნელთაგან ზოგი ერთიანია, ზოგი კი – ნაწილებისგან შედგება. შედგენილთაგან [279e] ზოგიერთი შეკერილია, ზოგიერთი კი – ნაკერების გარეშე შეერთებული. მათგან ზოგი მიწის მცენარეების ძაფებითაა დამზადებული, ზოგი კი – თავად თმებით.

მაშ ასე, რომლებიც თმისგანაა დამზადებული, ზოგი წყლითა და მიწითაა შეერთებული, ზოგი კი – ერთიმეორით. ამგვარად, ერთიმეორის შეერთებით დამზადებულ დაცვის საშუალებებსა და გადასაფარებლებს სახელად ტანსაცმელი ვუწოდეთ. ხელოვნებას, რომელიც ტანსაცმელზე ზრუნავს, [280a] მისივე საქმიანობიდან გამომდინარე, განა ტანსაცმლის დამზადების ხელოვნება არ უნდა ვუწოდოთ, როგორც ადრე სახელმწიფოზე [ზრუნვის] ხელოვნებას პოლიტიკა ვუწოდეთ? განა არ უნდა ითქვას, რომ ქსოვის ხელოვნება, რამდენადაც ტანსაცმლის დამზადების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს, სახელწოდების გარდა არაფრით განსხვავდება ტანსაცმლის დამზადების ხელოვნებისგან, როგორც მეფობის ხელოვნება არაფრით განსხვავდება პოლიტიკისგან?

უმცროსი სოკრატე

სრული სიმართლეა.

უცხოელი

ამის შემდეგ, ჩავთვალოთ, რომ ტანსაცმლის [280b] ქსოვის ხელოვნება, რომელსაც ასე ვუწოდებთ, ვინმემ შეიძლება მიიჩნიოს საკმარისად კარგად განმარტებულად, თუ ვერ მიხვდა, რომ ის ჯერ მკაფიოდ არაა გამიჯნული მასთან ახლოს მდგომ [ხელოვნებათაგან], რომლებთანაც თანამშრომლობს კიდევ, თუმცა ბევრი სხვა მონათესავე ხელოვნებისაგან გამოყოფილია.

უმცროსი სოკრატე

თქვი, რომელი მონათესავე [ხელოვნებისგან].

უცხოელი

როგორც ჩანს, ჩამორჩი ნათქვამს. მგონი, კვლავ დასასრულიდან დასაწყისისკენ უნდა წავიდეთ. თუ ხვდები, რას გულისხმობს ნათესაობა, ჩვენ ეს-ესაა გადასაფარებლის შექმნა ორად გავყავით, იმის მიხედვით ტანზე შემოსახვევია თუ ძირს დასაფენი.

უმცროსი სოკრატე

ვხვდები. [280c]

უცხოელი

ასევე თავი დავანებეთ ყველაფერს, რაც სელისა და ჩალიჩის და, როგორც ადრე ვუწოდებთ, [სხვა] მცენარეული ძაფებით კეთდება. შემდეგ გამოვყავით აგრეთვე თელვის ხელოვნება და შედუღებითა და ნაკერებით შეერთება, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი მეწაღეობაა.

უმცროსი სოკრატე

ნამდვილად ასეა.

უცხოელი

შემდეგ გავმიჯნეთ ყველანაირი გადასაფარებლის კეთების

ხელოვნება, იქნება ეს ტყავის დამზადება თუ გადახურვა, რაც მშენებლობის, დურგლობის და ნებისმიერი სისველისგან [280d] დაცვის ხელოვნებაში გამოიყენება; ასევე გამოვყავით ქურდებისა და ყაჩაღების საწინააღმდეგო საგნებისა და შემოსარაგავის დამზადების ხელოვნება, რაც დამცავების კეთებასა და კარების გამაგრებას [გულისხმობს] და მჭედლობის ხელოვნების ნაწილია. შემდეგ გამოვაცალკევით შეიარაღების ხელოვნება, რაც თავდაცვის საშუალებების დამზადების დიდი და მრავალფეროვანი ხელოვნების ნაწილია. [280e] თავიდანვე ყველაფრისგან გამოვყავით მხამსაწინააღმდეგო წამლებთან დაკავშირებული მაგიის ხელოვნება და დავტოვეთ, როგორც საჭიროდ ჩავთვალეთ, ხელოვნება, რომელსაც ვიკვლევთ, რომელიც გულისხმობს შალის დამზადებას, გვიცავს სიცივისგან და რომელსაც ეწოდება ქსოვის ხელოვნება.

უმცროსი სოკრატე

როგორც ჩანს, ასეა.

უცხოელი

მაგრამ, ბიჭუნავ, ის, რაც ითქვა, ჯერ კიდევ არაა დასასრული. ჩანს, რომ ის, ვინც დასაწყისში ტანსაცმლის დამზადების ხელოვნებასთანაა დაკავშირებული, [281a] ქსოვის საპირისპირო [რამეს] აკეთებს.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

ქსოვა ერთგვარი გადაწვნაა.

უმცროსი სოკრატე

დიახ.

უცხოელი

[არსებობს აგრეთვე] შეერთებულისა და გადაწნულის დარღვევა.

უმცროსი სოკრატე

რას გულისხმობ?

უცხოელი

მჩეჩავის ხელოვნების საქმიანობას. განა გავბედავთ, ჩეჩას ქსოვა ვუწოდოთ, მჩეჩავს კი – მქსოველი?

უმცროსი სოკრატე

არავითარ შემთხვევაში.

უცხოელი

თუ ვინმე ფუძისა და მისაქსველის შექმნას ქსოვის ხელოვნებას უწოდებს, განა უცნაურ და მატყუარა [281b] სახელს არ დაარქმევს?

უმცროსი სოკრატე

აბა რა?

უცხოელი

მაშ რა? ვიტყვით, რომ თელვის ხელოვნება მთლიანობაში და ტანსაცმლის შეკეთების ხელოვნება ტანსაცმლის მოვლასა და ზრუნვასთანაა დაკავშირებული, თუ ამ ყველაფერს ქსოვის ხელოვნებას ვუწოდებთ?

უმცროსი სოკრატე

არავითარ შემთხვევაში.

უცხოელი

მაგრამ ისინი ქსოვის ხელოვნებას შეეცილებიან ტანსაცმლის დამზადებასა და მის მოვლაში; უდიდეს ნაწილს მას დაუთმობენ, თუმცა თავიანთი თავისთვისაც დაიტოვებენ დიდ ნაწილებს. [281c]

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

ამასთან, [ქსოვისთვის საჭირო] იარაღის შემქნელი ხელოვნებებიც, რომელთა მეშვეობითაც იქმნება ქსოვილები, ნებისმიერი ქსოვილის შექმნის ერთ-ერთ მიზეზად ჩაითვლება.

უმცროსი სოკრატე

ზუსტად ასეა.

უცხოელი

მაშ, ქსოვის ხელოვნების შესახებ ჩვენი ნათქვამი, [მისი] ის ნაწილი, რომელიც გამოვყავით, საკმარისად იქნება განმარტებული, თუ მას შალის ტანსაცმელთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის ზრუნვაზე [281d]

უფრო უკეთესად და მნიშვნელოვნად ჩავთვლით? თუ გარკვეულწილად სიმართლეს კი ვიტყვით, მაგრამ ის არ იქნება გასაგები და დასრულებული, სანამ [ქსოვას] ხელოვნების სხვა სახეთაგან არ გამოვყოფთ?

უმცროსი სოკრატე

მართალია.

უცხოელი

ამის შემდეგ ის არ უნდა გავაკეთოთ, რაც ვთქვით, მსჯელობა რომ სათანადოდ წარიმართოს?

უმცროსი სოკრატე

როგორ არა?

უცხოელი

უპირველეს ყოვლისა, დავაკვირდეთ, რომ იმ ყველაფერთან დაკავშირებით, რაც მზადდება, ორი ხელოვნება არსებობს.

უმცროსი სოკრატე

რომელი?

უცხოელი

ერთი წარმოქმნის დამხმარე მიზეზია, მეორე – თავად [ძირითადი] მიზეზი.

უმცროსი სოკრატე

როგორ? [281e]

უცხოელი

მიზეზები, რომლებიც თავად ნამუშევარს კი არ ქმნიან, არამედ მისი შექმნისთვის [საჭირო] იარაღებს ამზადებენ, რომელთა გარეშე ვერც ერთი ხელოვნება ვერასოდეს აღასრულებს მისთვის დაკისრებულ საქმეს, დამხმარეა, ხოლო ისინი, რომლებიც თავად ნამუშევარს ქმნიან, – [ძირითადი] მიზეზები.

უმცროსი სოკრატე

გონივრულია.

უცხოელი

ამის შემდეგ, [ხელოვნებას], რომელიც ქმნის მაქოს, თითისტარს და ნებისმიერ სხვა იარაღს, რომელიც ტანსაცმლის შექმნაში მონაწილეობს, დამხმარე მიზეზი ვუწოდოთ, მათ კი, რომლებიც [ნამუშევრებს] ქმნიან და [მათზე] ზრუნავენ – თავად, [ძირითადი] მიზეზები.

უმცროსი სოკრატე

სავსებით მართალია. [282a]

უცხოელი

თავად, [ძირითად] მიზეზთაგან ცალკე გამოვყოთ რეცხვის, ტანსაცმლის შეკეთების და სხვა ნებისმიერი მოვლის ხელოვნება, რადან მორთვის ხელოვნება დიდია და ამ ყველაფერს თელვის ხელოვნება ვუწოდოთ.

უმცროსი სოკრატე

მშვენიერია.

უცხოელი

ხოლო ჩეჩა, ქსოვა და ყველაფერი სხვა, რაც თავად ტანსაცმლის შექმნაზე ზრუნავს, როგორც ითქვა, ერთი ხელოვნებაა და მას ყველა მატყლის რთვის ხელოვნებას უწოდებს.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა. [282b]

უცხოელი

მატყლის რთვის ხელოვნებას ორი ნაწილი აქვს და თითოეული მათგანი ორი ხელოვნების ნაწილია.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

ჩეჩის ხელოვნებას და მაქოს გამოყენების ხელოვნების ნახევარს და ყველა ხელოვნებას, რომელიც ერთმანეთისგან აცალკევებს ერთმანეთში გადახლართულს, ერთი სიტყვით ვუწოდოთ მატყლის რთვის ხელოვნება. და ყველაფერში გვაქვს კიდევ ორი დიდი ხელოვნება: შეერთებისა და დაყოფის.

უმცროსი სოკრატე

ასეა.

უცხოელი

ჩეჩის ხელოვნება და ყველაფერი ის, რაც ახლა ითქვა, დაყოფის ხელოვნებაა. [282c] მატყლის და ქსელის დაყოფის გამო ეწოდა დაყოფის ხელოვნება. მაქო ამას ერთი ხერხით აკეთებს, ხელები კი – მეორეთი.

უმცროსი სოკრატე

ნამდვილად ასეა.

უცხოელი

კვლავ ავიღოთ შეერთების ხელოვნება და მასში შემავალი მატყლის რთვის ხელოვნების ნაწილი. ყველაფერი, რაც დაყოფის ხელოვნებას მიეკუთვნებოდა გვერდით გადავდოთ, ხოლო მატყლის რთვის ხელოვნება ორ ნაწილად – დაყოფისა და შეერთების ხელოვნებად – დავყოთ.**[123]**

უმცროსი სოკრატე

დაიყოს [ასე].

უცხოელი

ნაწილი, რომელიც ერთდროულად შეერთების ხელოვნებასაც მიეკუთვნება და მატყლის რთვის ხელოვნებასაც [282d], უნდა დაიყოს, სოკრატე, თუ საკმარისად ვზრუნავთ ადრე ნათქვამი ქსოვის ხელოვნების განმარტებაზე.

უმცროსი სოკრატე

ასეა საჭირო.

უცხოელი

საჭიროა. ვთქვათ, რომ [შეერთების ხელოვნების] ერთი ნაწილი ძახვის ხელოვნებაა, ხოლო მეორე – წვნის ხელოვნება.

უმცროსი სოკრატე

ნუთუ მივხვდი? მგონია, რომ ძახვის ხელოვნებაში ქსელზე მუშაობას გულისხმობ.

უცხოელი

არა მხოლოდ [ქსელზე მუშაობას], არამედ მისაქსველით [მუშაობასაც].

განა შევძლებთ ძახვის გარეშე რაიმეს შექმნას?

უმცროსი სოკრატე

ვერასგზით. [282e]

უცხოელი

მაშ, განმარტე ორივე. ეს განმარტება შეიძლება შენთვის დროული აღმოჩნდეს.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

ასე: ჩემის ხელოვნების ნიმუშთაგან იმას, რაც სიგრძეში მატულობს და რასაც სიგანე აქვს, გორგალს არ ვუწოდებთ?

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

თითისტარით დახვეულ [გორგალს], რომელიც გამძლე ნართად იქცევა, ნართის ქსელს ვუწოდებთ, იმ ხელოვნებას კი, რომელიც მის [შექმნაზე] პასუხისმგებელი – ქსელის შექმნის ხელოვნებას.

უმცროსი სოკრატე

მართალია.

უცხოელი

იმ ყველაფერს, რასაც [შეუძლია] დაუშვას ქსელში შეწნული რბილი ნართი, რათა ადვილად და რბილად ვჩეჩოთ ხაოიანი მაუდი, ნართის მისაქსველს ვუწოდებთ, ხოლო მისთვის განკუთვნილ ხელოვნებას – [283a] მისაქსველით რთვის ხელოვნებას.

უმცროსი სოკრატე

ჭეშმარიტად.

უცხოელი

მაშ, ქსოვის ხელოვნების ის ნაწილი, რომელიც წინ წამოვწიეთ, უკვე ყველასათვის გასაგებია. მატყლის რთვის ხელოვნების შემაერთებელი ნაწილი, როდესაც მისაქსველისა და ქსელის სწორი გადაწვნით ქმნის წნულს, მას ვუწოდებთ დაწნულ შალის სამოსს და მასთან დაკავშირებულ ხელოვნებას – ქსოვის ხელოვნებას.

უმცროსი სოკრატე

სავსებით მართალია [283b].

უცხოელი

იყოს ასე. მაშ, რატომ პირდაპირ არ ვუპასუხეთ, რომ მისაქსველითა და ქსელით დაწვნა ქსოვის ხელოვნებაა, არამედ გარს ვუვლიდით და ბევრ რამეს ფუჭად განვსაზღვრავდით?

უმცროსი სოკრატე

უცხოელო, რაც ითქვა, არაფერი მომჩვენებია ფუჭ ნათქვამად.

უცხოელი

არც არის გასაკვირი, ძვირფასო, მაგრამ მალე შეიძლება მოგეჩვენოს. იმ სენის საწინააღმდეგოდ, რომელიც ხშირად მოგვიანებით გვეწვევა – რაც სულაც არ არის საკვირველი – მაშ, მოისმინე სიტყვა [283c], რომელიც შეეფერება ყველაფერს, რაც ითქვა.

უმცროსი სოკრატე

მხოლოდ მითხარი.

უცხოელი

თავდაპირველად განვიხილოთ ყველა სახის სიჭარბე და ნაკლებობა, რათა გონივრულად ვაქოთ ან ვაძაგოთ საჭიროზე უფრო ვრცელი, ან პირიქით, მოკლე საუბარი.

უმცროსი სოკრატე

ასეა საჭირო.

უცხოელი

ამ საკითხებზე საუბარი, ვფიქრობ, ჩვენთვის, მართებული იქნებოდა.

უმცროსი სოკრატე

რომელ [საკითხებზე]?

უცხოელი

სიგრძის, სიმაღლის, ყველა სახის სიჭარბისა [283d] და ნაკლებობის [შესახებ]. ამ ყველაფერს გაზომვის ხელოვნება უკავშირდება.

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

მაშ, დავყოთ ის ორ ნაწილად. ეს იმას სჭირდება, რისთვისაც ახლა ვიღწვით.

უმცროსი სოკრატე

თქვი, როგორ უნდა დაიყოს.

უცხოელი

ამგვარად: ერთი ნაწილი დიდისა და მცირეს ურთიერთდამოკიდებულების შესაბამისია, მეორე – წარმოშობის აუცილებელი არსის შესაბამისი.

უმცროსი სოკრატე

რა თქვი?

უცხოელი

არ გგონია, რომ, ბუნების შესაბამისად, უფრო დიდი სხვა არაფერზეა უფრო დიდი, თუ არა უფრო მცირეზე და უფრო მცირე [283e] უფრო დიდზე მცირეა და სხვა არაფერზე.

უმცროსი სოკრატე

ასე მგონია.

უცხოელი

მაშ რა? იმას, რაც ზომიერის ბუნებას აღემატება ან მის მიერაა აღმატებული სიტყვითაც და საქმითაც, ჭეშმარიტად მომხდარს არ ვუწოდებთ და ჩვენთან ამით არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან ცუდი და კარგი [ადამიანები]?

უმცროსი სოკრატე

როგორც ჩანს.

უცხოელი

მაშ უნდა ჩაითვალოს, რომ ორი სახისაა არსებობაც და დიდისა და მცირეს [ერთიმეორისგან] გარჩევაც და ისინი უნდა განვიხილოთ – არა როგორც ადრე ვთქვით – მხოლოდ ერთიმეორის მიმართ, არამედ – როგორც ახლა ითქვა – ერთი [არსებობა] განხილულ უნდა იქნას მეორესთან, ხოლო მეორე [არსებობა] – ზომიერთან მიმართებაში? რატომაა ასე, ვისურვებდით ამის გაგებას?

უმცროსი სოკრატე

და რატომაა? [284a].

უცხოელი

თუ დავუშვებთ, რომ უფრო დიდი უფრო მცირეს მიემართება და სხვას არაფერს, მას არ ექნება ზომიერთან მიმართება, ასე არაა?

უმცროსი სოკრატე

ასეა.

უცხოელი

ამგვარი მსჯელობით ხელოვნების ამ სახეებსა და მათ ყველა საქმეს ხომ არ გავანადგურებთ და პოლიტიკის ხელოვნებასაც ხომ არ მოვსპობთ, რომელსაც ვიკვლევთ და ქსოვის ხელოვნებასაც,

რომელზეც ახლახან ვილაპარაკეთ? ხელოვნების ყველა სახე
ერიდება იმას, რაც ზომიერზე მეტი ან ნაკლებია, სხვა რამის გამო კი
არა, არამედ იმიტომ, რომ ეს რთულია [284b] ამგვარად ინარჩუნებს
ზომიერებას და ქმნის ყველაფერს კეთილსა და მშვენიერს.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

თუ პოლიტიკის ხელოვნებას გავაქრობთ, მაშინ მეფობის
მეცნიერების კვლევაც ხომ გართულდება?

უმცროსი სოკრატე

ძალიანაც [გართულდება].

უცხოელი

ამგვარად, როგორც სოფისტის [შემთხვევაში] იძულებული გავხდით
[გველიარებინა], რომ არარსებული

არსებობს[124], რადგან ჩვენი მსჯელობიდან ასე გამოვიდა, განა
ახლაც იძულებულნი არ ვართ [ვთქვათ], რომ უფრო დიდი და უფრო
მცირე უნდა იზომებოდეს არა მხოლოდ ერთმანეთის, არამედ [284c]
ზომიერის მიმართაც? ხომ არ შეიძლება პოლიტიკოსის ან ან სხვა
პრაქტიკულ საქმეთა მცოდნის არსებობა ეჭვქვეშ დავაყენოთ, თუ
ამაზე არ შევთანხმდებით?

უმცროსი სოკრატე

მაშ ახლაც იგივე უნდა გავაკეთოთ.

უცხოელი

მაგრამ, სოკრატე, ეს უფრო რთული საქმეა, ვიდრე ის, თანაც
გვახსოვს, ის რამდენად ხანგრძლივი იყო. თუმცა ძალიან
სამართლიანი იქნება, მსგავსი რამ დავუშვათ.

უმცროსი სოკრატე

რა? [284d]

უცხოელი

რომ ის, რაც ახლა ვთქვით, ოდესმე ამ [საკითხის] ნათლად წარმოსაჩენად დაგვჭირდება. იმაში, რაც ამჟამად ჩვენთვის კარგად და საკმარისადაა გამჟღავნებული, ვფიქრობ, დიდწილად ის მსჯელობა გვეხმარება, რომლის თანახმადაც, ყველა ხელოვნება მსგავსად არსებობს, ხოლო უფრო დიდი და უფრო მცირე არა მხოლოდ ერთიმეორის მიმართ, არამედ ზომის [ერთეულის] მიმართაც იზომება. თუ ეს არსებობს, არსებობენ ისინიც და თუ ისინი არსებობენ, ესეც არსებობს, ხოლო თუ რომელიმე მათგანი არ არსებობს, მაშინ არც ერთი არასოდეს იარსებებს. [284e]

უმცროსი სოკრატე

მართალია, მაგრამ ამის შემდეგ რაღაა?

უცხოელი

ცხადია, რომ როგორც ითქვა, გაზომვის ხელოვნებას ორ ნაწილად გავყოფთ. ერთ ნაწილს შეიძლება მივაკუთვნოთ ყველა ის ხელოვნება, რომელიც რიცხვს, სიგრძეს, სიღრმეს, სიგანესა და სიჩქარეს მათი საპირისპიროს მიმართ ზომავს, მეორე [ნაწილს] კი – ის [ხელოვნებები], რომლებიც ზომიერის, შესაფერისის, დროულის, სათანადოს და ყველა სხვა უკიდურესობას შორის არსებული მიმართ [ზომავს].

უმცროსი სოკრატე

დიდი და ორი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული ნაწილი დაასახელე.

უცხოელი

სოკრატე, როგორც ხანდახან ბევრი ჭკვიანი ადამიანი აღნიშნავს, [285a] როგორც სიბრძნეს, თითქოს გაზომვის ხელოვნება ყველაფერ არსებულს უკავშირდება, ზუსტად იგივე ვთქვით ახლა. ყველაფერი, რაც ხელოვნებას მიეკუთვნება, რაიმე ფორმით მონაწილეობს

გაზომვაში. ვინაიდან [ადამიანებს] არ სჩვევიათ სახეებად დაყოფა და ისე გარჩევა, ერთმანეთისგან განსხვავებულ [სახეებს] პირდაპირ ერთად ათავსებენ და ფიქრობენ, რომ ისინი ერთმანეთის მსგავსია. ამის საპირისპიროდ იქცევიან, როცა სხვა რამეებს ნაწილებად არ ყოფენ. არადა, [285b] როდესაც ვინმე მრავალთა შორის რაღაც საზიაროს შენიშნავს, არ უნდა მოეშვას, სანამ ყველა იმ განსხვავებას არ აღმოაჩენს, რაც ამ სახეებში არსებობს, და პირიქით, როდესაც ბევრ განსხვავებას დაინახავს სიმრავლეში, არ უნდა დაფრთხეს და თავი არ უნდა დაანებოს, ვიდრე ყველა მონათესავეს მსგავსთა ერთ [გვარში] არ მოაქცევს და რაიმე გვარის არსით არ შემოსაზღვრავს. მათ შესახებ, ისე, როგორც ნაკლებობისა და ზედმეტობის შესახებ საკმარისად ითქვა. მხოლოდ გაზომვის ხელოვნების ორი მოძიებული გვარი [285c] შევინარჩუნოთ და დავიმახსოვროთ, რა ვთქვით მათ შესახებ.

უმცროსი სოკრატე

დავიმახსოვროთ.

უცხოელი

ამ მსჯელობის შემდეგ სხვაზე გადავიდეთ, რომელიც იმას ეხება, რასაც ვიკვლევთ და აგრეთვე, ყველაფერს, რითიც ამგვარი მსჯელობისას ვართ ხოლმე დაკავებული.

უმცროსი სოკრატე

რომელ [მსჯელობაზე გადავიდეთ]?

უცხოელი

ვთქვათ, გვეკითხებიან იმ მოსწავლეთა შესახებ, რომლებიც ასოებს სწავლობენ. როდესაც რომელიმე მათგანს ეკითხებიან რომელი ასოებისგან შედგება [ესა თუ ის] სიტყვა, რას ვიტყვით, [285d] ეს შეკითხვა დაისვა მხოლოდ ამ ერთი [საკითხის] გამო, თუ იმის გამო, რომ ყველა დასმულ [საკითხთან] დაკავშირებით უფრო მცოდნე გახდეს?

უმცროსი სოკრატე

ცხადია, რომ ყველა [საკითხის] გამო.

უცხოელი

მაშ, რატომ ვიკვლევთ ახლა პოლიტიკოსს? მხოლოდ მის გამო დაისვა საკითხი, თუ იმის გამო, რომ ყველაფერთან დაკავშირებით უფრო მეტად დიალექტიკოსები გავხდეთ?

უმცროსი სოკრატე

აქაც, ცხადია, რომ ყველა [საკითხთან] დაკავშირებით.

უცხოელი

მაშ, ქსოვის ხელოვნებაზე მსჯელობას მხოლოდ მის გამო ჭკუათმყოფელი არ გამოედევნებოდა. არამედ მიმაჩნია, რომ უმრავლესობისთვის დაფარულია, რომ არსებულთა მარტივად [285e] შესაცნობად არსებობს რაღაც შეგრძნებადი მსგავსებები, რომელთა გამოვლენაც არაა რთული, როცა ვისმეს სურს, რომ შეკითხვას პასუხი მარტივად გასცეს მსჯელობის გარეშე. რაც შეეხება არსთა ყველაზე მნიშვნელოვან და ღირებულ

ნაწილს [286a], მათ არ გააჩნიათ ადამიანებისთვის მკაფიო გამოსახულებები, რომელთა საშუალებით ის, ვისაც სურს შეკითხვის დამსმელს სული აუვსოს, ამას შეგრძნებებთან შერწყმით საკმარისად შეძლებდა. ამიტომ, ყველამ უნდა ივარჯიშოს, რომ შესაძლებელი იყოს განმარტების მიცემაც და მიღებაც. უსხეულო, უმშვენიერესი და უმნიშვნელოვანესი არსნი მკაფიოდ მხოლოდ მსჯელობით შეიძლება გამომჟღავნდნენ და სხვა არაფრით. სწორედ მათ გამო ითქვა ყველაფერი. ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მცირედით ვარჯიში უფრო ადვილია, [286b] ვიდრე – უფრო დიდით.

უმცროსი სოკრატე

შესანიშნავად თქვი.

უცხოელი

გავიხსენოთ, რის გამო ვილაპარაკეთ ამ ყველაფრის შესახებ.

უმცროსი სოკრატე

რის [გამო]?

უცხოელი

ძირითადად იმის გამო, რომ ქსოვის ხელოვნების შესახებ, აგრეთვე სამყაროს წრებრუნვაზე და სოფისტთან დაკავშირებული არარსებულის არსის შესახებ ვრცელი საუბრისას, უსიამოვნო განცდა დაგვეუფლა. მივხვდით, რომ [მსჯელობა] მეტისმეტად გრძელი იყო და ამ ყველაფრის გამო საკუთარი თავი გავკიცხეთ, [286c] რადგან შიში დაგვეუფლა, რომ უსარგებლოდ და ვრცლად ვლაპარაკობდით. აქამდე სწორედ იმიტომ ითქვა ეს ყველაფერი, რომ კვლავ იგივე არ განვიცადოთ..

უმცროსი სოკრატე

ასე იყოს, ოღონდ თანმიმდევრულად ილაპარაკე.

უცხოელი

მაშ, მე და შენ უნდა გვახსოვდეს ის, რაც ახლახან ითქვა და ნათქვამის სიგრძე-სიმოკლე ყოველთვის უნდა დავიწუნოთ ან შევაქოთ არა მხოლოდ ერთიმეორის სიგრძესთან მიმართებაში, [286d] არამედ გაზომვის ხელოვნების იმ ნაწილის შესაბამისად, რომელზეც ვთქვით, რომ უნდა გვახსოვდესო, ანუ შესაფერისთან მიმართებაში.

უმცროსი სოკრატე

მართალია.

უცხოელი

მაგრამ ყოველთვის ამის მიხედვით არ [უნდა შევაფასოთ]. სიამოვნებასთან დაკავშირებით არ გვჭირდება მისთვის შესაფერისი ხანგრძლივობის დადგენა. შესაძლოა, ეს მხოლოდ დამატებით გახდეს საჭირო. როცა გვსურს წამოჭრილი საკითხი რაც შეიძლება მარტივად და სწრაფად გამოვიკვლიოთ, გონება გვკარნახობს, რომ

მას მივმართოთ არა პირველ, არამედ მეორე რიგში. ყველაზე მეტად და უპირველეს ყოვლისა უნდა დავაფასოთ მეთოდი, რომლითაც შესაძლებელია სახეებად დაყოფა [286e] და თუ მსჯელობა, თუნდაც ის ძალიან გრძელი იყოს, მსმენელს უკეთ მიახვედრებს, მაშინ მას უნდა მივმართოთ და არ შევცბეთ არც სიგრძის, და არც პირიქით – სიმოკლის გამო. თუ ვინმე ამგვარ მსჯელობას სიგრძის გამო ამაგებს და არ აღიარებს შემოვლით გზებს, მან პირდაპირ და სწრაფად კი არ უნდა ჩაიქროლოს [287a] მხოლოდ იმის თქმით, რომ ძალიან გრძელია, არამედ იმავედროულად უნდა წარმოაჩინოს, რომ იცის, უფრო მოკლედ მოსაუბრენი როგორ გახდებიან უფრო მეტად დიალექტიკოსები და უფრო უკეთ როგორ გაიგებენ არსებულის შესახებ მსჯელობას. სხვების მიერ მათი ძაგება და ქება კი არად ჩავაგდოთ და მათ საუბარს ნურც მოვუსმენთ. ამ [საკითხზე] საკმარისად ითქვა, თუ შენც მეთანხმები. კვლავ პოლიტიკოსს დავუბრუნდეთ [287b] და მაგალითად უკვე ნახსენები ქსოვის ხელოვნება მოვიყვანოთ.

უმცროსი სოკრატე

მშვენივრად თქვი და ისე მოვიქცეთ, როგორც ამბობ.

უცხოელი

მეფობა ხომ მისი ყველა მონათესავე [ხელოვნებიდან] და განსაკუთრებით კი ჯოგთან დაკავშირებული [ხელოვნებებიდან] გამოვყავით. ახლა კი დავასახელოთ დარჩენილი [სახეები], რომლებიც სახელმწიფოსთან დაკავშირებული მიზეზი ან დამხმარე მიზეზია და რომლებიც თავდაპირველად ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ.

უმცროსი სოკრატე

სწორია.

უცხოელი

იცი, რომ მათი ორად დაყოფა რთულია? [287c] მიზეზი კი წინ რომ

წავალთ, ვფიქრობ, უფრო ნათელი გახდება.

უმცროსი სოკრატე

ასეც მოვიქცეთ.

უცხოელი

მაშ, დავანაწევროთ, როგორც მსხვერპლად შეწირული ცხოველი, რადგან შეუძლებელია მისი ორად გაყოფა. ყოველთვის ორთან რაც შეიძლება უფრო მიახლოებულ რიცხვად უნდა დაიყოს.

უმცროსი სოკრატე

ახლა როგორ მოვიქცეთ?

უცხოელი

როგორც ადრე, როცა ქსოვის ხელოვნებასთან დაკავშირებული ყველა იარაღი დამხმარე მიზეზად დავადგინეთ.

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

ახლაც იგივე უნდა გავაკეთოთ და ამის გაკეთება კიდევ უფრო [287d] საშუურია. თითოეული ხელოვნება, რომელიც სახელმწიფოსთვის მცირე თუ დიდ იარაღს ქმნის, დავადგინოთ დამხმარე მიზეზად. მათ გარეშე ვერც სახელმწიფო და ვერც პოლიტიკის ხელოვნება ვერასოდეს იარსებებდა.

მეფობის ხელოვნება კი მათ საქმედ არ ჩავთვალთ.

უმცროსი სოკრატე

არა, რა თქმა უნდა.

უცხოელი

რთულ [საქმეს] მივყავით ხელი, ამ გვარის სხვა დანარჩენებისგან გამოყოფას რომ ვცდილობთ. იმის თქმა, რომ ის რაც არსებობს, რაღაც

ერთის ან მეორის იარაღია, როგორც ჩანს, დამაჯერებელია. [287e]
თუმცა ამჟამად სახელმწიფოში სხვა [სახის] მფლობელობის შესახებ
ვილაპარაკებთ.

უმცროსი სოკრატე

რას [გულისხმობს]?

უცხოელი

იმას, რასაც ასეთი ძალა არ აქვს. ის წარმოშობის მიზეზთან კი არაა
დაკავშირებული, როგორც იარაღი, არამედ იმისთვის არსებობს, რომ
ქმნილება იხსნას.

უმცროსი სოკრატე

რომელი?

უცხოელი

ის მრავალფეროვანი სახე, რომელიც შექმნილია მშრალისა და
სველისგან, ცეცხლოვანისა და უცეცხლოსგან და რომელსაც ერთი
სიტყვით სათავეს ვუწოდებთ. ეს ძალიან გავრცელებული სახეა და
[288a] როგორც ვიცი, არავითარი კავშირი არ აქვს იმ ცოდნასთან,
რომელსაც ვიკვლევთ.

უმცროსი სოკრატე

როგორ [ექნება]?

უცხოელი

ამათ გარდა, [არსებობს] ფლობასთან დაკავშირებული და მათგან
განსხვავებული მესამე სახეც, რომელშიც კარგად შეინიშნება
სახმელეთო და წყალქვეშა, მოძრავი და უძრავი, ძვირფასი და
იაფფასიანი, რომელსაც ერთი სახელი აქვს, რადგან მუდამ ვიღაცის
დასაჯდომია და იმისთვის არსებობს, რომ მასზე დასხდნენ.

უმცროსი სოკრატე

რომელი?

უცხოელი

მას გადაადგილების საშუალებას ვუწოდებთ და პოლიტიკის ხელოვნების საქმე საერთოდ არაა, არამედ უფრო მეტად დურგლობის, მეთუნეობის და სპილენძის დამზადების ხელოვნებებს უკავშირდება.

უმცროსი სოკრატე

გასაგებია. [288b]

უცხოელი

და მეოთხე რომელია? მათგან უნდა გამოვყოთ, თუმცა ადრე ნახსენებთაგან ბევრ რამეს მოიცავს – ყველანაირ ტანსაცმელს, იარაღს, კედელს, მიწისა თუ ქვის თავშესაფარს და ათას სხვა რამეს. ვინაიდან ეს ყველაფერი დასაცავადაა გაკეთებული, ყველაზე სამართლიანი იქნება, მათ საერთო სახელი – დამცავი ვუწოდოთ. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ყველაფერი მშენებლობისა და ქსოვის ხელოვნებებს უფრო მეტად და მართებულად უკავშირდება, ვიდრე – პოლიტიკის ხელოვნებას.

უმცროსი სოკრატე

ნამდვილად ასეა. [288c]

უცხოელი

ხომ არ ვისურვებდით მეხუთე სახეც დაგვედგინა, რომელიც მორთვასა და მხატვრობას უკავშირდება და აგრეთვე იმას, რაც ამ უკანასკნელსა და მუსიკას იყენებს, ბაძავს და მხოლოდ ჩვენი სიამოვნებისთვის იღწვის?

სამართლიანი არ იქნებოდა ამ ყველაფრის ერთი სახელით განმარტება?

უმცროსი სოკრატე

რომელი [სახელით]?

უცხოელი

რაღაც თამაშისმაგვარი რომ ეწოდება.

უმცროსი სოკრატე

აბა რა?

უცხოელი

ამ ყველაფერს ეს ერთი სახელი უნდა დაერქვას, რადგან სერიოზული რამის გამო არც ერთი არაფერს აკეთებს, არამედ – გართობისთვის.
[288d]

უმცროსი სოკრატე

ესეც თითქმის გასაგებია.

უცხოელი

ამ ყველაფრისთვის მასალის მიმცემი, ის, რისგანაც და რითიც იქმნება ახლახან მოხსენიებული ხელოვნებები. ის მრავალფეროვანი სახე, რომელიც მრავალი სხვა ხელოვნების შთამომავალია, მეექვსე [სახედ] ხომ არ დავადგინოთ?

უმცროსი სოკრატე

რომელი?

უცხოელი

ოქრო, ვერცხლი და ყველაფერი, რაც მიწიდან მოიპოვება და რაც ხის ჭრის ხელოვნებისა და ნებისმიერი ხერხით იჭრება და დურგლობისა და წვნის ხელოვნებებს გადაეცემა, აგრეთვე მცენარეთა ქერქისა [288e] და ცხოველების ტყავის გაცლის ხელოვნებები, მეწაღეობა და ყველა სხვა მსგავსი ხელოვნება, რომელიც საცობს, პაპირუსსა თუ ქამარს, ანუ შედგენილ (რთულ) სახეებს ამზადებს არაშედგენილი (მარტივი) გვარებისგან. ამ ყველაფერს ერთს ვუწოდებთ, ადამიანებისთვის პირველად და მარტივ საკუთრებას[125]; მას ხომ არავითარი კავშირი არ აქვს მეფობის ცოდნასთან.

უმცროსი სოკრატე

მშვენიერია.

უცხოელი

საზრდოს და იმ ყველაფრის მოპოვება, რისი ნაწილებიც სხეულის ნაწილებს შეერევა, [289a] მასზე ზრუნავს და ძალასაც აძლევს, მეშვიდე [სახედ] უნდა მოვიხსენიოთ და ამ ყველაფერს ვუწოდოთ ჩვენი საზრდო, თუ რამე უკეთესი არ გამოჩნდება. ყველაფერ ამას მიწათმოქმედებას, ნადირობას, გიმნასტიკას, მედიცინას და მზარეულობას უფრო სამართლიანად მივაკუთვნებთ, ვიდრე პოლიტიკის ხელოვნებას.

უმცროსი სოკრატე

აბა რა?

უცხოელი

ვფიქრობ, რომ თითქმის ყველაფერი, რაც საკუთრებას შეეხება, გარდა შინაური ცხოველებისა, ამ შვიდ გვარში იყო მოხსენიებული. შეხედე: ყველაზე სამართლიანი იქნებოდა ისეთი განლაგება, რომ დასაწყისში [289b] იყოს პირველადი გვარი და ამის შემდეგ კი – იარაღი, სათავსი, გადაადგილების საშუალება, დამცავი, თამაში და საზრდო. რაც გამოვტოვეთ, თუ ძალიან მნიშვნელოვანი არ იქნა, ამ [გვარებს] შეიძლება მივაკუთვნოთ, როგორიცაა, მაგალითად, მონეტები, ბეჭდები და ყველანაირი ტვიფრები.

ისინი არ წარმოადგენენ რაიმე დიდ და ერთიან გვარს. შეიძლება შეთანხმება და ზოგიერთი მათგანის, მართალია იძულებით, მაგრამ მაინც მოსართავთან შეერთება, ზოგის კი – იარაღთან. რაც შეეხება შინაური ცხოველების ფლობას, [289c] მონების გარდა ყველაფერი ახლახან გამოყოფილი ჯოგური გამოზრდის ხელოვნებას მიეკუთვნება.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

დარჩნენ მონები და ყველა ის მსახური, რომელთა შორისაც, ვწინასწარმეტყველებ, რომ გამოჩნდებიან ისეთები, რომლებიც მეფეს შეეცილბიან, როგორც ფეიქრებს [შეეცილნენ] მრთველები, მჩეჩავეები და სხვები, ვისზეც ვილაპარაკეთ. ყველა სხვა, რომელიც დამხმარე მიზეზებად დავასახელეთ, თავიანთი საქმეებითურთ ცალკე გამოვყავით და გამოვაცალკევეთ [289d] მეფობისა და პოლიტიკის ხელოვნების საქმეთაგან.

უმცროსი სოკრატე

ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს.

უცხოელი

მოდით, დარჩენილებს მივუახლოვდეთ და ისე განვიხილოთ, რათა უფრო სარწმუნოდ შევიტყოთ [მათ შესახებ].

უმცროსი სოკრატე

ასეა საჭირო.

უცხოელი

თუკი აქედან დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ყველაზე მნიშვნელოვან მსახურებს იმის საპირისპირო საქმეები და თვისებები აქვთ, რაც გვეგონა.

უმცროსი სოკრატე

რომელ [მსახურებს]?

უცხოელი

ნაყიდებს, რომლებიც ამ გზით მოიპოვეს. მათ ხომ [289e] უდავოდ შეიძლება მონები ვუწოდოთ? ისინი ყველაზე ნაკლებად იზიარებენ მეფობის ხელოვნებას.

უმცროსი სოკრატე

როგორ არა.

უცხოელი

მაშ რა? თავისუფალი ადამიანები, რომლებიც ნებაყოფლობით
ხდებიან იმათი მსახურები, ვისზეც ეს-ესაა ვილაპარაკეთ,
მიწათმოქმედებისა და სხვა ხელობათა ნაყოფს ერთმანეთში რომ
ინაწილებენ და დაატარებენ, ზოგი ბაზარში, ზოგიც ქალაქიდან
ქალაქში, ხმელეთითა თუ ზღვით ფულს სხვა რამეზე რომ ცვლიან, ან
ფულს – ფულზე, გადამცვლელებს, [290a] ვაჭრებს, მეხომალდეებს
და წვრილ ვაჭრებს რომ ვუწოდებთ, განა რამეში შეეცილებიან
პოლიტიკის ხელოვნებას?

უმცროსი სოკრატე

ყველაზე უფრო მეტად ვაჭრობის ხელოვნებაში.

უცხოელი

მაგრამ დაქირავებულებს, რომლებიც ვხედავთ, რომ მუდამ მზად
არიან ყველას ემსახურონ, განა ოდესმე ვიხილავთ, რომ მეფობის
ხელოვნებას ეზიარებოდნენ?

უმცროსი სოკრატე

რანაირად?

უცხოელი

და რაც შეეხება იმათ, ვინც ჩვენ ყოველთვის ასე გვემსახურება?

უმცროსი სოკრატე

რას ამბობ და ვისზე? [290b]

უცხოელი

მაცნეების ჯგუფზე და იმათზე, რომლებიც წერაშიც გაიწვრთნენ და
ბევრ სხვა მნიშვნელოვან საქმეშიც მრავალჯერ ემსახურნენ
მმართველებს, რას ვიტყვით მათზე?

უმცროსი სოკრატე

როგორც ახლახან თქვი, მსახურები არიან და არა სახელმწიფოთა

მმართველები.

უცხოელი

მაგრამ, არა მგონია, სიზმარში მენახა და მეთქვა, რომ ასე გამჟღავნდებიან ისინი, ვინც მოისურვებს პოლიტიკის ხელოვნებას შეეცდილოს. აშკარად ძალიან უადგილო იქნებოდა [290c] მათი ძებნა მოსამსახურის ხელოვნების ფარგლებში.

უმცროსი სოკრატე

ნამდვილად ასეა.

უცხოელი

მაშ, მივუახლოვდეთ იმათ, ვინც ჯერ არ გამოგვიცდია. ისინიც, ვინც მისწობასთან არის დაკავშირებული, ფლობენ მსახურის ცოდნის გარკვეულ ნაწილს, რადგანაც ითვლება, რომ ღმერთების [ნათქვამს] ადამიანებს განუმარტავენ.

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

ასეა ქურუმთა გვარის შემთხვევაშიც. დადგენილია, რომ მშვენივრად იციან ჩვენ მაგივრად როგორ შესწირონ ღმერთებს მსხვერპლი [290d] და ლოცვით ჩვენთვის სიკეთე სთხოვონ. ეს ორივე, გარკვეულწილად, მოსამსახურის ხელოვნების ნაწილია.

უმცროსი სოკრატე

როგორც ჩანს, ასეა.

უცხოელი

მგონია, რომ უკვე მივაგენით კვალს, რომელსაც უნდა მივდიოთ. ქურუმებისა და მისნების მდგომარეობა ისეთია, რომ ისინი დიადი აზრებით არიან სავსე და მათ დიდ პატივს მიაგებენ მათი საქმიანობის მნიშვნელობის გამო. მაგალითად, ეგვიპტეში არ

არსებობს მეფის მმართველობა ქურუმის გარეშე, [290e] მაგრამ თუ ისე მოხდა, რომ სხვა გვარის წარმომადგენელი ძალისმიერი გზით [გამეფდა], შემდგომ იგი მაინც უნდა გაერთიანდეს ამ გვარში. ასევე ბერძნებთანაც ბევრ ადგილას დიად მმართველებს ეკუთვნით მნიშვნელოვანი მსხვერპლშეწირვაც. თქვენთანაც **[126]**, ცხადია, რომ ისეა, როგორც ვამბობ. ვისაც წილად ხვდება მეფობა, მასვე ერგება ყველაზე პატივსაგები და ყველაზე ადგილობრივი უძველესი მსხვერპლშეწირვა.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა. [291a]

უცხოელი

მაშ, განვიხილოთ ეს არჩეული მეფეები და ქურუმები, ასევე მათი მსახურები და ის დიდი ბრბო, რომელიც ახლახან გამოჩნდა, მას შემდეგ, რაც სხვებისგან გამოვყავით.

უმცროსი სოკრატე

ვისზე ამბობ?

უცხოელი

საკმაოდ უცნაურ [ადამიანებზე].

უმცროსი სოკრატე

და მაინც?

უცხოელი

მრავალფეროვანია ეს გვარი, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. მათგან ბევრი ლომებს და კენტავრებს **[127]** ჰგავს, [291b] სხვა მსგავს [არსებებსაც], უმეტესობა კი – სატირებს **[128]** და სხვა სუსტ და მრავალსახოვან ცხოველებს.

სწრაფად იცვლიან სახესა და შესაძლებლობებს. სოკრატე, ვფიქრობ ახლად გავეუგე ამ ადამიანებს.

უმცროსი სოკრატე

თქვი, როგორც ჩანს, რაღაც უცნაური შეამჩნიე.

უცხოელი

კი, უცოდინრობისგან ხდება ყველაფერი უცნაური. სწორედ ეს დამემართა ახლა. უცებ ვერ ვიცანი, [291c] გუნდი, რომელიც სახელმწიფოს [საქმეებთანაა] დაკავშირებული.

უმცროსი სოკრატე

რომელი [გუნდი]?

უცხოელი

ყველა სოფისტთა შორის ყველაზე უფრო დიდი თაღლითები და ამ ხელოვნებაში ყველაზე გამოცდილები. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალიან რთული გასაკეთებელია, ისინი ჭეშმარიტი პოლტიკოსებისა და მეფეებისაგან უნდა გავმიჯნოთ, თუ გვსურს ნათლად გავიგოთ ის, რასაც ვეძებთ.

უმცროსი სოკრატე

მაგრამ ამას არ უნდა მოვეშვათ.

უცხოელი

მეც ასე [ვფიქრობ]. აბა, ერთი ეს მითხარი.

უმცროსი სოკრატე

რა? [291d]

უცხოელი

მონარქია ხომ სახელმწიფო მართვის ერთ-ერთი [ფორმაა]?

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

მონარქიის შემდეგ კი, ვფიქრობ, უმცირესობის მმართველობა
შეიძლება დავასახელოთ.

უმცროსი სოკრატე

აბა რა?

უცხოელი

სახელმწიფო მართვის მესამე ფორმა განა უმრავლესობის
მმართველობა არაა, რომელსაც დემოკრატია ეწოდება?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

ამ სამიდან განა ხუთი არ წარმოიქმნება, თუ მათგან კიდევ ორი სხვა
სახელი იშვება?

უმცროსი სოკრატე

რომელი? [291e]

უცხოელი

თუ გავითვალისწინებთ ძალადობასა და კეთილ ნებას, სიღარიბესა
და სიმდიდრეს, კანონსა და უკანონობას, რაც [სახელმწიფო მართვის
ფორმებს] ახასიათებს, ამ ორიდან თითოეული მათგანი კიდევ ორად
დაიყოფა, მონარქია კი ორ სახეს მოიცავს და [მას] ორ სახელს
ვუწოდებთ, ტირანიას და მეფობას.

უმცროსი სოკრატე

ასეა.

უცხოელი

სახელმწიფოს კი, რომელსაც უმცირესობა მართავს, არისტოკრატიას
და ოლიგარქიას [ვუწოდებთ].

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

დემოკრატias კი, მიუხედავად იმისა, უმრავლესობა მესაკუთრეებს ძალადობით მართავს თუ კეთილი ნებით, [292a] კანონებს ზუსტად იცავს, თუ – არა, ჩანს, რომ ვერავინ ვერასოდეს შეუცვლის სახელს.

[129]

უმცროსი სოკრატე

მართალია.

უცხოელი

მაშ რა? ჩავთვალოთ, რომ ამ სახელმწიფო მმართველობათაგან რომელიღაცა სწორია, თუ მის ფარგლებში [მართვა] ხდება ერთის, უმცირესობის, უმრავლესობის მიერ, სიმდიდრით ან სიღარიბით, ძალადობით ან კეთილი ნებით, დაწერილი კანონებით ან კანონების გარეშე?

უმცროსი სოკრატე

და რა გვიძლის ხელს? [292b]

უცხოელი

უფრო კარგად დააკვირდი და ისე გააგრძელე.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

დავჯერდეთ იმას, რაც თავდაპირველად ვთქვით, თუ შევეწინააღმდეგოთ?

უმცროსი სოკრატე

რას გულისხმობ?

უცხოელი

ვფიქრობ, ვთქვით, რომ სამეფო მმართველობა გარკვეული ცოდნაა.

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

და ის ყველა ხელოვნებიდან კი არ ამოვირჩიეთ, არამედ – სხვათაგან [გამოყოფილი] განსჯისა და ბრძანების გაცემის ხელოვნებათაგან.

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

ბრძანების გაცემის ხელოვნება კი [დავყავით] უსულო საგნებზე [292c] და სულიერ არსებებზე ბრძანების გაცემად. ასე დაყოფით აქამდე მოვედით და არ დაგვვიწყებია ცოდნა, მიუხედავად იმისა, რომ ვერ შევძელით მისი საკმარისად განმარტება.

უმცროსი სოკრატე

მართალს ამბობ.

უცხოელი

მაშ, უკვე ვხვდებით, რომ [სახელმწიფო მართვის ფორმათა დაყოფის] საფუძველი არ შეიძლება იყოს უმცირესობა და უმრავალესობა, კეთილი ნება და ძალადობა, სიღარიბე და სიმდიდრე, არამედ რაღაც ცოდნა, თუ, რა თქმა უნდა, აქამდე [ნათქვამს] მივყევით? [292d]

უმცროსი სოკრატე

სხვაგვარად ვერ მოვიქცევით.

* * *

უცხოელი

კვლავ ამ [საკითხს] დავუბრუნდეთ: ხომ ვთქვით, რომ არსებობს თავად ბრძანების გაცემის ხელოვნება, რომელიც ეხება ცოცხალ

არსებებს და ცალკეულ პირებზე კი არ ზრუნავს, არამედ [275d] – [ადამიანთა] ერთობაზე და მაშინ მას ასეც ვუწოდეთ – ჯოგურად გამოზრდის ხელოვნება, გახსოვს?

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

სწორედ იქ შევცდით, რადგან პოლიტიკოსი არსად შევიყვანეთ და არც სახელი დავარქვით, დაგვემალა და სახელდებას გაექცა.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

თითოეული ჯოგის გამოკვება ყველა სხვა მწყემსს სჩვევია, პოლიტიკოსს კი – არა, [275e] ჩვენ კი მასაც ეს სახელი ვუწოდეთ, თუმცა ერთი სახელი უნდა გვეწოდებინა ყველასთვის, ვისაც [რაიმე] საერთო აქვს.

უმცროსი სოკრატე

მართალია, თუკი ამგვარი [სახელი] არსებობს.

უცხოელი

როგორ იქნება მოვლა ყველასათვის საერთო [საქმე], თუ მას არ განვსაზღვრავთ როგორც გამოზრდას ან რაიმე სხვა ქმედებას? ხომ არ დავარქვათ ჯოგის პატრონობის, [მისი] მოვლის ან [მასზე] ზრუნვის ხელოვნება, რასაც ყველა, და მათ შორის პოლიტიკოსიც, აკეთებს, ვინაიდან მსჯელობამ გვიჩვენა, რომ ასეა საჭირო. [276a]

უმცროსი სოკრატე

მართალია, მაგრამ შემდეგი დაყოფა როგორ მოხდება?

უცხოელი

ისე, როგორც ადრე დავყავით ჯოგური გამოზრდის ხელოვნება, [გამოყავით რა] მასში მოსიარულეთა და უფრთოთა, შეურეველთა და ურქოთა გამოზრდა. თუ ასე დავყოფდით ჯოგის მოვლის ხელოვნებასაც, ერთი და იმავე სიტყვით მოვიხსენიებდით ახლანდელ [დროსაც] და კრონოსის მეფობისასაც.

უმცროსი სოკრატე

როგორც ჩანს, ასეა, მაგრამ გაგრძელებას მაინც ვითხოვ.

უცხოელი

ცხადია, რომ თუ ჯოგის მოვლის ხელოვნებას [276b] ვუწოდებდით, ვერასოდეს ვერავინ შეგვედავებოდა, ზრუნვა საერთოდ არ არსებობსო, როგორც ადრე შემოგვედავნენ: ჩვენთან არ არსებობს ხელოვნება, რომელიც გამოკვებასთან დაკავშირებულ სახელს იმსახურებსო; და თუ ამგვარი [ხელოვნება] იარსებებდა ის სხვას უფრო მეტად შეეფერებოდა, ვიდრე მეფესო.

უმცროსი სოკრატე

მართალია.

უცხოელი

ადამიანთა მთელ საზოგადოებაზე ზრუნვის ვერც ერთი ხელოვნება ვერ იქნებოდა განსხვავებული და უფრო აღმატებული, ვიდრე მეფობის და ყველა ადამიანის მართვის ხელოვნება. [276c]

უმცროსი სოკრატე

მართალს ამბობ.

უცხოელი

ამის შემდეგ ხვდები, სოკრატე, რომ სულ ბოლოსაც დიდი შეცდომა დავუშვიტ?

უმცროსი სოკრატე

რა [შეცდომა]?

უცხოელი

მართალია, მივხვდით, რომ არსებობს ორფეხა ჯოგის გამოკვების ხელოვნება, მაგრამ მისთვის მაშინვე არ უნდა დაგვერქმია მეფობის ან პოლიტიკის ხელოვნება, თითქოს ამით ყველაფერი ითქვას.

უმცროსი სოკრატე

აბა, როგორ?

უცხოელი

თავდაპირველად, როგორც უკვე ითქვა, სახელი უნდა გადავაკეთოთ [276d] ის ზრუნვასთან უფრო მეტად უნდა დავაკავშიროთ, ვიდრე გამოკვებასთან. შემდეგ კი უნდა დავყოთ. მრავალ ნაწილად დაიყოფა.

უმცროსი სოკრატე

მაინც როგორ?

უცხოელი

ღვთაებრივი მწყემსი შეიძლება ადამიანებზე მზრუნველისგან გამოგვეყო.

უმცროსი სოკრატე

მართალია.

უცხოელი

შემდეგ საჭირო იქნებოდა, ცალკე გამოყოფილი ზრუნვის ხელოვნებაც ორად გაგვეყო.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

თავსმოხვეულ და ნებაყოფლობით [ზრუნვად].

უმცროსი სოკრატე

როგორ? [276e]

უცხოელი

ადრე სწორედ [ამ საკითხს] მივუდექით უფრო მარტივად, ვიდრე საჭირო იყო და შევცდით, როდესაც მეფე და ტირანი ერთად განვათავსეთ მაშინ, როცა არც თავად გვანან ერთმანეთს და არც – მართვის მეთოდებით.

უმცროსი სოკრატე

ნამდვილად.

უცხოელი

ახლა კი, როგორც უკვე ითქვა, გამოვასწოროთ [ჩვენი შეცდომა] და ადამიანებზე ზრუნვის ხელოვნება კვლავ ორად გავყოთ: თავსმოხვეულ და ნებაყოფლობით [ნაწილებად].

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

თავსმოხვეულს ტირანიის ხელოვნება ვუწოდოთ, ხოლო ნებაყოფლობითს, რომელიც ორფეხა ცხოველთა ჯოგებზე მათივე სურვილით ზრუნვის ხელოვნებას უკავშირდება – პოლიტიკის ხელოვნება. განა ის, ვინც ზრუნვის ხელოვნებას ფლობს, ჭეშმარიტ მეფედ და პოლიტიკოსად არ უნდა გამოვაცხადოთ? [277a]

უმცროსი სოკრატე

მაშ, როგორც ჩანს, უცხოელო, პოლიტიკოსზე მსჯელობა ასე უნდა დავასრულოთ?

უცხოელი

ეს ჩვენთვის მშვენიერი იქნებოდა, სოკრატე, მაგრამ ასე მხოლოდ შენ კი არ უნდა იფიქრო, არამედ – მეც. მე კი მგონია, რომ ჩვენს მეფეს

ჯერ კიდევ არ აქვს დასრულებული სახე. ჩვენც ისე დაგვემართა, როგორც მოქანდაკეებს [ემართებათ ხოლმე], როცა ჩქარობენ და იმაზე მეტ და დიდ დეტალს უმატებენ ნამუშევარს, ვიდრე საჭიროა, [277b] ამის გამო კი მის [დასრულებას] აგვიანებენ. გვინდოდა სწრაფად და შთამბეჭდავად გამოგვეაშკარავებინა მსჯელობისას დაშვებული შეცდომა. გვეგონა მეფეს დიდებული მაგალითები შეეფერებოდა, მითს დიდი მნიშვნელობა მივანიჭეთ და იძულებულნი გავხდით, მისი უფრო დიდი ნაწილი გამოგვეყენებინა, ვიდრე საჭირო იყო. ამის გამო მსჯელობა გავახანგრძლივეთ და მითი ვეღარ დავასრულეთ. უბრალოდ ჩვენმა მსჯელობამ, [277c] როგორც ცოცხალი არსების გამოსახულებამ, გარეგნული [ფორმა] შეიძინა, მკაფიოობა კი, რომელიც საღებავებისა და ფერების შერევით მოდის, ჯერ კიდევ არ აქვს. ის, ვისაც შეუძლია [საუბარს] ფეხდაფეხ მიჰყვეს, სიტყვითა და მსჯელობით უკეთ წარმოაჩენს ცოცხალ არსებას, ვიდრე მხატვრობით ან სხვა რაიმე ხელობით, ხოლო ვინც საუბარს ფეხდაფეხ ვერ მიჰყვება, მას ეს ხელობით [უკეთ გამოუვა].

უმცროსი სოკრატე

მართალია. გვითხარი, ჩვენ ნათქვამში რა ვერ გაცხადდა საკმარისად. [277d]

უცხოელი

ღვთაებრივო, რთულია მაგალითების გარეშე რაიმე მნიშვნელოვანი გამოამჟღავნო, ისე როგორც, როცა რომელიმე ჩვენგანი რაიმეს იგებს სიზმარში, გაღვიძების შემდეგ მან კვლავ არაფერი იცის.

უმცროსი სოკრატე

რას გულისხმობ?

უცხოელი

როგორც ჩანს, უადგილოდ შევეხე იმას, რასაც ცოდნასთან დაკავშირებით განვიცდით.

უმცროსი სოკრატე

რას?

უცხოელი

მაგალითმა, ჩემო კარგო, სხვა მაგალითი მოითხოვა. [277e]

უმცროსი სოკრატე

თქვი, ნუ მომერიდები. რა [მაგალითი]?

უცხოელი

ვიტყვი, თუ მზად ხარ, ფეხდაფეხ მომყვე. ვიცით, რომ ბავშვები, რომლებმაც ეს-ესაა ისწავლეს ასოები...

უმცროსი სოკრატე

რა?

უცხოელი

რომ ისინი საკმაოდ კარგად ცნობენ ასოებს მოკლე და მარტივ მარცვლებში და შეუძლიათ სწორად ისაუბრონ მათ შესახებ. [278a]

უმცროსი სოკრატე

როგორ არა.

უცხოელი

ზუსტად იმავე [ასოებზე] სხვა [მარცვლებში] ეჭვი ეპარებათ და შეცდომებს უშვებენ ფიქრითაც და სიტყვითაც.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

განა ყველაზე მარტივი და კარგი არ იქნებოდა მათი იქამდე მიყვანა, რაც ჯერ არ იციან, ამგვარად?

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

ჯერ უნდა მიიყვანო იმ [მარცვლებთან], რომლებშიც [ასოებს ცნობენ], შემდეგ კი წინ უნდა დაუდო ის [მარცვლები], რომლებიც ჯერ კიდევ არ [278b] იციან. ერთმანეთს უნდა შეადარებინო და დაანახო, რომ [ასოები] მსგავსნი არიან და მათ ერთნაირი ბუნება აქვთ ორივე შემთხვევაში. მანამდე უნდა [შეადარებინო], სანამ ნაცნობის გვერდით განთავსებული უცნობი გასაგები არ გახდება. ამგვარად, მაგალითებად იქცევიან და წარმოაჩენენ, რომ თითოეული ასო თითოეულ მარცვალში, თუ სხვისგან განსხვავებულია, [278c], სხვაგვარადაც უნდა იწოდებოდეს, თუ სხვისი მსგავსია, სახელიც ერთი უნდა ჰქონდეთ.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

მაშ, დამაკმაყოფილებელია მოსაზრება, რომ მაგალითი მაშინ წარმოიშობა, როდესაც ერთი და იგივე რამ ორ სხვადასხვა რამეს დაკავშირებული მართებულად აღიქმება და ერთის მეორესთან დაკავშირებით ჭეშმარიტი მოსაზრება ყალიბდება?

უმცროსი სოკრატე

როგორც ჩანს, მასეა.

უცხოელი

უნდა გაგვიკვირდეს, რომ ჩვენი სულიც [278d], რომელიც ბუნებით ზუსტად იმავეს განიცდის ყველაფრის პირველსაწყისთან დაკავშირებით, რასაც – ასოებთან დაკავშირებით, ხან სიმართლეს ემყარება და სწორად ხვდება ყველაფერში ყველაფერს, ხან კი – მერყეობს და ზოგიერთ ნარევთან დაკავშირებით სწორად ფიქრობს, ხოლო როდესაც მათ სხვა საგნების გრძელ და რთულ მარცვლებში გადაიტანენ, კვლავ ვერ ცნობს?

უმცროსი სოკრატე

გასაკვირი არაფერია.

უცხოელი

მეგობარო, განა შეიძლება ვინმემ, ვინც მცდარი მოსაზრებით დაიწყეს, [278e] ჭეშმარიტების პატარა ნაწილს მაინც მიაღწიოს და გონიერება მოიპოვოს.

უმცროსი სოკრატე

თითქმის არანაირად.

უცხოელი

თუ ეს ასეა, საერთოდ არ შევცდებით, მაგალითის მთელი ბუნების გასაგებად ჯერ სხვა მაგალითის პატარა ნაწილს განვიხილავთ, შემდეგ კი ვიზრუნებთ, რომ ნაკლებ მნიშვნელოვანიდან გადავიდეთ მეფის უფრო მნიშვნელოვან სახეზე; ამგვარად, მაგალითის მეშვეობით ვეცდებით შევიცნოთ სახელმწიფოზე ზრუნვის ხელოვნება, რათა სიზმარი ცხადად გვექცეს.

უმცროსი სოკრატე

ძალიან მართებული [იქნებოდა]. [279a]

უცხოელი

კვლავ უწინდელ მსჯელობას დავუბრუნდეთ. რადგან მეფობის გვარს მრავალი ეცილება სახელმწიფოზე ზრუნვას, ისინი უნდა გამოვხშიროთ და მეფე მათგან გავმიჯნოთ. ამისათვის კი, როგორც უკვე ითქვა, მაგალითი დაგვჭირდება.

უმცროსი სოკრატე

ნამდვილად.

უცხოელი

რომელი პატარა მაგალითის მოხმობა შეგვიძლია, რომ პოლიტიკის [მსგავს] საქმიანობას ეწეოდეს და საკმარისად გვაპოვნინოს ის,

[279b] რასაც ვეძებთ? ზევსის გულისთვის, სოკრატე, რაკი ხელთ სხვა არაფერი გვაქვს, თუ გინდა, ქსოვის ხელოვნება ავირჩიოთ და მთლიანად თუ არა, იქნებ შალის ქსოვა საკმარისი იყოს. თუ [ქსოვის] ამ ნაწილს ავირჩევთ, სწრაფად დაგვიმოწმებს იმას, რაც გვსურს.

უმცროსი სოკრატე

რატომაც არა.

უცხოელი

მაშ, როგორც ადრე, ნაწილებს რომ ერთმანეთს ვაჭრიდით და ვყოფდით, ახლაც ქსოვის ხელოვნებასთან დაკავშირებით ასე არ უნდა მოვიქცეთ, [279c] რომ შეძლებისდაგვარად სწრაფად გავიაროთ ყველაფერი და მალე მივიდეთ იმასთან, რაც გვჭირდება?

უმცროსი სოკრატე

რას გულისხმობ?

უცხოელი

[მსჯელობის] გზით გიპასუხებ.

უმცროსი სოკრატე

მშვენივრად თქვი.

უცხოელი

ყველაფერი, რასაც ვქმნით და მოვიპოვებთ, ან რაღაცის გასაკეთებლად ან თავდასაცავად, რომ რამე არ დაგვემართოს. ის, რაც თავდასაცავადაა ან ადამიანური და ღვთაებრივი შხამის საწინააღმდეგოა [279d], ან – თავდაცვის სხვა იარაღი. მათგან ზოგი საომარი იარაღია, ზოგი კი – დაცვის საშუალება. ამ საშუალებათაგან ზოგი თავშესაფარია **[122]**, ზოგი კი – სიცივისა და სიცხისგან დამცავი. ამ უკანასკნელთაგან ზოგი სახლის სახურავია, ზოგი კი – გადასაფარებელი. მათგან ზოგი ძირს დასაფენია, ზოგი კი – ტანზე მოსახვევი. ამ უკანასკნელთაგან ზოგი ერთიანია, ზოგი კი – ნაწილებისგან შედგება. შედგენილთაგან [279e] ზოგიერთი

შეკერილია, ზოგიერთი კი – ნაკერების გარეშე შეერთებული. მათგან ზოგი მიწის მცენარეების ძაფებითაა დამზადებული, ზოგი კი – თავად თმებით.

მაშ ასე, რომლებიც თმისგანაა დამზადებული, ზოგი წყლითა და მიწითაა შეერთებული, ზოგი კი – ერთიმეორით. ამგვარად, ერთიმეორის შეერთებით დამზადებულ დაცვის საშუალებებსა და გადასაფარებლებს სახელად ტანსაცმელი ვუწოდეთ. ხელოვნებას, რომელიც ტანსაცმელზე ზრუნავს, [280a] მისივე საქმიანობიდან გამომდინარე, განა ტანსაცმლის დამზადების ხელოვნება არ უნდა ვუწოდოთ, როგორც ადრე სახელმწიფოზე [ზრუნვის] ხელოვნებას პოლიტიკა ვუწოდეთ? განა არ უნდა ითქვას, რომ ქსოვის ხელოვნება, რამდენადაც ტანსაცმლის დამზადების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს, სახელწოდების გარდა არაფრით განსხვავდება ტანსაცმლის დამზადების ხელოვნებისგან, როგორც მეფობის ხელოვნება არაფრით განსხვავდება პოლიტიკისგან?

უმცროსი სოკრატე

სრული სიმართლეა.

უცხოელი

ამის შემდეგ, ჩავთვალოთ, რომ ტანსაცმლის [280b] ქსოვის ხელოვნება, რომელსაც ასე ვუწოდეთ, ვინმემ შეიძლება მიიჩნიოს საკმარისად კარგად განმარტებულად, თუ ვერ მიხვდა, რომ ის ჯერ მკაფიოდ არაა გამიჯნული მასთან ახლოს მდგომ [ხელოვნებათაგან], რომლებთანაც თანამშრომლობს კიდევ, თუმცა ბევრი სხვა მონათესავე ხელოვნებისაგან გამოყოფილია.

უმცროსი სოკრატე

თქვი, რომელი მონათესავე [ხელოვნებისგან].

უცხოელი

როგორც ჩანს, ჩამორჩი ნათქვამს. მგონი, კვლავ დასასრულიდან დასაწყისისკენ უნდა წავიდეთ. თუ ხვდები, რას გულისხმობს

ნათესაობა, ჩვენ ეს-ესაა გადასაფარებლის შექმნა ორად გავყავით, იმის მიხედვით ტანზე შემოსახვევია თუ ძირს დასაფენი.

უმცროსი სოკრატე

ვხვდები. [280c]

უცხოელი

ასევე თავი დავანებეთ ყველაფერს, რაც სელისა და ჩალიჩის და, როგორც ადრე ვუწოდეთ, [სხვა] მცენარეული ძაფებით კეთდება. შემდეგ გამოვყავით აგრეთვე თელვის ხელოვნება და შედუღებითა და ნაკერებით შეერთება, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი მეწაღეობაა.

უმცროსი სოკრატე

ნამდვილად ასეა.

უცხოელი

შემდეგ გავმიჯნეთ ყველანაირი გადასაფარებლის კეთების ხელოვნება, იქნება ეს ტყავის დამზადება თუ გადახურვა, რაც მშენებლობის, დურგლობის და ნებისმიერი სისველისგან [280d] დაცვის ხელოვნებაში გამოიყენება; ასევე გამოვყავით ქურდებისა და ყაჩაღების საწინააღმდეგო საგნებისა და შემოსარაგავის დამზადების ხელოვნება, რაც დამცავების კეთებასა და კარების გამაგრებას [გულისხმობს] და მჭედლობის ხელოვნების ნაწილია. შემდეგ გამოვაცალკევეთ შეიარაღების ხელოვნება, რაც თავდაცვის საშუალებების დამზადების დიდი და მრავალფეროვანი ხელოვნების ნაწილია. [280e] თავიდანვე ყველაფრისგან გამოვყავით შხამსაწინააღმდეგო წამლებთან დაკავშირებული მაგიის ხელოვნება და დავტოვეთ, როგორც საჭიროდ ჩავთვალეთ, ხელოვნება, რომელსაც ვიკვლევთ, რომელიც გულისხმობს შალის დამზადებას, გვიცავს სიცოცხლისგან და რომელსაც ეწოდება ქსოვის ხელოვნება.

უმცროსი სოკრატე

როგორც ჩანს, ასეა.

უცხოელი

მაგრამ, ბიჭუნავ, ის, რაც ითქვა, ჯერ კიდევ არაა დასასრული. ჩანს, რომ ის, ვინც დასაწყისში ტანსაცმლის დამზადების ხელოვნებასთანაა დაკავშირებული, [281a] ქსოვის საპირისპირო [რამეს] აკეთებს.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

ქსოვა ერთგვარი გადაწვნაა.

უმცროსი სოკრატე

დიახ.

უცხოელი

[არსებობს აგრეთვე] შეერთებულისა და გადაწნულის დარღვევა.

უმცროსი სოკრატე

რას გულისხმობ?

უცხოელი

მჩეჩავის ხელოვნების საქმიანობას. განა გავზედავთ, ჩეჩას ქსოვა ვუწოდოთ, მჩეჩავს კი – მქსოველი?

უმცროსი სოკრატე

არავითარ შემთხვევაში.

უცხოელი

თუ ვინმე ფუძისა და მისაქსველის შექმნას ქსოვის ხელოვნებას უწოდებს, განა უცნაურ და მატყუარა [281b] სახელს არ დაარქმევს?

უმცროსი სოკრატე

აბა რა?

უცხოელი

მაშ რა? ვიტყვით, რომ თელვის ხელოვნება მთლიანობაში და ტანსაცმლის შეკეთების ხელოვნება ტანსაცმლის მოვლასა და ზრუნვასთანაა დაკავშირებული, თუ ამ ყველაფერს ქსოვის ხელოვნებას ვუწოდებთ?

უმცროსი სოკრატე

არავითარ შემთხვევაში.

უცხოელი

მაგრამ ისინი ქსოვის ხელოვნებას შეეცილებიან ტანსაცმლის დამზადებასა და მის მოვლაში; უდიდეს ნაწილს მას დაუთმობენ, თუმცა თავიანთი თავისთვისაც დაიტოვებენ დიდ ნაწილებს. [281c]

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

ამასთან, [ქსოვისთვის საჭირო] იარაღის შემქნელი ხელოვნებებიც, რომელთა მეშვეობითაც იქმნება ქსოვილები, ნებისმიერი ქსოვილის შექმნის ერთ-ერთ მიზეზად ჩაითვლება.

უმცროსი სოკრატე

ზუსტად ასეა.

უცხოელი

მაშ, ქსოვის ხელოვნების შესახებ ჩვენი ნათქვამი, [მისი] ის ნაწილი, რომელიც გამოვყავით, საკმარისად იქნება განმარტებული, თუ მას შალის ტანსაცმელთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის ზრუნვაზე [281d] უფრო უკეთესად და მნიშვნელოვნად ჩავთვლით? თუ გარკვეულწილად სიმართლეს კი ვიტყვით, მაგრამ ის არ იქნება გასაგები და დასრულებული, სანამ [ქსოვას] ხელოვნების სხვა სახეთაგან არ გამოვყოფთ?

უმცროსი სოკრატე

მართალია.

უცხოელი

ამის შემდეგ ის არ უნდა გავაკეთოთ, რაც ვთქვით, მსჯელობა რომ სათანადოდ წარიმართოს?

უმცროსი სოკრატე

როგორ არა?

უცხოელი

უპირველეს ყოვლისა, დავაკვირდეთ, რომ იმ ყველაფერთან დაკავშირებით, რაც მზადდება, ორი ხელოვნება არსებობს.

უმცროსი სოკრატე

რომელი?

უცხოელი

ერთი წარმოქმნის დამხმარე მიზეზია, მეორე – თავად [ძირითადი] მიზეზი.

უმცროსი სოკრატე

როგორ? [281e]

უცხოელი

მიზეზები, რომლებიც თავად ნამუშევარს კი არ ქმნიან, არამედ მისი შექმნისთვის [საჭირო] იარაღებს ამზადებენ, რომელთა გარეშე ვერც ერთი ხელოვნება ვერასოდეს ადასრულებს მისთვის დაკისრებულ საქმეს, დამხმარეა, ხოლო ისინი, რომლებიც თავად ნამუშევარს ქმნიან, – [ძირითადი] მიზეზები.

უმცროსი სოკრატე

გონივრულია.

უცხოელი

ამის შემდეგ, [ხელოვნებას], რომელიც ქმნის მაქოს, თითისტარს და ნებისმიერ სხვა იარაღს, რომელიც ტანსაცმლის შექმნაში მონაწილეობს, დამხმარე მიზეზი ვუწოდოთ, მათ კი, რომლებიც [ნამუშევრებს] ქმნიან და [მათზე] ზრუნავენ – თავად, [ძირითადი] მიზეზები.

უმცროსი სოკრატე

სავსებით მართალია. [282a]

უცხოელი

თავად, [ძირითად] მიზეზთაგან ცალკე გამოვყოთ რეცხვის, ტანსაცმლის შეკეთების და სხვა ნებისმიერი მოვლის ხელოვნება, რადან მორთვის ხელოვნება დიდია და ამ ყველაფერს თელვის ხელოვნება ვუწოდოთ.

უმცროსი სოკრატე

მშვენიერია.

უცხოელი

ხოლო ჩეჩა, ქსოვა და ყველაფერი სხვა, რაც თავად ტანსაცმლის შექმნაზე ზრუნავს, როგორც ითქვა, ერთი ხელოვნებაა და მას ყველა მატყლის რთვის ხელოვნებას უწოდებს.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა. [282b]

უცხოელი

მატყლის რთვის ხელოვნებას ორი ნაწილი აქვს და თითოეული მათგანი ორი ხელოვნების ნაწილია.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

ჩეჩის ხელოვნებას და მაქოს გამოყენების ხელოვნების ნახევარს და ყველა ხელოვნებას, რომელიც ერთმანეთისგან აცალკევებს ერთმანეთში გადახლართულს, ერთი სიტყვით ვუწოდოთ მატყლის რთვის ხელოვნება. და ყველაფერში გვაქვს კიდევ ორი დიდი ხელოვნება: შეერთებისა და დაყოფის.

უმცროსი სოკრატე

ასეა.

უცხოელი

ჩეჩის ხელოვნება და ყველაფერი ის, რაც ახლა ითქვა, დაყოფის ხელოვნებაა. [282c] მატყლის და ქსელის დაყოფის გამო ეწოდა დაყოფის ხელოვნება. მაქო ამას ერთი ხერხით აკეთებს, ხელები კი – მეორეთი.

უმცროსი სოკრატე

ნამდვილად ასეა.

უცხოელი

კვლავ ავიღოთ შეერთების ხელოვნება და მასში შემავალი მატყლის რთვის ხელოვნების ნაწილი. ყველაფერი, რაც დაყოფის ხელოვნებას მიეკუთვნებოდა გვერდით გადავდოთ, ხოლო მატყლის რთვის ხელოვნება ორ ნაწილად – დაყოფისა და შეერთების ხელოვნებად – დავყოთ.**[123]**

უმცროსი სოკრატე

დაიყოს [ასე].

უცხოელი

ნაწილი, რომელიც ერთდროულად შეერთების ხელოვნებასაც მიეკუთვნება და მატყლის რთვის ხელოვნებასაც [282d], უნდა დაიყოს, სოკრატე, თუ საკმარისად ვზრუნავთ ადრე ნათქვამი ქსოვის

ხელოვნების განმარტებაზე.

უმცროსი სოკრატე

ასეა საჭირო.

უცხოელი

საჭიროა. ვთქვათ, რომ [შეერთების ხელოვნების] ერთი ნაწილი
ძახვის ხელოვნებაა, ხოლო მეორე – წვნის ხელოვნება.

უმცროსი სოკრატე

ნუთუ მივხვდი? მგონია, რომ ძახვის ხელოვნებაში ქსელზე მუშაობას
გულისხმობ.

უცხოელი

არა მხოლოდ [ქსელზე მუშაობას], არამედ მისაქსველით
[მუშაობასაც].

განა შევძლებთ ძახვის გარეშე რაიმეს შექმნას?

უმცროსი სოკრატე

ვერასგზით. [282e]

უცხოელი

მაშ, განმარტე ორივე. ეს განმარტება შეიძლება შენთვის დროული
აღმოჩნდეს.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

ასე: ჩემის ხელოვნების ნიმუშთაგან იმას, რაც სიგრძეში მატულობს
და რასაც სიგანე აქვს, გორგალს არ ვუწოდებთ?

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

თითისტარით დახვეულ [გორგალს], რომელიც გამძლე ნართად იქცევა, ნართის ქსელს ვუწოდებთ, იმ ხელოვნებას კი, რომელიც მის [შექმნაზე] პასუხისმგებელი – ქსელის შექმნის ხელოვნებას.

უმცროსი სოკრატე

მართალია.

უცხოელი

იმ ყველაფერს, რასაც [შეუძლია] დაუშვას ქსელში შეწნული რბილი ნართი, რათა ადვილად და რბილად ვჩეჩოთ ხაოიანი მაუდი, ნართის მისაქსველს ვუწოდებთ, ხოლო მისთვის განკუთვნილ ხელოვნებას – [283a] მისაქსველით რთვის ხელოვნებას.

უმცროსი სოკრატე

ჭეშმარიტად.

უცხოელი

მაშ, ქსოვის ხელოვნების ის ნაწილი, რომელიც წინ წამოვწიეთ, უკვე ყველასათვის გასაგებია. მატყლის რთვის ხელოვნების შემაერთებელი ნაწილი, როდესაც მისაქსველისა და ქსელის სწორი გადაწვნით ქმნის წნულს, მას ვუწოდებთ დაწნულ შალის სამოსს და მასთან დაკავშირებულ ხელოვნებას – ქსოვის ხელოვნებას.

უმცროსი სოკრატე

სავსებით მართალია [283b].

უცხოელი

იყოს ასე. მაშ, რატომ პირდაპირ არ ვუპასუხეთ, რომ მისაქსველითა და ქსელით დაწვნი ქსოვის ხელოვნებაა, არამედ გარს ვუვლიდით და ბევრ რამეს ფუჭად განვსაზღვრავდით?

უმცროსი სოკრატე

უცხოელო, რაც ითქვა, არაფერი მომჩვენებია ფუჭ ნათქვამად.

უცხოელი

არც არის გასაკვირი, ძვირფასო, მაგრამ მალე შეიძლება მოგეჩვენოს. იმ სენის საწინააღმდეგოდ, რომელიც ხშირად მოგვიანებით გვეწვევა – რაც სულაც არ არის საკვირველი – მაშ, მოისმინე სიტყვა [283c], რომელიც შეეფერება ყველაფერს, რაც ითქვა.

უმცროსი სოკრატე

მხოლოდ მითხარი.

უცხოელი

თავდაპირველად განვიხილოთ ყველა სახის სიჭარბე და ნაკლებობა, რათა გონივრულად ვაქოთ ან ვაძაგოთ საჭიროზე უფრო ვრცელი, ან პირიქით, მოკლე საუბარი.

უმცროსი სოკრატე

ასეა საჭირო.

უცხოელი

ამ საკითხებზე საუბარი, ვფიქრობ, ჩვენთვის, მართებული იქნებოდა.

უმცროსი სოკრატე

რომელ [საკითხებზე]?

უცხოელი

სიგრძის, სიმოკლის, ყველა სახის სიჭარბისა [283d] და ნაკლებობის [შესახებ]. ამ ყველაფერს გაზომვის ხელოვნება უკავშირდება.

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

მაშ, დავყოთ ის ორ ნაწილად. ეს იმას სჭირდება, რისთვისაც ახლა ვიდწვით.

უმცროსი სოკრატე

თქვი, როგორ უნდა დაიყოს.

უცხოელი

ამგვარად: ერთი ნაწილი დიდისა და მცირეს
ურთიერთდამოკიდებულების შესაბამისია, მეორე – წარმოშობის
აუცილებელი არსის შესაბამისი.

უმცროსი სოკრატე

რა თქვი?

უცხოელი

არ გგონია, რომ, ბუნების შესაბამისად, უფრო დიდი სხვა არაფერზეა
უფრო დიდი, თუ არა უფრო მცირეზე და უფრო მცირე [283e] უფრო
დიდზე მცირეა და სხვა არაფერზე.

უმცროსი სოკრატე

ასე მგონია.

უცხოელი

მაშ რა? იმას, რაც ზომიერის ბუნებას აღემატება ან მის მიერაა
აღმატებული სიტყვითაც და საქმითაც, ჭეშმარიტად მომხდარს არ
ვუწოდებთ და ჩვენთან ამით არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან
ცუდი და კარგი [ადამიანები]?

უმცროსი სოკრატე

როგორც ჩანს.

უცხოელი

მაშ უნდა ჩაითვალოს, რომ ორი სახისაა არსებობაც და დიდისა და
მცირეს [ერთიმეორისგან] გარჩევაც და ისინი უნდა განვიხილოთ –
არა როგორც ადრე ვთქვით – მხოლოდ ერთიმეორის მიმართ, არამედ
– როგორც ახლა ითქვა – ერთი [არსებობა] განხილულ უნდა იქნას
მეორესთან, ხოლო მეორე [არსებობა] – ზომიერთან მიმართებაში?

რატომაა ასე, ვისურვებდით ამის გაგებას?

უმცროსი სოკრატე

და რატომაა? [284a].

უცხოელი

თუ დავუშვებთ, რომ უფრო დიდი უფრო მცირეს მიემართება და სხვას არაფერს, მას არ ექნება ზომიერთან მიმართება, ასე არაა?

უმცროსი სოკრატე

ასეა.

უცხოელი

ამგვარი მსჯელობით ხელოვნების ამ სახეებსა და მათ ყველა საქმეს ხომ არ გავანადგურებთ და პოლიტიკის ხელოვნებასაც ხომ არ მოვსპობთ, რომელსაც ვიკვლევთ და ქსოვის ხელოვნებასაც, რომელზეც ახლახან ვილაპარაკეთ? ხელოვნების ყველა სახე ერიდება იმას, რაც ზომიერზე მეტი ან ნაკლებია, სხვა რამის გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ ეს რთულია [284b] ამგვარად ინარჩუნებს ზომიერებას და ქმნის ყველაფერს კეთილსა და მშვენიერს.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

თუ პოლიტიკის ხელოვნებას გავაქრობთ, მაშინ მეფობის მეცნიერების კვლევაც ხომ გართულდება?

უმცროსი სოკრატე

ძალიანაც [გართულდება].

უცხოელი

ამგვარად, როგორც სოფისტის [შემთხვევაში] იძულებული გავხდით [გვეღიარებინა], რომ არარსებული არსებობს[124], რადგან ჩვენი

მსჯელობიდან ასე გამოვიდა, განა ახლაც იძულებულნი არ ვართ [ვთქვათ], რომ უფრო დიდი და უფრო მცირე უნდა იზომებოდეს არა მხოლოდ ერთმანეთის, არამედ [284c] ზომიერის მიმართაც? ხომ არ შეიძლება პოლიტიკოსის ან ან სხვა პრაქტიკულ საქმეთა მცოდნის არსებობა ეჭვქვეშ დავაყენოთ, თუ ამაზე არ შევთანხმდებით?

უმცროსი სოკრატე

მაშ ახლაც იგივე უნდა გავაკეთოთ.

უცხოელი

მაგრამ, სოკრატე, ეს უფრო რთული საქმეა, ვიდრე ის, თანაც გვახსოვს, ის რამდენად ხანგრძლივი იყო. თუმცა ძალიან სამართლიანი იქნება, მსგავსი რამ დავუშვათ.

უმცროსი სოკრატე

რა? [284d]

უცხოელი

რომ ის, რაც ახლა ვთქვით, ოდესმე ამ [საკითხის] ნათლად წარმოსაჩენად დაგვჭირდება. იმაში, რაც ამჟამად ჩვენთვის კარგად და საკმარისადაა გამჟღავნებული, ვფიქრობ, დიდწილად ის მსჯელობა გვეხმარება, რომლის თანახმადაც, ყველა ხელოვნება მსგავსად არსებობს, ხოლო უფრო დიდი და უფრო მცირე არა მხოლოდ ერთიმეორის მიმართ, არამედ ზომის [ერთეულის] მიმართაც იზომება. თუ ეს არსებობს, არსებობენ ისინიც და თუ ისინი არსებობენ, ესეც არსებობს, ხოლო თუ რომელიმე მათგანი არ არსებობს, მაშინ არც ერთი არასოდეს იარსებებს. [284e]

უმცროსი სოკრატე

მართალია, მაგრამ ამის შემდეგ რაღაა?

უცხოელი

ცხადია, რომ როგორც ითქვა, გაზომვის ხელოვნებას ორ ნაწილად გავყოფთ. ერთ ნაწილს შეიძლება მივაკუთვნოთ ყველა ის

ხელოვნება, რომელიც რიცხვს, სიგრძეს, სიღრმეს, სიგანესა და სიჩქარეს მათი საპირისპიროს მიმართ ზომავს, მეორე [ნაწილს] კი – ის [ხელოვნებები], რომლებიც ზომიერის, შესაფერისის, დროულის, სათანადოს და ყველა სხვა უკიდურესობას შორის არსებულის მიმართ [ზომავს].

უმცროსი სოკრატე

დიდი და ორი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული ნაწილი დაასახელე.

უცხოელი

სოკრატე, როგორც ხანდახან ბევრი ჭკვიანი ადამიანი აღნიშნავს, [285a] როგორც სიბრძნეს, თითქოს გაზომვის ხელოვნება ყველაფერ არსებულს უკავშირდება, ზუსტად იგივე ვთქვით ახლა. ყველაფერი, რაც ხელოვნებას მიეკუთვნება, რაიმე ფორმით მონაწილეობს გაზომვაში. ვინაიდან [ადამიანებს] არ სჩვევიათ სახეებად დაყოფა და ისე გარჩევა, ერთმანეთისგან განსხვავებულ [სახეებს] პირდაპირ ერთად ათავსებენ და ფიქრობენ, რომ ისინი ერთმანეთის მსგავსია. ამის საპირისპიროდ იქცევიან, როცა სხვა რამეებს ნაწილებად არ ყოფენ. არადა, [285b] როდესაც ვინმე მრავალთა შორის რაღაც საზიაროს შენიშნავს, არ უნდა მოეშვას, სანამ ყველა იმ განსხვავებას არ აღმოაჩენს, რაც ამ სახეებში არსებობს, და პირიქით, როდესაც ბევრ განსხვავებას დაინახავს სიმრავლეში, არ უნდა დაფრთხეს და თავი არ უნდა დაანებოს, ვიდრე ყველა მონათესავეს მსგავსთა ერთ [გვარში] არ მოაქცევს და რაიმე გვარის არსით არ შემოსაზღვრავს. მათ შესახებ, ისე, როგორც ნაკლებობისა და ზედმეტობის შესახებ საკმარისად ითქვა. მხოლოდ გაზომვის ხელოვნების ორი მოძიებული გვარი [285c] შევინარჩუნოთ და დავიმახსოვროთ, რა ვთქვით მათ შესახებ.

უმცროსი სოკრატე

დავიმახსოვროთ.

უცხოელი

ამ მსჯელობის შემდეგ სხვაზე გადავიდეთ, რომელიც იმას ეხება, რასაც ვიკვლევთ და აგრეთვე, ყველაფერს, რითიც ამგვარი მსჯელობისას ვართ ხოლმე დაკავებული.

უმცროსი სოკრატე

რომელ [მსჯელობაზე გადავიდეთ]?

უცხოელი

ვთქვათ, გვეკითხებიან იმ მოსწავლეთა შესახებ, რომლებიც ასოებს სწავლობენ. როდესაც რომელიმე მათგანს ეკითხებიან რომელი ასოებისგან შედგება [ესა თუ ის] სიტყვა, რას ვიტყვით, [285d] ეს შეკითხვა დაისვა მხოლოდ ამ ერთი [საკითხის] გამო, თუ იმის გამო, რომ ყველა დასმულ [საკითხთან] დაკავშირებით უფრო მცოდნე გახდეს?

უმცროსი სოკრატე

ცხადია, რომ ყველა [საკითხის] გამო.

უცხოელი

მაშ, რატომ ვიკვლევთ ახლა პოლიტიკოსს? მხოლოდ მის გამო დაისვა საკითხი, თუ იმის გამო, რომ ყველაფერთან დაკავშირებით უფრო მეტად დიალექტიკოსები გავხდეთ?

უმცროსი სოკრატე

აქაც, ცხადია, რომ ყველა [საკითხთან] დაკავშირებით.

უცხოელი

მაშ, ქსოვის ხელოვნებაზე მსჯელობას მხოლოდ მის გამო ჭკუათმყოფელი არ გამოედევნებოდა. არამედ მიმაჩნია, რომ უმრავლესობისთვის დაფარულია, რომ არსებულთა მარტივად [285e] შესაცნობად არსებობს რაღაც შეგრძნებადი მსგავსებები, რომელთა გამოვლენაც არაა რთული, როცა ვისმეს სურს, რომ შეკითხვას პასუხი მარტივად გასცეს მსჯელობის გარეშე. რაც შეეხება არსთა ყველაზე მნიშვნელოვან და ღირებულ ნაწილს [286a], მათ არ

გააჩნიათ ადამიანებისთვის მკაფიო გამოსახულებები, რომელთა საშუალებით ის, ვისაც სურს შეკითხვის დამსმელს სული აუვსოს, ამას შეგრძნებებთან შერწყმით საკმარისად შეძლებდა. ამიტომ, ყველამ უნდა ივარჯიშოს, რომ შესაძლებელი იყოს განმარტების მიცემაც და მიღებაც. უსხეულო, უმშვენიერესი და უმნიშვნელოვანესი არსნი მკაფიოდ მხოლოდ მსჯელობით შეიძლება გამომჟღავნდნენ და სხვა არაფრით. სწორედ მათ გამო ითქვა ყველაფერი. ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მცირედით ვარჯიში უფრო ადვილია, [286b] ვიდრე – უფრო დიდით.

უმცროსი სოკრატე

შესანიშნავად თქვი.

უცხოელი

გავიხსენოთ, რის გამო ვილაპარაკეთ ამ ყველაფრის შესახებ.

უმცროსი სოკრატე

რის [გამო]?

უცხოელი

ძირითადად იმის გამო, რომ ქსოვის ხელოვნების შესახებ, აგრეთვე სამყაროს წრებრუნვაზე და სოფისტთან დაკავშირებული არარსებულის არსის შესახებ ვრცელი საუბრისას, უსიამოვნო განცდა დაგვეუფლა. მივხვდით, რომ [მსჯელობა] მეტისმეტად გრძელი იყო და ამ ყველაფრის გამო საკუთარი თავი გავკიცხეთ, [286c] რადგან შიში დაგვეუფლა, რომ უსარგებლოდ და ვრცლად ვლაპარაკობდით. აქამდე სწორედ იმიტომ ითქვა ეს ყველაფერი, რომ კვლავ იგივე არ განვიცადოთ..

უმცროსი სოკრატე

ასე იყოს, ოღონდ თანმიმდევრულად ილაპარაკე.

უცხოელი

მაშ, მე და შენ უნდა გვახსოვდეს ის, რაც ახლახან ითქვა და ნათქვამის

სიგრძე-სიმოკლე ყოველთვის უნდა დავიწუნოთ ან შევაქოთ არა მხოლოდ ერთიმეორის სიგრძესთან მიმართებაში, [286d] არამედ გაზომვის ხელოვნების იმ ნაწილის შესაბამისად, რომელზეც ვთქვით, რომ უნდა გვახსოვდესო, ანუ შესაფერისთან მიმართებაში.

უმცროსი სოკრატე

მართალია.

უცხოელი

მაგრამ ყოველთვის ამის მიხედვით არ [უნდა შევაფასოთ].
სიამოვნებასთან დაკავშირებით არ გვჭირდება მისთვის შესაფერისი ხანგრძლივობის დადგენა. შესაძლოა, ეს მხოლოდ დამატებით გახდეს საჭირო. როცა გვსურს წამოჭრილი საკითხი რაც შეიძლება მარტივად და სწრაფად გამოვიკვლიოთ, გონება გვკარნახობს, რომ მას მივმართოთ არა პირველ, არამედ მეორე რიგში. ყველაზე მეტად და უპირველეს ყოვლისა უნდა დავაფასოთ მეთოდი, რომლითაც შესაძლებელია სახეებად დაყოფა [286e] და თუ მსჯელობა, თუნდაც ის ძალიან გრძელი იყოს, მსმენელს უკეთ მიახვედრებს, მაშინ მას უნდა მივმართოთ და არ შევცბეთ არც სიგრძის, და არც პირიქით – სიმოკლის გამო. თუ ვინმე ამგვარ მსჯელობას სიგრძის გამო ამაგებს და არ აღიარებს შემოვლით გზებს, მან პირდაპირ და სწრაფად კი არ უნდა ჩაიქროლოს [287a] მხოლოდ იმის თქმით, რომ ძალიან გრძელია, არამედ იმავდროულად უნდა წარმოაჩინოს, რომ იცის, უფრო მოკლედ მოსაუბრენი როგორ გახდებიან უფრო მეტად დიალექტიკოსები და უფრო უკეთ როგორ გაიგებენ არსებულის შესახებ მსჯელობას. სხვების მიერ მათი ძაგება და ქება კი არად ჩავაგდოთ და მათ საუბარს ნურც მოვუსმენთ. ამ [საკითხზე] საკმარისად ითქვა, თუ შენც მეთანხმები. კვლავ პოლიტიკოსს დავუბრუნდეთ [287b] და მაგალითად უკვე ნახსენები ქსოვის ხელოვნება მოვიყვანოთ.

უმცროსი სოკრატე

მშვენივრად თქვი და ისე მოვიქცეთ, როგორც ამბობ.

უცხოელი

მეფობა ხომ მისი ყველა მონათესავე [ხელოვნებიდან] და განსაკუთრებით კი ჯოგთან დაკავშირებული [ხელოვნებებიდან] გამოვყავით. ახლა კი დავასახელოთ დარჩენილი [სახეები], რომლებიც სახელმწიფოსთან დაკავშირებული მიზეზი ან დამხმარე მიზეზია და რომლებიც თავდაპირველად ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ.

უმცროსი სოკრატე

სწორია.

უცხოელი

იცი, რომ მათი ორად დაყოფა რთულია? [287c] მიზეზი კი წინ რომ წავალთ, ვფიქრობ, უფრო ნათელი გახდება.

უმცროსი სოკრატე

ასეც მოვიქცეთ.

უცხოელი

მაშ, დავანაწევროთ, როგორც მსხვერპლად შეწირული ცხოველი, რადგან შეუძლებელია მისი ორად გაყოფა. ყოველთვის ორთან რაც შეიძლება უფრო მიახლოებულ რიცხვად უნდა დაიყოს.

უმცროსი სოკრატე

ახლა როგორ მოვიქცეთ?

უცხოელი

როგორც ადრე, როცა ქსოვის ხელოვნებასთან დაკავშირებული ყველა იარაღი დამხმარე მიზეზად დავადგინეთ.

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

ახლაც იგივე უნდა გავაკეთოთ და ამის გაკეთება კიდევ უფრო [287d] საშუარია. თითოეული ხელოვნება, რომელიც სახელმწიფოსთვის მცირე თუ დიდ იარაღს ქმნის, დავადგინოთ დამხმარე მიზეზად. მათ გარეშე ვერც სახელმწიფო და ვერც პოლიტიკის ხელოვნება ვერასოდეს იარსებებდა.

მეფობის ხელოვნება კი მათ საქმედ არ ჩავთვალოთ.

უმცროსი სოკრატე

არა, რა თქმა უნდა.

უცხოელი

რთულ [საქმეს] მივყავით ხელი, ამ გვარის სხვა დანარჩენებისგან გამოყოფას რომ ვცდილობთ. იმის თქმა, რომ ის რაც არსებობს, რაღაც ერთის ან მეორის იარაღია, როგორც ჩანს, დამაჯერებელია. [287e] თუმცა ამჟამად სახელმწიფოში სხვა [სახის] მფლობელობის შესახებ ვილაპარაკებთ.

უმცროსი სოკრატე

რას [გულისხმობ]?

უცხოელი

იმას, რასაც ასეთი ძალა არ აქვს. ის წარმოშობის მიზეზთან კი არაა დაკავშირებული, როგორც იარაღი, არამედ იმისთვის არსებობს, რომ ქმნილება იხსნას.

უმცროსი სოკრატე

რომელი?

უცხოელი

ის მრავალფეროვანი სახე, რომელიც შექმნილია მშრალისა და სველისგან, ცეცხლოვანისა და უცეცხლოსგან და რომელსაც ერთი სიტყვით სათავსს ვუწოდებთ. ეს ძალიან გავრცელებული სახეა და [288a] როგორც ვიცი, არავითარი კავშირი არ აქვს იმ ცოდნასთან,

რომელსაც ვიკვლევთ.

უმცროსი სოკრატე

როგორ [ექნება]?

უცხოელი

ამათ გარდა, [არსებობს] ფლობასთან დაკავშირებული და მათგან განსხვავებული მესამე სახეც, რომელშიც კარგად შეინიშნება სახმელეთო და წყალქვეშა, მოძრავი და უძრავი, ძვირფასი და იაფფასიანი, რომელსაც ერთი სახელი აქვს, რადგან მუდამ ვიღაცის დასაჯდომია და იმისთვის არსებობს, რომ მასზე დასხდნენ.

უმცროსი სოკრატე

რომელი?

უცხოელი

მას გადაადგილების საშუალებას ვუწოდებთ და პოლიტიკის ხელოვნების საქმე საერთოდ არაა, არამედ უფრო მეტად დურგლობის, მეთუნეობის და სპილენძის დამზადების ხელოვნებებს უკავშირდება.

უმცროსი სოკრატე

გასაგებია. [288b]

უცხოელი

და მეოთხე რომელია? მათგან უნდა გამოვყოთ, თუმცა ადრე ნახსენებთაგან ბევრ რამეს მოიცავს – ყველანაირ ტანსაცმელს, იარაღს, კედელს, მიწისა თუ ქვის თავშესაფარს და ათას სხვა რამეს. ვინაიდან ეს ყველაფერი დასაცავადაა გაკეთებული, ყველაზე სამართლიანი იქნება, მათ საერთო სახელი – დამცავი ვუწოდოთ. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ყველაფერი მშენებლობისა და ქსოვის ხელოვნებებს უფრო მეტად და მართებულად უკავშირდება, ვიდრე – პოლიტიკის ხელოვნებას.

უმცროსი სოკრატე

ნამდვილად ასეა. [288c]

უცხოელი

ხომ არ ვისურვებდით მეხუთე სახეც დაგვედგინა, რომელიც
მორთვასა და მხატვრობას უკავშირდება და აგრეთვე იმას, რაც ამ
უკანასკნელსა და მუსიკას იყენებს, ბაძავს და მხოლოდ ჩვენი
სიამოვნებისთვის იღწვის?

სამართლიანი არ იქნებოდა ამ ყველაფრის ერთი სახელით
განმარტება?

უმცროსი სოკრატე

რომელი [სახელით]?

უცხოელი

რაღაც თამაშისმაგვარი რომ ეწოდება.

უმცროსი სოკრატე

აბა რა?

უცხოელი

ამ ყველაფერს ეს ერთი სახელი უნდა დაერქვას, რადგან სერიოზული
რამის გამო არც ერთი არაფერს აკეთებს, არამედ – გართობისთვის.
[288d]

უმცროსი სოკრატე

ესეც თითქმის გასაგებია.

უცხოელი

ამ ყველაფრისთვის მასალის მიმცემი, ის, რისგანაც და რითიც
იქმნება ახლახან მოხსენიებული ხელოვნებები. ის მრავალფეროვანი
სახე, რომელიც მრავალი სხვა ხელოვნების შთამომავალია, მეექვსე
[სახედ] ხომ არ დავადგინოთ?

უმცროსი სოკრატე

რომელი?

უცხოელი

ოქრო, ვერცხლი და ყველაფერი, რაც მიწიდან მოიპოვება და რაც ხის ჭრის ხელოვნებისა და ნებისმიერი ხერხით იჭრება და დურგლობისა და წვნის ხელოვნებებს გადაეცემა, აგრეთვე მცენარეთა ქერქისა [288e] და ცხოველების ტყავის გაცლის ხელოვნებები, მეწაღეობა და ყველა სხვა მსგავსი ხელოვნება, რომელიც საცობს, პაპირუსსა თუ ქამარს, ანუ შედგენილ (რთულ) სახეებს ამზადებს არაშედგენილი (მარტივი) გვარებისგან. ამ ყველაფერს ერთს ვუწოდებთ, ადამიანებისთვის პირველად და მარტივ საკუთრებას **[125]**; მას ხომ არავითარი კავშირი არ აქვს მეფობის ცოდნასთან.

უმცროსი სოკრატე

მშვენიერია.

უცხოელი

საზრდოს და იმ ყველაფრის მოპოვება, რისი ნაწილებიც სხეულის ნაწილებს შეერევა, [289a] მასზე ზრუნავს და ძალასაც აძლევს, მეშვიდე [სახედ] უნდა მოვიხსენიოთ და ამ ყველაფერს ვუწოდოთ ჩვენი საზრდო, თუ რამე უკეთესი არ გამოჩნდება. ყველაფერ ამას მიწათმოქმედებას, ნადირობას, გიმნასტიკას, მედიცინას და მზარეულობას უფრო სამართლიანად მივაკუთვნებთ, ვიდრე პოლიტიკის ხელოვნებას.

უმცროსი სოკრატე

აბა რა?

უცხოელი

ვფიქრობ, რომ თითქმის ყველაფერი, რაც საკუთრებას შეეხება, გარდა შინაური ცხოველებისა, ამ შვიდ გვარში იყო მოხსენიებული. შეხედე:

ყველაზე სამართლიანი იქნებოდა ისეთი განლაგება, რომ დასაწყისში [289b] იყოს პირველადი გვარი და ამის შემდეგ კი – იარაღი, სათავსი, გადაადგილების საშუალება, დამცავი, თამაში და საზრდო. რაც გამოვტოვეთ, თუ ძალიან მნიშვნელოვანი არ იქნა, ამ [გვარებს] შეიძლება მივაკუთვნოთ, როგორიცაა, მაგალითად, მონეტები, ბეჭდები და ყველანაირი ტვიფრები.

ისინი არ წარმოადგენენ რაიმე დიდ და ერთიან გვარს. შეიძლება შეთანხმება და ზოგიერთი მათგანის, მართალია იძულებით, მაგრამ მაინც მოსართავთან შეერთება, ზოგის კი – იარაღთან. რაც შეეხება შინაური ცხოველების ფლობას, [289c] მონების გარდა ყველაფერი ახლახან გამოყოფილი ჯოგური გამოზრდის ხელოვნებას მიეკუთვნება.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

დარჩნენ მონები და ყველა ის მსახური, რომელთა შორისაც, ვწინასწარმეტყველებ, რომ გამოჩნდებიან ისეთები, რომლებიც მეფეს შეეცილებიან, როგორც ფეიქრებს [შეეცილნენ] მრთველები, მჩეჩავეები და სხვები, ვისზეც ვილაპარაკეთ. ყველა სხვა, რომელიც დამხმარე მიზეზებად დავასახელებთ, თავიანთი საქმეებითურთ ცალკე გამოვყავით და გამოვაცალკევეთ [289d] მეფობისა და პოლიტიკის ხელოვნების საქმეთაგან.

უმცროსი სოკრატე

ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს.

უცხოელი

მოდით, დარჩენილებს მივუახლოვდეთ და ისე განვიხილოთ, რათა უფრო სარწმუნოდ შევიტყოთ [მათ შესახებ].

უმცროსი სოკრატე

ასეა საჭირო.

უცხოელი

თუკი აქედან დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ყველაზე მნიშვნელოვან მსახურებს იმის საპირისპირო საქმეები და თვისებები აქვთ, რაც გვეგონა.

უმცროსი სოკრატე

რომელ [მსახურებს]?

უცხოელი

ნაყიდებს, რომლებიც ამ გზით მოიპოვეს. მათ ხომ [289e] უდავოდ შეიძლება მონები ვუწოდოთ? ისინი ყველაზე ნაკლებად იზიარებენ მეფობის ხელოვნებას.

უმცროსი სოკრატე

როგორ არა.

უცხოელი

მაშ რა? თავისუფალი ადამიანები, რომლებიც ნებაყოფლობით ხდებიან იმათი მსახურები, ვისზეც ეს-ესაა ვილაპარაკეთ, მიწათმოქმედებისა და სხვა ხელობათა ნაყოფს ერთმანეთში რომ ინაწილებენ და დაატარებენ, ზოგი ბაზარში, ზოგიც ქალაქიდან ქალაქში, ხმელეთითა თუ ზღვით ფულს სხვა რამეზე რომ ცვლიან, ან ფულს – ფულზე, გადამცვლელებს, [290a] ვაჭრებს, მეხომალდეებს და წვრილ ვაჭრებს რომ ვუწოდებთ, განა რამეში შეეცილებიან პოლიტიკის ხელოვნებას?

უმცროსი სოკრატე

ყველაზე უფრო მეტად ვაჭრობის ხელოვნებაში.

უცხოელი

მაგრამ დაქირავებულებს, რომლებიც ვხედავთ, რომ მუდამ მზად არიან ყველას ემსახურონ, განა ოდესმე ვიხილავთ, რომ მეფობის

ხელოვნებას ეზიარებოდნენ?

უმცროსი სოკრატე

რანაირად?

უცხოელი

და რაც შეეხება იმათ, ვინც ჩვენ ყოველთვის ასე გვემსახურება?

უმცროსი სოკრატე

რას ამბობ და ვისზე? [290b]

უცხოელი

მაცნეების ჯგუფზე და იმათზე, რომლებიც წერაშიც გაიწვრთნენ და ბევრ სხვა მნიშვნელოვან საქმეშიც მრავალჯერ ემსახურნენ მმართველებს, რას ვიტყვით მათზე?

უმცროსი სოკრატე

როგორც ახლახან თქვი, მსახურები არიან და არა სახელმწიფოთა მმართველები.

უცხოელი

მაგრამ, არა მგონია, სიზმარში მენახა და მეთქვა, რომ ასე გამჟღავნდებიან ისინი, ვინც მოისურვებს პოლიტიკის ხელოვნებას შეეცილოს. აშკარად ძალიან უადგილო იქნებოდა [290c] მათი ძებნა მოსამსახურის ხელოვნების ფარგლებში.

უმცროსი სოკრატე

ნამდვილად ასეა.

უცხოელი

მაშ, მივუახლოვდეთ იმათ, ვინც ჯერ არ გამოგვიცდია. ისინიც, ვინც მისნობასთან არის დაკავშირებული, ფლობენ მსახურის ცოდნის გარკვეულ ნაწილს, რადგანაც ითვლება, რომ ღმერთების [ნათქვამს] ადამიანებს განუმარტავენ.

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

ასეა ქურუმთა გვარის შემთხვევაშიც. დადგენილია, რომ მშვენივრად იციან ჩვენ მაგივრად როგორ შესწირონ ღმერთებს მსხვერპლი [290d] და ლოცვით ჩვენთვის სიკეთე სთხოვონ. ეს ორივე, გარკვეულწილად, მოსამსახურის ხელოვნების ნაწილია.

უმცროსი სოკრატე

როგორც ჩანს, ასეა.

უცხოელი

მგონია, რომ უკვე მივაგენით კვალს, რომელსაც უნდა მივდიოთ. ქურუმებისა და მისნების მდგომარეობა ისეთია, რომ ისინი დიადი აზრებით არიან სავსე და მათ დიდ პატივს მიაგებენ მათი საქმიანობის მნიშვნელობის გამო. მაგალითად, ეგვიპტეში არ არსებობს მეფის მმართველობა ქურუმის გარეშე, [290e] მაგრამ თუ ისე მოხდა, რომ სხვა გვარის წარმომადგენელი ძალისმიერი გზით [გამეფდა], შემდგომ იგი მაინც უნდა გაერთიანდეს ამ გვარში. ასევე ბერძნებთანაც ბევრ ადგილას დიად მმართველებს ეკუთვნით მნიშვნელოვანი მსხვერპლშეწირვაც. თქვენთანაც **[126]**, ცხადია, რომ ისეა, როგორც ვამბობ. ვისაც წილად ხვდება მეფობა, მასვე ერგება ყველაზე პატივსაგები და ყველაზე ადგილობრივი უძველესი მსხვერპლშეწირვა.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა. [291a]

უცხოელი

მაშ, განვიხილოთ ეს არჩეული მეფეები და ქურუმები, ასევე მათი მსახურები და ის დიდი ბრბო, რომელიც ახლახან გამოჩნდა, მას შემდეგ, რაც სხვებისგან გამოვყავით.

უმცროსი სოკრატე

ვისზე ამბობ?

უცხოელი

საკმაოდ უცნაურ [ადამიანებზე].

უმცროსი სოკრატე

და მაინც?

უცხოელი

მრავალფეროვანია ეს გვარი, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. მათგან ბევრი ლომებს და კენტავრებს[127] ჰგავს, [291b] სხვა მსგავს [არსებებსაც], უმეტესობა კი – სატირებს[128] და სხვა სუსტ და მრავალსახოვან ცხოველებს.

სწრაფად იცვლიან სახესა და შესაძლებლობებს. სოკრატე, ვფიქრობ ახლად გავუგე ამ ადამიანებს.

უმცროსი სოკრატე

თქვი, როგორც ჩანს, რაღაც უცნაური შეამჩნიე.

უცხოელი

კი, უცოდინრობისგან ხდება ყველაფერი უცნაური. სწორედ ეს დამემართა ახლა. უცებ ვერ ვიცანი, [291c] გუნდი, რომელიც სახელმწიფოს [საქმეებთანაა] დაკავშირებული.

უმცროსი სოკრატე

რომელი [გუნდი]?

უცხოელი

ყველა სოფისტთა შორის ყველაზე უფრო დიდი თაღლითები და ამ ხელოვნებაში ყველაზე გამოცდილები. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალიან რთული გასაკეთებელია, ისინი ჭეშმარიტი პოლტიკოსებისა და მეფეებისაგან უნდა გავმიჯნოთ, თუ გვსურს ნათლად გავიგოთ

ის, რასაც ვეძებთ.

უმცროსი სოკრატე

მაგრამ ამას არ უნდა მოვეშვათ.

უცხოელი

მეც ასე [ვფიქრობ]. აბა, ერთი ეს მითხარი.

უმცროსი სოკრატე

რა? [291d]

უცხოელი

მონარქია ხომ სახელმწიფო მართვის ერთ-ერთი [ფორმაა]?

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

მონარქიის შემდეგ კი, ვფიქრობ, უმცირესობის მმართველობა
შეიძლება დავასახელოთ.

უმცროსი სოკრატე

აბა რა?

უცხოელი

სახელმწიფო მართვის მესამე ფორმა განა უმრავლესობის
მმართველობა არაა, რომელსაც დემოკრატია ეწოდება?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

ამ სამიდან განა ხუთი არ წარმოიქმნება, თუ მათგან კიდევ ორი სხვა
სახელი იშვება?

უმცროსი სოკრატე

რომელი? [291e]

უცხოელი

თუ გავითვალისწინებთ ძალადობასა და კეთილ ნებას, სიღარიბესა და სიმდიდრეს, კანონსა და უკანონობას, რაც [სახელმწიფო მართვის ფორმებს] ახასიათებს, ამ ორიდან თითოეული მათგანი კიდევ ორად დაიყოფა, მონარქია კი ორ სახეს მოიცავს და [მას] ორ სახელს ვუწოდებთ, ტირანიას და მეფობას.

უმცროსი სოკრატე

ასეა.

უცხოელი

სახელმწიფოს კი, რომელსაც უმცირესობა მართავს, არისტოკრატიას და ოლიგარქიას [ვუწოდებთ].

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

დემოკრატიას კი, მიუხედავად იმისა, უმრავლესობა მესაკუთრეებს ძალადობით მართავს თუ კეთილი ნებით, [292a] კანონებს ზუსტად იცავს, თუ – არა, ჩანს, რომ ვერავინ ვერასოდეს შეუცვლის სახელს.

[129]

უმცროსი სოკრატე

მართალია.

უცხოელი

მაშ რა? ჩავთვალოთ, რომ ამ სახელმწიფო მმართველობათაგან რომელიღაცა სწორია, თუ მის ფარგლებში [მართვა] ხდება ერთის, უმცირესობის, უმრავლესობის მიერ, სიმდიდრით ან სიღარიბით, ძალადობით ან კეთილი ნებით, დაწერილი კანონებით ან კანონების

გარეშე?

უმცროსი სოკრატე

და რა გვიმლის ხელს? [292b]

უცხოელი

უფრო კარგად დააკვირდი და ისე გააგრძელე.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

დავჯერდეთ იმას, რაც თავდაპირველად ვთქვით, თუ
შევეწინააღმდეგოთ?

უმცროსი სოკრატე

რას გულისხმობ?

უცხოელი

ვფიქრობ, ვთქვით, რომ სამეფო მმართველობა გარკვეული ცოდნაა.

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

და ის ყველა ხელოვნებიდან კი არ ამოვირჩიეთ, არამედ – სხვათაგან
[გამოყოფილი] განსჯისა და ბრძანების გაცემის ხელოვნებათაგან.

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

ბრძანების გაცემის ხელოვნება კი [დავყავით] უსულო საგნებზე
[292c] და სულიერ არსებებზე ბრძანების გაცემად. ასე დაყოფით
აქამდე მოვედით და არ დაგვკვიწყებია ცოდნა, მიუხედავად იმისა,

რომ ვერ შევძელით მისი საკმარისად განმარტება.

უმცროსი სოკრატე

მართაღს ამბობ.

უცხოელი

მაშ, უკვე ვხვდებით, რომ [სახელმწიფო მართვის ფორმათა დაყოფის] საფუძველი არ შეიძლება იყოს უმცირესობა და უმრავალესობა, კეთილი ნება და ძალადობა, სიღარიბე და სიმდიდრე, არამედ რაღაც ცოდნა, თუ, რა თქმა უნდა, აქამდე [ნათქვამს] მივყევით? [292d]

უმცროსი სოკრატე

სხვაგვარად ვერ მოვიქცევით.

* * *

უცხოელი

მაშ, ახლა იმის დადგენაა აუცილებელი, [სახელმწიფო მართვის] რომელი [ფორმა] მოიცავს ადამიანების მართვის ცოდნას, რაც თითქმის ყველაზე მნიშვნელოვანი და რთულია. ეს უნდა გავიგოთ, რათა ვიპოვოთ ისინი, ვინც ბრძენი მეფისგან უნდა გაიმიჯნოს, რომლებსაც თავი მოაქვთ თითქოს პოლიტიკოსები არიან, არწმუნებენ უმრავლესობას, თუმცა საერთოდ არ არიან [ასეთები].

უმცროსი სოკრატე

ეს უნდა გავაკეთოთ, როგორც მსჯელობამ გვიკარნახა. [292e]

უცხოელი

ნუთუ ითვლება, რომ ამ ქალაქში უმრავლესობა შეიძლება ამ ცოდნას ფლობდეს?

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

და ათასკაციან ქალაქში შეიძლება, რომ ასი ან ორმოცდაათი საკმარისად ფლობდეს ამ [ცოდნას]?

უმცროსი სოკრატე

ასე რომ იყოს, ეს ყველა ხელოვნებაზე უფრო მარტივი იქნებოდა. ხომ ვიცით, რომ ათას კაცში არათუ მეფე, არამედ ამდენი შაშის კარგი მოთამაშეც კი არ მოიძებნება სხვა ბერძნულ [ქალაქებთან] შედარებით. ვისაც სამეფო ცოდნა აქვს, მიუხედავად იმისა, მართავს თუ არა, წინა [293a] მსჯელობის თანახმად, მას მეფე უნდა ეწოდოს.

უცხოელი

კარგია რომ გაგახსენდა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, სწორად მართვა ერთ, ორ, ან რამდენიმე კაცთან უნდა ვეძებოთ, თუ სწორად [მართვა საერთოდ] არსებობს.

უმცროსი სოკრატე

აბა რა?

უცხოელი

კეთილი ნებით მართავენ, თუ ნების საწინააღმდეგოდ, დაწერილი კანონებით, თუ მათ გარეშე, მდიდრები არიან თუ ღარიბები, უნდა ჩაითვალოს, როგორც შევთანხმდით, რომ მართვის რაღაც ხელოვნებით მართავენ.

ექიმებს [293b] ხომ ექიმებად მივიჩნევთ იმის მიუხედავად, ჩვენი ნებით გვკურნავენ თუ ნების საწინააღმდეგოდ, როცა რაღაცას გვაჭრიან, მოგვიწვავენ, თუ სხვა სახის ტკივილს მოგვაყენებენ, დაწერილი კანონებით [მოქმედებენ] თუ დაუწერელი, ღარიბები არიან თუ მდიდრები, მათ ექიმებს ვუწოდებთ მანამ, სანამ [ექიმობის] ხელოვნებით ხელმძღვანელობენ, წმენდენ, ასუსტებენ ან აძლიერებენ და ამგვარად მხოლოდ კარგს უკეთებენ სხეულს, რომ გააუმჯობესონ მისი მდგომარეობა [293c] და გადაარჩინონ თითოეული პაციენტი, რომელსაც მკურნალობენ. ვფიქრობ, ასე და

არა სხვაგვარად მიავადექით არა მხოლოდ საექიმო, არამედ
ნებისმიერი სხვა მმართველობის სწორ განმარტებას.

უმცროსი სოკრატე

სწორედ ასეა.

უცხოელი

სახელმწიფო [მართვის ფორმათაგან], როგორც ჩანს, სწორედ ის
იქნება გამორჩეულად სწორი და ერთადერთი მმართველობა, სადაც
აღმოვაჩენთ ჭეშმარიტად მცოდნე მმართველს, და არა იმათ, ვინც
ასეთად მხოლოდ ჩანს. ხოლო კანონებით მართავენ ისინი, თუ
კანონების გარეშე, კეთილი ნებით [293d]

თუ მის საწინააღმდეგოდ, ღარიბები არიან, თუ მდიდრები, ამის
გათვალისწინებას არასოდეს არავისთვის არავითარი მნიშვნელობა
არ ექნება.

უმცროსი სოკრატე

მშვენიერია.

უცხოელი

და თუ ისინი სიკვდილით სჯიან ან ვინმეს აძევებენ და ამგვარად
წმენდენ და აუმჯობესებენ სახელმწიფოს, კოლონიებში გარეკავენ
ფუტკრებივით, რომ რაოდენობა შეამცირონ, ან სხვა ქვეყნის
მოქალაქეები შემოჰყავთ, რომ რაოდენობა გაზარდონ, სანამ
ცოდნითა და სამართლიანობით მოქმედებენ და შეძლებისდაგვარად
გადაარჩენენ და აუმჯობესებენ [სახელმწიფოს] [293e], მანამ და ამ
პირობებში მას უნდა ვუწოდოთ ერთადერთი სწორი სახელმწიფო
მმართველობა. სხვა [მმართველობები] კი, რაც ჩამოვთვალეთ,
კანონიერი და ნამდვილი კი არაა, არამედ მხოლოდ ბაძავს მას; ისინი,
რომლებსაც კეთილმოწყობილს ვუწოდებთ, კარგში ბაძავენ, ხოლო
სხვები – ცუდში.

უმცროსი სოკრატე

ის, რომ კანონების გარეშე მართვას საჭირო, მძიმე მოსასმენია, დანარჩენი კი, უცხოელო, მისაღები ჩანს.

უცხოელი

ცოტა დამასწარი შენი შეკითხვით, სოკრატე. ვაპირებდი [294a] მეკითხა, შენთვის ყველაფერი მისაღებია, თუ ნათქვამიდან რამე გაღელვებს-მეთქი.

ახლა უკვე ნათელია, რომ გვსურს კანონების გარეშე მართვის სისწორე განვიხილოთ.

უმცროსი სოკრატე

ნამდვილად ასეა.

უცხოელი

ცხადია, რომ გარკვეულწილად კანონმდებლობის ხელოვნება მეფობის ხელოვნების ნაწილია, მაგრამ ყველაზე უკეთესია, როცა ძალა კანონებს კი არ ეკუთვნის, არამედ – გონიერ მეფეს. იცი, რატომ?

უმცროსი სოკრატე

თქვი, რატომ?

უცხოელი

რადგან კანონი ვერასოდეს მოიცავს საუკეთესოს [294b] და ყველაზე სამართლიანს და ვერ დაადგენს ყველასთვის უმჯობესს.

განსხვავებებია ადამიანებსა და მათ საქმეებს შორის, ასევე ყველაფერი, რაც ადამიანს უკავშირდება, ასე ვთქვათ, არასოდესაა მშვიდად. ამიტომ, ვერასოდეს ვერანაირი ხელოვნება ვერ იქნება [გამოსადეგი] ყოველთვის და ყველაფერთან დაკავშირებით. ამაში ვთანხმდებით?

უმცროსი სოკრატე

აბა რა?

უცხოელი

კანონი კი, როგორც ვხედავთ, თითქმის ამგვარ რამეს [294c] ესწრაფვის, როგორც თავდაჯერებული და გაუნათლებელი ადამიანი, რომელიც არავის არაფრის ნებას არ რთავს მისი ბრძანების გარეშე, არც შეკითხვის დასმის [უფლებას აძლევს] ვინმეს, მაშინაც კი, თუ სხვას რაღაც ახალი და იმაზე უკეთესი მოუვა აზრად, ვიდრე მან დაადგინა.

უმცროსი სოკრატე

ჭეშმარიტად. ზუსტად ისე გვექცევა კანონი, როგორც ახლა თქვი.

უცხოელი

ხომ შეუძლებელია, მარტივი გამოსადეგი იყოს იმ ყველაფრისთვის, რაც არაა მარტივი?

უმცროსი სოკრატე

ასე გამოდის.

უცხოელი

მაშ, რატომ არის აუცილებელი კანონშემოქმედება, თუ [294d] კანონი ყველაზე უფრო მართებული არ არის? ამის მიზეზი უნდა მოვიძიოთ.

უმცროსი სოკრატე

ასეა.

უცხოელი

ხომ არსებობს თქვენთან, ისე როგორც სხვა ქალაქებში, ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც ერთად ვარჯიშობენ სირბილში ან სხვა რაიმეში გამარჯვების მოპოვების სურვილით?

უმცროსი სოკრატე

[არსებობს] და ძალიან ბევრიც.

უცხოელი

მაშ, კვლავ გავიხსენოთ გიმნასტიკის ხელოვნებასთან

დაკავშირებული ბრძანებები, რომლებსაც გასცემენ ისინი, ვისაც ამის უფლებამოსილება აქვს.

უმცროსი სოკრატე

რომელი?

უცხოელი

მათ არ მიაჩნიათ, რომ თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე დეტალურად უნდა მიუდგნენ, და მითითება გასცენ თითოეული სხეულის შესაფერისად, [294e] არამედ თვლიან, რომ უფრო უხეშად უნდა უბრძანონ ის, რაც უმრავლესობის სხეულისთვის სასარგებლოა.

უმცროსი სოკრატე

მშვენიერია.

უცხოელი

ამიტომაც ყველას თანაბრად უნაწილებენ დატვირთვას, ყველას ერთდროულად აწყებინებენ სირბილს და ასევე ერთდროულად ამთავრებინებენ. იგივე ითქმის ბრძოლასა და ყველა სხვა სახის ფიზიკურ დატვირთვაზე.

უმცროსი სოკრატე

ასეა.

უცხოელი

მაშ, უნდა ჩავთვალოთ, რომ კანონმდებელიც, რომელიც ჯოგს წინამძღოლობს სამართლიანობისა და ერთმანეთთან მოლაპარაკების საკითხებში [295a], ვერასოდეს შეძლებს ყველასთვის ერთიანად ბრძანების გაცემით, თითოეულ მათგანს მისცეს ის [მითითება], რომელიც მას შეჰფერის.

უმცროსი სოკრატე

ასე ჩანს.

უცხოელი

ვფიქრობ, უფრო მეტად უმრავლესობისთვის დაადგენს კანონს, უფრო ზოგადად – ინდივიდებისთვის, იქნება ეს წერილობითი თუ დაუწერელი [კანონები], წინაპრების ჩვეულების თანახმად.

უმცროსი სოკრატე

მართალია.

უცხოელი

რა თქმა უნდა, მართალია. განა ოდესმე ვინმე შეძლებს, [295b] სოკრატე, რომ გვერდით ეჯდეს და თითოეულ ადამიანს ზუსტად იმას უდგენდეს, რაც მას შეეფერება? ვფიქრობ, თუ ამას შეძლებდა ვინმე, ვინც ჭეშმარიტად მიიღო მეფობის ცოდნა, ის საერთოდ არ ისურვებდა საკუთარი თავი შეეზღუდა ზეპირი კანონების წერით.

უმცროსი სოკრატე

ასეა, უცხოელო, იქიდან გამომდინარე მაინც, რაც უკვე ითქვა.

უცხოელი

და კიდევ უფრო [გასაგები] გახდება, ჩემო კარგო, იქიდან გამომდინარე, რაც აწი ითქმება.

უმცროსი სოკრატე

რომელი [ნათქვამიდან]?

უცხოელი

შემდეგი რამ: წარმოვიდგინოთ, რომ [295c] რომელიმე ექიმი ან გიმნასტიკის მწვრთნელი წასვლას აპირებს და დიდ ხანს იქნება შორს მისგან, ვისზეც ზრუნავს. თუ ჩათვლის, რომ მისი პაციენტები ან გიმნასტები ვერ დაიმახსოვრებენ მის ნათქვამს, ხომ მოისურვებს დაწეროს და ჩანაწერები მათ დაუტოვეს, არა?

უმცროსი სოკრატე

ასეა.

უცხოელი

და თუ იმაზე უფრო ადრე ჩამოვა, ვიდრე შორს ყოფნას გეგმავდა?
განა ვერ გაბედავს, რომ [მისივე] დაწერილისგან განსხვავებული რამ
ურჩიოს, იქიდან გამომდინარე, რომ პაციენტი უკეთ გახდა, [295d]
რადგან ქარის ან ზევისისგან გამომდინარე სხვა რაიმე [მიზეზით]
მოულოდნელად და უჩვეულოდ რაღაც შეიცვალა? განა იფიქრებდა,
რომ არ უნდა გადაეხვია ადრე დადგენილი კანონიდან, თავადაც არ
უნდა დაედგინა სხვა და არც პაციენტს უნდა გაებედა დაწერილისგან
გადახვევა, რადგან ის იყო მედიცინის [შესაბამისი] და განმკურნავი,
სხვა ყველაფერი კი – ავადმყოფობის მომტანი და არასწორი? ასეთი
რამ მეცნიერებასა [295e] და ჭეშმარიტ ხელოვნებაში რომ
მომხდარიყო, ამგვარ კანონმდებლობას ხომ დიდად დასცინებდნენ?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა, ასეა.

უცხოელი

ვინც სამართლიანსა და უსამართლოზე, მშვენიერსა და უშნოზე,
კარგსა და ცუდზე დაწერილ და დაუწერელ კანონებს ადგენს
ადამიანთა ჯოგებისთვის, რომლებიც თავიანთ ქალქებში მოვენ
დაწერილი კანონების შესაბამისად, თუ სხვა მსგავსი ვინმე მოვა,
დახელოვნებული კანონმდებელი, ნუთუ [მას] უფლება არ ექნება
[296a] სხვისი დაწერილის საპირისპირო დაადგინოს? განა ამის
აკრძალვა ნაკლებ სასაცილო იქნებოდა?

უმცროსი სოკრატე

აბა რა?

უცხოელი

იცი, ასეთ შემთხვევაში უმრავლესობა რას ამბობს?

უმცროსი სოკრატე

უცებ ვერ ვხვდები.

უცხოელი

და ძალიანაც სწორად ამბობს, რომ თუ ვინმემ ძველზე უკეთესი კანონები იცის, მან ჯერ თავისი ქალაქ-სახელმწიფო უნდა დაარწმუნოს და იქ დანერგოს კანონები, და არა სხვაგვარად.

უმცროსი სოკრატე

და რა? მართალი არაა? [296b]

უცხოელი

შეიძლება, მაგრამ თუ ვერავინ დაარწმუნა და ძალის გამოყენებით ამკვიდრებს უკეთესს, მიპასუხე, რა ჰქვია ამ ძალადობას? თუმცა ჯერ ადრე ნათქვამზე მითხარი.

უმცროსი სოკრატე

რომელზე ამბობ?

უცხოელი

თუ რომელიმე [ექიმი] ვერ დაარწმუნებს პაციენტს, თუმცა თავისი საქმის ხელოვანია და აიძულებს ბავშვს, კაცსა თუ ქალს, რომ დაწერილის ნაცვლად გააკეთოს ის, რაც უკეთესია, რა ერქმევა ამ ძალადობას? ყველაფერი შეიძლება დაერქვას, «ხელოვნების საწინააღმდეგო და მავნებელი ცოდვის» გარდა, ხომ? და ძალადობის მსხვერპლიც ყველაფერს [296c] იტყვის იმის გარდა, რომ მოძალადე ექიმისგან მავნებლური და არაოსტატური რამ გადაიტანა.

უმცროსი სოკრატე

სრულ სიმართლეს ამბობ.

უცხოელი

პოლიტიკის ხელოვნების საწინააღმდეგო შეცოდებას რას ვეძახით? სამარცხვინოს, ბოროტსა და უსამართლოს ხომ?

უმცროსი სოკრატე

უეჭველად.

უცხოელი

თუ ვისმეს აძალებენ დაწერილი კანონებისა და ტრადიციების საპირისპიროდ გააკეთოს სხვა რამ, ადრინდელზე უფრო სამართლიანი, უკეთესი და მშვენიერი, [296d] მითხარი, ასეთი ძალადობის გაკიცხვა, ყველასთვის სასაცილო არ იქნება? რადგან ყველაფერი შეიძლება ითქვას გარდა იმისა, რომ სირცხვილი, უსამართლობა და ბოროტება დაითმინეს როდესაც მოძალადემ მათზე ძალადობა განახორციელა?

უმცროსი სოკრატე

სრულ სიმართლეს ამბობ.

უცხოელი

მაშ, თუ მოძალადე მდიდარია, ძალადობა სამართლიანია, ხოლო თუ ღარიბი – უსამართლო, ასეა? თუ რომელიმე [მმართველი] მიუხედავად იმისა, შეძლო თუ არა ვინმეს დარწმუნება, მდიდარია თუ ღარიბი, დაწერილი თუ დაუწერელი კანონების თანახმად აკეთებს რაიმე [296e] სასარგებლოს, ეს არ უნდა იყოს სახელმწიფოს სწორად მართვის ყველაზე უფრო მართებული განსაზღვრება, რომლითაც ბრძენი და ქველი ადამიანი მის ქვეშევრდომებს მართავს? ისევე როგორც გემის კაპიტანი მუდამ ხომალდისა და მეზღვაურების [297a] სარგებელზე ზრუნავს, დაწერილი კანონებით კი არა, არამედ ხელოვნებით იხსნის თანამგზავრებს. ამგვარად ამავე ხერხით სწორად უნდა იმართებოდეს სახელმწიფო მის მიერ, ვისაც შეუძლია ხელოვნება კანონებზე მეტად გააძლიეროს? და ყოველთვის ასე რომ იქცევიან, გონიერი მმართველები არ უშვებენ შეცდომას მანამ, სანამ [297b] ერთ მნიშვნელოვან [წესს] იცავენ, რომლის თანახმადაც გონებისა და ხელოვნების შესაბამისად სახელმწიფოში [ყველას ყველაფერს] ყველაზე სამართლიანად უნაწილებენ, იხსნიან მათ და უარესს, შეძლებისდაგვარად, უკეთესს ხდიან.

უმცროსი სოკრატე

შენს ნათქვამს ვერ შეეწინააღმდეგები.

უცხოელი

არც იმის საწინააღმდეგო იქნება [რამე].

უმცროსი სოკრატე

რას გულისხმობ?

უცხოელი

უმრავლესობას, ვინც არ უნდა იყოს ის, ვერასოდეს ექნება ასეთი ცოდნა და ვერ შეძლებს სახელმწიფოს გონივრულად მართვას, [297c] არამედ პატარა [ჯგუფში], უმცირესობაში ან ერთში უნდა ვეძიოთ სახელმწიფოს სწორად მართვის ერთადერთი ფორმა, დანარჩენები კი მიბადვად უნდა ჩაითვალოს, და როგორც ცოტა ხნის წინ ითქვა, ზოგიერთი უკეთესს ბაძავს, ზოგი კი – უარესს.

უმცროსი სოკრატე

რას გულისხმობ? ადრეც ვერ გავიგე მიბადვების შესახებ.

უცხოელი

სისულელე იქნებოდა, თუ ვინმე წამოიწყებდა ამგვარ მსჯელობას, შემდეგ თავს დაანებებდა, აღარ გააგრძელებდა, რომ არ აღმოეჩენა [297d] მასთან მასთან დაკავშირებული შეცდომა.

უმცროსი სოკრატე

რომელი?

უცხოელი

ეს [შეცდომა] უნდა ვეძიოთ, არც ძალიან ხშირია და არც მარტივი. უნდა შევეცადოთ მის მოხელთებას. მოდი, მითხარი: თუ სახელმწიფო მმართველობის მხოლოდ ის [ფორმაა] სწორი, რომელიც ჩვენ ავლნიშნეთ, იცი, რომ [მმართველობის სხვა ფორმებმა] უნდა გამოიყენონ თავიანთი დაწერილი კანონები, რათა გადარჩნენ და გააკეთონ ის, რასაც ახლა ვაქებთ, რაც ძალიან მართებულიც არ არის?

უმცროსი სოკრატე

რა? [297e]

უცხოელი

ის, რომ ვერც ერთმა მოქალაქემ ვერ უნდა გაბედოს
კანონსაწინააღმდეგოდ რამის ჩადენა და თუ გაბედავს, სიკვდილით
ან სხვა უკიდურესი [ფორმით] უნდა დაისაჯოს. ეს [მართვის]
ყველაზე სწორი და კარგი [ფორმაა], როგორც მეორე [არჩევანი], თუ
ვინმე პირველ ადგილას მოხსენიებულ [ფორმებს] გადაუხვევს. მაშ,
გავიაროთ, თუ როგორია [მართვის ეს ფორმა], რომელსაც მეორე
ვუწოდეთ, კარგი?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

დავუბრუნდეთ ხატებს, რომლებიც აუცილებელია მეფე-
მმართველების აღსაწერად.

უმცროსი სოკრატე

რომელ [ხატებს]?

უცხოელი

კეთილშობილი გემის კაპიტანი და ექიმი, რომელიც სხვა მრავლის
მაგივრობას გაგვიწევს. დავაკვირდეთ მათ და მათი საშუალებით
შევქმნათ გარკვეული სახე.

უმცროსი სოკრატე

რომელი?

უცხოელი

აი, ეს: წარმოვიდგინოთ, რომ მათი წყალობით ყველანი საშინლად
ვიტანჯებით.

ვისაც მოისურვებენ, რომ გადაარჩინონ, გადაარჩენენ, ისე როგორც
სხვა გადაარჩინეს. ხოლო ვისაც მოისურვებენ, რომ დაღუპონ, მას

ღუპავენ, ჭრიან, წვავენ და გადასახადებს უწესებენ, საიდანაც პაციენტზე ძალიან მცირეს ან სულაც არაფერს ხარჯავენ, დანარჩენს თავად ისინი და მათი მსახურები იყენებენ. [298b] ისეც ხდება, რომ პაციენტის ნათესავის ან რომელიმე მტრისგან მიღებული ფულადი ჯილდოს სანაცვლოდ, მათ კლავენ კიდეც. კაპიტნებიც ბევრ მსგავს რამეს აკეთებენ, რაიმე ბოროტი ჩანაფიქრით, გემის მგზავრებს უდაბურ სანაპიროებზე ტოვებენ, ზღვაში რაიმე შეცდომას უშვებენ და მათ წყალში ყრიან

და სხვა სიავეებსაც ჩადიან. თუ ამ ყველაფერს გავიაზრებთ და გადავწყვეტთ, რომ ხელოვნების ამგვარ სახეებს [298c] აღარასოდეს დავანებებთ არც მონებისა და არც თავისუფალ [ადამიანთა] შეუზღუდავად მართვას, თავად შევკრებთ ან მთელ ხალხს, ან – მხოლოდ მდიდრებს, კერძო პირები იქნებიან ეს თუ სხვადასხვა ხელობის მცოდნენი და მათ ნაოსნობასა და სწეულებებთან დაკავშირებით თავიანთ აზრს ვათქმევინებთ: რომელი წამლები და სამკურნალო საშუალებები გამოვიყენოთ პაციენტებისთვის, როგორი ხომალდები [298d] და საზღვაოსნო საშუალებები ვიხმაროთ ნაოსნობის დროს საფრთხის შემთხვევაში, ქარისა და უამინდობისას, მეკობრეებს თუ გადავეყრებით; ან უნდა მიიღონ თუ არა მონაწილეობა დიდმა გემებმა მსგავს ხომალდებთან საზღვაო ბრძოლებში. რასაც უმრავლესობა ამ საკითხებზე გადაწყვეტს, მიუხედავად იმისა ამაში ექიმები, გემის კაპიტნები თუ უბრალოდ კერძო პირები მიიღებენ მონაწილეობას, [298e] დაფებსა და სვეტებზე უნდა დაიწეროს, ზოგიერთი რამ კი შემდგომში, როგორც მამაკაცი დაუწერელი ჩვეულება, დიდი ხნის განმავლობაში გამოვიყენოთ ნაოსნობაშიც და მკურნალობის დროსაც.

უმცროსი სოკრატე

ძალიან უცანაური რამე თქვი.

უცხოელი

ყოველ წელს დანიშნავენ ხალხის მმართველებს ან მდიდართაგან, ან მთელი მოსახლეობიდან, იმის მიხედვით, თუ ვის აირჩევენ

კენჭისყრით. ეს დანიშნული მმართველები კი დაწერილი კანონების შესაბამისად მართავენ, გემებს წინამძღვრობენ და პაციენტებზე იზრუნებენ.

უმცროსი სოკრატე

ეს კიდევ უფრო რთულია.

უცხოელი

ისიც ნახე, მერე რა მოხდება. მას შემდეგ, რაც თითოეულ მმართველს ერთი წლის [ვადა] გაუვა, მათ სასამართლო უნდა მოვუწყოთ, რომლის [წევრებიც] არჩეული იქნებიან კენჭისყრით ან მდიდართაგან, [299a] ან ყველა მოქალაქიდან. მათ მიუყვანენ მმართველებს და პასუხს აგებინებენ. მსურველს შეუძლია ბრალი დასდოს მათ იმაში, რომ გემს მთელი წელი არც დაწერილი კანონების თანახმად მართავდნენ და

არც წინაპართა ჩვეულებებით. ზუსტად იგივე ითქმის პაციენტებზე მზრუნველებთან დაკავშირებითაც. და თუკი ბრალს დასდებენ, გადაწყდება რა სასჯელს ან რა ჯარიმას იმსახურებენ.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა, ვინც მოისურვებს თავისი ნებით ამგვარ [პირობებში] მმართველობას, [299b] სამართლიანი იქნება, რომ დაითმინოს ნებისმიერი სასჯელი.

უცხოელი

და გარდა ამისა საჭირო იქნება ისეთი კანონის შემოღება, რომ თუ ვინმე გემის მართვის, ნაოსნობის ან ჯანმრთელობასა და მედიცინასთან დაკავშირებული ჭეშმარიტების – რაც ქარს, სიცხესა და სიცივეს ეხება – კვლევას დაიწყებს დაწერილი კანონების საპირისპიროდ და ამ საკითხებთან დაკავშირებით ვითომ ცოდნას შეიძენს, უპირველეს ყოვლისა, მას ექიმს ან გემის კაპიტანს კი არ უწოდებენ, არამედ ცაში მომზირალს[130], მოლაყბესა და სოფისტს, ან ახალგაზრდების შემცდენელს, ვინაიდან მათ არწმუნებს, [299c]

რომ კაპიტნობას და ექიმობას მიუდგნენ არა კანონების შესაბამისად, არამედ თვითნებურად მართონ გემები და ავადმყოფები. ნებისმიერი მსურველი შეძლებს მას ბრალი წაუყენოს სასამართლოში, რადგან კანონებისა და დაწერილი წესების საწინააღმდეგო ცოდნით არწმუნებს ახალგაზრდებსა თუ ასაკოვნებს, უკიდურესი [ფორმით] უნდა დაისაჯოს. არაფერი უნდა იყოს კანონზე უფრო ბრძნული, არავინ უნდა უგულებელყოს მედიცინა და ჯანმრთელობა, გემის კაპიტნობა, ნაოსნობა, ვინაიდან მსურველს შეუძლია ისწავლოს [299d] დაწერილი კანონებითა და მამა-პაპური ჩვეულებებით. სოკრატე, თუ ეს, რასაც ვამბობთ, მოხდებოდა სხვა სახის ცოდნასთან დაკავშირებით, როგორიცაა მხედართმთავრობა, ნებისმიერი სახის ნადირობა, მხატვრობა, ბადვის ხელოვნების ნებისმიერი ნაწილი, მშენებლობა, ხელსაწყოების დამზადება, მიწათმოქმედება და ნებისმიერი სახის მემცენარეობა, მეცხენეობა და ეს ყველაფერი რომ დაწერილი წესების შესაბამისად ხდებოდეს, ჯოგებზე ზრუნვა, მისნობა, ნებისმიერი სახის მომსახურება, [299e] შაშის თამაში და მთელი არითმეტიკა, სუფთა სახით იქნება ის თუ ზედაპირის, სიღრმისა და სიჩქარის გაზომვასთან დაკავშირებით, ეს ყველაფერი ასე რომ ხდებოდეს, დაწერილი კანონების და არა ხელოვნების მოთხოვნების შესაბამისად, რა გამოვიდოდა?

უმცროსი სოკრატე

ცხადია, რომ ყველა ხელოვნება მთლიანად მოისპობოდა და თავიდან აღარასოდეს წარმოიშობოდა, რადგან მის კვლევა-ძიებას კანონი აკრძალავდა, ამგვარად, სიცოცხლე, რომელიც ახლაც რთულია, მაშინ საერთოდ აუტანელი გახდებოდა. [300a]

უცხოელი

და ამაზე რას იტყვი, თუ ყველაფერი, რაც ითქვა, უნდა მომხდარიყო დაწერილი კანონების შესაბამისად და მათ დამცველად ვინმე ხმის მიცემით ან კენჭისყრით არჩეული რომ დაგვედგინა, მას კი არად ჩაეგდო დაწერილი და სარგებლის ან ვინმეს გულის მოგების გამო, მის საწინააღმდეგოდ მოქცეულიყო, ყოველგვარი ცოდნის გარეშე.

განა ეს წინანდელზე უფრო დიდი ბოროტება არ იქნებოდა?

უმცროსი სოკრატე

ჭეშმარიტად. [300b]

უცხოელი

ვფიქრობ, თუ ვინმე გაბედავდა და უმრავლესობას დაარწმუნებდა, რომ ხანგრძლივ გამოცდილებასა და კეთილი მრჩევლების რჩევებზე დაფუძნებული კანონების საწინააღმდეგოდ მოქცეულიყო, იმ შეცდომაზე უფრო ბევრად დიდ შეცდომას დაუშვებდა და უფრო მეტად აურევდა ყველაფერს, ვიდრე დაწერილი კანონები.

უმცროსი სოკრატე

როგორ არ მოხდებოდა ასე? [300c]

უცხოელი

ამის გამო, ვინც კანონებსა და დაწერილ წესებს ადგენს, მეორე რიგში იმაზე უნდა [იზრუნოს], რომ მათ საწინააღმდეგოდ არც ერთს და არც მრავალს არასოდეს არაფერი გააკეთებინოს.

უმცროსი სოკრატე

მართალია.

უცხოელი

განა თითოეული ეს [კანონი] ჭეშმარიტების მიბაძვა არაა, რომელიც შეძლებისდაგვარად მცოდნე ადამიანის მიერაა დაწერილი?

უმცროსი სოკრატე

როგორ არა?

უცხოელი

ხომ ვთქვით, თუ გახსოვს, ვთქვით, რომ ჭეშმარიტად პოლიტიკოსი თავის საქმიანობაში ყველაფერს ხელოვნების შესაბამისად აკეთებს და არ ზრუნავს დაწერილ კანონებზე, რადგან [300d] შეიძლება

მიიჩნის, რომ სხვა რამე უკეთესია, ვიდრე თავად მის მიერ
დაწერილი და შორს მყოფთათვის გაგზავნილი [წესი].

უმცროსი სოკრატე

ასე ვთქვით.

უცხოელი

ე. ი. თუ რომელიმე ადამიანი ან [ადამიანთა] ჯგუფი, რომელსაც
კანონების დაწესება მოუხდა, მათ საწინააღმდეგოდ მოიქცევა,
რადგან სხვა [კანონი] უკეთესია, ის დაახლოებით ისე არ მოიქცევა,
როგორც ჭეშმარიტად პოლიტიკოსი?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

მაშ, თუ ის, ვინც ასე იქცევა, უცოდინარია, როდესაც ჭეშმარიტის
მიზიდვას ცდილობს, ძალიან ცუდად არ ბაძავს? [300e] და თუ
მცოდნეა, ეს ხომ მიზიდვა აღარაა, არამედ – თავად ჭეშმარიტება?

უმცროსი სოკრატე

სწორედ ასეა.

უცხოელი

და ადრე ხომ ვაღიარეთ, რომ ბრბო ვერანაირად ვერ ფლობს
ხელოვნებას.

უმცროსი სოკრატე

ასე შევთანხმდით.

უცხოელი

თუ არსებობს მეფის რაიმე ხელოვნება, ვერც მდიდართა ბრბო და
ვერც მთელი ხალხი ვერასოდეს დაეუფლება პოლიტიკის ამ ცოდნას.

უმცროსი სოკრატე

როგორ [შეძლებს]?

უცხოელი

როგორც ჩანს, ასეთმა სახელმწიფოებმა, თუ სურთ, [301a] რომ რაც შეიძლება უკეთ მიზანძონ ჭეშმარიტ სახელმწიფო მმართველობას, რომელსაც ერთი დახელოვნებული [პირი] ახორციელებს, არასოდეს არაფერი უნდა გააკეთონ დაწერილი კანონებისა და მამა-პაპური ჩვეულების წინააღმდეგ.

უმცროსი სოკრატე

შესანიშნავად თქვი.

უცხოელი

როდესაც მმართველობის ამგვარ [ფორმას] მდიდრები ბაძავენ, მას არისტოკრატიას ვუწოდებთ, ხოლო როდესაც კანონებზე არ ზრუნავენ – ოლიგარქიას.

უმცროსი სოკრატე

სავარაუდოდ.

უცხოელი

როდესაც ერთი [პირი] მართავს კანონების თანახმად და ბაძავს მცოდნეს, [301b] მას მეფეს ვუწოდებთ და სახელით აღარ ვარჩევთ, იმის მიხედვით ცოდნით და კანონების შესაბამისად მართავს, თუ მხოლოდ თავისი შეხედულებით.

უმცროსი სოკრატე

ჩანს, ასეა.

უცხოელი

მაშ, როდესაც ჭეშმარიტად მცოდნე ერთპიროვნულად მართავს, მას ყოველთვის მეფე ეწოდება და არა სხვა რამ. ამის გამო ის ხუთი სახელი, რომელიც სახელმწიფო მმართველობის ფორმებს ვუწოდეთ, ერთად იქცევა.**[131]**

უმცროსი სოკრატე

ასე ჩანს.

უცხოელი

ხოლო როდესაც ერთპიროვნულად მმართველი არც კანონების, არც ჩვეულებების შესაბამისად არ იქცევა, [301c] ვითომც საქმის მცოდნეს თავი მოაქვს, თითქოს დაწერილი კანონების საწინააღმდეგოდ უკეთესად მოქმედებს, არადა მართვისას თავისი ვნებითა და უცოდინრობით ბაძავს, განა მას და ყველა მისნაირს ტირანი არ უნდა ვუწოდოთ?

უმცროსი სოკრატე

აბა რა?

უცხოელი

როგორც აღვნიშნეთ, ასე წარმოიშვა ტირანი და მეფე, ოლიგარქია, არისტოკრატია და დემოკრატია, ვინაიდან ადამიანები უკმაყოფილონი იყვნენ ერთი მონარქით, არ სჯეროდათ, რომ ერთი ვინმე იქნებოდა ამგვარი მმართველობის ღირსი, [301d] რომ ენდომებოდა და შეძლებდა სიქველითა და ცოდნით მართვას, სამართლიანად და სწორად თითოეულისთვის [მისი] შესაფერისის მიგებას, არამედ ისინი სპობენ, ხოცავენ და სიავეს უკეთებენ ყველას, ვისაც მოისურვებენ. თუ იარსებებდა ისეთი [მმართველი], როგორსაც აღვწერთ, იგი ეყვარებოდათ და მის სწორ და ზუსტ ერთპიროვნულ მმართველობაში ბედნიერად იცხოვრებდნენ.

უმცროსი სოკრატე

სავარაუდოდ.

უცხოელი

ახლა კი, როცა ასეთი მეფე, [301e] როგორსაც აღვწერთ, სახელმწიფოებში არ იბადება ისე, როგორიც ფუტკართა ოჯახში, ანუ თავიდანვე გამორჩეულია სხეულითა და სულით, ერთად უნდა

შევიკრიბოთ,

დადგენილებები ვწერთ, და როგორც ჩანს, ყველაზე სწორი სახელმწიფო მმართველობის გზას დავადგეთ.

უმცროსი სოკრატე

ასე ჩანს.

უცხოელი

განა გვიკვირს, სოკრატე, ის სიავე, რაც ხდება და რაც მოხდება ამგვარ სახელმწიფო მმართველობაში, რომელსაც ისეთი საფუძველი აქვს, რომ დაწერილი კანონებისა და ჩვეულებების შესაბამისად კეთდება [ყველაფერი] და არა – ცოდნის. [302a] ყველასათვის ცხადი არაა, რომ სხვა სახის [ხელოვნებაც] ასე რომ ემოქმედა, თავადვე მოსპობდა ყველაფერს, რასაც შექმნიდა? ის უფრო არ უნდა გვიკვირდეს, რამდენად ძლიერია სახელმწიფო თავისი ბუნებით? ასეთ რამეებს უსაზღვროდ დიდხანს ითმენენ სახელმწიფოები. ზოგიერთი მათგანი მდგრადია და არაფერი ემართება, ხოლო ბევრი – დიდ ტალღებში მოხვედრილი ხომალდით ნადგურდება, უკვე განადგურდა ან მომავალში განადგურდება მათი კაპიტნებისა და მეზღვაურების უუნარობის გამო, რომელთაც უმნიშვნელოვანეს საკითხებზე არავითარი ცოდნა არ გააჩნიათ [302b], არაფერი გაეგებათ პოლიტიკის ხელოვნებისა, მაგრამ ჰგონიათ, რომ ყველა მეცნიერებას შორის ყველაზე უკეთ მას ფლობენ.

უმცროსი სოკრატე

სრული ჭეშმარიტებაა.

უცხოელი

ამ სახელმწიფო მმართველობების არასწორი ფორმებიდან რომელ [მმართველობაში] ცხოვრებაა ნაკლებ რთული, თუმცაღა ყველა რთულია, და რომელია ყველაზე მძიმე? ეს საკითხიც ხომ როგორღაც უნდა განვიხილოთ, თუმცა მეორეხარისხოვანია იმასთან შედარებით, რაზეც ვმსჯელობთ?

მთლიანობაში კი სწორედ მისი გულისთვის ვაკეთებთ ყველაფერს.

უმცროსი სოკრატე

როგორ არ უნდა [განვიხილოთ]? [302c]

უცხოელი

მაშ, შეიძლება თქვა, რომ [სახელმწიფო მმართველობის] სამი [ფორმიდან] ერთი ყველაზე რთული და იმავდროულად ყველაზე მარტივია.

უმცროსი სოკრატე

რას ამბობ?

უცხოელი

სხვას არაფერს ვამბობ, გარდა იმისა, რომ მონარქია, უმცირესობის და უმრავლესობის მმართველობა – ეს სამი მოვიხსენიეთ საუბრის დასაწყისში, რომელიც ძალიან გაგვიფართოვდა.

უმცროსი სოკრატე

სწორედ ისინი [ვახსენეთ].

უცხოელი

[მმართველობის] თითოეული [ფორმა] ორად გავყოთ და ასე მივიღოთ ექვსი, ხოლო სწორი [ფორმა] მათგან მეშვიდედ გამოვყოთ.

უმცროსი სოკრატე

როგორ? [302d]

უცხოელი

მონარქიიდან სამეფო ხელოვნება და ტირანია გამოვყავით, უმცირესობის მმართველობიდან – არისტოკრატია, რომელზეც ვთქვით, რომ კარგად ჟღერს, და ოლიგარქია, უმრავლესობის მმართველობას კი ერთი მარტივი სახელი – დემოკრატია – ვუწოდეთ და ისიც ორმაგად უნდა ჩავთვალოთ.

უმცროსი სოკრატე

ის როგორღა უნდა დაიყოს?

უცხოელი

ისე, როგორც სხვები, და არა განსხვავებულად. თავად მისი სახელიც ხომ ორმაგია. [302e] კანონების შესაბამისად ან მათ გარეშე ცხოვრება [დემოკრატიის] პირობებშიც შეიძლება და სხვა [მმართველობის] დროსაც.

უმცროსი სოკრატე

ასეა.

უცხოელი

მაშინ, როდესაც [მმართველობის] სწორ ფორმას ვეძებდით, ეს დაყოფა გამოსადეგი არ იყო, როგორც უკვე გამოჩნდა, მას შემდეგ კი, რაც ეს გამოვყავით და სხვები კი [მმართველობის] აუცილებელ ფორმებად დავადგინეთ, თითოეული მათგანი ორად გაიყო კანონიერისა და უკანონოს საფუძველზე.

უმცროსი სოკრატე

იქიდან გამომდინარე, რაც ითქვა, ასეა.

უცხოელი

მონარქია უკავშირდება კარგად დაწერილ წესებს, რომლებსაც კანონებს ვუწოდებთ და [მმართველობის] ექვსი [ფორმიდან] საუკეთესოა. უკანონო ცხოვრება კი რთული და მძიმეა. [303a]

უმცროსი სოკრატე

სავარაუდოდ.

უცხოელი

უმცირესობის მმართველობა, რადგან ის გულისხმობს ერთსა და მრავალს შუა [არსებულ] რიცხვს, ამ ორს შორის საშუალოდ ჩავთვალოთ. რაც შეეხება უმრავლესობის მმართველობას, ის

ყველაფერში სუსტია და სხვებთან შედარებით არც სიკეთის არც ბოროტების დიდი ძალა არ აქვს, ვინაიდან მასში მთელი ძალაუფლება პატარ-პატარა მოცულობით ბევრს აქვს გადანაწილებული. ამიტომ თუ მმართველობა კანონზეა დამყარებული, ყველაზე ცუდია, ხოლო თუ უკანონოა – მაშინ საუკეთესო. [303b] და თუ ყველაფერი მიშვებულია, მაშინ ცხოვრება უმჯობესია დემოკრატიის პირობებში, ხოლო თუ მოწესრიგებულია, მაშინ მასში ცხოვრება ყველაზე მძიმეა. მმართველობის პირველი ფორმა უპირველესი და საუკეთესოა, თუ არ ჩავთვლით მეშვიდეს, რომელიც მმართველობის ყველა სხვა ფორმიდან ცალკე უნდა გამოიყოს, ისე როგორც ღმერთი – ადამიანებისგან.

უმცროსი სოკრატე

როგორც ჩანს ასეა, ასე ხდება და ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც ამბობ.

უცხოელი

აგრეთვე ყველა ის, ვინც მმართველობაში მონაწილეობს, [303c] საქმის მცოდნის გარდა, უნდა გაიმიჯნოს არა როგორც ჭეშმარიტად პოლიტიკოსი, არამედ როგორც ამრევი და უდიდესი მოჩვენებების დამცველი, რომელიც თავადაც მოჩვენება ხდება, დიდი მიმბაძველი და თაღლითია და სოფისტებს შორის უდიდეს სოფისტად იქცევა[132].

უმცროსი სოკრატე

ამ სიტყვებით ძალიან სწორად დაახასიათე ვითომ პოლიტიკოსები.

უცხოელი

იყოს ასე. ჩვენთვის ეს ნამდვილი დრამაა, როგორც წელან ვთქვით, კენტავრებისა და სატირების ხმაურიან დასს ვხედავთ, [303d] რომელიც პოლიტიკის ხელოვნებიდან უნდა გამოიყოს.[133]ძლივს, მაგრამ [მაინც] გამოვყავით.

უმცროსი სოკრატე

ასე ჩანს.

უცხოელი

კიდევ ერთი გვარი რჩება, რომლის გამოყოფაც უფრო რთულია, რადგან უფრო მეტად ჰგავს სამეფო ხელოვნებას და უფრო ძნელად გასაგებია. მეჩვენება, რომ იმავეს განვიცდით, რასაც ის, ვინც ოქროს წმენდს.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

ისინიც თავდაპირველად მიწას, ქვებსა და სხვა მსგავს რამეებს ამორებენ, შემდეგ [303e] ოქროსთან შერეული და მისი მსგავსი ძვირფასი [ნივთიერებები] რჩება – სპილენძი და ვერცხლი, ხანდახან ანდამატიც, რომლებიც მხოლოდ ცეცხლით გამოიყოფა დიდი წვალეების შედეგად. მხოლოდ ამის შემდეგ ვიხილავთ სუფთა ოქროს როგორც ასეთს.

უმცროსი სოკრატე

ამბობენ, რომ ეს სწორედ ასე ხდება.

უცხოელი

როგორც ჩანს ამავე [გზით] უნდა გამოვყოთ პოლიტიკის ცოდნიდან ყველაფერი განსხვავებული, უცხო და მტრული და დავტოვოთ მხოლოდ ღირებული და მონათესავე. ესენია მხედართმთავრის, სასამართლო და [304a] რიტორიკის ხელოვნება[134], რომელიც სამეფო ხელოვნებას უკავშირდება, სიმართლეში არწმუნებს და სახელმწიფოს მართვაში ეხმარება.[135] მაშ, რა გზით გამოვყოთ ცალკე ის, რასაც ვიკვლევთ ისე, რომ შიშვლად და თავისი თავის იგივეობრივად წარმოჩნდეს?

უმცროსი სოკრატე

ცხადია, რომ როგორღაც უნდა ვცადოთ ამის გაკეთება.

უცხოელი

ვცადოთ და გამოჩნდება. მისი გამოვლენა მუსიკის მეშვეობით
ვცადოთ. მოდი, მითხარი...

უმცროსი სოკრატე

რა? [304b]

უცხოელი

არსებობს მუსიკის სწავლება ისევე, როგორც სხვა მეცნიერებანი,
რომელნიც ხელის ოსტატობასთანაა კავშირში?

უმცროსი სოკრატე

არსებობს.

უცხოელი

და ამაზე რაღას ვიტყვით: არსებობს სხვა მეცნიერება, რომელიც მათ
უკავშირდება და გვეუბნება, საჭიროა თუ არა მათი შესწავლა?

უმცროსი სოკრატე

ვიტყვით, რომ არსებობს.

უცხოელი

ვადიარებთ, რომ ის სხვა [მეცნიერებათაგან] განსხვავებულია?

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

მათგან არც ერთი [მეცნიერება] არ უნდა მართავდეს მეორეს, [304c]
ისინი უნდა მართავდნენ ამას, თუ ეს უნდა მფარველობდეს და
მართავდეს ყველა სხვას?

უმცროსი სოკრატე

ეს [უნდა მართავდეს] სხვებს.

უცხოელი

მაშ, ფიქრობ, რომ ის [მეცნიერება], რომელიც ადგენს, საჭიროა თუ არა სხვა [მეცნიერებების] შესწავლა უნდა მართავდეს იმათ, რაც ისწავლება და რასაც ასწავლიან?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

და ის [მეცნიერება, რომელიც წარმოაჩენს], საჭიროა თუ არა დარწმუნება [უნდა მართავდეს] იმას, რომელსაც შეუძლია დარწმუნება?

უმცროსი სოკრატე

აბა რა?

უცხოელი

დაე, იყოს ასე. რომელ მეცნიერებას მივაკუთვნებთ უმრავლესობისა და ბრბოს დარწმუნებას [304d] ამბების მოყოლით, და არა სწავლებით?

უმცროსი სოკრატე

ვფიქრობ, აშკარაა, რომ ის რიტორიკას უნდა მივაკუთვნოთ.

უცხოელი

და რომელი მეცნიერება განვსაზღვროთ იმისთვის, რომ დაადგინოს ვინმეს დარწმუნებაა საჭირო, ძალის გამოყენება თუ უმოქმედობა?

უმცროსი სოკრატე

ის, რომელიც დარწმუნებისა და საუბრის ხელოვნებას განაგებს.

უცხოელი

ვფიქრობ, სხვა არაფერი იქნება, თუ არა პოლიტიკოსის ძალა.

უმცროსი სოკრატე

მშვენივრად თქვი.

უცხოელი

როგორც ჩანს, რიტორიკა სწრაფად განცალკევდა პოლიტიკის ხელოვნებიდან, [304e] როგორც განსხვავებული სახე, რომელიც მას ემსახურება.

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

ასეთი ძალის შესახებ რა უნდა ვიფიქროთ?

უმცროსი სოკრატე რომელი [ძალის შესახებ]?

უცხოელი

რომელიც ადგენს, როგორ უნდა ვებრძოლოთ იმას, ვისთან ბრძოლაც გადაწყვეტით. მასაც აქვს კავშირი ხელოვნებასთან, თუ არა?

უმცროსი სოკრატე

როგორ ვიფიქრებთ, რომ ხელოვნებასთან კავშირი არა აქვს მაშინ, როცა მას მხედართმთავრობა და მთელი სამხედრო საქმე მიმართავს?

უცხოელი

და [ხელოვნებას], რომელმაც იცის და რჩევას იძლევა, ომია საჭირო თუ დაზავება, იმავედ ჩავთვლით თუ განსხვავებულად?

უმცროსი სოკრატე

ადრე ნათქვამს თუ გავითვალისწინებთ, განსხვავებულად უნდა ჩავთვალოთ. [305a]

უცხოელი

თუ ისევე ვიმსჯელებთ, როგორც ადრე, აღმოვაჩენთ, რომ ეს მართავს სხვას.

უმცროსი სოკრატე

ვთქვათ.

უცხოელი

სხვა რომელ ხელოვნებას დავასახელებთ ამ საოცარი და დიდი –
საომარი ხელოვნების ბატონად, თუ არა ჭეშმარიტად სამეფო
ხელოვნებას?

უმცროსი სოკრატე

არც ერთ სხვას.

უცხოელი

მაშასადამე, მხედართმთავრობის ცოდნას პოლიტიკის ხელოვნებად
არ დავადგენთ, ვინაიდან მას ემსახურება.

უმცროსი სოკრატე

არ შეეფერება. [305b]

უცხოელი

მოდით, იმ მოსამართლეთა ძალაც განვიხილოთ, ვინც სწორად
მართავს სასამართლოს.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

რა შეუძლია ამ ძალას იმაზე მეტი, რომ ურთიერთვალდებულებების
განსჯისას, კანონმდებელი მეფისგან მიიღოს კანონები და მათ
საფუძველზე გადაწყვიტოს, რა არის სამართლიანი და რა –
უსამართლო? ხოლო თავად მისი სიქველე იმაში გამოიხატება, რომ
არც საჩუქრების, არც შიშის, არც თანაგრძნობის, [305c] არც მტრობის
ან მეგობრობის გამო არ მოისურვებს კანონმდებლის მიერ
დადგენილი წესრიგის დარღვევას, ურთიერთბრალდებების
[მოსმენისას].

უმცროსი სოკრატე

სხვა არაფერი. თითქმის ისაა ამ ძალის საქმე, რაც თქვი.

უცხოელი

მაშ, აღმოვაჩინეთ, რომ მოსამართლეების ძალა მეფური კი არ არის, არამედ ამ უკანასკნელის მსახური და კანონების დამცველია.

უმცროსი სოკრატე

ასე ჩანს.

უცხოელი

უნდა გავიაზროთ, რომ მას შემდეგ, რაც განვიხილეთ ყველა მეცნიერება, არც ერთი არ აღმოჩნდა პოლიტიკის ხელოვნება. [305d] ჭეშმარიტად მეფობის ხელოვნება თავად კი არ უნდა მოქმედებდეს, არამედ უნდა მართავდეს სხვა [ხელოვნებებს], რომლებსაც მოქმედება შეუძლია. ვინაიდან იცის სახელმწიფოში მნიშვნელოვანი [საქმეების] წამოწყებისა და განხორციელებისთვის როდისაა ხელსაყრელი და არახელსაყრელი დრო, სხვებმა ის უნდა გააკეთონ, რასაც უბრძანებს.

უმცროსი სოკრატე

მართალია.

უცხოელი

ამიტომ, ის ხელოვნებები, რომლებსაც ახლახან შევეხეთ, არც ერთმანეთს მართავს და არც – საკუთარ თავს. თითოეული მათგანი თავის საქმეს აკეთებს და მისი თავისებურებიდან გამომდინარე სამართლიანად ატარებს საკუთარ სახელს. [305e]

უმცროსი სოკრატე

ყოველ შემთხვევაში ასე ჩანს.

უცხოელი

მას კი, რომელიც ყველა [ხელოვნებას] მართავს, კანონებსა და

სახელმწიფოსთან დაკავშირებულ ყველა [საკითხზე] ზრუნავს და ყველაფერს დიდი სიზუსტით აქსოვს ერთმანეთს, თუ მის ძალას ერთ სახელში მოვაქცევთ, როგორც ჩანს, ყველაზე სამართლიანი იქნება პოლიტიკის ხელოვნება ვუწოდოთ.

უმცროსი სოკრატე

აუცილებლად.

უცხოელი

ხომ არ მოვისურვებდით ახლა მის განხილვას ქსოვის ხელოვნების მაგალითზე, რადგან სახელმწიფოსთან დაკავშირებით მისი ყველა გვარი ჩვენთვის უკვე გაცხადდა?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა. [306a]

უცხოელი

მგონია, რომ სამეფო წნულზე უნდა ვილაპარაკოთ, როგორია, როგორ იწნება და რა ქსოვილს გვამღევს.

უმცროსი სოკრატე

ცხადია.

უცხოელი

როგორც ჩანს, აუცილებელი გახდა რთული საკითხის გაცხადება.

უმცროსი სოკრატე

თუმცა აუცილებლად უნდა განიმარტოს.

უცხოელი

სიქველის ნაწილი სიქველის სხვა სახისაგან გარკვეულწილად განსხვავებულია, თუმცა ამ [მოსაზრებას] კამათის მოყვარულნი ადვილად შეეწინააღმდეგებიან უმრავლესობის თვალსაზრისის გათვალისწინებით.

უმცროსი სოკრატე

ვერ გავიგე.

უცხოელი

გაგიმეორებ. ვფიქრობ, რომ სიმამაცეს[136][306b] სიქველის ერთ-ერთ ნაწილად თვლი.

უმცროსი სოკრატე

ასეა.

უცხოელი

კეთილგონიერებაც, რომელიც სიმამაცისგან განსხვავდება, იმავე [სიქველის] ერთ-ერთი ნაწილია.

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

მათთან დაკავშირებით უცნაური რამის თქმა უნდა გავბედოთ.

უმცროსი სოკრატე

რას გულისხმობ?

უცხოელი

იმას, რომ ისინი ბევრ რამეში გარკვეულწილად ერთმანეთს მტრობენ და ექიშპებიან.

უმცროსი სოკრატე

რას ამბობ?

უცხოელი

სრულიად უჩვეულო მოსაზრებაა, რადგან ამბობენ, რომ [306c] სიქველის ნაწილები ერთმანეთთან მეგობრობენ.

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

მაშ, ვნახოთ, უკეთ რომ დავაკვირდებით, ასე მარტივად არის საქმე
თუ მონათესავეთა შორის რაღაც უთანხმოება მაინც არსებობს?

უმცროსი სოკრატე

კი, თქვი, როგორ დავაკვირდეთ.

უცხოელი

ყველაფერში უნდა მოვიძიოთ ის, რასაც მშვენიერს ვუწოდებთ და ორ
ურთიერთსაპირისპირო სახედ დავადგინოთ.

უმცროსი სოკრატე

უფრო გასაგებად ილაპარაკე.

უცხოელი

არსებობს სხეულის, სულისა თუ ხმის სიმკვეთრე და სისწრაფე
[306d], ისევე როგორც მათი გამოსახულებები, რომლებსაც მუსიკა და
მხატვრობა ბაძავს. რომელიმე მათგანი ან თავად არ შეგიქია, ან
სხვათაგან არ გსმენია მათი ქება?

უმცროსი სოკრატე

როგორ არა?

უცხოელი

გახსოვს თითოეულ შემთხვევაში ამას როგორ აკეთებენ?

უმცროსი სოკრატე

საერთოდ არა.

უცხოელი

ნეტავ შევძლებდი, სიტყვებით მეჩვენებინა ის, რასაც ვფიქრობ?
[306e]

უმცროსი სოკრატე

რატომაც არა?

უცხოელი

მგონი, ეს ძალიან მარტივი გგონია. მოდი, განვიხილოთ ურთიერთსაწინააღმდეგო გვარების შემთხვევაში. ხშირად, როდესაც მოგვწონს აზროვნების, სხეულისა თუ ხმის სისწრაფე, სიძლიერე თუ სიმკვირცხლე, მის საქებრად ვიყენებთ ერთ სიტყვას – სიმამაცეს.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

პირველ [შემთხვევაში] ვამბობთ, რომ მკვეთრი და მამაცია, ან სწრაფი და მამაცი, ასევე – ძლიერი და მამაცი. და ყოველთვის, როცა ყველა დასახელებულ თვისებას საერთო სახელით მოვიხსენიებთ, მათ ვაქებთ.

უმცროსი სოკრატე

კი. [307a]

უცხოელი

განა რა? ხშირად, ბევრ სხვადასხვა შემთხვევაში, სიმშვიდის გამოვლინებასაც არ ვაქებთ?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

იქნებ, მის შესახებ საუბრისას იმის საპირისპიროს ვაცხადებთ, რაც ადრე ითქვა?

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

ყოველთვის ვამბობთ, რომ მშვიდი და კეთილგონიერია, როცა საქმე აზროვნებას ეხება; ქმედებაზე [ვაცხადებთ], რომ ნელი და რბილია; ხმა ნაზი და ღრმაა, ხოლო რიტმული მოძრაობა და [307b] მუსიკა მთლიანობაში – შესაფერისად ნელი. და ამ ყველაფრისთვის ვიყენებთ არა სიმამაცის, არამედ სინაზის აღმნიშვნელ სახელს.

უმცროსი სოკრატე

ჭეშმარიტად.

უცხოელი

როდესაც ორიდან რომელიმე მათგანი ერთ დროს ხდება, დამოკიდებულებას ვცვლით და მათ საპირისპირო სიტყვებით ვკიცხავთ.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

როდესაც რაიმე უფრო მკვეთრია, ვიდრე საჭიროა ან უფრო სწრაფი, ან უფრო უხეში, მას ძალადობრივსა და შეშლილს ვუწოდებთ, [307c] ხოლო როდესაც უფრო ნელი, მძიმე და რბილია, [ვამბობთ, რომ] მხდალი და დუნეა. და თითქმის ყოველთვის აღმოვაჩენთ, რომ კეთილგონიერი და მამაცი ბუნება ერთმანეთის საპირისპიროა, ომი და განხეთქილება აქვთ ერთიმეორესთან და არასოდეს შეერევიან ერთმანეთს თავიანთ ქმედებებში და კარგად თუ გამოვიკვლევთ, ვნახავთ, რომ ისინი, ვინც მათ სულში ატარებს, ერთმანეთისგან განსხვავებულნი არიან.

უმცროსი სოკრატე

რაში გულისხმობ [განსხვავებას]?

უცხოელი

ყველაფერში, რაც უკვე აღვნიშნეთ, და [307d] როგორც ჩანს, ბევრ სხვა რამეშიც. ვფიქრობ, ვისაც ისინი ენათესავებიან, მათ აქებენ როგორც საკუთარს და აძაგებენ მათგან განსხვავებულს, როგორც უცხოს და ბევრ [საკითხთან] დაკავშირებით ერთმანეთს დიდად ექიშპებიან.

უმცროსი სოკრატე

სავარაუდოდ.

უცხოელი

სახეებს შორის ასეთი დაპირისპირება ბავშვური [საქციელია], მაგრამ როდესაც უმნიშვნელოვანეს [საკითხებს] ეხება, მაშინ სახელმწიფოში ყველაზე ავ სნეულებად იქცევა.

უმცროსი სოკრატე

რას გულისხმობ? [307e]

უცხოელი

ყველაფერს, როგორც ჩანს, ცხოვრების მთელ მოწყობას. ის, ვინც წესრიგით გამოირჩევა, სულ მონდომებულია მშვიდი ცხოვრებით იცხოვროს, მხოლოდ თავისი [საქმე] აკეთოს. ასეთი ურთიერთობა აქვს ყველასთან, შინაც და გარეთაც. სხვა სახელმწიფოებთანაც მზად არის რაიმე გზით მშვიდობა დაამყაროს. ამ სიყვარულის გამო, რომელიც უფრო ნაკლებ დროულია, ვიდრე საჭიროა, როცა აკეთებენ იმას, რაც სურთ, ისინი შეუმჩნევლად ომის უუნარონი ხდებიან და ასეთებად აქცევენ თავიანთ ახლაგაზრდებსაც. მათ მუდამ თავს ესხმიან და არც ისე დიდი ხნის შემდეგ ისინი, მათი შვილები და მთელი [308a] სახელმწიფო, მათთვის შეუმჩნევლად მონად იქცევიან.

უმცროსი სოკრატე

მძიმე და საშინელ განსაცდელზე ამბობ.

უცხოელი

იმათზე რას იტყვი, ვინც მამაცობისკენ იხრება? მუდამ ომებისკენ ხომ არ უბიძგებენ თავიანთ სახელმწიფოებს და ასეთი ცხოვრების მიმართ საკმარისზე უფრო ძლიერი ლტოლვის გამო მტრად ხომ არ იკიდებენ ბევრ ძლიერ სახელმწიფოს, თავიანთ სამშობლოს მთლიანად ხომ არ ანადგურებენ, ან მტერს ხომ არ აპყრობინებენ და ამონებინებენ? [308b]

უმცროსი სოკრატე

ასეცაა.

უცხოელი

როგორ არ უნდა ვთქვათ, რომ ასეთ [შემთხვევებში] ამ ორივე გვარს ერთმანეთის მიმართ მუდამ დიდი მტრობა და განხეთქილება აქვს?

უმცროსი სოკრატე

სხვაგვარად ვერ ვიტყვით.

უცხოელი

ის არ აღმოვაჩინეთ, რასაც თავიდანვე ვეძებდით, რომ სიქველის არცთუ მცირე ნაწილები ბუნებით ერთმანეთისგან განსხვავდება და ერთმანეთისგან ასევე განსხვავდებიან ისინი, ვინც [ამ ნაწილებს] ფლობს?

უმცროსი სოკრატე

სავარაუდოდ.

უცხოელი

მაშ, ეს საკითხიც განვიხილოთ.

უმცროსი სოკრატე

რომელი? [308c]

უცხოელი

თუ რომელიმე შედგენილი მეცნიერება თავის ამა თუ იმ ნამუშევარს,

თუნდაც ყველაზე უმნიშვნელოს, თავისივე სურვილით შეადგენს უსარგებლო და სასარგებლო [ნაწილებისგან], და ან თუ თითოეული მეცნიერება შეძლებისდაგვარად განაგდებს უსარგებლოს, რომელთაგან ზოგი მსგავსია და ზოგი – არამსგავსი, ამ ყველაფერს ერთად უყრის თავს და ქმნის ერთ ძალასა და იდეას?

უმცროსი სოკრატე

აბა რა?

უცხოელი

მაშ, ბუნებით ჭეშმარიტი პოლიტიკის ხელოვნებაც საკუთარი სურვილით არასოდეს შეადგენს სახელმწიფოს სასარგებლო და ცუდი ადამიანებისაგან, არამედ, ცხადია, თავდაპირველად ხუმრობით გამოცდის მათ, შემდგომ კი გადასცემს მათ, ვისაც შეუძლია აღზრდა და ამ საქმის სამსახური, ხოლო თავად უხელმძღვანელებს და ბრძანებებს გასცემს, ისევე როგორც ქსოვის ხელოვნება ხელმძღვანელობს და უბრძანებს მჩეჩავებსა და ქსოვისთვის საჭირო [იარაღების] გამკეთებლებს. თითოეულ მათგანს [308e] მიუთითებს, რა უნდა გააკეთოს, მისი აზრით, ამა თუ იმ ქსოვილისთვის შესაფერისი.

უმცროსი სოკრატე

ზუსტად ასეა.

უცხოელი

ვფიქრობ, რომ მეფობის ხელოვნებას, რომელსაც თავად აქვს მეთვალყურეობის ძალა, იმ მასწავლებლებსა და აღმზრდელებს, რომლებიც კანონების შესაბამისად [მოქმედებენ], არ დართავს სწავლების ნებას, თუ [სწავლება] არ შექმნის იმ ხასიათს, რომელიც მის მიერ შექმნილ ნაზავს არ შეესაბამება. მხოლოდ ასეთი [რამეების] სწავლებას უბრძანებს. ამგვართა აღზრდის ბრძანებას მხოლოდ თავად გასცემს. ხოლო, ვინც ვერ ეზიარება მამაცის, კეთილგონიერისა და სხვა, სიქველისაკენ მიდრეკილ ხასიათს,

არამედ [309a] ცუდი ბუნების გამო უღმერთობის, ძალადობისა და უსამართლობისაკენ იხრება, მას სიკვდილით დასჯის, გადაასახლებს ან სხვა უმძიმეს სასჯელს მიუსჯის.

უმცროსი სოკრატე

ამბობენ, რომ ასეა.

უცხოელი

მათ კი, ვინც უცოდინრობასა და დიდ სიმდაბლეში იძირება, მონური გვარის უღელში აბამს.

უმცროსი სოკრატე

ჭეშმარიტებაა.

უცხოელი

სხვათაგან კი, რომელთა ბუნებაც, საკმარისი აღზრდა თუ მიიღო, კეთილშობილი [309b] ხდება და ერთმანეთს შეერევა ხელოვნების მოთხოვნების შესაბამისად, მათი, ვინც უფრო მეტად იხრება მამაცობისკენ და მტკიცე ხასიათის გამო ისეთია, როგორც ქსოვაში ქსელი და მათი, ვინც მიდრეკილია წესრიგისკენ და კვლავ შედარებას რომ მივმართოთ, გამოიყენება როგორც სქელი და რბილი ძაფის მისაქსველი, ანუ ამ ურთიერთსაპირისპიროთა ერთმანეთთან დაკავშირებას ცდილობს ისე, რომ რაიმე სახით შეკრას და მოქსოვოს.

უმცროსი სოკრატე

როგორ? [309c]

უცხოელი

ნათესაობის მიხედვით თავდაპირველად სულის მარადიულ ნაწილს ღვთაებრივს უკავშირებს, ხოლო შემდეგ ცხოველურ ნაწილს – ადამიანურს.

უმცროსი სოკრატე

ეს როგორ თქვი?

უცხოელი

მშვენიერის, სამართლიანისა და კეთილის, ასევე მათ
საპირისპიროთა შესახებ ჭეშმარიტი და დადასტურებულია
შეხედულება, რომელიც სულში იბადება, ღვთაებრივში ღვთაებრივ
გვარს წარმოშობს.

უმცროსი სოკრატე

ასე უნდა იყოს. [309d]

უცხოელი

ვიცი, რომ მხოლოდ პოლიტიკოსსა და კარგ კანონმდებელს
შეუძლია ეს ჭეშმარიტი შეხედულება მეფობის ხელოვნების მუშის
საშუალებით ჩამოუყალიბოს მათ, რომელთაც სწორად აქვთ
მიღებული განათლება და რომელთა შესახებ ახლა ვლაპარაკობდით?

უმცროსი სოკრატე

ასე ჩანს.

უცხოელი

ვისაც ასეთი რამის გაკეთება არ შეუძლია, სოკრატე, მას არასოდეს
ვუწოდებთ იმ სახელს[137], რომელსაც ახლა ვიკვლევთ.

უმცროსი სოკრატე

სავსებით მართალია.

უცხოელი

მაშ რა? როცა მამაცი სული ასეთ ჭეშმარიტებას ფლობს [309e] უფრო
თვინიერი არ ხდება და არ სურს, უფრო მეტად ეზიაროს
სამართლიანს? და როცა არ ფლობს ამ [ჭეშმარიტებას], მაშინ უფრო
მეტად არ გადაიხრება ცხოველური ბუნებისაკენ?

უმცროსი სოკრატე

როგორ არა?

უცხოელი

რას იტყვი მოწესრიგებული ბუნების შესახებ? ამ შეხედულებებს რომ გაითავისებს, ჭეშმარიტად კეთილგონიერი და მოაზროვნე არ გახდება სახელმწიფოებრივ საკითხებშიც? ხოლო თუ არ ეზიარა იმ [ცოდნას], რაზეც ახლა ვლაპარაკობთ, სავსებით დამსახურებულად სულელის სამარცხვინო სახელს არ მიიღებს?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

არ უნდა ვთქვათ, რომ ეს ნაქსოვი და კავშირი ბოროტებს, ან კეთილებსა და ბოროტებს შორის ვერასოდეს იქნება მდგრადი და, რომ ვერანაირი მეცნიერება ვერ გამოიყენებს მათ სერიოზულად ამგვარი ადამიანების გასაერთიანებლად?

უმცროსი სოკრატე

ასე როგორ? [310a]

უცხოელი

ხელოვნების ეს წამალი მხოლოდ მათთვისაა, ვინც თავიდანვე კეთილშობილი ხასიათით დაიბადა და თავისი ბუნების შესაბამისად და კანონების თანახმად იზრდებოდა, და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს არის სიქველის შემადგენელი ნაწილების ყველაზე უფრო ღვთაებრივი კავშირი, რომელიც განსხვავებულებსა და ერთმანეთის საპირისპიროთ აერთიანებს.

უმცროსი სოკრატე

სავსებით მართალია.

უცხოელი

ვინაიდან არსებობს ეს ღვთაებრივი კავშირი, სხვა, ადამიანური კავშირების გააზრება და გააზრების შემდეგ, [მათი] განხორციელება

არ არის რთული. [310b]

უმცროსი სოკრატე

როგორ და რომელ [კავშირებს გულისხმობ]?

უცხოელი

მათ, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფოში ქორწინებასა და ბავშვების შვილად აყვანას **[138]** ეხება და განსაკუთრებით კი მათ, რომლებიც ერთ სახელმწიფოში გათხოვებასა და ქორწინებებთანაა დაკავშირებული.

უმრავლესობა ხომ ბავშვების გაჩენისთვის არასწორად უკავშირდება [ერთმანეთს].

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

განა შეეცდება ვინმე გაკიცხოს ის, ვინც [ქორწინების დროს] სიმდიდრესა და ძალაუფლებას გამოეკიდება, თითქოს ეს მსჯელობად ღირდეს?

უმცროსი სოკრატე

საერთოდ არა.

უცხოელი

უფრო სამართლიანი იქნებოდა ეს გაგვეკეთებინა და გვესაუბრა იმათთან დაკავშირებით, ვინც თავის მოდგმაზე ზრუნავს, [310c] იქნებ რამეს სათანადოდ არ აკეთებს.

უმცროსი სოკრატე

როგორც ჩანს, ასეა.

უცხოელი

ისინი მართებული აზრებით კი არ მოქმედებენ, არამედ წამიერ

სიმშვიდეს ეძლევიან, თავიანთ მსგავსთ სიამოვნებით იღებენ, განსხვავებულები კი არ უყვართ და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მათ მიმართ ამ უსიამოვნო გრძნობას.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

ის ვინც მოწესრიგებულია, თავის მსგავს ხასიათს ეძებს და შეძლებისდაგვარად ასეთებზე ქორწინდება [310d], თავის [ქალიშვილებსაც] ასეთებს მიათხოვებს; ასევე იქცევა მამაცთა გვარიც, თავისნაირ ბუნებას ეძიებს, არადა ორივე გვარმა სწორედ ამის საპირისპირო უნდა გააკეთოს.

უმცროსი სოკრატე

როგორ და რატომ?

უცხოელი

იმიტომ რომ თანდაყოლილი სიმამაცე, რომელიც მრავალი თაობა კეთილგონიერებას არ შერევია. თავდაპირველად სიძლიერით ყვავის, ბოლოს კი სიშლეგედ იქცევა.

უმცროსი სოკრატე

ასეა.

უცხოელი

ხოლო მოკრძალებით მეტისმეტად სავსე სული, რომელიც არაა შერეული [310e] გამბედაობასა და მამაცობას და მრავალი თაობიდან თაობას ასე უცვლელად გადაეცემა, დროსთან ერთად დუნდება და საბოლოოდ სრულიად ხეივარი ხდება.

უმცროსი სოკრატე

როგორც ჩანს, ასე ხდება.

უცხოელი

სწორედ ამ კავშირებზე ვთქვი, რომ არ არის რთული მათი დამყარება, თუ ორივე გვარს ერთი შეხედულება ექნება სიკეთესა და სილამაზეზე. სწორედ ესაა სამეფო ქსოვის ერთადერთი საქმე, რომ არ დაუშვას გონიერი ხასიათის მამაცისგან განცალკევებულად არსებობა, არამედ ერთმანეთში გადახლართოს ერთსულოვნებით, ღირსებებითა, უღირსობებით, შეხედულებებით, დაპირებების ურთიერთგაცვლით, რომ მათგან მოქსოვოს გლუვი, და როგორც ამბობენ, კარგად ნაქსოვი [311a] ქსოვილი, რათა ორივე [გვარი] ერთად დაუშვას სახელმწიფო მმართველობაში.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

თუ ერთი მმართველია საჭირო, ისეთი ხელმძღვანელი უნდა იქნას არჩეული, რომ ეს ორივე

[თვისება] ჰქონდეს, ხოლო თუ მრავალია ასარჩევი, მაშინ [ამ თვისებების მქონეთა] თანაბრად შერევაა საჭირო, რადგან კეთილგონიერი მმართველი მეტისმეტად ფრთხილი, სამართლიანი და წინდახედულია, ხოლო გამბედაობა, სიმკვეთრე და ქმედითუნარიანობა აკლია.

უმცროსი სოკრატე

როგორც ჩანს, ასეა. [311b]

უცხოელი

მამაცებს აკლიათ სამართლიანობა და სიფრთხილე, მაგრამ ისინი საქმეებში გამბედაობით გამოირჩევიან. საერთოდ სახელმწიფოში კერძო და სახელმწიფო [საქმეები] კარგად ვერ იქნება, თუ ეს ორივე [გვარი] არ იარსებებს.

უმცროსი სოკრატე

აბა რა.

უცხოელი

ვთქვათ, რომ ესაა პოლიტიკური საქმიანობის ქსოვილის დასასრული: მეფობის ხელოვნება პირდაპირი ქსოვით ერთმანეთს აქსოვს მამაცი და კეთილგონიერი ადამიანების ხასიათს, ერთსულოვნებითა და მეგობრობით ერთმანეთთან [311c] აკავშირებს მათ ცხოვრებას და ამგვარად ქმნის დიდებულ და საუკეთესო ქსოვილს, მთელ სახელმწიფოში ყველასათვის საზიაროს, როგორც მონების ისე თავისუფალი [ადამიანებისთვის]; შემოახვევს მათ ამ ქსოვილს და ისე მართავს და ხელმძღვანელობს, რომ არაფერი დააკლოს, რაც ბედნიერ სახელმწიფოს შეეფერება.

უმცროსი სოკრატე

უცხოელო, მშვენივრად წარმოგვიდგინე მეფეც და პოლიტიკოსიც.

* * *

უცხოელი

მაშ, ახლა იმის დადგენაა აუცილებელი, [სახელმწიფო მართვის] რომელი [ფორმა] მოიცავს ადამიანების მართვის ცოდნას, რაც თითქმის ყველაზე მნიშვნელოვანი და რთულია. ეს უნდა გავიგოთ, რათა ვიპოვოთ ისინი, ვინც ბრძენი მეფისგან უნდა გაიმიჯნოს, რომლებსაც თავი მოაქვთ თითქოს პოლიტიკოსები არიან, არწმუნებენ უმრავლესობას, თუმცა საერთოდ არ არიან [ასეთები].

უმცროსი სოკრატე

ეს უნდა გავაკეთოთ, როგორც მსჯელობამ გვიკარნახა. [292e]

უცხოელი

ნუთუ ითვლება, რომ ამ ქალაქში უმრავლესობა შეიძლება ამ ცოდნას ფლობდეს?

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

და ათასკაციან ქალაქში შეიძლება, რომ ასი ან ორმოცდაათი საკმარისად ფლობდეს ამ [ცოდნას]?

უმცროსი სოკრატე

ასე რომ იყოს, ეს ყველა ხელოვნებაზე უფრო მარტივი იქნებოდა. ხომ ვიცით, რომ ათას კაცში არათუ მეფე, არამედ ამდენი შაშის კარგი მოთამაშეც კი არ მოიძებნება სხვა ბერძნულ [ქალაქებთან] შედარებით. ვისაც სამეფო ცოდნა აქვს, მიუხედავად იმისა, მართავს თუ არა, წინა [293a] მსჯელობის თანახმად, მას მეფე უნდა ეწოდოს.

უცხოელი

კარგია რომ გაგახსენდა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, სწორად მართვა ერთ, ორ, ან რამდენიმე კაცთან უნდა ვეძებოთ, თუ სწორად [მართვა საერთოდ] არსებობს.

უმცროსი სოკრატე

აბა რა?

უცხოელი

კეთილი ნებით მართავენ, თუ ნების საწინააღმდეგოდ, დაწერილი კანონებით, თუ მათ გარეშე, მდიდრები არიან თუ ღარიბები, უნდა ჩაითვალოს, როგორც შევთანხმდით, რომ მართვის რაღაც ხელოვნებით მართავენ.

ექიმებს [293b] ხომ ექიმებად მივიჩნევთ იმის მიუხედავად, ჩვენი ნებით გვკურნავენ თუ ნების საწინააღმდეგოდ, როცა რაღაცას გვაჭრიან, მოგვიწვავენ, თუ სხვა სახის ტკივილს მოგვაყენებენ, დაწერილი კანონებით [მოქმედებენ] თუ დაუწერელი, ღარიბები არიან თუ მდიდრები, მათ ექიმებს ვუწოდებთ მანამ, სანამ [ექიმობის] ხელოვნებით ხელმძღვანელობენ, წმენდენ, ასუსტებენ ან ამლიერებენ და ამგვარად მხოლოდ კარგს უკეთებენ სხეულს, რომ გააუმჯობესონ მისი მდგომარეობა [293c] და გადაარჩინონ თითოეული პაციენტი, რომელსაც მკურნალობენ. ვფიქრობ, ასე და არა სხვაგვარად მიავადექით არა მხოლოდ საექიმო, არამედ

ნებისმიერი სხვა მმართველობის სწორ განმარტებას.

უმცროსი სოკრატე

სწორედ ასეა.

უცხოელი

სახელმწიფო [მართვის ფორმათაგან], როგორც ჩანს, სწორედ ის იქნება გამორჩეულად სწორი და ერთადერთი მმართველობა, სადაც აღმოვაჩენთ ჭეშმარიტად მცოდნე მმართველს, და არა იმათ, ვინც ასეთად მხოლოდ ჩანს. ხოლო კანონებით მართავენ ისინი, თუ კანონების გარეშე, კეთილი ნებით [293d] თუ მის საწინააღმდეგოდ, ღარიბები არიან, თუ მდიდრები, ამის გათვალისწინებას არასოდეს არავისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნება.

უმცროსი სოკრატე

მშვენიერია.

უცხოელი

და თუ ისინი სიკვდილით სჯიან ან ვინმეს აძევებენ და ამგვარად წმენდენ და აუმჯობესებენ სახელმწიფოს, კოლონიებში გარეკავენ ფუტკრებივით, რომ რაოდენობა შეამცირონ, ან სხვა ქვეყნის მოქალაქეები შემოჰყავთ, რომ რაოდენობა გაზარდონ, სანამ ცოდნითა და სამართლიანობით მოქმედებენ და შეძლებისდაგვარად გადაარჩენენ და აუმჯობესებენ [სახელმწიფოს] [293e], მანამ და ამ პირობებში მას უნდა ვუწოდოთ ერთადერთი სწორი სახელმწიფო მმართველობა. სხვა [მმართველობები] კი, რაც ჩამოვთვალეთ, კანონიერი და ნამდვილი კი არაა, არამედ მხოლოდ ბაძავს მას; ისინი, რომლებსაც კეთილმოწყობილს ვუწოდებთ, კარგში ბაძავენ, ხოლო სხვები – ცუდში.

უმცროსი სოკრატე

ის, რომ კანონების გარეშე მართვაა საჭირო, მძიმე მოსასმენია, დანარჩენი კი, უცხოელო, მისაღები ჩანს.

უცხოელი

ცოტა დამასწარი შენი შეკითხვით, სოკრატე. ვაპირებდი [294a] მეკითხა, შენთვის ყველაფერი მისაღებია, თუ ნათქვამიდან რამე გაღელვებს-მეთქი.

ახლა უკვე ნათელია, რომ გვსურს კანონების გარეშე მართვის სისწორე განვიხილოთ.

უმცროსი სოკრატე

ნამდვილად ასეა.

უცხოელი

ცხადია, რომ გარკვეულწილად კანონმდებლობის ხელოვნება მეფობის ხელოვნების ნაწილია, მაგრამ ყველაზე უკეთესია, როცა ძალა კანონებს კი არ ეკუთვნის, არამედ – გონიერ მეფეს. იცი, რატომ?

უმცროსი სოკრატე

თქვი, რატომ?

უცხოელი

რადგან კანონი ვერასოდეს მოიცავს საუკეთესოს [294b] და ყველაზე სამართლიანს და ვერ დაადგენს ყველასთვის უმჯობესს.

განსხვავებებია ადამიანებსა და მათ საქმეებს შორის, ასევე ყველაფერი, რაც ადამიანს უკავშირდება, ასე ვთქვათ, არასოდესაა მშვიდად. ამიტომ, ვერასოდეს ვერანაირი ხელოვნება ვერ იქნება [გამოსადეგი] ყოველთვის და ყველაფერთან დაკავშირებით. ამაში ვთანხმდებით?

უმცროსი სოკრატე

აბა რა?

უცხოელი

კანონი კი, როგორც ვხედავთ, თითქმის ამგვარ რამეს [294c] ესწრაფვის, როგორც თავდაჯერებული და გაუნათლებელი

ადამიანი, რომელიც არავის არაფრის ნებას არ რთავს მისი ბრძანების გარეშე, არც შეკითხვის დასმის [უფლებას აძლევს] ვინმეს, მაშინაც კი, თუ სხვას რაღაც ახალი და იმაზე უკეთესი მოუვა აზრად, ვიდრე მან დაადგინა.

უმცროსი სოკრატე

ჭეშმარიტად. ზუსტად ისე გვექცევა კანონი, როგორც ახლა თქვი.

უცხოელი

ხომ შეუძლებელია, მარტივი გამოსადეგი იყოს იმ ყველაფრისთვის, რაც არაა მარტივი?

უმცროსი სოკრატე

ასე გამოდის.

უცხოელი

მაშ, რატომ არის აუცილებელი კანონშემოქმედება, თუ [294d] კანონი ყველაზე უფრო მართებული არ არის? ამის მიზეზი უნდა მოვიძიოთ.

უმცროსი სოკრატე

ასეა.

უცხოელი

ხომ არსებობს თქვენთან, ისე როგორც სხვა ქალაქებში, ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც ერთად ვარჯიშობენ სირბილში ან სხვა რაიმეში გამარჯვების მოპოვების სურვილით?

უმცროსი სოკრატე

[არსებობს] და ძალიან ბევრიც.

უცხოელი

მაშ, კვლავ გავიხსენოთ გიმნასტიკის ხელოვნებასთან დაკავშირებული ბრძანებები, რომლებსაც გასცემენ ისინი, ვისაც ამის უფლებამოსილება აქვს.

უმცროსი სოკრატე

რომელი?

უცხოელი

მათ არ მიაჩნიათ, რომ თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე დეტალურად უნდა მიუდგნენ, და მითითება გასცენ თითოეული სხეულის შესაფერისად, [294e] არამედ თვლიან, რომ უფრო უხეშად უნდა უბრძანონ ის, რაც უმრავლესობის სხეულისთვის სასარგებლოა.

უმცროსი სოკრატე

მშვენიერია.

უცხოელი

ამიტომაც ყველას თანაბრად უნაწილებენ დატვირთვას, ყველას ერთდროულად აწყებინებენ სირბილს და ასევე ერთდროულად ამთავრებინებენ. იგივე ითქმის ბრძოლასა და ყველა სხვა სახის ფიზიკურ დატვირთვაზე.

უმცროსი სოკრატე

ასეა.

უცხოელი

მაშ, უნდა ჩავთვალოთ, რომ კანონმდებელიც, რომელიც ჯოგს წინამძღოლობს სამართლიანობისა და ერთმანეთთან მოლაპარაკების საკითხებში [295a], ვერასოდეს შეძლებს ყველასთვის ერთიანად ბრძანების გაცემით, თითოეულ მათგანს მისცეს ის [მითითება], რომელიც მას შეჰფერის.

უმცროსი სოკრატე

ასე ჩანს.

უცხოელი

ვფიქრობ, უფრო მეტად უმრავლესობისთვის დაადგენს კანონს, უფრო ზოგადად – ინდივიდებისთვის, იქნება ეს წერილობითი თუ

დაუწერელი [კანონები], წინაპრების ჩვეულების თანახმად.

უმცროსი სოკრატე

მართალია.

უცხოელი

რა თქმა უნდა, მართალია. განა ოდესმე ვინმე შეძლებს, [295b] სოკრატე, რომ გვერდით ეჯდეს და თითოეულ ადამიანს ზუსტად იმას უდგენდეს, რაც მას შეეფერება? ვფიქრობ, თუ ამას შეძლებდა ვინმე, ვინც ჭეშმარიტად მიიღო მეფობის ცოდნა, ის საერთოდ არ ისურვებდა საკუთარი თავი შეეზღუდა ზეპირი კანონების წერით.

უმცროსი სოკრატე

ასეა, უცხოელო, იქიდან გამომდინარე მაინც, რაც უკვე ითქვა.

უცხოელი

და კიდევ უფრო [გასაგები] გახდება, ჩემო კარგო, იქიდან გამომდინარე, რაც აწი ითქმება.

უმცროსი სოკრატე

რომელი [ნათქვამიდან]?

უცხოელი

შემდეგი რამ: წარმოვიდგინოთ, რომ [295c] რომელიმე ექიმი ან გიმნასტიკის მწვრთნელი წასვლას აპირებს და დიდ ხანს იქნება შორს მისგან, ვისზეც ზრუნავს. თუ ჩათვლის, რომ მისი პაციენტები ან გიმნასტები ვერ დაიმახსოვრებენ მის ნათქვამს, ხომ მოისურვებს დაწეროს და ჩანაწერები მათ დაუტოვეს, არა?

უმცროსი სოკრატე

ასეა.

უცხოელი

და თუ იმაზე უფრო ადრე ჩამოვა, ვიდრე შორს ყოფნას გეგმავდა?

განა ვერ გაბედავს, რომ [მისივე] დაწერილისგან განსხვავებული რამ ურჩიოს, იქიდან გამომდინარე, რომ პაციენტი უკეთ გახდა, [295d] რადგან ქარის ან ზევსისგან გამომდინარე სხვა რაიმე [მიზეზით] მოულოდნელად და უჩვეულოდ რაღაც შეიცვალა? განა იფიქრებდა, რომ არ უნდა გადაეხვია ადრე დადგენილი კანონიდან, თავადაც არ უნდა დაედგინა სხვა და არც პაციენტს უნდა გაებედა დაწერილისგან გადახვევა, რადგან ის იყო მედიცინის [შესაბამისი] და განმკურნავი, სხვა ყველაფერი კი – ავადმყოფობის მომტანი და არასწორი? ასეთი რამ მეცნიერებასა [295e] და ჭეშმარიტ ხელოვნებაში რომ მომხდარიყო, ამგვარ კანონმდებლობას ხომ დიდად დასცინებდნენ?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა, ასეა.

უცხოელი

ვინც სამართლიანსა და უსამართლოზე, მშვენიერსა და უშნოზე, კარგსა და ცუდზე დაწერილ და დაუწერელ კანონებს ადგენს ადამიანთა ჯოგებისთვის, რომლებიც თავიანთ ქალქებში ძოვენ დაწერილი კანონების შესაბამისად, თუ სხვა მსგავსი ვინმე მოვა, დახელოვნებული კანონმდებელი, ნუთუ [მას] უფლება არ ექნება [296a] სხვისი დაწერილის საპირისპირო დაადგინოს? განა ამის აკრძალვა ნაკლებ სასაცილო იქნებოდა?

უმცროსი სოკრატე

აბა რა?

უცხოელი

იცი, ასეთ შემთხვევაში უმრავლესობა რას ამბობს?

უმცროსი სოკრატე

უცებ ვერ ვხვდები.

უცხოელი

და ძალიანაც სწორად ამბობს, რომ თუ ვინმემ ძველზე უკეთესი

კანონები იცის, მან ჯერ თავისი ქალაქ-სახელმწიფო უნდა დაარწმუნოს და იქ დანერგოს კანონები, და არა სხვაგვარად.

უმცროსი სოკრატე

და რა? მართალი არაა? [296b]

უცხოელი

შეიძლება, მაგრამ თუ ვერავინ დაარწმუნა და ძალის გამოყენებით ამკვიდრებს უკეთესს, მიპასუხე, რა ჰქვია ამ ძალადობას? თუმცა ჯერ ადრე ნათქვამზე მითხარი.

უმცროსი სოკრატე

რომელზე ამბობ?

უცხოელი

თუ რომელიმე [ექიმი] ვერ დაარწმუნებს პაციენტს, თუმცა თავისი საქმის ხელოვანია და აიძულებს ბავშვს, კაცსა თუ ქალს, რომ დაწერილის ნაცვლად გააკეთოს ის, რაც უკეთესია, რა ერქმევა ამ ძალადობას? ყველაფერი შეიძლება დაერქვას, «ხელოვნების საწინააღმდეგო და მავნებელი ცოდვის» გარდა, ხომ? და ძალადობის მსხვერპლიც ყველაფერს [296c] იტყვის იმის გარდა, რომ მოძალადე ექიმისგან მავნებლური და არაოსტატური რამ გადაიტანა.

უმცროსი სოკრატე

სრულ სიმართლეს ამბობ.

უცხოელი

პოლიტიკის ხელოვნების საწინააღმდეგო შეცოდებას რას ვეძახით? სამარცხვინოს, ბოროტსა და უსამართლოს ხომ?

უმცროსი სოკრატე

უეჭველად.

უცხოელი

თუ ვისმეს აძალევენ დაწერილი კანონებისა და ტრადიციების საპირისპიროდ გააკეთოს სხვა რამ, ადრინდელზე უფრო სამართლიანი, უკეთესი და მშვენიერი, [296d] მითხარი, ასეთი ძალადობის გაკიცხვა, ყველასთვის სასაცილო არ იქნება? რადგან ყველაფერი შეიძლება ითქვას გარდა იმისა, რომ სირცხვილი, უსამართლობა და ბოროტება დაითმინეს როდესაც მოძალადემ მათზე ძალადობა განახორციელა?

უმცროსი სოკრატე

სრულ სიმართლეს ამბობ.

უცხოელი

მაშ, თუ მოძალადე მდიდარია, ძალადობა სამართლიანია, ხოლო თუ ღარიბი – უსამართლო, ასეა? თუ რომელიმე [მმართველი] მიუხედავად იმისა, შეძლო თუ არა ვინმეს დარწმუნება, მდიდარია თუ ღარიბი, დაწერილი თუ დაუწერელი კანონების თანახმად აკეთებს რაიმე [296e] სასარგებლოს, ეს არ უნდა იყოს სახელმწიფოს სწორად მართვის ყველაზე უფრო მართებული განსაზღვრება, რომლითაც ბრძენი და ქველი ადამიანი მის ქვეშევრდომებს მართავს? ისევე როგორც გემის კაპიტანი მუდამ ხომალდისა და მეზღვაურების [297a] სარგებელზე ზრუნავს, დაწერილი კანონებით კი არა, არამედ ხელოვნებით იხსნის თანამგზავრებს. ამგვარად ამავე ხერხით სწორად უნდა იმართებოდეს სახელმწიფო მის მიერ, ვისაც შეუძლია ხელოვნება კანონებზე მეტად გააძლიეროს? და ყოველთვის ასე რომ იქცევიან, გონიერი მმართველები არ უშვებენ შეცდომას მანამ, სანამ [297b] ერთ მნიშვნელოვან [წესს] იცავენ, რომლის თანახმადაც გონებისა და ხელოვნების შესაბამისად სახელმწიფოში [ყველას ყველაფერს] ყველაზე სამართლიანად უნაწილებენ, იხსნიან მათ და უარესს, შეძლებისდაგვარად, უკეთესს ხდიან.

უმცროსი სოკრატე

შენს ნათქვამს ვერ შეეწინააღმდეგები.

უცხოელი

არც იმის საწინააღმდეგო იქნება [რამე].

უმცროსი სოკრატე

რას გულისხმობ?

უცხოელი

უმრავლესობას, ვინც არ უნდა იყოს ის, ვერასოდეს ექნება ასეთი ცოდნა და ვერ შეძლებს სახელმწიფოს გონივრულად მართვას, [297c] არამედ პატარა [ჯგუფში], უმცირესობაში ან ერთში უნდა ვეძიოთ სახელმწიფოს სწორად მართვის ერთადერთი ფორმა, დანარჩენები კი მიბადვად უნდა ჩაითვალოს, და როგორც ცოტა ხნის წინ ითქვა, ზოგიერთი უკეთესს ბაძავს, ზოგი კი – უარესს.

უმცროსი სოკრატე

რას გულისხმობ? ადრეც ვერ გავიგე მიბადვების შესახებ.

უცხოელი

სისულელე იქნებოდა, თუ ვინმე წამოიწყებდა ამგვარ მსჯელობას, შემდეგ თავს დაანებებდა, აღარ გააგრძელებდა, რომ არ აღმოეჩენა [297d] მასთან მასთან დაკავშირებული შეცდომა.

უმცროსი სოკრატე

რომელი?

უცხოელი

ეს [შეცდომა] უნდა ვეძიოთ, არც ძალიან ხშირია და არც მარტივი. უნდა შევეცადოთ მის მოხელთებას. მოდი, მითხარი: თუ სახელმწიფო მმართველობის მხოლოდ ის [ფორმაა] სწორი, რომელიც ჩვენ ავლნიშნეთ, იცი, რომ [მმართველობის სხვა ფორმებმა] უნდა გამოიყენონ თავიანთი დაწერილი კანონები, რათა გადარჩნენ და გააკეთონ ის, რასაც ახლა ვაქებთ, რაც ძალიან მართებულიც არ არის?

უმცროსი სოკრატე

რა? [297e]

უცხოელი

ის, რომ ვერც ერთმა მოქალაქემ ვერ უნდა გაბედოს
კანონსაწინააღმდეგოდ რამის ჩადენა და თუ გაბედავს, სიკვდილით
ან სხვა უკიდურესი [ფორმით] უნდა დაისაჯოს. ეს [მართვის]
ყველაზე სწორი და კარგი [ფორმაა], როგორც მეორე [არჩევანი], თუ
ვინმე პირველ ადგილას მოხსენიებულ [ფორმებს] გადაუხვევს. მაშ,
გავიაროთ, თუ როგორია [მართვის ეს ფორმა], რომელსაც მეორე
ვუწოდეთ, კარგი?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

დავუბრუნდეთ ხატებს, რომლებიც აუცილებელია მეფე-
მმართველების აღსაწერად.

უმცროსი სოკრატე

რომელ [ხატებს]?

უცხოელი

კეთილშობილი გემის კაპიტანი და ექიმი, რომელიც სხვა მრავლის
მაგივრობას გაგვიწევს. დავაკვირდეთ მათ და მათი საშუალებით
შევქმნათ გარკვეული სახე.

უმცროსი სოკრატე

რომელი?

უცხოელი

აი, ეს: წარმოვიდგინოთ, რომ მათი წყალობით ყველანი საშინლად
ვიტანჯებით.

ვისაც მოისურვებენ, რომ გადაარჩინონ, გადაარჩენენ, ისე როგორც
სხვა გადაარჩინეს. ხოლო ვისაც მოისურვებენ, რომ დაღუპონ, მას

ღუპავენ, ჭრიან, წვავენ და გადასახადებს უწესებენ, საიდანაც პაციენტზე ძალიან მცირეს ან სულაც არაფერს ხარჯავენ, დანარჩენს თავად ისინი და მათი მსახურები იყენებენ. [298b] ისეც ხდება, რომ პაციენტის ნათესავის ან რომელიმე მტრისგან მიღებული ფულადი ჯილდოს სანაცვლოდ, მათ კლავენ კიდეც. კაპიტნებიც ბევრ მსგავს რამეს აკეთებენ, რაიმე ბოროტი ჩანაფიქრით, გემის მგზავრებს უდაბურ სანაპიროებზე ტოვებენ, ზღვაში რაიმე შეცდომას უშვებენ და მათ წყალში ყრიან და სხვა სიავეებსაც ჩადიან. თუ ამ ყველაფერს გავიაზრებთ და გადავწყვეტთ, რომ ხელოვნების ამგვარ სახეებს [298c] აღარასოდეს დავანებებთ არც მონებისა და არც თავისუფალ [ადამიანთა] შეუზღუდავად მართვას, თავად შევკრებთ ან მთელ ხალხს, ან – მხოლოდ მდიდრებს, კერძო პირები იქნებიან ეს თუ სხვადასხვა ხელობის მცოდნენი და მათ ნაოსნობასა და სნეულებებთან დაკავშირებით თავიანთ აზრს ვათქმევინებთ: რომელი წამლები და სამკურნალო საშუალებები გამოვიყენოთ პაციენტებისთვის, როგორი ხომალდები [298d] და საზღვაოსნო საშუალებები ვიხმაროთ ნაოსნობის დროს საფრთხის შემთხვევაში, ქარისა და უამინდობისას, მეკობრეებს თუ გადავეყრებით; ან უნდა მიიღონ თუ არა მონაწილეობა დიდმა გემებმა მსგავს ხომალდებთან საზღვაო ბრძოლებში. რასაც უმრავლესობა ამ საკითხებზე გადაწყვეტს, მიუხედავად იმისა ამაში ექიმები, გემის კაპიტნები თუ უბრალოდ კერძო პირები მიიღებენ მონაწილეობას, [298e] დაფებსა და სვეტებზე უნდა დაიწეროს, ზოგიერთი რამ კი შემდგომში, როგორც მამაპაპური დაუწერელი ჩვეულება, დიდი ხნის განმავლობაში გამოვიყენოთ ნაოსნობაშიც და მკურნალობის დროსაც.

უმცროსი სოკრატე

ძალიან უცანაური რამე თქვი.

უცხოელი

ყოველ წელს დანიშნავენ ხალხის მმართველებს ან მდიდართაგან, ან მთელი მოსახლეობიდან, იმის მიხედვით, თუ ვის აირჩევენ

კენჭისყრით. ეს დანიშნული მმართველები კი დაწერილი კანონების შესაბამისად მართავენ, გემებს წინამძღვრობენ და პაციენტებზე იზრუნებენ.

უმცროსი სოკრატე

ეს კიდევ უფრო რთულია.

უცხოელი

ისიც ნახე, მერე რა მოხდება. მას შემდეგ, რაც თითოეულ მმართველს ერთი წლის [ვადა] გაუვა, მათ სასამართლო უნდა მოვუწყოთ, რომლის [წევრებიც] არჩეული იქნებიან კენჭისყრით ან მდიდართაგან, [299a] ან ყველა მოქალაქიდან. მათ მიუყვანენ მმართველებს და პასუხს აგებინებენ. მსურველს შეუძლია ბრალი დასდოს მათ იმაში, რომ გემს მთელი წელი არც დაწერილი კანონების თანახმად მართავდნენ და არც წინაპართა ჩვეულებებით. ზუსტად იგივე ითქმის პაციენტებზე მზრუნველებთან დაკავშირებითაც. და თუკი ბრალს დასდებენ, გადაწყდება რა სასჯელს ან რა ჯარიმას იმსახურებენ.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა, ვინც მოისურვებს თავისი ნებით ამგვარ [პირობებში] მმართველობას, [299b] სამართლიანი იქნება, რომ დაითმინოს ნებისმიერი სასჯელი.

უცხოელი

და გარდა ამისა საჭირო იქნება ისეთი კანონის შემოღება, რომ თუ ვინმე გემის მართვის, ნაოსნობის ან ჯანმრთელობასა და მედიცინასთან დაკავშირებული ჭეშმარიტების – რაც ქარს, სიცხესა და სიცივეს ეხება – კვლევას დაიწყებს დაწერილი კანონების საპირისპიროდ და ამ საკითხებთან დაკავშირებით ვითომ ცოდნას შეიძენს, უპირველეს ყოვლისა, მას ექიმს ან გემის კაპიტანს კი არ უწოდებენ, არამედ ცაში მომზირალს[130], მოლაყბესა და სოფისტს, ან ახალგაზრდების შემცდენელს, ვინაიდან მათ არწმუნებს, [299c]

რომ კაპიტნობას და ექიმობას მიუდგნენ არა კანონების შესაბამისად, არამედ თვითნებურად მართონ გემები და ავადმყოფები. ნებისმიერი მსურველი შეძლებს მას ბრალი წაუყენოს სასამართლოში, რადგან კანონებისა და დაწერილი წესების საწინააღმდეგო ცოდნით არწმუნებს ახალგაზრდებსა თუ ასაკოვნებს, უკიდურესი [ფორმით] უნდა დაისაჯოს. არაფერი უნდა იყოს კანონზე უფრო ბრძნული, არავინ უნდა უგულებელყოს მედიცინა და ჯანმრთელობა, გემის კაპიტნობა, ნაოსნობა, ვინაიდან მსურველს შეუძლია ისწავლოს [299d] დაწერილი კანონებითა და მამა-პაპური ჩვეულებებით. სოკრატე, თუ ეს, რასაც ვამბობთ, მოხდებოდა სხვა სახის ცოდნასთან დაკავშირებით, როგორიცაა მხედართმთავრობა, ნებისმიერი სახის ნადირობა, მხატვრობა, ბადვის ხელოვნების ნებისმიერი ნაწილი, მშენებლობა, ხელსაწყოების დამზადება, მიწათმოქმედება და ნებისმიერი სახის მემცენარეობა, მეცხენეობა და ეს ყველაფერი რომ დაწერილი წესების შესაბამისად ხდებოდეს, ჯოგებზე ზრუნვა, მისნობა, ნებისმიერი სახის მომსახურება, [299e] შაშის თამაში და მთელი არითმეტიკა, სუფთა სახით იქნება ის თუ ზედაპირის, სიღრმისა და სიჩქარის გაზომვასთან დაკავშირებით, ეს ყველაფერი ასე რომ ხდებოდეს, დაწერილი კანონების და არა ხელოვნების მოთხოვნების შესაბამისად, რა გამოვიდოდა?

უმცროსი სოკრატე

ცხადია, რომ ყველა ხელოვნება მთლიანად მოისპობოდა და თავიდან აღარასოდეს წარმოიშობოდა, რადგან მის კვლევა-ძიებას კანონი აკრძალავდა, ამგვარად, სიცოცხლე, რომელიც ახლაც რთულია, მაშინ საერთოდ აუტანელი გახდებოდა. [300a]

უცხოელი

და ამაზე რას იტყვი, თუ ყველაფერი, რაც ითქვა, უნდა მომხდარიყო დაწერილი კანონების შესაბამისად და მათ დამცველად ვინმე ხმის მიცემით ან კენჭისყრით არჩეული რომ დაგვედგინა, მას კი არად ჩაეგდო დაწერილი და სარგებლის ან ვინმეს გულის მოგების გამო, მის საწინააღმდეგოდ მოქცეულიყო, ყოველგვარი ცოდნის გარეშე.

განა ეს წინანდელზე უფრო დიდი ბოროტება არ იქნებოდა?

უმცროსი სოკრატე

ჭეშმარიტად. [300b]

უცხოელი

ვფიქრობ, თუ ვინმე გაბედავდა და უმრავლესობას დაარწმუნებდა, რომ ხანგრძლივ გამოცდილებასა და კეთილი მრჩევლების რჩევებზე დაფუძნებული კანონების საწინააღმდეგოდ მოქცეულიყო, იმ შეცდომაზე უფრო ბევრად დიდ შეცდომას დაუშვებდა და უფრო მეტად აურევდა ყველაფერს, ვიდრე დაწერილი კანონები.

უმცროსი სოკრატე

როგორ არ მოხდებოდა ასე? [300c]

უცხოელი

ამის გამო, ვინც კანონებსა და დაწერილ წესებს ადგენს, მეორე რიგში იმაზე უნდა [იზრუნოს], რომ მათ საწინააღმდეგოდ არც ერთს და არც მრავალს არასოდეს არაფერი გააკეთებინოს.

უმცროსი სოკრატე

მართალია.

უცხოელი

განა თითოეული ეს [კანონი] ჭეშმარიტების მიბაძვა არაა, რომელიც შეძლებისდაგვარად მცოდნე ადამიანის მიერაა დაწერილი?

უმცროსი სოკრატე

როგორ არა?

უცხოელი

ხომ ვთქვით, თუ გახსოვს, ვთქვით, რომ ჭეშმარიტად პოლიტიკოსი თავის საქმიანობაში ყველაფერს ხელოვნების შესაბამისად აკეთებს და არ ზრუნავს დაწერილ კანონებზე, რადგან [300d] შეიძლება

მიიჩნის, რომ სხვა რამე უკეთესია, ვიდრე თავად მის მიერ
დაწერილი და შორს მყოფთათვის გაგზავნილი [წესი].

უმცროსი სოკრატე

ასე ვთქვით.

უცხოელი

ე. ი. თუ რომელიმე ადამიანი ან [ადამიანთა] ჯგუფი, რომელსაც
კანონების დაწესება მოუხდა, მათ საწინააღმდეგოდ მოიქცევა,
რადგან სხვა [კანონი] უკეთესია, ის დაახლოებით ისე არ მოიქცევა,
როგორც ჭეშმარიტად პოლიტიკოსი?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

მაშ, თუ ის, ვინც ასე იქცევა, უცოდინარია, როდესაც ჭეშმარიტის
მიზიდვას ცდილობს, ძალიან ცუდად არ ბაძავს? [300e] და თუ
მცოდნეა, ეს ხომ მიზიდვა აღარაა, არამედ – თავად ჭეშმარიტება?

უმცროსი სოკრატე

სწორედ ასეა.

უცხოელი

და ადრე ხომ ვაღიარეთ, რომ ბრბო ვერანაირად ვერ ფლობს
ხელოვნებას.

უმცროსი სოკრატე

ასე შევთანხმდით.

უცხოელი

თუ არსებობს მეფის რაიმე ხელოვნება, ვერც მდიდართა ბრბო და
ვერც მთელი ხალხი ვერასოდეს დაეუფლება პოლიტიკის ამ ცოდნას.

უმცროსი სოკრატე

როგორ [შეძლებს]?

უცხოელი

როგორც ჩანს, ასეთმა სახელმწიფოებმა, თუ სურთ, [301a] რომ რაც შეიძლება უკეთ მიზამონ ჭეშმარიტ სახელმწიფო მმართველობას, რომელსაც ერთი დახელოვნებული [პირი] ახორციელებს, არასოდეს არაფერი უნდა გააკეთონ დაწერილი კანონებისა და მამა-პაპური ჩვეულების წინააღმდეგ.

უმცროსი სოკრატე

შესანიშნავად თქვი.

უცხოელი

როდესაც მმართველობის ამგვარ [ფორმას] მდიდრები ბამბვენ, მას არისტოკრატიას ვუწოდებთ, ხოლო როდესაც კანონებზე არ ზრუნავენ – ოლიგარქიას.

უმცროსი სოკრატე

სავარაუდოდ.

უცხოელი

როდესაც ერთი [პირი] მართავს კანონების თანახმად და ბამბვენს მცოდნეს, [301b] მას მეფეს ვუწოდებთ და სახელით აღარ ვარჩევთ, იმის მიხედვით ცოდნით და კანონების შესაბამისად მართავს, თუ მხოლოდ თავისი შეხედულებით.

უმცროსი სოკრატე

ჩანს, ასეა.

უცხოელი

მაშ, როდესაც ჭეშმარიტად მცოდნე ერთპიროვნულად მართავს, მას ყოველთვის მეფე ეწოდება და არა სხვა რამ. ამის გამო ის ხუთი სახელი, რომელიც სახელმწიფო მმართველობის ფორმებს ვუწოდეთ, ერთად იქცევა.**[131]**

უმცროსი სოკრატე

ასე ჩანს.

უცხოელი

ხოლო როდესაც ერთპიროვნულად მმართველი არც კანონების, არც ჩვეულებების შესაბამისად არ იქცევა, [301c] ვითომც საქმის მცოდნეს თავი მოაქვს, თითქოს დაწერილი კანონების საწინააღმდეგოდ უკეთესად მოქმედებს, არადა მართვისას თავისი ვნებითა და უცოდინრობით ბაძავს, განა მას და ყველა მისნაირს ტირანი არ უნდა ვუწოდოთ?

უმცროსი სოკრატე

აბა რა?

უცხოელი

როგორც აღვნიშნეთ, ასე წარმოიშვა ტირანი და მეფე, ოლიგარქია, არისტოკრატია და დემოკრატია, ვინაიდან ადამიანები უკმაყოფილონი იყვნენ ერთი მონარქით, არ სჯეროდათ, რომ ერთი ვინმე იქნებოდა ამგვარი მმართველობის ღირსი, [301d] რომ ენდომებოდა და შეძლებდა სიქველითა და ცოდნით მართვას, სამართლიანად და სწორად თითოეულისთვის [მისი] შესაფერისის მიგებას, არამედ ისინი სპობენ, ხოცავენ და სიავეს უკეთებენ ყველას, ვისაც მოისურვებენ. თუ იარსებებდა ისეთი [მმართველი], როგორსაც აღვწერთ, იგი ეყვარებოდათ და მის სწორ და ზუსტ ერთპიროვნულ მმართველობაში ბედნიერად იცხოვრებდნენ.

უმცროსი სოკრატე

სავარაუდოდ.

უცხოელი

ახლა კი, როცა ასეთი მეფე, [301e] როგორსაც აღვწერთ, სახელმწიფოებში არ იბადება ისე, როგორიც ფუტკართა ოჯახში, ანუ თავიდანვე გამორჩეულია სხეულითა და სულით, ერთად უნდა

შევიკრიბოთ, დადგენილებები ვწეროთ, და როგორც ჩანს, ყველაზე სწორი სახელმწიფო მმართველობის გზას დავადგეთ.

უმცროსი სოკრატე

ასე ჩანს.

უცხოელი

განა გვიკვირს, სოკრატე, ის სიავე, რაც ხდება და რაც მოხდება ამგვარ სახელმწიფო მმართველობაში, რომელსაც ისეთი საფუძველი აქვს, რომ დაწერილი კანონებისა და ჩვეულებების შესაბამისად კეთდება [ყველაფერი] და არა – ცოდნის. [302a] ყველასათვის ცხადი არაა, რომ სხვა სახის [ხელოვნებაც] ასე რომ ემოქმედა, თავადვე მოსპობდა ყველაფერს, რასაც შექმნიდა? ის უფრო არ უნდა გვიკვირდეს, რამდენად ძლიერია სახელმწიფო თავისი ბუნებით? ასეთ რამეებს უსაზღვროდ დიდხანს ითმენენ სახელმწიფოები. ზოგიერთი მათგანი მდგრადია და არაფერი ემართება, ხოლო ბევრი – დიდ ტალღებში მოხვედრილი ხომალდისვით ნადგურდება, უკვე განადგურდა ან მომავალში განადგურდება მათი კაპიტნებისა და მეზღვაურების უუნარობის გამო, რომელთაც უმნიშვნელოვანეს საკითხებზე არავითარი ცოდნა არ გააჩნიათ [302b], არაფერი გაეგებათ პოლიტიკის ხელოვნებისა, მაგრამ ჰგონიათ, რომ ყველა მეცნიერებას შორის ყველაზე უკეთ მას ფლობენ.

უმცროსი სოკრატე

სრული ჭეშმარიტებაა.

უცხოელი

ამ სახელმწიფო მმართველობების არასწორი ფორმებიდან რომელ [მმართველობაში] ცხოვრებაა ნაკლებ რთული, თუმცაღა ყველა რთულია, და რომელია ყველაზე მძიმე? ეს საკითხიც ხომ როგორღაც უნდა განვიხილოთ, თუმცა მეორეხარისხოვანია იმასთან შედარებით, რაზეც ვმსჯელობთ?

მთლიანობაში კი სწორედ მისი გულისთვის ვაკეთებთ ყველაფერს.

უმცროსი სოკრატე

როგორ არ უნდა [განვიხილოთ]? [302c]

უცხოელი

მაშ, შეიძლება თქვა, რომ [სახელმწიფო მმართველობის] სამი [ფორმიდან] ერთი ყველაზე რთული და იმავდროულად ყველაზე მარტივია.

უმცროსი სოკრატე

რას ამბობ?

უცხოელი

სხვას არაფერს ვამბობ, გარდა იმისა, რომ მონარქია, უმცირესობის და უმრავლესობის მმართველობა – ეს სამი მოვიხსენიეთ საუბრის დასაწყისში, რომელიც ძალიან გაგვიფართოვდა.

უმცროსი სოკრატე

სწორედ ისინი [ვახსენეთ].

უცხოელი

[მმართველობის] თითოეული [ფორმა] ორად გავყოთ და ასე მივიღოთ ექვსი, ხოლო სწორი [ფორმა] მათგან მეშვიდედ გამოვყოთ.

უმცროსი სოკრატე

როგორ? [302d]

უცხოელი

მონარქიიდან სამეფო ხელოვნება და ტირანია გამოვყავით, უმცირესობის მმართველობიდან – არისტოკრატია, რომელზეც ვთქვით, რომ კარგად ჟღერს, და ოლიგარქია, უმრავლესობის მმართველობას კი ერთი მარტივი სახელი – დემოკრატია – ვუწოდეთ და ისიც ორმაგად უნდა ჩავთვალოთ.

უმცროსი სოკრატე

ის როგორღა უნდა დაიყოს?

უცხოელი

ისე, როგორც სხვები, და არა განსხვავებულად. თავად მისი სახელიც ხომ ორმაგია. [302e] კანონების შესაბამისად ან მათ გარეშე ცხოვრება [დემოკრატიის] პირობებშიც შეიძლება და სხვა [მმართველობის] დროსაც.

უმცროსი სოკრატე

ასეა.

უცხოელი

მაშინ, როდესაც [მმართველობის] სწორ ფორმას ვეძებდით, ეს დაყოფა გამოსადეგი არ იყო, როგორც უკვე გამოჩნდა, მას შემდეგ კი, რაც ეს გამოვყავით და სხვები კი [მმართველობის] აუცილებელ ფორმებად დავადგინეთ, თითოეული მათგანი ორად გაიყო კანონიერისა და უკანონოს საფუძველზე.

უმცროსი სოკრატე

იქიდან გამომდინარე, რაც ითქვა, ასეა.

უცხოელი

მონარქია უკავშირდება კარგად დაწერილ წესებს, რომლებსაც კანონებს ვუწოდებთ და [მმართველობის] ექვსი [ფორმიდან] საუკეთესოა. უკანონო ცხოვრება კი რთული და მძიმეა. [303a]

უმცროსი სოკრატე

სავარაუდოდ.

უცხოელი

უმცირესობის მმართველობა, რადგან ის გულისხმობს ერთსა და მრავალს შუა [არსებულ] რიცხვს, ამ ორს შორის საშუალოდ ჩავთვალოთ. რაც შეეხება უმრავლესობის მმართველობას, ის ყველაფერში სუსტია და სხვებთან შედარებით არც სიკეთის არც

ბოროტების დიდი ძალა არ აქვს, ვინაიდან მასში მთელი ძალაუფლება პატარ-პატარა მოცულობით ბევრს აქვს გადანაწილებული. ამიტომ თუ მმართველობა კანონზეა დამყარებული, ყველაზე ცუდია, ხოლო თუ უკანონოა – მაშინ საუკეთესო. [303b] და თუ ყველაფერი მიშვებულია, მაშინ ცხოვრება უმჯობესია დემოკრატიის პირობებში, ხოლო თუ მოწესრიგებულია, მაშინ მასში ცხოვრება ყველაზე მძიმეა. მმართველობის პირველი ფორმა უპირველესი და საუკეთესოა, თუ არ ჩავთვლით მეშვიდეს, რომელიც მმართველობის ყველა სხვა ფორმიდან ცალკე უნდა გამოიყოს, ისე როგორც ღმერთი – ადამიანებისგან.

უმცროსი სოკრატე

როგორც ჩანს ასეა, ასე ხდება და ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც ამბობ.

უცხოელი

აგრეთვე ყველა ის, ვინც მმართველობაში მონაწილეობს, [303c] საქმის მცოდნის გარდა, უნდა გაიმიჯნოს არა როგორც ჭეშმარიტად პოლიტიკოსი, არამედ როგორც ამრევი და უდიდესი მოჩვენებების დამცველი, რომელიც თავადაც მოჩვენება ხდება, დიდი მიმზამველი და თაღლითია და სოფისტებს შორის უდიდეს სოფისტად იქცევა[132].

უმცროსი სოკრატე

ამ სიტყვებით ძალიან სწორად დაახასიათე ვითომ პოლიტიკოსები.

უცხოელი

იყოს ასე. ჩვენთვის ეს ნამდვილი დრამაა, როგორც წედან ვთქვით, კენტავრებისა და სატირების ხმაურიან დასს ვხედავთ, [303d] რომელიც პოლიტიკის ხელოვნებიდან უნდა გამოიყოს.[133] ძლივს, მაგრამ [მაინც] გამოვყავით.

უმცროსი სოკრატე

ასე ჩანს.

უცხოელი

კიდევ ერთი გვარი რჩება, რომლის გამოყოფაც უფრო რთულია, რადგან უფრო მეტად ჰგავს სამეფო ხელოვნებას და უფრო ძნელად გასაგებია. მეჩვენება, რომ იმავეს განვიცდით, რასაც ის, ვინც ოქროს წმენდს.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

ისინიც თავდაპირველად მიწას, ქვებსა და სხვა მსგავს რამეებს აშორებენ, შემდეგ [303e] ოქროსთან შერეული და მისი მსგავსი ძვირფასი [ნივთიერებები] რჩება – სპილენძი და ვერცხლი, ხანდახან ანდამატიც, რომლებიც მხოლოდ ცეცხლით გამოიყოფა დიდი წვალეების შედეგად. მხოლოდ ამის შემდეგ ვიხილავთ სუფთა ოქროს როგორც ასეთს.

უმცროსი სოკრატე

ამბობენ, რომ ეს სწორედ ასე ხდება.

უცხოელი

როგორც ჩანს ამავე [გზით] უნდა გამოვყოთ პოლიტიკის ცოდნიდან ყველაფერი განსხვავებული, უცხო და მტრული და დავტოვოთ მხოლოდ ღირებული და მონათესავე. ესენია მხედართმთავრის, სასამართლო და [304a] რიტორიკის ხელოვნება[134], რომელიც სამეფო ხელოვნებას უკავშირდება, სიმართლეში არწმუნებს და სახელმწიფოს მართვაში ეხმარება.[135] მაშ, რა გზით გამოვყოთ ცალკე ის, რასაც ვიკვლევთ ისე, რომ შიშვლად და თავისი თავის იგივეობრივად წარმოჩნდეს?

უმცროსი სოკრატე

ცხადია, რომ როგორღაც უნდა ვცადოთ ამის გაკეთება.

უცხოელი

ვცადოთ და გამოჩნდება. მისი გამოვლენა მუსიკის მეშვეობით
ვცადოთ. მოდი, მითხარი...

უმცროსი სოკრატე

რა? [304b]

უცხოელი

არსებობს მუსიკის სწავლება ისევე, როგორც სხვა მეცნიერებანი,
რომელნიც ხელის ოსტატობასთანაა კავშირში?

უმცროსი სოკრატე

არსებობს.

უცხოელი

და ამაზე რაღას ვიტყვით: არსებობს სხვა მეცნიერება, რომელიც მათ
უკავშირდება და გვეუბნება, საჭიროა თუ არა მათი შესწავლა?

უმცროსი სოკრატე

ვიტყვით, რომ არსებობს.

უცხოელი

ვადიარებთ, რომ ის სხვა [მეცნიერებათაგან] განსხვავებულია?

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

მათგან არც ერთი [მეცნიერება] არ უნდა მართავდეს მეორეს, [304c]
ისინი უნდა მართავდნენ ამას, თუ ეს უნდა მფარველობდეს და
მართავდეს ყველა სხვას?

უმცროსი სოკრატე

ეს [უნდა მართავდეს] სხვებს.

უცხოელი

მაშ, ფიქრობ, რომ ის [მეცნიერება], რომელიც ადგენს, საჭიროა თუ არა სხვა [მეცნიერებების] შესწავლა უნდა მართავდეს იმათ, რაც ისწავლება და რასაც ასწავლიან?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

და ის [მეცნიერება, რომელიც წარმოაჩენს], საჭიროა თუ არა დარწმუნება [უნდა მართავდეს] იმას, რომელსაც შეუძლია დარწმუნება?

უმცროსი სოკრატე

აბა რა?

უცხოელი

დაე, იყოს ასე. რომელ მეცნიერებას მივაკუთვნებთ უმრავლესობისა და ბრბოს დარწმუნებას [304d] ამბების მოყოლით, და არა სწავლებით?

უმცროსი სოკრატე

ვფიქრობ, აშკარაა, რომ ის რიტორიკას უნდა მივაკუთვნოთ.

უცხოელი

და რომელი მეცნიერება განვსაზღვროთ იმისთვის, რომ დაადგინოს ვინმეს დარწმუნება საჭირო, ძალის გამოყენება თუ უმოქმედობა?

უმცროსი სოკრატე

ის, რომელიც დარწმუნებისა და საუბრის ხელოვნებას განაგებს.

უცხოელი

ვფიქრობ, სხვა არაფერი იქნება, თუ არა პოლიტიკოსის ძალა.

უმცროსი სოკრატე

მშვენივრად თქვი.

უცხოელი

როგორც ჩანს, რიტორიკა სწრაფად განცალკევდა პოლიტიკის ხელოვნებიდან, [304e] როგორც განსხვავებული სახე, რომელიც მას ემსახურება.

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

ასეთი ძალის შესახებ რა უნდა ვიფიქროთ?

უმცროსი სოკრატე რომელი [ძალის შესახებ]?

უცხოელი

რომელიც ადგენს, როგორ უნდა ვებრძოლოთ იმას, ვისთან ბრძოლაც გადაწყვეტით. მასაც აქვს კავშირი ხელოვნებასთან, თუ არა?

უმცროსი სოკრატე

როგორ ვიფიქრებთ, რომ ხელოვნებასთან კავშირი არა აქვს მაშინ, როცა მას მხედართმთავრობა და მთელი სამხედრო საქმე მიმართავს?

უცხოელი

და [ხელოვნებას], რომელმაც იცის და რჩევას იძლევა, ომია საჭირო თუ დაზავება, იმავედ ჩავთვლით თუ განსხვავებულად?

უმცროსი სოკრატე

ადრე ნათქვამს თუ გავითვალისწინებთ, განსხვავებულად უნდა ჩავთვალოთ. [305a]

უცხოელი

თუ ისევე ვიმსჯელებთ, როგორც ადრე, აღმოვაჩენთ, რომ ეს მართავს სხვას.

უმცროსი სოკრატე

ვთქვათ.

უცხოელი

სხვა რომელ ხელოვნებას დავასახელებთ ამ საოცარი და დიდი –
საომარი ხელოვნების ბატონად, თუ არა ჭეშმარიტად სამეფო
ხელოვნებას?

უმცროსი სოკრატე

არც ერთ სხვას.

უცხოელი

მაშასადამე, მხედართმთავრობის ცოდნას პოლიტიკის ხელოვნებად
არ დავადგენთ, ვინაიდან მას ემსახურება.

უმცროსი სოკრატე

არ შეეფერება. [305b]

უცხოელი

მოდით, იმ მოსამართლეთა ძალაც განვიხილოთ, ვინც სწორად
მართავს სასამართლოს.

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

რა შეუძლია ამ ძალას იმაზე მეტი, რომ ურთიერთვალდებულებების
განსჯისას, კანონმდებელი მეფისგან მიიღოს კანონები და მათ
საფუძველზე გადაწყვიტოს, რა არის სამართლიანი და რა –
უსამართლო? ხოლო თავად მისი სიქველე იმაში გამოიხატება, რომ
არც საჩუქრების, არც შიშის, არც თანაგრძნობის, [305c] არც მტრობის
ან მეგობრობის გამო არ მოისურვებს კანონმდებლის მიერ
დადგენილი წესრიგის დარღვევას, ურთიერთბრალდებების
[მოსმენისას].

უმცროსი სოკრატე

სხვა არაფერი. თითქმის ისაა ამ ძალის საქმე, რაც თქვი.

უცხოელი

მაშ, აღმოვაჩინეთ, რომ მოსამართლეების ძალა მეფური კი არ არის, არამედ ამ უკანასკნელის მსახური და კანონების დამცველია.

უმცროსი სოკრატე

ასე ჩანს.

უცხოელი

უნდა გავიაზროთ, რომ მას შემდეგ, რაც განვიხილეთ ყველა მეცნიერება, არც ერთი არ აღმოჩნდა პოლიტიკის ხელოვნება. [305d] ჭეშმარიტად მეფობის ხელოვნება თავად კი არ უნდა მოქმედებდეს, არამედ უნდა მართავდეს სხვა [ხელოვნებებს], რომლებსაც მოქმედება შეუძლია. ვინაიდან იცის სახელმწიფოში მნიშვნელოვანი [საქმეების] წამოწყებისა და განხორციელებისთვის როდისაა ხელსაყრელი და არახელსაყრელი დრო, სხვებმა ის უნდა გააკეთონ, რასაც უბრძანებს.

უმცროსი სოკრატე

მართალია.

უცხოელი

ამიტომ, ის ხელოვნებები, რომლებსაც ახლახან შევეხეთ, არც ერთმანეთს მართავს და არც – საკუთარ თავს. თითოეული მათგანი თავის საქმეს აკეთებს და მისი თავისებურებიდან გამომდინარე სამართლიანად ატარებს საკუთარ სახელს. [305e]

უმცროსი სოკრატე

ყოველ შემთხვევაში ასე ჩანს.

უცხოელი

მას კი, რომელიც ყველა [ხელოვნებას] მართავს, კანონებსა და

სახელმწიფოსთან დაკავშირებულ ყველა [საკითხზე] ზრუნავს და ყველაფერს დიდი სიზუსტით აქსოვს ერთმანეთს, თუ მის ძალას ერთ სახელში მოვაქცევთ, როგორც ჩანს, ყველაზე სამართლიანი იქნება პოლიტიკის ხელოვნება ვუწოდოთ.

უმცროსი სოკრატე

აუცილებლად.

უცხოელი

ხომ არ მოვისურვებდით ახლა მის განხილვას ქსოვის ხელოვნების მაგალითზე, რადგან სახელმწიფოსთან დაკავშირებით მისი ყველა გვარი ჩვენთვის უკვე გაცხადდა?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა. [306a]

უცხოელი

მგონია, რომ სამეფო წნულზე უნდა ვილაპარაკოთ, როგორია, როგორ იწნება და რა ქსოვილს გვაძლევს.

უმცროსი სოკრატე

ცხადია.

უცხოელი

როგორც ჩანს, აუცილებელი გახდა რთული საკითხის გაცხადება.

უმცროსი სოკრატე

თუმცა აუცილებლად უნდა განიმარტოს.

უცხოელი

სიქველის ნაწილი სიქველის სხვა სახისაგან გარკვეულწილად განსხვავებულია, თუმცა ამ [მოსაზრებას] კამათის მოყვარულნი ადვილად შეეწინააღმდეგებიან უმრავლესობის თვალსაზრისის გათვალისწინებით.

უმცროსი სოკრატე

ვერ გავიგე.

უცხოელი

გაგიმეორებ. ვფიქრობ, რომ სიმამაცეს **[136]** [306b] სიქველის ერთ-ერთ ნაწილად თვლი.

უმცროსი სოკრატე

ასეა.

უცხოელი

კეთილგონიერებაც, რომელიც სიმამაცისგან განსხვავდება, იმავე [სიქველის] ერთ-ერთი ნაწილია.

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

მათთან დაკავშირებით უცნაური რამის თქმა უნდა გავბედოთ.

უმცროსი სოკრატე

რას გულისხმობ?

უცხოელი

იმას, რომ ისინი ბევრ რამეში გარკვეულწილად ერთმანეთს მტრობენ და ექიშპებიან.

უმცროსი სოკრატე

რას ამბობ?

უცხოელი

სრულიად უჩვეულო მოსაზრებაა, რადგან ამბობენ, რომ [306c] სიქველის ნაწილები ერთმანეთთან მეგობრობენ.

უმცროსი სოკრატე

კი.

უცხოელი

მაშ, ვნახოთ, უკეთ რომ დავაკვირდებით, ასე მარტივად არის საქმე
თუ მონათესავეთა შორის რაღაც უთანხმოება მაინც არსებობს?

უმცროსი სოკრატე

კი, თქვი, როგორ დავაკვირდეთ.

უცხოელი

ყველაფერში უნდა მოვიძიოთ ის, რასაც მშვენიერს ვუწოდებთ და ორ
ურთიერთსაპირისპირო სახედ დავადგინოთ.

უმცროსი სოკრატე

უფრო გასაგებად ილაპარაკე.

უცხოელი

არსებობს სხეულის, სულისა თუ ხმის სიმკვეთრე და სისწრაფე
[306d], ისევე როგორც მათი გამოსახულებები, რომლებსაც მუსიკა და
მხატვრობა ბაძავს. რომელიმე მათგანი ან თავად არ შეგიქია, ან
სხვათაგან არ გსმენია მათი ქება?

უმცროსი სოკრატე

როგორ არა?

უცხოელი

გახსოვს თითოეულ შემთხვევაში ამას როგორ აკეთებენ?

უმცროსი სოკრატე

საერთოდ არა.

უცხოელი

ნეტავ შევძლებდი, სიტყვებით მეჩვენებინა ის, რასაც ვფიქრობ?
[306e]

უმცროსი სოკრატე

რატომაც არა?

უცხოელი

მგონი, ეს ძალიან მარტივი გგონია. მოდი, განვიხილოთ ურთიერთსაწინააღმდეგო გვარების შემთხვევაში. ხშირად, როდესაც მოგვწონს აზროვნების, სხეულისა თუ ხმის სისწრაფე, სიძლიერე თუ სიმკვირცხლე, მის საქებრად ვიყენებთ ერთ სიტყვას – სიმამაცეს.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

პირველ [შემთხვევაში] ვამბობთ, რომ მკვეთრი და მამაცია, ან სწრაფი და მამაცი, ასევე – ძლიერი და მამაცი. და ყოველთვის, როცა ყველა დასახელებულ თვისებას საერთო სახელით მოვიხსენიებთ, მათ ვაქებთ.

უმცროსი სოკრატე

კი. [307a]

უცხოელი

განა რა? ხშირად, ბევრ სხვადასხვა შემთხვევაში, სიმშვიდის გამოვლინებასაც არ ვაქებთ?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

იქნებ, მის შესახებ საუბრისას იმის საპირისპიროს ვაცხადებთ, რაც ადრე ითქვა?

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

ყოველთვის ვამბობთ, რომ მშვიდი და კეთილგონიერია, როცა საქმე აზროვნებას ეხება; ქმედებაზე [ვაცხადებთ], რომ ნელი და რბილია; ხმა ნაზი და ღრმაა, ხოლო რიტმული მოძრაობა და [307b] მუსიკა მთლიანობაში – შესაფერისად ნელი. და ამ ყველაფრისთვის ვიყენებთ არა სიმამაცის, არამედ სინაზის აღმნიშვნელ სახელს.

უმცროსი სოკრატე

ჭეშმარიტად.

უცხოელი

როდესაც ორიდან რომელიმე მათგანი ერთ დროს ხდება, დამოკიდებულებას ვცვლით და მათ საპირისპირო სიტყვებით ვკიცხავთ.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

როდესაც რაიმე უფრო მკვეთრია, ვიდრე საჭიროა ან უფრო სწრაფი, ან უფრო უხეში, მას ძალადობრივსა და შეშლილს ვუწოდებთ, [307c] ხოლო როდესაც უფრო ნელი, მძიმე და რბილია, [ვამბობთ, რომ] მხდალი და დუნეა. და თითქმის ყოველთვის აღმოვაჩენთ, რომ კეთილგონიერი და მამაცი ბუნება ერთმანეთის საპირისპიროა, ომი და განხეთქილება აქვთ ერთიმეორესთან და არასოდეს შეერევიან ერთმანეთს თავიანთ ქმედებებში და კარგად თუ გამოვიკვლევთ, ვნახავთ, რომ ისინი, ვინც მათ სულში ატარებს, ერთმანეთისგან განსხვავებულნი არიან.

უმცროსი სოკრატე

რაში გულისხმობ [განსხვავებას]?

უცხოელი

ყველაფერში, რაც უკვე აღვნიშნეთ, და [307d] როგორც ჩანს, ბევრ სხვა რამეშიც. ვფიქრობ, ვისაც ისინი ენათესავებიან, მათ აქებენ როგორც საკუთარს და აძაგებენ მათგან განსხვავებულს, როგორც უცხოს და ბევრ [საკითხთან] დაკავშირებით ერთმანეთს დიდად ექიშპებიან.

უმცროსი სოკრატე

სავარაუდოდ.

უცხოელი

სახეებს შორის ასეთი დაპირისპირება ბავშვური [საქციელია], მაგრამ როდესაც უმნიშვნელოვანეს [საკითხებს] ეხება, მაშინ სახელმწიფოში ყველაზე ავ სნეულებად იქცევა.

უმცროსი სოკრატე

რას გულისხმობ? [307e]

უცხოელი

ყველაფერს, როგორც ჩანს, ცხოვრების მთელ მოწყობას. ის, ვინც წესრიგით გამოირჩევა, სულ მონდომებულია მშვიდი ცხოვრებით იცხოვროს, მხოლოდ თავისი [საქმე] აკეთოს. ასეთი ურთიერთობა აქვს ყველასთან, შინაც და გარეთაც. სხვა სახელმწიფოებთანაც მზად არის რაიმე გზით მშვიდობა დაამყაროს. ამ სიყვარულის გამო, რომელიც უფრო ნაკლებ დროულია, ვიდრე საჭიროა, როცა აკეთებენ იმას, რაც სურთ, ისინი შეუმჩნევლად ომის უუნარონი ხდებიან და ასეთებად აქცევენ თავიანთ ახლაგაზრდებსაც. მათ მუდამ თავს ესხმიან და არც ისე დიდი ხნის შემდეგ ისინი, მათი შვილები და მთელი [308a] სახელმწიფო, მათთვის შეუმჩნევლად მონად იქცევიან.

უმცროსი სოკრატე

მძიმე და საშინელ განსაცდელზე ამბობ.

უცხოელი

იმათზე რას იტყვი, ვინც მამაცობისკენ იხრება? მუდამ ომებისკენ ხომ არ უბიძგებენ თავიანთ სახელმწიფოებს და ასეთი ცხოვრების მიმართ საკმარისზე უფრო ძლიერი ლტოლვის გამო მტრად ხომ არ იკიდებენ ბევრ ძლიერ სახელმწიფოს, თავიანთ სამშობლოს მთლიანად ხომ არ ანადგურებენ, ან მტერს ხომ არ აპყრობინებენ და ამონებინებენ? [308b]

უმცროსი სოკრატე

ასეცაა.

უცხოელი

როგორ არ უნდა ვთქვათ, რომ ასეთ [შემთხვევებში] ამ ორივე გვარს ერთმანეთის მიმართ მუდამ დიდი მტრობა და განხეთქილება აქვს?

უმცროსი სოკრატე

სხვაგვარად ვერ ვიტყვით.

უცხოელი

ის არ აღმოვაჩინეთ, რასაც თავიდანვე ვეძებდით, რომ სიქველის არცთუ მცირე ნაწილები ბუნებით ერთმანეთისგან განსხვავდება და ერთმანეთისგან ასევე განსხვავდებიან ისინი, ვინც [ამ ნაწილებს] ფლობს?

უმცროსი სოკრატე

სავარაუდოდ.

უცხოელი

მაშ, ეს საკითხიც განვიხილოთ.

უმცროსი სოკრატე

რომელი? [308c]

უცხოელი

თუ რომელიმე შედგენილი მეცნიერება თავის ამა თუ იმ ნამუშევარს,

თუნდაც ყველაზე უმნიშვნელოს, თავისივე სურვილით შეადგენს უსარგებლო და სასარგებლო [ნაწილებისგან], და ან თუ თითოეული მეცნიერება შეძლებისდაგვარად განაგდებს უსარგებლოს, რომელთაგან ზოგი მსგავსია და ზოგი – არამსგავსი, ამ ყველაფერს ერთად უყრის თავს და ქმნის ერთ ძალასა და იდეას?

უმცროსი სოკრატე

აბა რა?

უცხოელი

მაშ, ბუნებით ჭეშმარიტი პოლიტიკის ხელოვნებაც საკუთარი სურვილით არასოდეს შეადგენს სახელმწიფოს სასარგებლო და ცუდი ადამიანებისაგან, არამედ, ცხადია, თავდაპირველად ხუმრობით გამოცდის მათ, შემდგომ კი გადასცემს მათ, ვისაც შეუძლია აღზრდა და ამ საქმის სამსახური, ხოლო თავად უხელმძღვანელებს და ბრძანებებს გასცემს, ისევე როგორც ქსოვის ხელოვნება ხელმძღვანელობს და უბრძანებს მჩეჩავეებსა და ქსოვისთვის საჭირო [იარაღების] გამკეთებლებს. თითოეულ მათგანს [308e] მიუთითებს, რა უნდა გააკეთოს, მისი აზრით, ამა თუ იმ ქსოვილისთვის შესაფერისი.

უმცროსი სოკრატე

ზუსტად ასეა.

უცხოელი

ვფიქრობ, რომ მეფობის ხელოვნებას, რომელსაც თავად აქვს მეთვალყურეობის ძალა, იმ მასწავლებლებსა და აღმზრდელებს, რომლებიც კანონების შესაბამისად [მოქმედებენ], არ დართავს სწავლების ნებას, თუ [სწავლება] არ შექმნის იმ ხასიათს, რომელიც მის მიერ შექმნილ ნაზავს არ შეესაბამება. მხოლოდ ასეთი [რამეების] სწავლებას უბრძანებს. ამგვართა აღზრდის ბრძანებას მხოლოდ თავად გასცემს. ხოლო, ვინც ვერ ეზიარება მამაცის, კეთილგონიერისა და სხვა, სიქველისაკენ მიდრეკილ ხასიათს,

არამედ [309a] ცუდი ბუნების გამო უღმერთობის, ძალადობისა და უსამართლობისაკენ იხრება, მას სიკვდილით დასჯის, გადაასახლებს ან სხვა უმძიმეს სასჯელს მიუსჯის.

უმცროსი სოკრატე

ამბობენ, რომ ასეა.

უცხოელი

მათ კი, ვინც უცოდინრობასა და დიდ სიმდაბლეში იძირება, მონური გვარის უღელში აბამს.

უმცროსი სოკრატე

ჭეშმარიტებაა.

უცხოელი

სხვათაგან კი, რომელთა ბუნებაც, საკმარისი აღზრდა თუ მიიღო, კეთილშობილი [309b] ხდება და ერთმანეთს შეერევა ხელოვნების მოთხოვნების შესაბამისად, მათი, ვინც უფრო მეტად იხრება მამაცობისკენ და მტკიცე ხასიათის გამო ისეთია, როგორც ქსოვაში ქსელი და მათი, ვინც მიდრეკილია წესრიგისკენ და კვლავ შედარებას რომ მივმართოთ, გამოიყენება როგორც სქელი და რბილი ძაფის მისაქსველი, ანუ ამ ურთიერთსაპირისპიროთა ერთმანეთთან დაკავშირებას ცდილობს ისე, რომ რაიმე სახით შეკრას და მოქსოვოს.

უმცროსი სოკრატე

როგორ? [309c]

უცხოელი

ნათესაობის მიხედვით თავდაპირველად სულის მარადიულ ნაწილს ღვთაებრივს უკავშირებს, ხოლო შემდეგ ცხოველურ ნაწილს – ადამიანურს.

უმცროსი სოკრატე

ეს როგორ თქვი?

უცხოელი

მშვენიერის, სამართლიანისა და კეთილის, ასევე მათ
საპირისპიროთა შესახებ ჭეშმარიტი და დადასტურებულია
შეხედულება, რომელიც სულში იბადება, ღვთაებრივში ღვთაებრივ
გვარს წარმოშობს.

უმცროსი სოკრატე

ასე უნდა იყოს. [309d]

უცხოელი

ვიცი, რომ მხოლოდ პოლიტიკოსსა და კარგ კანონმდებელს
შეუძლია ეს ჭეშმარიტი შეხედულება მეფობის ხელოვნების მუზის
საშუალებით ჩამოუყალიბოს მათ, რომელთაც სწორად აქვთ
მიღებული განათლება და რომელთა შესახებ ახლა ვლაპარაკობდით?

უმცროსი სოკრატე

ასე ჩანს.

უცხოელი

ვისაც ასეთი რამის გაკეთება არ შეუძლია, სოკრატე, მას არასოდეს
ვუწოდებთ იმ სახელს[137], რომელსაც ახლა ვიკვლევთ.

უმცროსი სოკრატე

სავსებით მართალია.

უცხოელი

მაშ რა? როცა მამაცი სული ასეთ ჭეშმარიტებას ფლობს [309e] უფრო
თვინიერი არ ხდება და არ სურს, უფრო მეტად ეზიაროს
სამართლიანს? და როცა არ ფლობს ამ [ჭეშმარიტებას], მაშინ უფრო
მეტად არ გადაიხრება ცხოველური ბუნებისაკენ?

უმცროსი სოკრატე

როგორ არა?

უცხოელი

რას იტყვი მოწესრიგებული ბუნების შესახებ? ამ შეხედულებებს რომ გაითავისებს, ჭეშმარიტად კეთილგონიერი და მოაზროვნე არ გახდება სახელმწიფოებრივ საკითხებშიც? ხოლო თუ არ ეზიარა იმ [ცოდნას], რაზეც ახლა ვლაპარაკობთ, სავსებით დამსახურებულად სულელის სამარცხვინო სახელს არ მიიღებს?

უმცროსი სოკრატე

რა თქმა უნდა.

უცხოელი

არ უნდა ვთქვათ, რომ ეს ნაქსოვი და კავშირი ბოროტებს, ან კეთილებსა და ბოროტებს შორის ვერასოდეს იქნება მდგრადი და, რომ ვერანაირი მეცნიერება ვერ გამოიყენებს მათ სერიოზულად ამგვარი ადამიანების გასაერთიანებლად?

უმცროსი სოკრატე

ასე როგორ? [310a]

უცხოელი

ხელოვნების ეს წამალი მხოლოდ მათთვისაა, ვინც თავიდანვე კეთილშობილი ხასიათით დაიბადა და თავისი ბუნების შესაბამისად და კანონების თანახმად იზრდებოდა, და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს არის სიქველის შემადგენელი ნაწილების ყველაზე უფრო ღვთაებრივი კავშირი, რომელიც განსხვავებულებსა და ერთმანეთის საპირისპიროთ აერთიანებს.

უმცროსი სოკრატე

სავსებით მართალია.

უცხოელი

ვინაიდან არსებობს ეს ღვთაებრივი კავშირი, სხვა, ადამიანური კავშირების გააზრება და გააზრების შემდეგ, [მათი] განხორციელება

არ არის რთული. [310b]

უმცროსი სოკრატე

როგორ და რომელ [კავშირებს გულისხმობ]?

უცხოელი

მათ, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფოში ქორწინებასა და ბავშვების შვილად აყვანას **[138]** ეხება და განსაკუთრებით კი მათ, რომლებიც ერთ სახელმწიფოში გათხოვებასა და ქორწინებებთანაა დაკავშირებული.

უმრავლესობა ხომ ბავშვების გაჩენისთვის არასწორად უკავშირდება [ერთმანეთს].

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

განა შეეცდება ვინმე გაკიცხოს ის, ვინც [ქორწინების დროს] სიმდიდრესა და ძალაუფლებას გამოეკიდება, თითქოს ეს მსჯელობად ღირდეს?

უმცროსი სოკრატე

საერთოდ არა.

უცხოელი

უფრო სამართლიანი იქნებოდა ეს გაგვეკეთებინა და გვესაუბრა იმათთან დაკავშირებით, ვინც თავის მოდგმაზე ზრუნავს, [310c] იქნებ რამეს სათანადოდ არ აკეთებს.

უმცროსი სოკრატე

როგორც ჩანს, ასეა.

უცხოელი

ისინი მართებული აზრებით კი არ მოქმედებენ, არამედ წამიერ

სიმშვიდეს ეძლევიან, თავიანთ მსგავსთ სიამოვნებით იღებენ, განსხვავებულები კი არ უყვართ და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მათ მიმართ ამ უსიამოვნო გრძნობას.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

ის ვინც მოწესრიგებულია, თავის მსგავს ხასიათს ეძებს და შეძლებისდაგვარად ასეთებზე ქორწინდება [310d], თავის [ქალიშვილებსაც] ასეთებს მიათხოვებს; ასევე იქცევა მამაცთა გვარიც, თავისნაირ ბუნებას ეძიებს, არადა ორივე გვარმა სწორედ ამის საპირისპირო უნდა გააკეთოს.

უმცროსი სოკრატე

როგორ და რატომ?

უცხოელი

იმიტომ რომ თანდაყოლილი სიმამაცე, რომელიც მრავალი თაობა კეთილგონიერებას არ შერევია. თავდაპირველად სიძლიერით ყვავის, ბოლოს კი სიშლეგედ იქცევა.

უმცროსი სოკრატე

ასეა.

უცხოელი

ხოლო მოკრძალებით მეტისმეტად სავსე სული, რომელიც არაა შერეული [310e] გამბედაობასა და მამაცობას და მრავალი თაობიდან თაობას ასე უცვლელად გადაეცემა, დროსთან ერთად დუნდება და საბოლოოდ სრულიად ხეივარი ხდება.

უმცროსი სოკრატე

როგორც ჩანს, ასე ხდება.

უცხოელი

სწორედ ამ კავშირებზე ვთქვი, რომ არ არის რთული მათი დამყარება, თუ ორივე გვარს ერთი შეხედულება ექნება სიკეთესა და სილამაზეზე. სწორედ ესაა სამეფო ქსოვის ერთადერთი საქმე, რომ არ დაუშვას გონიერი ხასიათის მამაცისგან განცალკევებულად არსებობა, არამედ ერთმანეთში გადახლართოს ერთსულოვნებით, ღირსებებითა, უღირსობებით, შეხედულებებით, დაპირებების ურთიერთგაცვლით, რომ მათგან მოქსოვოს გლუვი, და როგორც ამბობენ, კარგად ნაქსოვი [311a] ქსოვილი, რათა ორივე [გვარი] ერთად დაუშვას სახელმწიფო მმართველობაში.

უმცროსი სოკრატე

როგორ?

უცხოელი

თუ ერთი მმართველია საჭირო, ისეთი ხელმძღვანელი უნდა იქნას არჩეული, რომ ეს ორივე [თვისება] ჰქონდეს, ხოლო თუ მრავალია ასარჩევი, მაშინ [ამ თვისებების მქონეთა] თანაბრად შერევაა საჭირო, რადგან კეთილგონიერი მმართველი მეტისმეტად ფრთხილი, სამართლიანი და წინდახედულია, ხოლო გამბედაობა, სიმკვეთრე და ქმედითუნარიანობა აკლია.

უმცროსი სოკრატე

როგორც ჩანს, ასეა. [311b]

უცხოელი

მამაცებს აკლიათ სამართლიანობა და სიფრთხილე, მაგრამ ისინი საქმეებში გამბედაობით გამოირჩევიან. საერთოდ სახელმწიფოში კერძო და სახელმწიფო [საქმეები] კარგად ვერ იქნება, თუ ეს ორივე [გვარი] არ იარსებებს.

უმცროსი სოკრატე

აბა რა.

უცხოელი

ვთქვათ, რომ ესაა პოლიტიკური საქმიანობის ქსოვილის დასასრული: მეფობის ხელოვნება პირდაპირი ქსოვით ერთმანეთს აქსოვს მამაცი და კეთილგონიერი ადამიანების ხასიათს, ერთსულოვნებითა და მეგობრობით ერთმანეთთან [311c] აკავშირებს მათ ცხოვრებას და ამგვარად ქმნის დიდებულ და საუკეთესო ქსოვილს, მთელ სახელმწიფოში ყველასათვის საზიაროს, როგორც მონების ისე თავისუფალი [ადამიანებისთვის]; შემოახვევს მათ ამ ქსოვილს და ისე მართავს და ხელმძღვანელობს, რომ არაფერი დააკლოს, რაც ბედნიერ სახელმწიფოს შეეფერება.

უმცროსი სოკრატე
უცხოელო, მშვენივრად წარმოგვიდგინე მეფეც და პოლიტიკოსიც.

ლიტერატურა

ტექსტები, თარგმანები, კომენტარები:

1. პლატონი, ადრეული დიალოგები, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინათქმები და კომენტარები დაურთო ბ. ბრეგვაძემ, თბილისი 1997.
2. პლატონი, იონი. დიდი ჰიპია. მენონი, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინა- თქმები და კომენტარები დაურთო ბ. ბრეგვაძემ, თბილისი 1974.
3. პლატონი, ფედონი, ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბ. ბრეგვაძემ, თბილისი 1982.
4. პლატონი, პარმენიდე, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინათქმები და კომენტარები დაურთო ბ. ბრეგვაძემ, თბილისი 2002.
5. პლატონი, სახელმწიფო, ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბ. ბრეგვაძემ, თბილისი 2003.
6. Платон, Сочинения в трёх томах, под. ред. А. Ф. Лосева и В. Ф. Асмуса, Москва 1968-1972.
7. Plato, Opera, recognovit I. Burnet, t. I, Oxonii 1905.

8. Plato, Opera, ex recensione R. B. Hirschigii, v.I, Graece et Latine, Parisiis 1873.

9. Plato in Twelve Volumes, Vol. 12, English translation by H. Fowler, Cambridge, London 1921.

10. Νικολουνδης Η. Π., Πλαντων, Πολιτικονς, Κανκτος, Αθηννα, 1993.

ლექსიკონები და ენციკლოპედიები:

11. Дворецкий И. Х., Древнегреческо-русский словарь, т. 1-2, Москва 1958.

12. Литературный энциклопедический словарь, под. ред. Кожевникова В. М. и Николаева П. А., Москва 1987.

13. Философский энциклопедический словарь, под. ред. Константинова Ф. В., Москва 1989.

14. Greek-English Lexicon, by H. G. Liddell and R. Scott, Oxford 1961.

15. The Oxford Classical Dictionary, by N. G. L. Hammond and H. H. Scullard, Oxford, 1970.

16. Der Neue Pauly, Enzyklopadie der antike, hg. v. H. Cancik und H. Schneider, 15 Bde, Stuttgart, Weimar 1996.

17. Lexicon Platonicum sive vocum Platoniarum, vol. I, ed. F. Astius, Lipsiae 1835.

18. Lexicon Platonicum sive vocum Platoniarum, vol. II, ed. F. Astius, Lipsiae 1836.

19. Lexicon Platonicum sive vocum Platoniarum, vol. III, ed. F. Astius, Lipsiae 1838.

ზოგადი ნაშრომები და სპეციალური გამოკვლევები:

20. ანტიკური ფილოსოფიის ნარკვევები, თბილისი 1983.

21. გათრი უ., ბერძენი ფილოსოფოსები, თარგ. ინგლისურიდან, თბილისი 1983.

22. დარჩია ი., პლატონის ფედონი (ლიტერატურა, ფილოსოფია, მითოლოგია, მისტიკა), თბილისი 1998.

23. დოლიძე ნ., ძირითადი ენათმეცნიერული ტენდენციები ანტიკურ ფილოსოფიაში და პლატონის «კრატილოსი», თბილისი 1998.
24. თევზაძე გ., ანტიკური ფილოსოფია, თბილისი 1983.
25. მჭედლიძე მ., სოკრატეს დიალექტიკეს ერთი მეთოდისათვის, «ენა და კულტურა», # 4, თბილისი 2003.
26. ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, რედ. ჯ. კორძაია, თბილისი 1993.
27. კუკავა თ., ბერძნული ფილოსოფიის ისტორია, თბილისი 1988.
28. წერეთელი ს., ანტიკური ფილოსოფია, თბილისი 1968.
29. Асмус В. Ф., Античная философия, Москва 1976.
30. Асмус В. Ф., Платон, Москва 1975.
31. Brentano, Древние и современные софисты, Санкт-Петербург 1886.
32. Буш Г. Я., Диалог и творчество, Рига 1985.
33. Виноградов В. В., О языке художественной прозы, Москва 1980.
34. Гегель, Сочинения, т. X, Москва 1932.
35. Кессиди Ф. X., Философия, диалог и диалектика в Древней Греции классического периода, в. сб. Проблемы античной культуры, Москва 1986.
36. Лосев А. Ф., История античной эстетики, Высокая классика, Москва 1974.
37. Лосев А. Ф., История античной эстетики, Софисты, Сократ, Платон, Москва 1969.
38. Льюис А., Античная философия, Минск 1997.
39. Целлер Е., Очерк истории греческой философии, Санкт-Петербург 1996.
40. Церетели Гр., Труды по истории античной литературы, Тбилиси 1993.

41. Annas J. Rowe C., *New Perspectives on Plato, Modern and Ancient*, Harvard University Press, 2002.
42. Athenagoras N, Zakopoulos, *Plato on Man*, New York 1975.
43. Bohm D., *On Dialogue*, New York 2003.
44. Blitz M., *Plato's Political Philosophy*, Baltimore: Johns Hopkins University Press 2010.
45. Blondell R., *The play of character in Plato's Dialogues*, Cambridge 2002.
46. Brouwer M., *The Limits of Philosophy: Plato's «Sophist» and «Statesman»*, UMI Dissertation Services, 2005.
47. Brumbaugh R. S., *Diction and Dialectic. The language of Plato's Stranger from Elea.*
Language and Thought in Early Greek Philosophy, Hegeler Institute, 266-276, 1983.
48. Castoriadis C., *On Plato's Statesman*, Stanford, California 2002.
49. Cornford F. M., *Plato's Theory of Knowledge*, London 1967.
- 99 50. Cuninghame M., *Dramatic Device or Didactic Tool? Rhetoric in Byzantium*, London 2001.
51. De Chiara-Quenzer D., *The Purpose of the Philosophical Method in Plato's «Statesman»* in: *Apeiron: A Journal for Ancient Philosophy and Science*, Vol. 31, No. 2, June 1998.
52. Frede M., *Plato's Arguments and the Dialogue Form*, in: *Oxford Studies in Ancient Philosophy*, Oxford 201-219, 1992.
53. Friedlander P., *Platon, Eidos, Paideia, Dialogos*, Berlin 1928.
54. Gadamer H. G., *Dialogue and Dialectic, Eight Hermeneutical Studies on Plato*, London 1980.
55. Gordon, Jill, *Turning Toward Philosophy. Literary Device and Dramatic Structure in Plato's Dialogues*, Univ Park 1999.
56. Griswold Ch. Jr., *Politike Episteme in Plato's Statesman*, in: *Essays in Ancient Greek Philosophy III*, Albany: State University of New York Press,

1989.

57. Gundert A., Dialog und Dialektik, Berlin 1971.

58. Guthrie W. K. C., A History of Greek Philosophy, The Presocratic Tradition from Parmenides to Demokritus, v. II, Cambridge 1980.

59. Hirzel R., Der Dialog, Leipzig 1895.

60. Horn C., Why two epochs of human history ? On the myth of the Statesman, in:

Plato and myth (congres) 2012, 393-417.

61. Johansen K. F., A History of Ancient Philosophy: From the Beginnings to Augustine, London & New York 1998.

62. Klein J., Plato's Trilogy, Thaetetus, the Sophist and the Statesman, Chikago 1980.

63. Kochin M. S., Plato's Eleatic and Athenian Sciences of Politics, in: The Review of Politics, Vol. 61, No. 1 (Winter, 1999), 57-84.

64. Lane M. S., Method and politics in Plato's Statesman, Cambridge 1998.

65. Lyons J., Structural semantics, An Analysis of Part of the Vocabulary of Plato, Oxford 1967.

66. Merill J. P., The Organization of Plato's «Statesman» and the Statesman's Rule as a Herdsman, in: Phoenix, Vol. 57, No. ½, 2003, 35-56.

67. Mitchell H. Miller, The philosopher in Plato's Statesman, Hague 1980.

68. Nightingale A. W., Genres in Dialogue, Plato and the Construct of Philosophy, Cambridge 2000.

69. Notomi N., Where is the Philosopher? A single project of the Sophist and the Statesman, in: Formal structures in Plato's dialogues (congres) 2011, 216-236.

70. Peterson S., Socrates and Philosophy in the Dialogues of Plato, Cambridge 2011.

71. Philosophy in Dialogue: Plato's Many Devices, edit. by G. A. Scott, Illinois 2007.

72. Rosen S., *Plato's Statesman: The Web of Politics*, New Haven and London 2009.
73. Rowe C., *Plato*, Bristol Classical Press, 2008.
- 100 74. Rowe C., *Plato and the Art of Philosophical Writing*, Cambridge University Press, 2007.
75. Rowe C. J., *Reading the Statesman: proceedings of the III Symposium Platonicum*, 1995.
76. Rudebusch G., Does Plato Think False Speech is Speech? *Nous* 24: 599-609, 1990.
77. Russon J., Sallis J., *Retracing the Platonic Text*, Evanston 2000.
78. Sayre K. M., *Metaphysics and method in Plato's Statesman*, Cambridge 2006.
79. Scodel H. R., *Diaeresis and myth in Plato's Statesman*, Vandenhoeck and Ruprecht 1987.
80. Seth B., *The Being of the Beautiful: Plato's Theaetetus, Sophist, and Statesman*, Chicago 2007.
81. Seth B., Eidos and Diairesis in Plato's Statesman, in: *Philologus* 107, 1963, 193- 226.
82. Sinaico W. L., *Love, Knowledge and Discourse in Phaedrus, Republic, Parmenides*, London 1986.
83. Stokes A. W., *Plato's Socratic Conversations, Drama and Dialectic in Three Dialogues*, London 1986.
84. Szlezak T. A., *Reading Plato*, London and New York 1993.
85. Taylor, Q. P., Political science or political sophistry? A critique of Plato's Statesman, in: *Polis* 17, 2000, 91-109.
86. Thesleff H., *Comentationes Humanorum Litterarum: Studies in Platonic chronology*, Helsinki 1982.
87. Walton D. N., *The new dialectic. Conversational Contexts of argument*, Toronto 1998.
88. Warner R., *The Greek Philosophers*, New York 1958.

89. Whidden C., True statesmanship as true rhetoric in Plato's Gorgias, in: Polis 22, 2005, 206-229.

90. White D. A., Myth, metaphysics and dialectic in Plato's Statesman, Cambridge 2007.